
ლიტერატურულ –
საზოგადოებრივი
ჟურნალი

ცისკარი

1852



თამაზ ჩხენკელი
მწერლის თვალსაზრისი

ალექსეი თარია
აფხაზი ავტორი ჩვენს ჟურნალში

ნიკოლოზ ტრუბეცკოი
იმპერიული თავსატეხი

ახალი თარგმანები
ციცერონი – ბაჩანა ბრეგვაძე
მილორად პავიჩი

ლევან ბრეგაძე
მუხრან მაჭავარიანის ჩანაწერები

პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა

1/2015

საკრებულო

კონკურსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით გეგმავს კონკურსის ჩატარებას ხელოვნებისა და ლიტარატურის სხვადასხვა დარგში საუკეთესო ნამუშევრების გამოსავლენად და აცხადებს კონკურსს პრემიის სახელწოდების შესარჩევად.

დაწვრილებითი ინფორმაცია კონკურსის პირობების შესახებ იხილეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე:
www.tbsakrebulo.gov.ge

გისურვებთ წარმატებებს!



ცისკარი
1852

ყოველთვიური
ლიტერატურულ–
საზოგადოებრივი
ჟურნალი

2015/1

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

რედაქტორთა ჯგუფი

ბაღათერ არაბული
სოსო გოლიაძე
(მთ. რედაქტორის მოადგილეები)

ანდრო ბუაჩიძე
ელზა მეტრეველი

ჟურნალი დააკაბადონა
თამარ ტყაბლაძემ

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბედუკაძე
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი
ლევან ბრეგაძე
დავით თედორაძე
ზვიად კვარაცხელია
ესმა კოკოსკერია
გიორგი ლობჟანიძე
ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ნინო სადღობელაშვილი
თამაზ ტყემალაძე
რაზიათ ქუმარიტოვი
რეზო ჭეიშვილი
თემურ ჭკუასელი
ბესიკ ხარანაული

ჟურნალი გაფორმებულია შალვა ქიქოძის გრაფიკული ნამუშევრებით გარეკანზე: მხატვრის ავტო-პორტრეტი

ჟურნალი გამოდის
თბილისის მერიისა და საკრებულოს
მხარდაჭერით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
https://www.facebook.com/ciskari1852

სარჩევი

ამირან გომართელი
ჩვენ გზაში ვართ .3

თამაზ ჩხენკელი
მეტი რაციონალიზმი და ნებისყოფა .5

პოეზია
მანანა ჩიტიშვილი 8
სალომე ბენიძე 11

პროზა
გელა ჩქვანავა
მოთხრობები 16

აფხაზი ავტორი „ცისკარში"
ალექსეი თარია
„გედის სიმღერა," ანუ სამუდამო დევნილის მოგონებები და ფიქრები
თარგმნა **ლალი კონცელიძემ** 29

პოეზია
გურამ ჯახუტაშვილი 51
ჯარჯი ფხოველი 56

პუბლიცისტიკა
გია სიამაშვილი
სადღეისო ჩანაწერები 62

პროზა
ნათია როსტიაშვილი
საით წავიდა ლოლა 69

ანტიკური სამყარო
მარკუს ტულიუს ციცერონი –
სციპიონის სიზმარი 77
თარგმნა და კომენტარები დაურთო **ბაჩანა ბრეგვაძემ**

იმპერიული თავსატეხი
ნიკოლოზ ტრუბეცკოი
საერთოევრაზიული ნაციონალიზმი 87
თარგმნა **თინათინ ბოლქვაძემ**

ახალი თარგმანები
ელჩინ ეფენდიევი – „სარი გელინი"
თარგმნა **ოქტაი ქაზუმოვმა** 96
მილორად პავიჩი– ჩაით დახატული პეიზაჟი
თარგმნა **ელზა მეტრეველმა** 105

მეცნიერება • ლიტერატურული კლასიკა
გიორგი ალიბეგაშვილი
სიტყვა და ხატი 116
თამარ გელიტაშვილი – „ლურჯა ცხენების"
კონცეპტი გალაკტიონის შემოქმედებაში 121

წიგნები
ლევან ბრეგაძე
ჩანაწერები ჩანაწერებზე 126
ანდრო ბუაჩიძე
თარგმანი და ორიგინალური პოეზია 132

თეატრალური პანორამა
გიორგი ყავჯრიშვილი
„ან ხვალინდელი დღე რას მპირდება?" 135

„ცისკარი 1852" – სკოლას
ზურაბ კალანდაძე
კაცი–ტანჯვისთვის გაჩენილი 143

საზღვარგარეთის ლიტერატურული პრემიები
მოამზადა – **მარიკა კახაძემ** 147

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

ჩვენ გზაში ვართ

163 წლის „ცისკარი“ კიდევ ერთხელ აღსდგა!.. განახლებულ ჟურნალს „ცისკარი 1852“ ვუწოდეთ. სახელდება მინიშნებაა: თავს გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის ჟურნალის სულიერ მემკვიდრეებად მივიჩნევთ. აქ ილიასა და აკაკის მწერლური ნათლობა მოხდა. ყველას გვახსოვს: „ცისკრის ფურცლებიდან დაქუხებულმა ოცდაერთი წლის ყმაწვილი კაცის „ორიოდე სიტყვამ“ როგორ გაარღვია საქართველოს „საყდრული მყუდროება,“ როგორ უცვალა გეზი ჩვენს სულიერებასა და ყოფას.

პირველ ქართულ სიტყვიერებით ჟურნალს გიორგი ერისთავმა „ცისკარი“ დაარქვა. რედაქტორის ნიჭიერება ამ სახელდებაშიც ჩანს. ცისკარი, ანუ განთიადის ვარსკვლავი უფლის მატერიალიზებული სიმბოლოა („მე ვარ... ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“). „ცისკრის“ სახელდება ერთგვარ სემანტიკურ არქეტიპადაც კი დაედო შემდგომი დროის ასევე ფრიად მნიშვნელოვან ქართულ ლიტერატურულ გამოცემებს – „მნათობი,“ „განთიადი“, „პირველი სხივი“.

ჟურნალ „ცისკარზე“ მისი ნათლია-რედაქტორი, ისევე, როგორც იმჟამინდელი მოაზროვნე ქართველობა, განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა. „ცისკარს“ ღვთაებრივი საუფლოს კარი უნდა გაეღო – ჩვენს სულიერ აღორძინებას უნდა დასდებოდა საფუძვლად. ასეც მოხდა. გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის „ცისკარმა“... აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა“ (ილია ჭავჭავაძე).

ასი წლის შემდეგ, 1957 წელს, განახლებულმა ჟურნალმა კვლავ იდო თავს განსაკუთრებული მისია. ვახტანგ ჭელიძის ირგვლივ შემოკრებილმა ახალგაზრდობამ, მეოცე საუკუნის „სამოციანელებმა,“ ახალი სული შთაბერეს კომუნისტური დიქტატურის შიშით ხმაგაკმენდილ ქართულ მწერლობას. ცალკე საუბრის თემაა ჯანსულ ჩარკვიანის რედაქტორობისა და მისი მომდევნო ხანის „ცისკარი“ – მწერალთა უნიჭიერესი თაობითა და იმ დროისათვის გასაოცარი შინაგანი თავისუფლებით. მეტიც, საქართველოს დამოუკიდებლობა ამ თაობის ინიციატივაც იყო „თერგდალეულთა“ და XX საუკუნის პირველი სამი ათწლეულის მწერალთა ძალისხმევის კვალდაკვალ.

უახლოესი ორი საუკუნის განმავლობაში, ადრეც, „ვეფხისტყაოსნის“ წყალობით, საქართველო, შეიძლება ითქვას, ლიტერატუროცენტრისტული ქვეყანა იყო. მწერალი ჩვენში ცხოვრების წარმმართველი, ერისთვის გეზის მიმცემი და ზნეობრივ ნორმათა კანონმდებელი გახლდათ. ის პოლიტიკური ლიდერის ფუნქციას ასრულებდა. ამის გამო ჩიოდა კიდეც აკაკი ბაქრაძე: გაჭირვებას რა ვუთხრა, თორემ მწერალმა პოლიტიკოსის ფუნქცია რატომ უნდა იტვირთოსო.

ისე, კომუნისტებიც მარჯვედ იყენებდნენ მწერლის როლს სათავისოდ. კომუნისტი მწერალი ქვეყნის ცხოვრების კონსტრუირებაში მონაწილეობდა. ამიტომაც ამბობდა დიდი დიქტატორი: მწერალი ადამიანის სულის ინჟინერიაო, ამიტომაც იყენებდა მწერლების მიმართ თაფლაკვერისა და მათრახის პოლიტიკას. როცა გაცხადდა, რომ ამგვარი კონსტრუირების შედეგი პიროვნების წაშლა-ნიველირება იყო, პატიოსან კაცს ისღა დარჩენოდა, ვლადიმერ მაიაკოვსკივით თავი მოეკლა ან ბორის პასტერნაკივით თუ ჩვენი პოლიკარპე კაკაბაძესავით მთელი ცხოვრება სულიერ შინაემიგრაციაში გაეტარებინა (ტრაგიკოსად ქცეული ჩვენი კომედიოგრაფის ამგვარი ყოფა შესანიშნავად აქვს გადმოცემული თამაზ ჭილაძეს ესეში „დიდი კომედიოგრაფი“).

დღეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა. მწერლის ადგილს, რომელიც სახელმწიფოებრიობის არარსებობის პირობებში ერის იდეური წინამძღვარი იყო, პოლიტიკოსი იკავებს, რაც სავსებით ლოგიკურია და არ უნდა გაგვიკვირდეს (ასე ხდება ყველა ნორმალურ ქვეყანაში), თუმც მწერალს მაინც რჩება უფლება მარადიული ოპონენტისა, ხალხთან, საზოგადოებასთან საუბრისა, ოღონდ უკანასკნელ ხანს მან ეს უფლება შოუმენს დაუთმო, რომელიც მწერლის პრესტიჟულ ადგილზე თამამად წამოსკუპდა და ეპატაჟის წყალობით

საეჭვო ღირსების ოპუსების ავტორმა სხვისი მანტიაც მოირგო. ამგვარი პრეტენზიის მქონე შოუმენები უხვად არიან ჩვენში, ოღონდ სამწუხარო ისაა, რომ მწერალიც ცდილობს ეპატაჟის ხელოვნების დაუფლებით პოპულარობის მოპოვებას და ისიც შოუმენს ემსგავსება.

არადა, შოუმენი ხომ არაფერს ამბობს, უბრალოდ ართობს ხალხს, მაგრამ იმავე ხალხს აუცილებლად დასჭირდება ან მალევე იგრძობს ღრმა აზრის შემცველი, ტევადი და შინაარსიანი სიტყვის საჭიროებას, რომელიც სულიერ საზრდოდაც გამოდგება და ემოციური ზემოქმედების ძალაც ექნება. მწერალი ხომ ახალ რეალობას ქმნის, სადაც „ადამიანი რაღაც გამოუთქმელ შვებას და არსებობის შემსუბუქებას გრძნობს, სადაც პოეტური ფანტაზიის ცოცხალი ქნილებანი მოკლებულნი არიან სხეულებრივობას, ამ რეალური არსებობის მუდმივ ტვირთს“ (გერონტი ქიქოძე).

ითქვა: მწერალი ახალ რეალობას ქმნის, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შემოქმედებითი ფანტაზიით შექმნილი მხატვრული სინამდვილე რეალობას ეყრდნობა და აქ წვრილმანთემიანობა, თავშესაქცევი ამბებით გართობა, მხოლოდ ამწამიერი მოვლენით გატაცება სამწუხარო მოდად იქცა უკანასკნელ ორ ათწლეულში და ვერანაირად ვერ იქნება მაღალმხატვრულ ლიტერატურასთან წილნაყარი.

გვჯერა, რომ ქართული მწერლობის **ახალ თაობას აუცილებლად აღმოაჩნდება უნარი,** ბოდლერივით **ხმამაღლა განაცხადოს: „არის ჩვენში სილამაზე, რომელიც უცხოა ძველებისთვის“.** ამ იმედით იწყებს განახლებული ჟურნალი „ცისკარი 1852“ თავის საქმიანობას. ამ რწმენით შეუწყვეს ხელი ჟურნალის განახლებას ქალაქ თბილისის მერმა და საკრებულოს თავჯდომარემ, ბატონებმა: დავით ნარმანიამ და გიორგი ალიბეგაშვილმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ მათ.

* * *

ჩვენი ჟურნალისთვის ლიტერატურულ ძიებათა ზღვარი არავის დაუწესებია – ზღვარდადებული მაძიებლობა ვერ იქცევა ინოვაციების სათავედ. თვით უსასტიკესი საბჭოთა ტოტალიტარული ცენზურის პირობებშიც „ცისკარი“ ახერხებდა მკაცრი სიმართლის თქმას. ამ სიმართლის წინაპირობა კი შინაგანი თავისუფლება იყო. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს დღევანდელობის დანიშნულებაც. „ცისკარი 1852“ კვლავ გააგრძელებს საქმიანობას ტრადიციული, თუმც შინაარსობრივად მუდმივად განახლებადი რუბრიკებით. ტრადიციული რუბრიკები შეინარჩუნებს თავის პირვანდელ მნიშვნელობას მხოლოდ ერთი კორექტივით – უნდა ვეცადოთ, რომ ყოველი მასალა ახალი დროის კონტექსტში იყოს მოქცეული. ტრადიციის გათვალისწინება და აკადემიურობა არ ნიშნავს რეტროგრადობას. ცხადია, ჟურნალის გამოცემის პროცესში გაჩნდება ახალი რუბრიკებიც, რომელსაც დრო და ვითარება გვიკარნახებს.

ერთობ მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ ამთავითვე უნდა განვაცხადოთ: ჟურნალის მომდევნო ნომრიდან დავიწყებთ თანამედროვე ქართული ლიტერატურის თარგმანების ბეჭდვას აფხაზურ და ოსურ ენებზე. ამას ჩვენი გამოცემის რამდენიმე გვერდი დაეთმობა. ბუნებრივია, საგანგებო ყურადღება მიექცევა აფხაზური და ოსური ლიტერატურისა თუ საზოგადოდ კულტურის პროპაგანდას. საქართველო არ არის მარტოოდენ ტერიტორიული ერთობა – ქართველთა, აფხაზთა და ოსთა – ის კულტურული ერთობა-მთლიანობაც არის. ჩვენ დროთა დარღვეული კავშირის აღდგენას ვესწრაფვით!

ახლო წარსულში გაბატონებული იყო ლიტერატურის ასეთი დეფინიცია: ლიტერატურა ცხოვრების ასახვააო. ამ ზედმეტად მატერიალისტურ გამონათქვამში მაინც არის ჭეშმარიტების მარცვალი. თუ ცხოვრება ცვალებადია და მედინი, თუ მისი ცვალებადობა ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული და ვერაფრით შევაჩერებთ, მხატვრულ ლიტერატურას, როგორც ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტს, ადამიანური ნება წარმართავს, ოღონდ ამ ნებას, მსგავსად ცხოვრებისა, ცვალებადობის, მარადიული განახლების უნარი უნდა შესწევდეს. მითუმეტეს დღეს, როცა ჩვენი ყოფაცა და სულიერი არსებობაც განახლების პროცესშია, როცა მხატვრული სიტყვა ჩვენთვის ისეთსავე ლოგოსურ მნიშვნელობას იძენს, როგორც სახარებისეული „პირველთაგან იყო სიტყვა“. ამ რწმენით ჩვენ აღთქმული ქვეყნისკენ მივემართებით.

ჩვენ გზაში ვართ!

ამირან გომართელი



თამაზ ჩხენკელი

მეტი რაციონალიზმი და ნებისყოფა

როგორ ხედავთ ქართველი ერისა და ჩვენი ახალი დემოკრატიული საქართველოს მომავალს?

ამ კითხვაში ერთმანეთთან დაკონტაქტებულია „ქართველი ერი“ და „ახალი დემოკრატიული საქართველო“. მეორე წარმავალი კატეგორიაა, პირველი – წარუვალი, თუმცა ფიქრობენ, რომ პირველიც წარმავალია, ალბათ ისევე, როგორც ყველაფერი ამ ქვეყანაზე. რა თქმა უნდა, არა ერთი და ორი სახელმწიფო და ერი აღგვილა პირისაგან მიწისა, და პირიქით, ძველი ისტორიისთვის უცნობი არაერთი გამოსულა ისტორიის ასპარეზზე და აღზევებულა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ერი მუდმივ ცვალებადობას და ტრანსფორმაციას განიცდის, თვით უმკაცრესი ტრანსფორმაციის დროსაც კი ინარჩუნებს რაღაცნაირ გამოუცნობ, თავისი არსის გამომხატველ ბირთვს, რის გამოც იგი ყოველთვის არის ის, რაც არის, და არ არის სხვა რამ.

უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში საქართველო რამდენჯერმე დაექვემდებარა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს, რაც ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ცვლილებები ყოველთვის გარეპოლიტიკური და იდეოლოგიური ხასიათის ინვაზიებთან იყო დაკავშირებული. ყოველი ასეთი გარდატეხა თუ ცვლილება ასუსტებდა ქვეყანას იმიტომ, რომ არ შესწევდა შინაგანი ძალა ერთბაშად მოეთვინიერებინა და საკუთარი არსებობის წიაღში მოენელებინა ეს ცვლილებები.

მარაბდის ომში დამარცხებამ განაპირობა საქართველოს ვასალური სტატუსი არა მარტო პოლიტიკურად, არამედ იდეოლოგიური და კულტურული თვალსაზრისითაც. კრწანისის ომში მოღალატურ დამარცხებას საქართველოს ანექსია მოჰყვა უმძიმესი შედეგებით: ქართული ენის სახელმწიფო ფუნქციის მოშლა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, რუსული ბიუროკრატია და სხვა. ტაბახმელა-კოჯრის ომში უნიათო თვითკაპიტულაციას კიდევ უფრო მძიმე შედეგები მოჰყვა, მაგრამ სამივე შემთხვევაში ქართული თვითცნობიერება შესაძლებლობის ფარგლებში ინარჩუნებდა თავდაცვისა და წინააღმდეგობის უნარს.

საიდან იკრებდა ძალას თავდაცვისა და წინააღმდეგობის ეს უნარი? ამ უნარს, ჩემი აზრით, ასაზრდოებდა კულტურა (საკუთრივ ქართული კულტურა), თუ ამ ცნებაში ძირითადი მნიშვნელობის გარდა, ყოფით და ფსიქოლოგიურ მომენტებსაც ვიგულისხმებთ.

ახლა ხშირად გაისმის აბსურდული ფრაზა: საქართველოს გადარჩენა შეუძლია ამას და ამას. საქართველოს გადარჩენას ვერაფერი შეძლებს, თუ ის გადასარჩენი არ არის, და საქართველოს ვერანაირი ძალა ვერ გააუქმებს, თუ ის გასაუქმებელი არ არის. ჩვენ ხელთ არის იმის გადარჩენის შესაძლებლობა, რაც ღირებულია ქართულ ტრადიციაში, ქართველი კაცის მენტალიტეტსა

და ქართულ კულტურაში, და ამდენად მსოფლშეგრძნებაში. ამას უნდა მოვუაროთ.

ჩემი აზრით, ორმა კატასტროფულმა ფაქტმა განსაზღვრა საქართველოს ბედი: XIV საუკუნის მიწურულს გიორგი VII-ის პათოლოგიურმა პოლიტიკამ, რის შედეგადაც დაიშალა ქართული სახელმწიფო, და XIX საუკუნის მიწურულს ქართული ტვინის აბერაციის შედეგად შექმნილმა ე.წ. მესამე დასმა, რომლის კისერზეა იდეოლოგიური შინაგამცემლობა, ანტიქართული თვალსაზრისების ტოტალური დანერგვა და ბოლოს, ყოველივე ამის ბუნებრივი დასასრული – ილიას მკვლელობა (ვინც არჩილ ჯორჯაძისა და ნოე ჟორდანიას პაექრობას იცნობს, დამეთანხმება ამაში). ილიას მკვლელობა ნიშნავდა იმას, რომ საქართველოში შეიძლება მოხდეს ყველაფერი – წარმოუდგენელიც კი. ნიშნავდა იმას, რომ საქართველოში ყველაფერი დაშვებულია (როგორც დოსტოევსკი ამბობდა, ღმერთის არარსებობის შემთხვევაში). „მესამე დასი“ ევფემისტური განსაზღვრებაა. არავითარი „მესამე“ არ არსებულა. ეს იყო სრულიად ახალი, კარგად ორგანიზებული და თანადროული პარტიული მექანიზმით გაფორმებული მეხუთე კოლონა, რომელმაც განახორციელა არნახული მასშტაბის იდეოლოგიური დივერსია საქართველოში; და პარადოქსია ის, რომ სწორედ ამ პარტიას ხვდა წილად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, იმ აქტის აღსრულება, რომლის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული მთელი მისი მოღვაწეობა.

დღევანდელმა დემოკრატიულმა საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს ეს. ახალმა დემოკრატიულმა მმართველობამ არ უნდა გაიმეოროს ძველი შეცდომები. არადა, შეცდომის ერთგვარი საფუძველი ყოველთვის შეიძლება არსებობდეს, და არსებობს კიდეც, უდიდესი გარდატეხის ჟამს.

სწორედ ამგვარი გარდატეხის ჟამია ახლა. საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა. მაგრამ „დემოკრატია“ სხვადასხვაგვარად ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში. ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციის ქვეყანაში იგი სულ სხვა ელფერს იძენს, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი ტრადიცია არ გააჩნიათ. პარლამენტის ტრიბუნიდან აღინიშნა: ჩვენ კი არ უნდა მოვერგოთ „აბსტრაქტულ დემოკრატიულ პრინციპს,“ არამედ ეს პრინციპი უნდა მოვირგოთ ქართველი ერის იმ ტრადიციის გათვალისწინებით, რომელიც არა მარტო საუკუნეთა მანძილზეა გამოცდილი, არამედ დღეისთვისაც ღირებულია. მაგრამ ხორციელდება ეს გონივრულად გამოთქმული თვალსაზრისი?

ჩვენ საზოგადოებაში უნდა აღიზარდოს და გამოიწრთოს მოქალაქეობის ახლებური თვალსაზრისი, რომელშიც ნაკლები იქნება რომანტიზმი და მითოლოგიზმი და მეტი ეროვნული ცნობიერების საფუძველზე ჩამოყალიბებული რაციონალიზმი, ნებისყოფა და ენერგია. ეროვნულ ცნობიერებას ქმნის კულტურა და ამიტომ კულტურაზე ზრუნვა (განსაკუთრებით ენობრივ და ჰუმანიტარულ სფეროებში) სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის პრიორიტეტი უნდა იყოს. საკუთარი სახის არმქონე, კულტურაწარხოცილ საქართველოში ცხოვრებას ქართველობა ვერ შეურიგდება.

2002 წ.





მანანა ჩიტიშვილი

სამადლობელი

რადა კრთი, სულო,
რად სხვაგვარი თრთოლით მევსები,
გავშლი ფურცლებს და
კვლავ ჩემს გულთან ვმართავ მარულას,
ვერ ვიკეკლუცე ვერასოდეს
ჩემი ლექსებით,
ვერც სტრიქონებში გავეპრანჭე
ვინმეს ქალურად.

მოჩანდა მთვარე,
როგორც ჩემი ყოფნის წერტილი,
სუნთქვას მიკრავდა
ოშკის მოთქმა, გმინვა ხახულის,
სიტყვის ორბებით ნაკორტნი და
სისხლდაწრეტილი,
უჭირისუფლოდ
ამ ლექსებში ვარ დამარხული.

მაღალ პალატებს
საოსტიგნე მწირის ვარჩიე,
იცის კი ვინმემ,
რა უშქარი გზებით ვიარე...
გმადლობ, უფალო,
ლექსად ლოცვას რომ მიმაჩვიე
და საღვთო სუფრის
ტრაპეზი რომ გამიზიარე.

არც განშორება მეიოლება

წაიკრეს მთებმა თოვლის მანდილი,
ქარს მიაქვს სერ-სერ ნისლის ფიორი...
არც შეყვარება არის ადვილი,
არც დავიწყება გახლავთ იოლი.

დგას სურნელება თაფლიან ფიჭის,
ნამი ასხმია ბალახს ღილებად...
თუმც უშენობა ძალიან მიჭირს,
არც შენთან ყოფნა მეადვილება.

მთებზე ქათქათებს თოვლის მანდილი,
წყარო იმსხვრევა ქვებზე ბროლებად,
არც შენთან მოსვლა იყო ადვილი,
არც განშორება მეიოლება.

დედისადმი

ჩამომტვრეულა ძველი კრამიტი,
წვეთი ჩამოსდევს კედლებს კირიანს,
დედი, მე შენს ერთ ცრემლად არ მიღირს,
ყველა ქალს ერთად რაც უტირია.

შენ კარგად იცი, როგორ დამღალა
დრომ და
სწუხ, როცა მხედავ ცრემლიანს,
დედი, ეგ შენი წმინდა ჭაღარა
ქალღმერთის ოქროს თმებს მირჩევნია.

უკვე იცვლება ჩემთვის ამინდი,
სხვა დარდი მოაქვთ დღეებს მირიად,
დედი, მე შენს ერთ ცრემლად არ მიღირს,
ქვეყნად ყველა ქალს რაც უტირია.

წუთისოფელი

დრო ხან დამსხვრეულ ნავივით მრიყავს,
ხან ქარს შემოაქვს ფოთლის წერილი
და ლექსი, როგორც დასაკლავ თიკანს,
ყელზე თოკივით მაქვს წაჭერილი.

ნიავი ისლის ღეროებს არწევს,
წყალს წნორის ტოტი მიაქვს ტივტივით,
მე ახლა მხოლოდ ლექსებს კი არ ვწერ,
სიყრმის გაფრენილ დღეებს მივტირი.

ვინ იცის, გული გაძლებს რაღამდენს,
კიდევ რამდენჯერ ძალუძს გამთელდეს,
ვაითუ, ეს დღე აღარ დაღამდეს
ანდა ეს ღამე აღარ გათენდეს.

წუთისოფელმა ბევრგვარად მჩხრიკა,
დროის ქარებით ვარ დამტვერილი
და ლექსი, როგორც დასაკლავ თიკანს,
ყელზე თოკივით მაქვს წაჭერილი.

ჯვარცმა

შაშვი გალობით
ქარგავდა სისხამს,
ჩემიც გალობდა
გული იმხანად
და მუხლის მოყრა
მართებდა ვისაც,
ამ გოლგოთაზე
მან ამიყვანა.

უცხო ნათელი
მოდგა მისრეთით,
ქარი ვიდოდა
მთებზე ნებისად...
მე ჯვარცმული ვარ,
მაგრამ ისეთი,
გარდამოხსნა რომ
აღარ ეღირსა.

შენ გამათენებ

ჩემს ლაშას

კარებთან მოდგა
ისევ მირკანი,
წვიმს და,
დარდო, შენც თითქოს ათდები...
იქ გაიხსნება
ჩემთვის ცის კარი,
შენ საიდანაც
ამონათდები.

მზემ ზედ ჩემს გულზე
დასცა კარავი,
ვწევარ და
მტკივან ნაჭრევს ვამთელებ...
მადლობა უფალს,
რომ სხვა არავინ,
თუ დავღამდები,
შენ გამათენებ.

თუ გინდ ნუ შეგიყვარდები

ხანა ხარ ცისკრის წაწალი,
ხან მთვარეს დაედარდები,
ნეტა, შენა გქნა ხოხობი,
მე – მაყვლის ხშირი ბარდები.
უბეში შემომეფარო,
ხელით არ ჩამივარდები,
ცეცხლი დაეგზნოს სურვილის,
ორნივ შიგ ჩავიკარგებით.
ალმა უწიოს იალნოს,
ცაო, ნუმც გამიავდრდები,
დღე გაუგებრად დაღამდეს,
დილამ გვიკმიოს ვარდები,
მერე კი...
მერე ჯანდაბას,
თუ გინდ ნუ შეგიყვარდები.



სალომე ბენიძე

ზაფხული. წერილი პირველი. 2014 წლის 29 ივნისი, 2:26-ზე

ყველა სიზმარი, დილაობით თავქვეშ რომ ვეძებ,
ყველა სურვილი, რომ არასდროს უნდა გამეშვი,
ეს – შენი გრილი ხელებია ჩემს დამწვარ მხრებზე
და შენი ჩუმი ღიმილია ჩემს მშვიდ თვალებში.

ყველა ნიჟარა, ყველა ტალღა და ყველა თევზი,
ყველა ნავი და იალქანი, ქარებს რომ ვანდე,
ეს – უეცარი შეხვედრაა შორეულ გზებზე,
ბეწვის ხიდია ზაფხულიდან შემოდგომამდე.

გემო მარილის, მზის ბილიკი, რომ მიდის ცამდე,
ქოლგების მწკრივი, ზღვა, რომელსაც არ აქვს საზღვარი,
ეს ყველაფერი, შეიძლება, სიყვარულს ჰგავდეს,
ჰო, სიყვარული, შეიძლება, იყოს ამგვარიც.

ყველა სიზმარი, დილაობით თავქვეშ რომ ვეძებ,
ყველა სურვილი, რომ არასდროს უნდა გამეშვი,
ეს – ჩემი თხელი თითებია შენს ფართო მხრებზე,
ეს – ჩემი მშვიდი ღიმილია შენს თბილ თვალებში.

ზაფხული. წერილი მეორე. 2014 წლის 6 ივლისი, 23:51-ზე

იყო ღამე და მოვდიოდი ხეების ჩრდილში,
იყო ღამე და ვარსკვლავების მსურდა თვალთვალი,
მე მახსოვს შიში, უშენობის უღონო შიში,
სიყვარულზე და მოლოდინზე უფრო მართალი.

იყო დილა და მზის სინათლეს ეძინა ჩემთან,
იყო დილა და მდარაჯობდა მთვარის აჩრდილი,
მე მახსოვს სევდა, უშენობის ფერმკრთალი სევდა,
ყველა წამიერ სიხარულზე უფრო ნამდვილი.

იყო შუადღე და მკლავები მწვდებოდა ცამდე,
იყო შუადღე და მწვდებოდა მიწა წელამდე,
მე მახსოვს დარდი, უშენობის უთქმელი დარდი,
შენამდე გავლილ სიცოცხლეზე უფრო ფერადი.

გიყვები ახლა: ამ ნაპირზე ზღვამ გამომრიყა,
ნუღარ გაამხელ, თუკი შევცდი, თუკი დაგღალე,
მე აღარ მახსოვს სიყვარული, რომელიც იყო,
მიწაზე მტკიცე, ზღვაზე ღრმა და ცაზე მაღალი.

ზაფხული. წერილი მესამე. 2014 წლის 22 ივლისი, 3:12-ზე

ვზივარ, გიხსენებ, გიმეორებ, გფურცლავ და გმარცვლავ,
გკითხულობ, გზვერავ, თვალს გაყოლებ, გათვალიერებ,
და მაინც, შენი ყოვლისშემძლე ღიმილის ნაცვლად,
დღეს მე და ივლისს თვალწინ გვიდგას სიცარიელე.

მინდა, მოგწერო, რომ არ ხდება აღარაფერი,
რომ გზას ვადგავარ, გზას, რომელიც არსად იწყება,
რომ ჩემს კედლებში, სხეულს რომ ჰგავს, მთვარის ნაფერებს,
ერთად ცხოვრობენ სიყვარული და დავიწყება,

რომ ჩემს თვალებში, რა ხანია, მტვერი დაბუდდა,
რომ მხრებზე მაწევს ღრუბლიანი ღამე ურყევი,
რომ მე ფერმკრთალი სიზმარი ვარ მზიან ზაფხულთა,
რომელიც ნახე და დილისპირს წყალს მოუყევი.

ვზივარ, გიხსენებ, გიმეორებ, გფურცლავ და გმარცვლავ,
გკითხულობ, გზვერავ, თვალს გაყოლებ, გათვალიერებ,
და სადღაც, შენი მზით დამწვარი მკლავების ნაცვლად,
მელის აგვისტო,
მდუმარება,
სიცარიელე.

დღეები
2014 წლის 26 ივლისი, 1:14-ზე

არის დღეები, როცა მენატრები,
როცა ვწვები ზურგზე,
და ხელებს, როგორც ფრენადავიწყებულ,
მოტეხილ ფრთებს,
გახამებულ მიტკალზე ვერტიკალურად ვალაგებ,
როცა მინდება, თავს ზემოთაც იყოს ძალა,
მაგრამ არ არის.

არის დღეები, როცა გიხსენებ,
როცა სულის ერთი შებერვით,
სანთლებივით ვაქრობ თვალებს,
და შენი ცხოვრების ფსკერზე
ისე საშიშად ვდუმვარ,
როგორც წყალი სახლის საძირკველში.

არის დღეები, როცა ვტირი,
როცა ვემსგავსები შემოდგომის ნაწვიმარ მინდორს,
როცა ველარ ვცნობ
გადამფრენი ჩიტების ჩრდილებს
და ველარ ვგრძნობ
მიწისქვეშა წყაროების დინებას.

არის დღეები, როცა მიყვარხარ,
როცა მეყინება სისხლი,
როცა შუშის ყუთში ვსახლდები, რომ ვერავინ მომეკაროს,
როცა მიცვალებულივით ვიღიმი
და გაყინულ ფანჯარაზე ლამაზი ვარ,
არის დღეები, როცა მიყვარხარ,
და შენს მდინარეში მეორედ შესული,
ვწევარ ქვებზე და ვნატრობ წყალდიდობას
აგვისტოს გვალვაში.

ჰო, არის ასეთი დღეებიც,
რომლებიც შენ, უბრალოდ, გამოტოვე.

ზაფხული. წერილი მეოთხე. 2014 წლის 31 ივლისი, 18:12-ზე

მიდის ზაფხული, მიაბიჯებს მდინარის პირას
და თან მიჰყვება უნახავი სიზმრების ჯარი,
მიდის ზაფხული – პარასკევი, შაბათი, კვირა,
არავინ მეძებს, არავინ მწერს, არავინ არის.

მიდის ზაფხული, გზას უთმობენ წყლები და მთები,
და ჰორიზონტთან ჩუმად ქრება ტყეთა სინათლე,
არაფერს ამბობ, არაფერს მთხოვ – ვერაფერს ვხვდები,
მიდის ზაფხული და დაკაწრულ ფეხებს მიათრევს.

მახსენდები და მენატრება ფერები მაყვლის,
მახსენდები და მენატრება სურნელი მიტკლის,
მე ხომ უშენოდ არასოდეს მქონია სახლი
და არც ზაფხული არ მიგრძვნია უშენოდ თითქმის.

მომყვება ცხადში უნახავი სიზმრების ჯარი,
და შემოდგომას ვეგებები მდინარის პირას,
არავინ მეძებს, არავინ მწერს, არავინ არის,
მიდის ზაფხული – პარასკევი, შაბათი, კვირა.

ზაფხული. ბოლო წერილი. 2014 წლის 8 აგვისტო, 22:44-ზე

ღია ფანჯრიდან ეზოს წვდება სურნელი ილის,
დავხუჭე თვალი და გახელა აღარ მომინდა,
მე დავივიწყე, როგორია შენს გვერდით ძილი
და აღარ გიხმობ ფერწასული შემოდგომიდან.

მოჩანს სარკეში ჩემი სახე – ნაღვენთი ცვილი,
სადაც შენ წახვალ, მე ვერასდროს ვნახავ იმ მხარეს,
მე დავივიწყე ცარიელი ოთახი შვილის,
რომელიც თვითონ მოვიგონე და შევიყვარე.

შენ კარგად იცი, მე მიხმობდა ცა სხვანაირი,
თუმც მიწის გულში ვერ დავმარხე დარდის სირთულე,
და ყველა, ვინც კი შეისუნთქა ღამის ჰაერი
შენი დამსკდარი ტუჩებიდან, მე შევიძულე.

მე დავივიწყე შენი კანი – სიზმარი ტკბილი,
და ვდგავარ, ძველი კედელივით ჩამორღვეული,
ღია ფანჯრიდან ეზოს წვდება სურნელი ილის,
ღია ფანჯრიდან ქარს მიჰყვება ჩემი სხეული

სიკვდილის სიმღერა 2014 წლის 16 აგვისტო, 2:22-ზე

მე მინდა, თეთრად თმადათოვლილ გზებს შორის ვიწვე,
და ჩემი კანის სურნელება წვდებოდეს ცამდე,
თვალებგამშრალი ვუყურებდე მზით გამთბარ წიწვებს,
და ფერმკრთალ სიზმრებს დავიწყების კოცონზე ვწვავდე.
მე მინდა, ჩემი ოქროსფერი ნაწნავის სიგრძე
წვდებოდეს უფსკრულს და სიბნელის შვილებს კვებავდეს,
ქვიშის პირბადე სათქმელივით მეფინოს პირზე
და თავს არავინ მახსენებდეს გათენებამდე.
მე მინდა, აღარ მაშფოთებდეს სურვილი ბრძოლის
ტუჩს შევატოვო, რაც ხმამაღლა არ იმღერება,
არავის დედა, არავის და, არავის ცოლი,
ვიწვე და ვგრძნობდე, როგორია ბედნიერება,
ბედნიერება აღარყოფნის, სადღაც გაქრობის,
რომ არავისთან დაბრუნება აღარ მომინდეს,
და ჩემი თეთრი მხრების ნაცვლად გაჩნდეს მაღლობი,
და ჩემი თეთრი თითებიდან მზე ამოვიდეს.
და ვიქცე მიწად, ისე, როგორც ბევრჯერ ვინატრე,
არხევდეს ქარი ყვითელ ფოთლებს, მზით გამთბარ წიწვებს,
და ჩემი მშრალი თვალებიდან გაჩნდეს სინათლე,
მე კი არაფერს აღარ ვგრძნობდე,
უბრალოდ, ვიწვე.

შიშის სიმღერა
2014 წლის 18 აგვისტო, 1:56-ზე

ღამის წყვდიადში დამფრთხალ თვალებს თუკი გაახელ,
მას დაინახავ, ვინც არასდროს არ დაგინახავს,
ის დროისა და მოლოდინის საფარს გადაგხდის,
გეტყვის, რა მოხდა, სად მოხვედი, ანდა ვინა ხარ.
და გაგეზრდება ნეკნებიდან მწვანე ბალახი,
და ერთი წამით გაიხსენებ, როგორ მიყვარხარ.

სახლისკენ თუკი მოიხედავ შორი გზებიდან,
ნისლს დაინახავ, მაღალ მთებს და ღობეს მიწიანს,
მიხვდები, აღარ დაგრჩენია არაფერი და
საით მიდიხარ, შენზე უკეთ, სხვებმა იციან.
და აგერევა ბილიკები, როგორც მე მინდა,
და გაიხსენებ, რომ უჩემოდ არ შეგიძლია.

დილაადრიან თუ გაუწვდი მკლავებს უფსკრულებს,
იგრძნობ – მიფრინავ და გკიდია მხრებზე ლოდები
და ყველა, ვისაც დაპირება არ შეუსრულე,
ბინადრობს ნისლში და მათ რისხვას უახლოვდები.
და ცას და მიწას მოწყვეტილი, და უსუსური,
მე გამიხსენებ და ჩემს თეთრ ჩრდილს დაელოდები.

მიწის წიაღში თუკი გაშლი თითებს დალეწილს,
მე შემეხები და ვერასდროს ვერ დამინახავ,
მხოლოდ ქარივით გამოვჩნდები შენს ბნელ თვალებში,
და ჩუმად გეტყვი, სად მოხვედი, ანდა ვინა ხარ.
და მაშინ უფრო მოგინდება ჩემი ალერსი,
და მაშინ უფრო დაიჯერებ, როგორ მიყვარხარ.





ბელა ჩქვანავა

აბრაკადაბრა

განცალკავებით მდგარი, კორპუსების ეზოებისთვის დამახასიათებელი სტანდარტული გარაჟის ტოლა აგურის შენობის თავზე დიდის ამბით გამოკრული აბრა იტყობინებოდა, რომ მის ქვემოთ მინიმარკეტი იყო. ბონდო იქ სიგარეტის საყიდლად შევიდა. გამყიდველ ქალს შავად შეღებილი თმა უბზინავდა.

– რა გნებავთ? – ჰკითხა მან ბონდოს.

– სიგარეტი, თუ შეიძლება! – მორიდებულად მიმართა ბონდომ.

– რომელი? – საქმიანად იკითხა ისევ გამყიდველმა. ყავის ელექტრომადუღარა ჰქონდა ჩართული და ეჩქარებოდა.

– ელემი, ცისფერი! – მიუგო ბონდომ.

გამყიდველმა დახლზე სიგარეტის კოლოფი დადო, შემდეგ შებრუნდა და წითელ ელექტრომადუღარაში ჩაიხედა.

– მორჩა? – ისევ იკითხა მან.

– გულნარა! – უკანა ოთახის ღია კარიდან მოისმა მამაკაცის მკაცრი ხმა. ბონდომ გაიფიქრა, რომ ხმის პატრონი მინიმარკეტის მეპატრონე იქნებოდა (საბოლოოდ გულნარას ქმარი აღმოჩნდა) და გამყიდველისგან მოითხოვდა, კლიენტს მეტი ყურადღებით მოპყრობოდა.

გულნარამ ბონდოს გაუღიმა და ხურდა დაუბრუნა. ბონდომაც გაუღიმა გულნარას და მინიმარკეტიდან გამოვიდა. თავის მანქანაში რომ ჯდებოდა, მიიხედა და ნახა, რომ მინიმარკეტის უკანა გასასვლელიდან ვიღაც ჭაღარა, ღიპიანი მამაკაცი გამოვიდა და მინიმარკეტსა და მის უკან მდგარ ოთხსართულიან ხრუშოვკას შორის ხის სახელდახელოდ შეჭედილ მაგიდასთან მოკალათებული მედომინეებისკენ გაალაჯა.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ბონდოს თანამშრომლებთან ერთად რესტორანში მოუწია ყოფნამ. მეზობელ სუფრასთან სხვებთან ერთად გულნარა და მისი ქმარი იხილა.

გულნარას სუფრაზეც ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყავის ელექტრომადუღარა ჰქონოდა ჩართული და ეჩქარებოდა. მანაც, მგონი, იცნო ბონდო და ისე გაუღიმა, თითქოს ისევ ქმრის მითითებას ასრულებდა იმის შესახებ, რომ კლიენტს მეტი ყურადღებით მოპყრობოდა.

სწორედ იმ დღეს, როცა გულნარას და მისი ქმრის მინიმარკეტში შეეხეტა სიგარეტის საყიდლად, ბონდო ცოლს საბოლოოდ დაშორდა – უფრო სწორად, სასამართლოს განჩინება მიიღო, ერთი ფარატინა, ბეჭდიანი ქაღალდი და იმ ქაღალდის ჯიბეში ჩადების შემდეგ უცებ მიხვდა იმას, რომ უკვე ყოფილ ცოლს გულიდან ვერასოდეს ამოიგდებდა.

ბონდოსდა მოულოდნელად გულნარა დანაჩანგალს მეტად დახვეწილად ხმარობდა, ბონდოზე უკეთესადაც კი, და საერთოდ არ აწუხებდა ის, რომ მისი ქმარი, რომელიც საკმაოდ ბევრს ჭამდა, არა მხოლოდ დანაზე, ჩანგალზეც კი მწყრალად გახლდათ. ბონდო იმასაც მიხვდა, რომ გულნარას ჰქონდა იშვიათი ნიჭი, ძალიან ბევრი რამისთვის ყურადღება არ მიექცია.

კიდევ ერთი კვირის შემდეგ კი, როცა ბონდო გულნარასა და მისი ქმრის მარკეტში შევიდა სიგარეტის საყიდლად, გული აუჩქარდა.

– ელემი? – ჰკითხა გულნარამ. – მგონი, ცისფერი, არა?

ბონდოც მაშინვე მიხვდა, რომ, თუკი ძალიან მოინდომებდა, ეს ქალი მისი გახდებოდა, უფრო სწორად, მის ქმარს შეეზიარებოდა მის ფლობაში.

სიგარეტის კოლოფის დახლიდან აღებისას ბონდო გულნარას ხელს შეეხო და გულიც უფრო აუჩქარდა.

თავის დროზე, ანუ, როცა თავისი ცისფერთვალება პირველი ცოლი შეუყვარდა, თავად თაფლისფერთვალება ბონდოს ასე ეგონა, რომ სხვა თვალებს შორის ყველაზე მეტყველი და ღრმა ცისფერი თვალები იყო. მაგრამ ახლა გულნარას შავი თვალების ხიბლიც შეიცნო თითქოს.

ბონდომ გულნარას მადლობა გადაუხადა, გაბრუნდა და, ის-ის იყო, გასასვლელისკენ უნდა წასულიყო, რომ მისმა ხმამ გააჩერა.

– თქვენ ამუბნელი ხართ? – ჰკითხა მან.

– არა, რატომ მეკითხებით? – საშინლად დაიბნა ბონდო.

მთელი დღის განმავლობაში მოწყენილი გულნარა კლიენტის დაბნეულობამ გაამხიარულა და გაეცინა კიდეც, რა დროსაც ბონდოსთვის ისეთი სასურველი გახდა, რომ ნდომისგან თვალებიც კი აუჭრელდა.

ბონდო ორი დღის შემდეგ მესამედაც შევიდა მინიმარკეტში, მაგრამ იქ გულნარას ნაცვლად მისი ქმარი დახვდა, რომელიც ცოლივით ყავას იდუღებდა წითელი ელექტრომადუღარათი.

ბონდომ მისგანაც სიგარეტი იყიდა, მასაც მადლობა გადაუხადა, გამობრუნდა და ის-ის იყო, გასასვლელისკენ უნდა წასულიყო, რომ გულნარას ქმრის ხმა წამოეწია.

– ამუბნელი ხარ? – „ჯიგაროს“ წარმოთქმას მიჩვეული ხმით ჰკითხა მან.

– არა, რატომ მეკითხებით? – ყოჩაღად მიუგო ბონდომ.

– პროსტა! – თქვა გულნარას ქმარმა და ელექტრომადუღარა გამორთო.

იმ დღის შემდეგ ბონდო გულნარაზე სერიოზულად ფიქრობდა, უფრო სწორად, სულ მასზე ფიქრობდა, ოღონდ მინიმარკეტში არ მიდიოდა, რადგან ეშინოდა, რომ იქ მისი ქმარი დახვდებოდა. ეჩვენებოდა, რომ ქმარი მიხვდებოდა თუ რატომ მივიდა იქ ბონდო.

ბონდო კი მაღაზიაში პირველად სრულიად შემთხვევით მოხვდა, ცენტრალურ ქუჩებზე საცობებს რომ არიდებოდა, პატარ-პატარა ქუჩებით გადაწყვიტა სიხალვათეს გასვლა. მეორედ და მესამედ კი, რა თქმა უნდა, იმ გრძნობამ მიიყვანა, რომელიც ცოლისგან უარყოფილ მამაკაცს მის გადასავიწყებლად ზოგჯერ სხვა ქალის მიმართ უჩნდება ხოლმე.

კიდევ ერთ კვირაში ბონდომ მანქანა გაყიდა, რათა უბინაოდ დარჩენილს თავისთვის ოთახი ეგირავა. გაუმართლა და მანქანის ფულით იაფად იგირავა ერთოთახიანი ბინა და ისიც ორი წლით. სამსახურში უფროსს ერთი კვირით დაეთხოვა და მთელი ორი დღე შინიდან არ გამოსულა.

ორი დღის შემდეგ ბონდომ გადაწყვიტა, გულნარა ენახა. მისი და მისი ქმრის მაღაზიისკენ ფეხით იარა, გზაში გამბედაობა რომ მოეკრიბა.

გამბედაობა ვერ მოიკრიბა, შუა გზიდან მობრუნდა და ბაზრისკენ გაემართა, რათა ხუთი დღის პროდუქტები მოემარაგებინა.

შეიძლება დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ ბონდო, მას შემდეგ, რაც სკვერში შეიარა და ათიოდ წუთით შეისვენა, ისევ გულნარასა და მისი ქმრის მაღაზიისკენ წავიდა და გზაში გულნარას გადაეყარა, რომელიც ქუჩაში ვიღაც ქალს ესაუბრებოდა.

ბონდოს გული კვლავ ყმაწვილივით აუჩქროლდა.

გულნარა საუბრისას ხელებს იქნევდა, ბონდოსდა გასაგიჟებლად, ტანზე შემოტკეცილი კაბა ეცვა და ადგილზე ირწეოდა. ერთი სიტყვით, ტემპერამენტიანი იტალიელებით გამოტენილი რომელიღაც კინოფილმიდან გადმოსულს ჰგავდა.

„პატარა გოგოსავითაა,“ – გაიფიქრა ბონდომ.

უცებ გულნარა შემოტრიალდა და ბონდო დაინახა, რომელიც მას შორიდან შესცქეროდა.

ბონდო გულნარას შემოხედვაზე ბავშვივით გაწითლდა და მაშინვე გვერდზე გაიხედა, ამიტომაც ვერ შენიშნა, გულნარაც როგორ წამოწითლდა სახეზე და, მასთან მოსაუბრე ქალს რომ არაფერი ეეჭვა, ცხვირსახოცით როგორ დაინიავა, თითქოს დასცხაო.

შემდეგ ის ქალი გულნარას დაემშვიდობა და წავიდა. ბონდო კი მცირე ყოყმანის შემდეგ გულნარას უკან გაჰყვა და წამოეწია.

– გამარჯობა, ვერ მიცანით? – ჰკითხა ბონდომ გულნარას და ძალზე უმწეოდ გაიღიმა.

– როგორ არა, გაგიმარჯოთ! – მიუგო გულნარამ. მას არ გაუღიმია.

გულნარასა და ბონდოს ერთმანეთი საბოლოოდ სწორედ ამ დღიდან შეუყვარდათ. სულ ერთად ყოფნა უნდოდათ, მაგრამ ერთმანეთს სულ მცირე ხნით ხვდებოდნენ ბონდოს ნაგირავებ ბინაში.

ბონდო შემოსასვლელშივე ეცემოდა გულნარას და მის გახდას იწყებდა.

– ცოტა ნელა, ჩემო გიჟო, ნუ დამახიე ტანსაცმელი, შენი ვარ, არსად გავრბივარ! – იტყოდა გულნარა და ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც ბონდოს მოუნდებოდა და უბრძანებდა.

ჟინის დაკმაყოფილების შემდეგ ზეწარს ტოგასავით შემოიხვევდა და, სანამ თავის უწესრიგოდ მიყრილ ტანსაცმელს წამოკრეფდა (უფრო სწორად, ბონდოს ტანსაცმლისგან გამოარჩევდა), თმას დაივარცხნიდა – იქნებ, ქმარმა მომისაკლისოს, სასწრაფოდ მომიწიოს წასვლამ და მზად უნდა ვიყოო.

– აუ, რა დომხალია! – იტყოდა ის, როცა ერთმანეთში არეულ თავის და ბონდოს ტანსაცმელს დახედავდა.

– აბრაკადაბრა! – იტყოდა ბონდო და თმას აუჩეჩავდა.

– ნუ ბავშვობ! – გაუწყრებოდა გულნარა.

შემდეგ ისინი ისევ ალერსს მიეცემოდნენ და ამჯერად ყველაფერი შედარებით დინჯად, გულნარას სურვილითა და მისი გემოვნების გათვალისწინებით კეთდებოდა.

გულნარას ისიც სიამოვნებდა, როცა ლოგინში მას ბონდო მბრძანებლობდა და ისიც, როცა თვითონ მბრძანებლობდა ბონდოზე.

– ნეტავ, როგორი ცოლ-ქმარი ვიქნებოდით? – იკითხავდა ხოლმე გულნარა.

პასუხად ბონდო მხრებს აიჩეჩავდა – მას ამაზე არასოდეს ეფიქრა და არც აპირებდა. გულნარა კი პირიქით – ხშირად ფიქრობდა, მაგრამ, რა დასკვნამდე მიდიოდა, არ ამხელდა. თუმცა არც ბონდო ჩასციებია ოდესმე.

მეორე ალერსის შემდეგ გულნარა ისევ ზეწარს შემოიხვევდა ტოგასავით.

– აუ, რა დომხალია! – იტყოდა ისევ, მაგრამ ამჯერად მთლიანად საყვარლის საცხოვრებლის მისამართით და მაშინვე მთელი ბინის დალაგებას იწყებდა, საქმე მხოლოდ ნახევრამდე მიყავდა, რის შემდეგაც ტანზე შემოხვეულ ზეწარს აბაზანაში ჩააგდებდა, ამას შემდეგ მოსვლაზე გავრეცხავო იტყოდა და ტანზე ჩაიცვამდა.

მესამედ ისინი არც ისე ხშირად სიყვარულობდნენ, რადგან გულნარას ყოველთვის ძალიან ეჩქარებოდა.

რაც შეეხება ზეწარს, საყვარლები ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ გულნარამ მის გასარეცხად ვერასოდეს მოიცალა.

დაშორების მიზეზი ის გახლდათ, რომ ბონდოს თავისი ყოფილი ცოლის ცემისა და გაუპატიურების მცდელობისთვის ციხეში უკრეს თავი.

ყველაფერი კი ასე მოხდა:

ერთ მშვენიერ დღეს ბონდოს კარზე მოუკაკუნეს. ბონდომ კარი გააღო და ხელთ თავისი ყოფილი ცოლი შერჩა. ყოფილ ცოლს კი ხელში საქაღალდე და პასტა ეჭირა.

თურმე მას ერთი თვის წინათ რაღაც კონკურსში გაემარჯვა და მერიის ერთ-ერთ სამსახურში მოწყობილიყო, რომელიც, მთავრობის გადაწყვეტილებით, უნებართვოდ მიშენებული ლოჯიების დაკანონებაში ეხმარებოდა მოქალაქეებს მათი გულის მოსაგებადა და საარჩევნო ხმების მოსაპოვებლად.

ბონდოსი არ იყოს, მის ყოფილ ცოლსაც გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა, როცა ყოფილი თანამეცხედრე იხილა.

– შენ აქ რა გინდა? – იკითხა მან.

– კაკ რაზ ეგ უნდა მეკითხა მე შენთვის! – მიუგო ბონდომ.

ბონდოს ყოფილი ცოლი განქორწინების შემდეგ კიდევ უფრო დამშვენებულიყო: თმა ქერად შეეღება, სახეზეც მოხდენილად შეღებილიყო და ლამის მთელი ათი წელი ჩამოკლებოდა.

– ამ ბინის პატრონი სად არის? – იკითხა ყოფილმა ცოლმა.

– რატომ? – კითხვა დაუბრუნა ბონდომ.

– მერიიდან ვარ! – დამცინავად გაეღიმა ცოლს.

– ბოზებში ჩაეწერე? – კბილებიდან გამოცრა ბონდომ (მმართველი პარტია იგულისხმა).

– ქმარი არ გამომადგა და სხვა რა უნდა მექნა, ოჯახი ხომ უნდა მერჩინა?! – ორაზროვნად უპასუხა ყოფილმა ცოლმაც (თუმცა მანაც მხოლოდ და მხოლოდ მმართველ პარტიაში გაწევრიანება იგულისხმა). – ბინის პატრონი სად არის-მეთქი?!

– გისმენ! – უპასუხა ბონდომ (მის მაგივრად ახლა მე ვარო, უნდოდა ეთქვა).

ბონდოს ყოფილმა ცოლმა, იმის მაგივრად, რომ მობინადრეთა სიაში ჩაეხედა იმის გადასამოწმებლად, ეს ბინა მართლა ბონდოს ჰქონდა ნაყიდი თუ არა, სია საქაღალდიანად ყოფილ ქმარს მოუქნია.

– ფული გქონდა გადამალული და იმით იყიდე ეს ბინა, შე კრიჟანო, შენა?! – იწივლა ყოფილმა ცოლმა. – საკუთარი სიამოვნებისთვის ბავშვს მოაკელი და შენ შეიტყაპუნე, არა?!. შენ ხომ ყოველთვის ეგეთი ნაძირალა იყავი!

ამის გაგონებაზე ბონდოს სიბრაზისგან თვალებში დაუბნელდა. რომელი მამაკაცი არ გამოვა მწყობრიდან, თუკი მას კრიჟანს დაუძახებენ მაშინ, როცა მან თავისი ბინა გაყიდა და იმ ფულიდან თავისთვის კაპიკიც არ დაიტოვა – ნახევარი ყოფილ ცოლს მისცა, ნახევარი კი ბავშვის სახელზე გახსნილ, ბავშვის სრულწლოვანებამდე ხელუხლებელ ბანკის ანგარიშზე ჩარიცხა (ეს ამბავი ყოფილ ცოლს არც კი მოეხსენებოდა).

ბონდომ ყოფილ ცოლს ერთი გემოზე შეუკურთხა. ამის შემდეგ ყოფილმა ცოლმა მას სახე ერთიანად დაუკაწრა. ბონდომ ის ვერაფრით გააჩერა, ამიტომ იძულებული იყო ყოფილი თანამეცხედრისთვის ხელები მისივე შარფით შეეკრა.

მოსამართლე გამოცდილი კაცი იყო და ბონდოს დაუჯერა, როცა მან უთხრა ყოფილი ცოლის გაუპატიურება ფიქრადაც არ მომსვლიაო. მაგრამ, როცა ყოფილმა ცოლმა სასამართლოზე ბონდოსა და თავისი საუბარი დეტალურად გაიხსენა, საქმეს პოლიტიკური ელფერი მიეცა და მოსამართლისთვის შემწყნარებლობის გამოვლენა იმას ნიშნავდა, რომ ის ბონდოს ოპოზიციურ განწყობას იზიარებდა.

ამას დაემატა ისიც, რომ მეზობლები, ვინც მომხდარს შეესწრნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიაზე ჰქონდათ დაფიცებული, იძულებულნი იყვნენ, სასამართლოზე დაედასტურებინათ ის ფაქტი, რომ ბონდოს ცოლისთვის ხელები მისივე შარფით შეეკრა.

იმ სახელმწიფო ადვოკატს, რომელიც ბონდოს დაუნიშნეს, ბონდოსგან დამოუკიდებლად ბონდოს მიერ შვილისთვის გახსნილი ანგარიშის ამბავი გაეგო როგორღაც (თავად ბონდოს ამაზე რატომღაც კრინტი არ დაუძრავს) და ამაზე დაყრდნობით ისეთი მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, რომ სხდომათა დარბაზში ლამის ყველას აუჩუყა გული და რამდენიმეს ცრემლიც კი მოჰგვარა (ბონდოს ყოფილ ცოლს კი სულაც გულიც წაუვიდა და, რადგან ვერც დანიავებითა და ვერც ჭიქა წყლის სახეში შესხმით ვერ მოასულიერეს, ვიღაც მადლიანმა სილის გაწვნით მოიყვანა გონს).

ამ უკანასკნელი ფაქტის, ანუ შვილის სახელზე გახსნილი ხელუხლებელი ანგარიშის გათვალისწინებით, ბონდოს მისთვის წაყენებული მუხლით დადგენილი სასჯელის მხოლოდ ნახევარზე ოდნავ მეტი მიუსაჯეს და ახალაშენებულ ციხეში უკრეს თავი.

„აუ, რა დომხალია!“ – გაიფიქრა ბონდომ, როცა ციხის საკანში შევიდა პირველად და იმ პატიმართა სახის გამომეტყველება იხილა, ვისთან ერთადაც რამდენიმე წლის გატარება მოუწევდა.

პოსტ სკრიპტუმ:

მას შემდეგ, რაც ბონდო დაიჭირეს, გულნარა ზეზეულად ჩამოხმა, რადგან მას მართლა უყვარდა ბონდო. ნახევარი წლის შემდეგ მოულოდნელად ქმარი გარდაეცვალა (ინფარქტმა იმსხვერპლა დევივით კაცი) და, ალბათ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბონდოს მისთხოვდებოდა, ამ უკანასკნელს გულნარას ქმრის სიკვდილიდან ერთ თვეში თავი რომ არ ჩამოეხრჩო ციხის საკანში – ვერ გაუძლო იქაურ „დომხალს“.

„აბრაკადაბრა“ მიეწერა თავის ჩამოხრჩობამდე ერთი საათით ადრე კედელზე. ჩემს თავში უამრავი ფიქრი უწესრიგოდ ირევა და ვერ ვუძლებო, უნდოდა ეთქვა.

რაც შეეხება ყოფილს, ის თავის საქციელს მთელი დარჩენილი ცხოვრება ნანობდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ალიმენტები შეუწყდა...



ბუღალტერი შალვა და ორმოცდაათლარიანი

ბუღალტერი შალვა ქალაქის ბუღალტერთა მეჩვიდმეტე ცენტრში მსახურობდა. ბუღალტერთა მეჩვიდმეტე ცენტრი ცნობილი ცენტრი იყო – იქ მხოლოდ პროფესიონალები მუშაობდნენ. ცენტრის ათას შვიდასი ბუღალტერი ინტერნეტის მეშვეობით ათას შვიდას საწარმოს, ორგანიზაციასა და დაწესებულებას ემსახურებოდა – მათ ბუღალტრებსა და ბუღალტერიას აკონტროლებდნენ. ბუღალტერი შალვა კი დღიდან ცენტრში მისვლისა ერთი უზარმაზარი სუპერმარკეტის ბუღალტრებს კურირებდა.

იმ დილას სამსახურისკენ მიმავალ ბუღალტერ შალვას, თავისი კორპუსიდან გამოვიდა თუ არა, მხარზე მტრედმა დაასკინტლა. მან, ბუნებრივია, გაიფიქრა, რომ ფულს იშოვიდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ოთხი დღის წინ გარდაცვლილი დედინაცვლის შინ დასვენების მისი რიგი იყო. ეგონა, რომ მისი ტყუპისცალი ძმის, ინჟინერ გერონტის სახლში უნდა დასვენებულიყო.

ბუღალტერი შალვას ერთი ტყუპისცალი ძმა, ერთი დაიკო და კიდევ ერთი ნახევარდა ჰყავდა. შეეძლო, რა თქმა უნდა, დედინაცვალი, რაკი ის მისი ნამდვილი დედა არ იყო, შინ არ მოესვენებინა. მაგრამ, რადგან გარდაცვლილი მასაც, მის ტყუპისცალსაც და დასაც ნამდვილ დედობას უწევდა, ამ უკანასკნელებთან შეთანხმებით გადაწყვიტა, მიცვალებულისთვის თავის სახლშიც გაეთევინებინა ერთი ღამე. მის ტყუპისცალსაც და ღვიძლ დასაც ძალიან უყვარდათ დედინაცვალი და ეს სიყვარული მართლაც რომ გულწრფელი იყო, მაგრამ საქმეს ის ართულებდა, რომ ბუღლატერი შალვას ტყუპისცალს, ინჟინერ გერონტის კაპასი ცოლი ჰყავდა და ის შეიძლება არ დათანხმებულიყო მიცვლებულის ერთი დღით შინ დასვენებას.

მოულოდნელად ინჟინერი გერონტის ცოლმა ქმარს თვითონ შესთავაზა, შენს დედინაცვალს, რადგან ძალიან გიყვარდა, სანამ დაკრძალავდნენ, ერთი დღით ჩვენ ბინაშიც ვუმასპინძლოთ, ჩვენთვისაც მადლი იქნებაო. ინჟინერ გერონტის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

თავიდან გადაწყვეტილი იყო, რომ მიცვალებულს ნამდვილი შვილების შემდეგ პირველი ბუღალტერი შალვას დაიკო, მკერავი ალინა უმასპინძლებდა, მაგრამ მკერავ ალინასთვის წინა ღამეს ზემოთა მეზობელს წყალი ჩამოეშვა და მას არა მარტო სააბაზანოს, არამედ სხვა ოთახების ჭერიც გაოხრებოდა. მკერავ ალინას გადაეწყვიტა, ჯერ ჭერი მოეწესრიგებინა და მერე მიეღო მიცვალებული. დაერეკა თავისი ნახევარდისთვის, დიასახლის მაყვალასთვის, აეხსნა მისთვის მდგომარეობა და ეთხოვა, მიცვალებულს ჩემთან ნუ მოასვენებ, ჩემს ძმას, ბუღალტერ შალვას მიუსვენეო. დიასახლის მაყვალას ჰგონებოდა, რომ ბუღალტერი შალვა ამის შესახებ გაფრთხილებული იყო და საჭიროდ არ ჩაუთვლია, მას წინასწარ დაკავშირებოდა.

ბუღალტერი შალვა კი, მას შემდეგ, რაც მტრედმა მარჯვენა მხარზე დაასკინტლა, შინ დაბრუნდა, პერანგი გამოიცვალა და სამსახურში ნახევარსაათიანი დაგვიანებით გამოცხადდა. კიდევ ნახევარი საათის შემდეგ კი მას ნახევარდამ, დიასახლისმა მაყვალამ დაურეკა – ახლა მიცვალებულთან ერთად შენი ბინის კართან ვდგავარ და რატომ არ გამოდის ზარზე არავინო.

ერთი სიტყვით, ბუღალტერი შალვა უფროსს დაეთხოვა და შინისკენ გაქანდა.

დიასახლისი მაყვალა ალალი ქალი იყო (ბუღალტერი შალვას ნამდვილი დისგან განსხვავებით ტყუპი ნახევარძმები ერთმანეთში ბავშვობაშიც არ ერეოდა ხოლმე), მისი ქმარი ერთ-ერთი ნაყინის ქარხნის დირექტორი გახლდათ და უამრავი საყვარელი ჰყავდა, ცოლს კი უდიერად ეპყრობოდა. დიასახლისი მაყვალა ამბობდა, ქმარს მაინც ვუყვარვარო და სცოცხლის ხალისს არ კარგავდა, სანამ ამ ერთი წლის წინათ მისმა ქმარმა მოულოდნელად არ მიატოვა და შვილის ტოლა გოგოზე არ იქორწინა.

განქორწინების შემდეგ დიასახლის მაყვალას ქონების ნახევარი დარჩა და უზრუნველად ცხოვრობდა.

ბუღალტერი შალვა ერთ დროს თავის სიძესთან მსახურობდა ბუღალტრად, ბევრს მუშაობდა, მაგრამ პროფესიონალიზმი და ერთგულება სათანადოდ არ უფასდებოდა.

სამსახურიდან გამოსულ ბუღალტერ შალვას ქუჩაში საცობი დახვდა, ამიტომ მანქანა მიატოვა და მოტოტაქსი გამოიძახა. მოტოციკლის მძღოლი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, რომელმაც კლიენტი თორმეტ წუთში მიიყვანა სახლამდე.

ბინის კართან ბუღალტერ შალვას დიასახლისი მაყვალა, ოთხი უნიფორმიანი მიცვალებულთა დამტარებელი და ორგანული მინის გამჭვირვალე კუბო დახვდა, რომელშიც მისი დედინაცვალი იწვა.

გარდაცვლილს მშვიდი სახე ჰქონდა და, ცოტა არ იყოს, მკაცრი ჩანდა, არადა, ცხოვრებაში მოკრძალებული ქალბატონი გახლდათ.

ბუღალტერმა შალვამ კუბო მისაღებ ოთახში დაასვენებინა. ის სამზარეულოდან მოტანილ ტაბურეტებზე შემოდეს ოთახის შუაგულში, ხოლო იქ მდგარი დაბალი მაგიდა და სავარძლები ოთახის კუთხეებში გადაანაწილეს. ერთ-ერთი სავარძლის ქვეშ ორმოცდაათლარიანი აღმოჩნდა.

– აი, შემოდგა თუ არა ფეხი, მაშინვე ბედნიერება მოგიტანა მიცვალებულმა! – განაცხადა დიასახლისმა მაყვალამ. – შეინახე ეგ ორმოცდაათლარიანი და ისიც ბედნიერებას მოგიტანს. ნახავ თუ ასე არ იქნა!

ბუღალტერმა შალვამ მიცვალებულთა დამტარებლებს კუთვნილი თანხა გადაუხადა და ნახევარდა ლიქიორზე დაპატიჟა.

დიასახლისს მაყვალას ლიქიორი ძალიან უყვარდა და, როცა მის მირთმევას გადაწყვეტდა, ლოყები წინასწარ შეეფაკლებოდა ხოლმე. ახლაც, როგორც კი ნახევარძმამ უთხრა, ლიქიორზე გპატიჟებო, სანამ ძმას მადლიერად გაუღიმებდა, ლოყებზე წამოწითლდა.

მას ნახევარძმებიცა და ნახევარდაც ძალიან უყვარდა, როგორც ყველა ადამიანი ამქვეყნად.

დამ და ძმამ ჯერ მიცვალებულს სანთლები დაუნთეს, კუბოსთან მისი სულისთვის ილოცეს და მერე სამზარეულოსკენ გაემართნენ.

– არა, რაც არ უნდა თქვა, მიცვალებულის შემობრძანება ოჯახში მაინც უკვალოდ არ ჩაივლის! – განაცხადა პირველი სირჩა ლიქიორის შემდეგ დიასახლისმა მაყვალამ. – გუშინ საღამოს, მაგალითად, ჩემი ქმრის ყოფილმა მდივანმა გოგომ დამირეკა და ერთი საიდუმლო გამანდო. ისიც ჩემი ყოფილის ყოფილი საყვარლების რიგებიდანაა. ბევრი ხანია, შენთან დარეკვას და ამის თქმას ვაპირებდი და აი, ბოლოს და ბოლოს დღეს გავბედეო. ზოგიერთმა შეიძლება თქვას, ეს უბრალო დამთხვევააო, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ მიცვალებულის შემობრძანებას სიკეთე მოაქვს!

– მაინც რა საიდუმლო გაგანდო, ასეთი? – დაინტერესდა ბუღალტერი შალვა.

– ის, რომ განქორწინების შემდეგ, მთელი ქონება შუაზე რომ უნდა გაგვეყო, ორმოცდაათი ათასი დამიმალა იმ ვაჟბატონმა. წინასწარ, ანუ მაშინ, როცა მე ბაიბურში არ ვიყავი და ვერც ვხვდებოდი, რომ განსაქორწინებლად ემზადებოდა, ის ფული დროებით სწორედ იმ მდივნის ანგარიშზე გადაურიცხავს. ჰოდა, მდივანი მზად არის, ეს პოლიციაშიც დაადასტუროს. ასე რომ, იმ არამზადას ორმაგ ჯარიმას აჰკიდებენ ჩემი და ჩემი შვილების სასარგებლოდ! – თქვა დიასახლისმა მაყვალამ და ლიქიორი ჩამოასხა. – მოულოდნელობებითაა ეს ცხოვრება აღსავსე, შემიძლია გითხრა. დაფიცებული მაქვს, როგორც კი იმ თანხას ავიღებ, საწყალ დედაჩემს საფლავზე იმ თანხიდან სამმეტრიან თეთრი მარმარილოს სვეტსაც დავუდგამ და მინის აკლდამასაც მოვუწყობ, ახლა რომ მოდაშია, ისეთს.

– შენ ყოველთვის კეთილი იყავი! – შენიშნა ბუღალტერმა შალვამ.

– რაცა ვარ, ისა ვარ! – ამოიოხრა დიასახლისმა მაყვალამ. – კიდევ უამრავ რამეს მომიყვა ის სულელი გოგო. თურმე ჩემი ქმარი გოგოებს ერთნაირად აბამდა – ყველას საჩუქრად ფანდურზე დამღერებული ხალხური სატრფიალო სიმღერების დისკს უგზავნიდა, რომელზეც ფლომასტერით ვარდებს და გულებს ახატავდა. მერე კი, როცა ლოგინში ჩაიწვენდა, ალერსის დროს ყურში ყველას ერთნაირ საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. დაზეპირებული ჰქონია იმ იდიოტს. არადა, ჩემთან ერთხელაც არ უქნია ეს, წარმოგიდგენია?!

– მდაა! – გაწელა ბუღალტერმა შალვამ.

– გამოდის, რომ მე დაზეპირებული საალერსო სიტყვების ღირსადაც არ მთვლიდა! – დაიჩივლა დიასახლისმა მაყვალამ.

– რას იზამ! – უთანაგრძნო მას ბუღალტერმა შალვამ.

– აგერ ნახავ, თუ იმ ორმოცდაათლარიანმა, სავარძლის ქვეშ რომ იპოვე, სიკეთე არ მოგიტანოს! – კიდევ ერთხელ უთხრა დიასახლისმა მაყვალამ ძმას.

სტუმრის წასვლის შემდეგ ბუღალტერმა შალვამ ცოლს, მენეჯერ ნათელას დაურეკა, უთხრა, რომ მათთან მისი დედინაცვალი მოასვენეს და სთხოვა, სამსახურიდან ცოტათი ადრე განთავისუფლებულიყო, რაზეც მენეჯერმა ნათელამ უპასუხა, რომ მისი უფროსი იმ დღეს უხასიათოდ გახლდათ და ამიტომ სამსახურიდან ვერაფრით დაეთხოვებოდა.

ცოლთან საუბრის შემდეგ ბუღალტერმა შალვამ დედინაცვლის კუბოსთან ისევ დაანთო სანთლები, ისევ ილოცა და, რადგან სხვა საქმე არაფერი ჰქონდა, გადაწყვიტა, კომპიუტერში ჭადრაკი ეთამაშა.

კომპიუტერი ჩართო და, როცა მისი ეკრანი განათდა, თითქოს სწორედ მაშინ გაუნათდა გონებაც, უფრო სწორად, მოაგონდა, რომ ამ სამი წლის წინათ ცოლის მაგიდაზე იპოვა სურნელოვანი (უფრო კონკრეტულად კი, ვარდისსუნიანი)

საახალწლო მისალოცი ბარათი, რომლის შიგნითაც, ორივე გვერდზე ტექსტის ნაცვლად წითელი ფლომასტერებით პროფესიონალურ დონეზე დახატული ორი ვარდი აღმოაჩინა. ბუღალტერ შალვას ამისთვის მაშინ ყურადღება არც მიუქცევია, არც უკითხავს ცოლისთვის, ვინ გამოგიგზავნა ეს მისალოცი ან ხელით დახატული ეს ვარდები რას ნიშნავსო. ახლა კი ბუღალტერი შალვა ეჭვებმა შეიპყრო.

ბუღალტერი შალვას ცოლი, მენეჯერი ნათელა ენერგიული და კომუნიკაბელური ქალბატონი გახლდათ. ლამაზი იყო და ისეთი უზადო კბილები ჰქონდა, რომ ერთხელ ადგილობრივი წარმოების კბილის პასტის რეკლამაში გადაიღეს, რაშიც იმდენი ფული გადაუხადეს, რომ ქალაქთან ახლოს აგარაკი იყიდა. ყველას და, უპირველეს ყოვლისა, მენეჯერ ნათელას ეგონა, რომ სხვა რეკლამებშიც გადაიღებდნენ და მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მაგრამ ასე არ მოხდა. რეკლამა კარგა ხნის წინათ მიივიწყეს, ხოლო მენეჯერი ნათელას სურვილი, ცნობილი სახე გამხდარიყო, მხოლოდ სურვილად დარჩა.

ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ, როცა ის ბუღალტერმა შალვამ შეირთო, ვერ იყო ისეთი პირმშვენიერი, როგორიც მერე გახდა. ვარდივით გაიფურჩქნა შენს ხელში შენი ცოლიო, რომ ეტყოდნენ ბუღალტერ შალვას, ნასიამოვნები გაიბადრებოდა ხოლმე.

აქამდე მენეჯერ ნათელას ქმრისთვის ეჭვიანობის მიზეზი არასოდეს მიუცია, რისთვისაც ბუღალტერი შალვა მისი დიდად მადლიერი იყო და თანამეცხედრეს ნაზად ეპყრობოდა. ეს უკანასკნელი კი სულ იმას გაიძახოდა, ქმარმა თავისი გალანტურობით სულის ძირამდე დამიპყროო.

ბუღალტერი შალვასთვის კი მისი ცოლი ყველაფერი იყო და ასე ეგონა, მის გარეშე ერთი დღეც ვერ გავძლებო. სამუშაო დღეებში ერთი სული ჰქონდა, როდის დადგებოდა საღამო, რათა სახლში მისულს მეორე ნახევარი გულში ჩაეკრა.

მენეჯერი ნათელა ხშირად წუხდა იმის გამო, რომ ვერ ორსულდებოდა, მაგრამ ბუღალტერი შალვა ამშვიდებდა, დარწმუნებული ვარ ღვთის შეწევნით ერთხელაც იქნება დაორსულდები და სუროგატი დედის გარეშე მოგვარდება ეს პრობლემაო.

ბუღალტერი შალვა ეჭვებმა ისე გატანჯეს, რომ გულთან ჩხვლეტაც კი იგრძნო. ანერვიულებული საღამომდე ოთახიდან ოთახში დაწრიალებდა. ახლა უკვე მიცვალებულის ყოფნა სახლში ძველებურად კი არ ახარებდა, პირიქით, აღიზიანებდა.

სამსახურიდან დაბრუნებულმა მენეჯერმა ნათელამ ქმარს ლოყაზე აკოცა. ბუღალტერ შალვას კი თავისდა მოულოდნელად ცრემლები წასკდა. ცოტაც და უკვე ქვითინებდა.

მენეჯერ ნათელას ეგონა, რომ ქმარი დედინაცვალს გლოვობდა და დამშვიდება დაუწყო. ბუღალტერი შალვა კი უარესად ატირდა. რამდენიმე ხნის შემდეგ თავის ხელში აყვანა შეძლო, ცოლთან ერთად მიცვალებულს კუბოსთან სანთლები დაუნთო და ლოცვები წაიკითხა. ცოლი გვერდიდან არ შორდებოდა და მასზე ყველანაირად ზრუნავდა.

ბუღალტერ შალვას, თითქოს ლოცვამ უშველაო, ცოლის მიმართ ეჭვები მალე გაუქრა და გუნებაზე მოვიდა. მენეჯერ ნათელას მთელი საღამო დედინაცვალზე უყვებოდა, აქებდა და ადიდებდა მას. მენეჯერ ნათელას ქმრის დედინაცვალთან დაკავშირებული ამბების უმეტესი ნაწილი წინათაც არაერთხელ მოესმინა, მაგრამ ახლაც მოთმინებით უსმენდა მეუღლეს.

ნაშუაღამევს, როცა დასაძინებლად დაწვნენ და ცოლმა მკლავზე დაადო თავი, ბუღალტერმა შალვამ თავი ბედნიერ მამაკაცად იგრძნო.

დილით ადრე გაიღვიძა, ცოლს ყავა ლოგინში მიართვა და ხელებიც დაუკოცნა.

– მომინდი! – უთხრა კმაყოფილმა ცოლმა. – მიცვალებული რომ არ გვყავდეს სახლში, ლიმონივით გამოგწურავდი.

ბუღალტერ შალვასაც მოუნდა ცოლი.

– ლიმონივით გამოწურვა ჩემგან უნდა გენახა! – თქვა მან.

ადგნენ, დილის ტუალეტის შემდეგ კუბოსთან სანთლები დაანთეს და ილოცეს, უფალს მიცვალებულის სულის, ხოლო თვითონ მიცვალებულს კი ოჯახის მფარველობა სთხოვეს.

ლოცვების შემდეგ მენეჯერმა ნათელამ ყიყლიყოები მოამზადა, ქმარი ასაუზმა (თვითონ დიეტაზე იყო და დილაობით მხოლოდ ყავაზე გადადიოდა), მიცვალებულს თავის დაკვრით გამოემშვიდობა და სამსახურში წავიდა.

ცოლის წასვლიდან ცოტა ხანში ბუღალტერი შალვა ფორიაქმა შეიპყრო, ადგილს ვერ პოულობდა, კვლავ ეჭვებს ებრძოდა.

ათზე მიცვალებულთა დამტარებლები გამოიძახა.

ბუღალტერ შალვას ტყუპისცალი კმაყოფილი ჩანდა იმის გამო, რომ ცოლმა მიცვალებულის მიღების ნება დართო.

– ცოტა ღვინო ხომ არ დაგველია? – შესთავაზა მან ძმას მას შემდეგ, რაც მიცვალებულთა დამტარებლები გაისტუმრა.

ბუღალტერი შალვა დასთანხმდა.

ძმებმა მიცვალებულს სანთლები დაუნთეს, ილოცეს და სმას შეუდგნენ.

– ამას წინათ სისულელე ჩავიდინე! – უთხრა ტყუპისცალს ინჟინერმა გერონტიმ. – ჩემი ცოლის პატიოსნებაში ეჭვი შევიტანე და კერძო დეტექტივები დავიქირავე, ერთი კი არა, ორი ერთად. ერთთვიანი თვალთვალის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩემი კაპასი ცოლი ნამუსს მინახავს!

ინჟინერმა გერონტიმ გაიცინა.

– რა გაცინებს? – გაოცდა ბუღალტერი შალვა.

– სულელი ვარ და იმიტომ – აბა, რომელი მამაკაცი გაუძლებს ჩემი ცოლისთანა კაპას ქალს თუნდაც საყვარლის რანგში. ცოლი მაშინ არის საეჭვო, როცა ძალიან დაგიტკბება და არა მაშინ, როცა სიცოცხლეს გიმწარებს. ქალი თუ ძალიან დაგიტკბა, ესე იგი, რაღაცას გიმალავს! – ახლა უკვე ჩაიქირქილა ინჟინერმა გერონტიმ.

– ერთი ჩემი თანამშრომელი ეძებდა სწორედ მაგ საქმისთვის კერძო დეტექტივებს. იმ ორიდან საუკეთესოს ნომერს ხომ ვერ მომცემდი თანამშრომლისთვის? – სთხოვა ბუღალტერმა შალვამ ძმას.

– რატომაც არა, – მიუგო იმან და ჯერ ერთი დეტექტივის ტელეფონი მისცა, შემდეგ კი მეორის, ეგ ჯობდა პირველსო.

ბუღალტერმა შალვამ ძმის მიერ რეკომენდირებულ მეორე დეტექტივს დაურეკა, მაგრამ მან უთხრა, რომ არ ეცალა და თავის მხრივ სხვა დეტექტივი ურჩია – სწორედ ის, რომლის ტელეფონის ნომერიც პირველად მისცა მისმა ტყუპისცალმა.

პირველი დეტექტივიც (ამირანი ერქვა) მეორის ტყუპისცალი ყოფილიყო, ოღონდ გარეგნობით ერთმანეთს იმაზე ნაკლებად ჰგავდნენ, ვიდრე ბუღალტერი შალვა და ინჟინერი გერონტი.

დეტექტივ ამირანს კოხტა ულვაშები ამშვენებდა და აუღელვებელი კაცი ჩანდა სევდიანი თვალებითა და კაჭა ფეხებით, თან ენაც ებმოდა ცოტათი. ბუღალტერმა შალვამ მას სთხოვა, დაუყოვნებლივ შესდგომოდა საქმეს, და ცოლის სამსახურის მისამართი მისცა.

თვითონ სამსახურში არ გამოცხადებულა. სამშობლოს დამცველ გმირ ჭაბუკთა პარკში აგურისნაფხვენებმოყრილ წითელ ბილიკებზე დაბორიალებდა, მღელვარებისგან პირი უშრებოდა და ლამის ყოველ ნახევარ საათში მიადგებოდა ხოლმე პარკის ცენტრალურ ნაწილში შადრევანთან გაზიანი წყლების გამყიდველს.

წითელ ბილიკებზე სიარულისას მოგონებებისდა კვალდაკვალ თავისდა უნებურად სულ თვალწინ ედგა მენეჯერი ნათელას გაცნობისა და პირველი პაემნის, პირველი კოცნისა და მასთან პირველი სექსის სცენები.

ორ საათზე, როგორც იქნა, დეტექტივმა ამირანმა დაურეკა და მოახსენა, რომ მენეჯერმა ნათელამ შესვენებისას ორ თანამშრომელ ქალბატონთან ერთად სახინკლეში ისადილა. როგორც დეტექტივმა ამირანმა მათი საუბრიდან გამოარკვია, ხინკალი თანამშრომელი ქალბატონებიდან ერთ-ერთს წაეგო, ნაძლევი კი ჰოლივუდის ერთ-ერთი მსახიობი ქალის უფროსი ვაჟის ნამდვილი მამის ვინაობას შეეხებოდა.

აქამდე მენეჯერ ნათელას მხოლოდ ორ ადამიანთან დაერეკა: ავადმყოფ დედასთან, რომელიც უბრალოდ მოეკითხა და გაემხნევებინა; ცოტა ხნის შემდეგ კი თავის დასთანაც, რომლისთვისაც რაღაც აბსურდული სიზმარი მოეყოლა და მისი ახსნა ეთხოვა; დას კი ეთქვა, რომ სიზმარი არაფერს ნიშნავდა.

მეორედ დეტექტივი ამირანი ბუღალტერ შალვას დღის ოთხ სათზე დაუკავშირდა და ამცნო, რომ მის მეუღლეს მეტი სატელეფონო ზარი არ განეხორციელებინა, სამაგიეროდ, ცხოველ მონაწილეობას იღებდა მენეჯერების ერთ-ერთ ინტერნეტფორუმზე, სადაც მოდაში შემოსულ ახალი სტილის ხელჩანთებს განიხილავდნენ.

– ეტყობა, თქვენ მეუღლეს ადვილი სამსახური აქვს, – უთხრა დეტექტივმა ამირანმა ბუღალტერ შალვას. – ან ძალიან ენერგიულია და ყველაფერს ასწრებს.

– უფრო მეორეა, – მიუგო ბუღალტერმა შალვამ.

– მეც ასე მომეჩვენა, – დაუდასტურა დეტექტივმა ამირანმა. – მოკლედ, კიდევ ორ სათში დაგირეკავთ.

დეტექტივმა ამირანმა ნახევარი საათის შემდეგ დაურეკა და ამცნო, რომ მენეჯერი ნათელა დროზე ადრე გამოვიდა სამსახურიდან, აღელვებული ჩანდა, ჩაჯდა თავის ნარინჯისფერ მანქანაში და სადღაც მიემართებოდა.

„საყვარელთან მიდის!“ – გაიფიქრა ბუღალტერმა შალვამ და გულთან ისევ ჩხვლეტა იგრძნო, დეტექტივ ამირანს კი უბრძანა, რომ „ობიექტისთვის“ თვალი არ მოეშორებინა და მოეხსენებინა თუ სად მივიდოდა ის.

ზუსტად ოცდასამი წუთის შემდეგ გაისმა დეტექტივი ამირანის ტელეფონის ზარი.

ბუღალტერი შალვასთვის მოლოდინში გატარებული ის ოცდასამი წუთი ოცდასამ საუკუნედ იქცა. ფორთოხლისა და ფეიჰოას გაზიანი წვენისგან გაჭყეპილს საჭირო ოთახშიც უნდოდა.

დეტექტივმა ამირანმა ბუღალტერ შალვას მოახსენა, რომ „ობიექტმა“ მანქანა დანიელ „ჭონქაძის ქუჩაზე ერთ-ერთ კორპუსთან დააყენა, თვითონ კი სადარბაზოში შევიდა.

– ესე იგი, სახლში მივიდა. დარჩით ადგილზე და განაგრძეთ თვალთვალი ჩემს მოსვლამდე! – უთხრა დეტექტივ ამირანს ბუღალტერმა შალვამ, რის შემდეგაც საზოგადოებრივი საპირფარეშოსკენ გაქანდა. იქ მისვლამდე ყელზე ატლასის ბაფთაშებმული პუდელი შეეჩეხა. ბუღალტერმა შალვამ ის ფეხისკვრით ჩამოიცილა გზიდან – ასეთი რამ მას ჯერ არასოდეს ექნა, მაგრამ ახლა ძალიან ეჩქარებოდა ჯერ საპირფარეშოში და მერე საკუთარ სახლშიც, თან ემოციებს აყოლილი საკუთარ თავს ნაკლებად აკონტროლებდა.

საპირფარეშოს შემდეგ პარკიც ჩქარი ნაბიჯით დატოვა, მანქანაში ჩაჯდომისას კი გაიფიქრა, ჩემი ცოლი შეიძლება საყვარელს სახლში იღებდესო.

– მხატვარი ამირანი! – წამოიძახა მან შუქნიშანთან, როცა მწვანე აინთო.

ბუღალტერი შალვას მიერ დაქირავებული კერძო დეტექტივის სეხნია, მხატვარი ამირანი ბუღალტერი შალვას მეზობელი იყო – ერთი სართულით ქვემოთ ცხოვრობდა. ბუღალტერ შალვას ის დიდად არ მოსწონდა, რადგან ეჩვენებოდა, რომ მედროვე და კომფორმისტი გახლდათ და ყველა მთავრობას მოერგო. მენეჯერი ნათელა კი მასზე ამბობდა, ხალასი ტალანტით არის დაჯილდოებული, თან სასიამოვნო მამაკაცია; როგორც ნამდვილი ხელოვანი, ყოველდღიურ ყოფაში მიამიტია და ეს არის იმის მიზეზი, რომ ყველა მთავრობის სჯერაო.

მწარე ფიქრებში გართულმა ბუღალტერმა შალვამ მეორე შუქნიშანთან წითელზე გაიარა. ტელეფონზე მაშინვე შეტყობინება მოუვიდა იმის შესახებ, რომ ამ დარღვევისთვის ორმოცდაათი ლარით დაჯარიმდა.

– ესეც შენი ბედნიერი ორმოცდაათი ლარი! – აღმოხდა ბუღალტერ შალვას.

იმავ წამს მობილურით კიდევ მოუვიდა ერთი შეტყობინება – ამჯერად ის დამატებით კიდევ იმიტომ ჯარიმდებოდა ორმოცდაათი ლარით, რომ პარკში უდიერად მოეპყრო პუდელს. ეს ფაქტი სათვალთვალო კამერებს დაეფიქსირებინათ, შესაბამის უწყებაში კი დამნაშავის ვინაობის დადგენა არ გასჭირვებოდათ. მტკიცებულების სახით ბუღალტერ შალვას მობილურზე აღნიშნული სცენიდან რამდენიმე კადრიც გამოუგზავნეს.

მან კი, სანამ თავის კორპუსს მიაღწევდა, მოძრაობის წესების დარღვევისთვის დამატებით მესამე, ისევ ორმოცდაათლარიანი ჯარიმა აიკიდა.

კორპუსთან მას დეტექტივი ამირანი დახვდა.

– არც სახლიდან გააამოსულა და არც არსად დააურეკავს! – მოახსენა მან დამქირავებელს.

– შეგიძლიათ წახვიდეთ! – მიუგდო მას ბუღალტერმა შალვამ.

– თითქმის დააარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მეუღლე საახლში მააარტოა, – თქვა დეტექტივმა ამირანმა. – ნება მომეცით, ერთი მეგობრული რჩევა მოგცეთ: თუ მე ვცდები დააა თქვენი მეუღლე სახლში მააააარტო ააარ არის და ღალატის ფაქტიც, აასე ვთქვათ სახეზე ააღმოჩნდა, მკვლელობაზე ნუ იფიქრებთ და ნურც, მით უმეტეს, თვითმკვლელობაზე და სააერთოდ, ცხელ გულზე ნურაფერს გააადაწყვეტთ!

– შენ ვინ გკითხავს, შე ჯაშუშო! – იღრიალა უცებ ბუღალტერმა შალვამ. – ჭკუის სწავლებაღა მაკლდა შენგან, დაახვიე აქედან!

ბუღალტერმა შალვამ ჯიბიდან რატომღაც მაინცდამაინც ის ორმოცდაათლარიანი ამოიღო, რომელიც იმ დილით სავარძლისქვეშ იპოვა და დეტექტივ ამირანს სახეში ესროლა.

– რას კააადრულობთ?! – აღშფოთდა დეტექტივი ამირანი.

– წაეთრიე-მეთქი, ბინძური საცვლების მქექავო! – კვლავ შეუტია ბუღალტერმა შალვამ, ნიკაპ და ხელებაცახცახებულ დეტექტივს ასფალტზე დაგდებულ ფულის კუპიურაზე ანიშნა, შეტრიალდა და სადარბაზოში შევიდა.

მესამეზე ცხოვრობდა, ლიფტს არ დალოდებია, კიბეს ფეხით შეუყვა, უფრო სწორად, თითო საფეხურის გამოტოვებით კალიასავით მიხტოდა.

როგორც კი ფეხი მეორე სართულის ბაქანზე შედგა, მხატვარი ამირანის ბინის მოჩუქურთმებული ვარდისფერი კარი შიგნიდან ვიღაცამ ოდნავ შეაღო (ბუღალტერ შალვას წამიერად მენეჯერ ნათელას მაგიდაზე ნაპოვნი საეჭვო მისალოცი გაახსენდა) და მაშინვე მოკეტა.

„ჩემი ცოლია, გარეთ გამოსვლა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან მე დამინახა საჭვრეტულში!“ – გაუელვა თავში ბუღალტერ შალვას.

ის უკვე საკუთარ თავს არც ეკუთვნოდა. ჰოპო, დაიძახა, კარისკენ ისკუპა, მთელი ძალით შეასკდა მას (თვალებიდან ნაპერწკლებიც კი გასცვივდა) და მხატვარი ამირანის ბინაში აღმოჩნდა – იატაკს მთელი ძალით დაენარცხა (ამ დროს თვალებიდან მეორეჯერაც წამოსცვივდა ნაპერწკლები). ფეხზე რომ წამოდგა, იქვე ატუ-

ზული ქერა, ლოყანაიარევი მამაკაცი დაინახა, რომელსაც ნათელი ცისფერი თვალები ჰქონდა, მარჯვენა წარბი კი გასისხლიანებოდა – რკინის კარმა გაუხეთქა, სავარაუდოდ, როცა საჭვრეტულში ხელახლა გახედვა მოინდომა იმის დასადგენად თუ როდის ჩაივლიდა უეცრად გამოჩენილი ადამიანი.

ბუღალტერი შალვა ცისფერთვალება უცნობს, რომელიც მეტად დაბნეული და შეშინებული ჩანდა (ხელში რაღაც გრაგნილი ეჭირა), გაოცებული მიაჩერდა.

– წარბი გაგხეთქვიათ! – უთხრა მას ბუღალტერმა შალვამ და იქვე დაამატა: – მენეჯერი ნათელა სად არის?

– ვინ?! – ჯერ ფერფური წაუვიდა და შემდეგ კი ისე არაბუნებრივად გაოცდა უცნობი, თითქოს მისთვის თამარ მეფის საფლავის ადგილსამყოფელის დასახელება ეთხოვოთ.

ბუღალტერი შალვა თანდათან გონს მოდიოდა. ბოლოს და ბოლოს, უცნაურად ეჩვენა ის, რომ უცნობი პროტესტს არ გამოთქვამდა იმის გამო, რომ წარბი გაუხეთქეს, ის კი არადა, პირიქით, ერთხელ დამნაშავესავითაც კი გაიღიმა.

„აქ იმალება ჩემი ცოლი!“ – გაიფიქრა ბუღალტერმა შალვამ და პირველივე კარში დურთა თავი.

ბუღალტერმა შალვამ ყველა ოთახი შემოირბინა, კარადებშიც შეიხედა და საწოლების ქვეშაც, მაგრამ ვერავინ ნახა. ამ სირბილში ერთიანად გაიოფლა. ბოლოს მაცივარს მიადგა და იმისი კარიც გამოაღო.

შემოსასვლელში რომ დაბრუნდა, იქაც არავინ დახვდა. ამჯერად ლოყანაიარევ მამაკაცს ეძებდა და ისევ ყველა ოთახი მოიარა. ისევ შემოსასვლელს დაუბრუნდა. ასე ეგონა, ლოყანაიარევი მამაკაცი რომ არ დავინახო, გავგიჟდებიო.

კიდევ ერთხელ ოთახებისკენ დაიძრა, მაგრამ შუა გზიდან მობრუნდა, მხატვარ ამირანის ბინიდან გამოვიდა და კარი მიხურა.

ბუღალტერმა შალვამ თავისი ბინის კარი გასაღებით გააღო და პირდაპირ საძინებელს მიაშურა.

იქ არავინ იყო. ყოველი შემთხვევისთვის კარადაში შეიხედა და საწოლის ქვეშაც – იქაც არავინ იყო.

– ეს რა ჯანდაბა ხდება, რომ არსად არავინ არ არის! – აღმოხდა ბუღალტერ შალვას.

მის ჯიბეში უცებ ტელეფონი აწკრიალდა.

ბუღალტერმა შალვამ ტელეფონის ეკრანს დახედა და ნახა, რომ ცოლი ურეკავდა.

თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ გულზე მოეშვა.

– საყვარელო, მალე მოხვალ? – ჰკითხა მას მენეჯერმა ნათელამ.

– სად უნდა მოვიდე? – ბუღალტერ შალვას ხმა გაბზარვოდა.

– სახლში, – იყო პასუხი. – მე უკვე სახლში ვარ.

მენეჯერი ნათელა მოულოდნელად ატირდა.

– რა გატირებს? – ჰკითხა ბუღალტერმა შალვამ.

– ბედნიერებისგან ვტირი! – მიუგო ცოლმა. – ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ ორსულად ვარ. შენ მე ახალი სული შთამბერე!

– რა თქვი?! – ყურებს არ დაუჯერა ბუღალტერმა შალვამ.

– ორსულად ვარ! – გაიმეორა მენეჯერმა ნათელამ. – ვიცი, რომ ტირილი არ შეიძლება... თითქმის აღარ ვტირი უკვე... შესვენებაზე გოგოებმა ვიხინკლავეთ. სამსახურში რომ დავბრუნდით, მაღებინა. ხომ არ მოვიწამლე-მეთქი, მაგრამ, ვინც ჩემთან იყვნენ, თავს კარგად გრძნობდნენ. არ ვიცი, რამ მომაფიქრა, მაგრამ ნატას ტესტი გამოვართვი – ვიცოდი, რომ უჯრაში ჰქონდა... ნატა ხომ იცი, ჩემს დღეობაზეც მყავდა დაპატიჟებული ამას წინათ, რესტორანში რომ გადამიხადე, არ გახსოვს?

ბედნიერების ელდანაკრავი ბუღალტერი შალვა ხმას ვერ იღებდა.

– გესმის, საყვარელო? – შეშფოთდა ცოლი.

ბუღალტერ შალვას უნდოდა ეპასუხა, მესმისო, მაგრამ ისევ ვერ ამოიღო ხმა.

– ალო!.. ალო!.. ალო!.. – ზედიზედ სამჯერ ისე მიაყვირა მენეჯერმა ნათელამ, მისი ხმა ბუღალტერმა შალვამ უტელეფონოდაც გაიგო და იმისიც კი შეეშინდა, თვითონ მენეჯერმა ნათელამაც არ გაიგოს თავისი ხმა ჩემი ტელეფონიდანო.

– მოვდივარ! – როგორც იქნა, ერთი სიტყვის წარმოთქმა შეძლო ბუღალტერმა შალვამ.

– რა კარგია! – გაუხარდა მენეჯერ ნათელას. – რამდენ ხანში მოხვალ?

– სამ წუთში! – მიუგო ბუღალტერმა შალვამ და ტელეფონი გათიშა.

გონს მოსასვლელად ხუთი წუთი დასჭირდა.

ექვსი წუთის შემდეგ ის ლოჯში დივანზე წამოწოლილი ცოლის წინ მუხლებზე იდგა და ხელებს უკოცნიდა.

– მეც ადრე გავთავისუფლდი სამსახურიდან, თითქოს გულმა მიგრძნო! – უთხრა ბუღალტერმა შალვამ ცოლს. – შენ რომ დამირეკე, ჩვენ კორპუსთან ახლოს ვიყავი!

– მეც თითქოს გულმა მიგრძნო, რომ ასე იყო საჭირო და კარი შიგნიდან ურდულით არ დამი-

კეტავს, – თქვა მენეჯერმა ნათელამ და, როგორც იქნა, გახსნა მომუჭული ხელი, რომელშიც ქაღალდის ხელსახოცი სჭეროდა.

– აი, – თქვა მან და ხელსახოცი ქმარს გაუწოდა. – ჩვენი მომავალი შვილი დავხატე სამსახურში!

ბუღალტერმა შალვამ ხელსახოცი აიღო და გაასწორა. მასზე ჩვილი ბავშვი ეხატა, თვითონ ნახატი კი ბავშვისვე დახატულს ჰგავდა.

– ბიჭია თუ გოგო? – ანგარიშმიუცემლად იკითხა ბუღალტერმა შალვამ.

– ბიჭი. შენ ხომ ბიჭი გინდოდა, ჰოდა, ბიჭი დავხატე! – მიუგო მენეჯერმა ნათელამ. – თავიდან გოგოებისთვის არ მითქვამს, რომ ორსულად ვიყავი, არც მე მჯეროდა. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიქურდე, ნატას კიდევ ერთი ტესტი მოვპარე და იმანაც იგივე დამიდასტურა!

– ტყუილი კი არ უთქვამს დიასახლის მაყვალას, მიცვალებული ბედნიერებას მოგიტანთო! – წამოიძახა ბუღალტერმა შალვამ და იქვე მოაგონდა, რომ დეტექტივ ამირანს ის ორმოცდაათლარიანი მიუგდო, რომელიც დიასახლისი მაყვალას თქმით, ასევე ბედნიერი იქნებოდა.

– ახლავე მოვალ, შეიძლება ის ფული არც აუღია იმ შტერს და ახლა ისევ იქ გდია! – წამოიძახა ბუღალტერმა შალვამ, ფეხზე წამოიჭრა და გასასვლელისკენ გაქანდა.

სულ რაღაც ერთი წუთის შემდეგ უკვე კორპუსის ეზოში იმ ადგილას იდგა, სადაც წეღან დეტექტივ ამირანს ეკამათა, მაგრამ ბედნიერი ორმოცდაათლარიანი არსად ჩანდა.

გულდამწყდარ ბუღალტერ შალვას, რომ ეგონა გაოფლილ შუბლზე ცხვირსახოცი მოვისვიო, აღმოჩნდა, რომ მენეჯერი ნათელას ნახატით დამშვენებული ხელსახოცი შეებილწა.

– მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ცოლი მყავს – იქნებ, არც კი ვიყო მისი ღირსი. გინდა ბიჭი გვეყოლოს, გინდა გოგო, ამ ნახატს ჩარჩოში ჩავასმევინებ და ყველაზე გამოსაჩენ ადგილას დავკიდებ! – თქვა ბუღალტერმა შალვამ და სახლისკენ გაემართა.

მხატვარი ამირანის ბინის კართან არც შეჩერებულა.

– რა ფულის სანახავად გარბოდი? – ჰკითხა მას შეშფოთებულმა მენეჯერმა ნათელამ, რომელიც თურმე, სანამ ბუღალტერი შალვა ეზოში იყო, ფანჯრიდან აკვირდებოდა.

– შენ მსოფლიოში საუკეთესო ცოლი ხარ. იქნებ, არც ვიყო შენი ღირსი! – სიტყვა ბანზე აუგდო ბუღალტერმა შალვამ. – გინდა ბიჭი გვეყოლოს, გინდა გოგო, ამ ნახატს ჩარჩოში ჩავასმევინებ და...

ბუღალტერ შალვას ენა დაება, რადგან გაახსენდა, რომ მხატვარ ამირანის ბინაში, მისაღებ ოთახში, მაგიდაზე ცარიელი ჩარჩო ეგდო. იქვე ბუღალტერ შალვას ისიც გაახსენდა, რომ ლოყანაიარევ მამაკაცს, რომელიც მხატვარ ამირანის ბინაში იხილა, ხელთ რაღაც გრაგნილი ეპყრა.

– ქურდი! – ამოთქვა ბუღალტერმა შალვამ და წამიერი დაფიქრების შემდეგ დარწმუნებულად და უფრო ხმამაღლა დააყოლა: – მხატვარი ამირანის სახლში ნახატების ქურდი იყო!

ბუღალტერი შალვა ფეხზე წამოხტა.

– მაპატიე, საყვარელო, ახლავე მოვალ! – მიმართა ცოლს და კარებისკენ გაქანდა.

სულმოუთქმელად ჩაირბინა კიბე, მხატვარი ამირანის ბინის კართან კი შიშმა დარია ხელი, ვაითუ, ქურდი ისევ ბინაში დამხვდეს და სამზარეულოს დიდი დანით (როგორც კინოებშია) ან სულაც ცეცხლსასროლი იარაღით იყოს შეიარაღებულიო.

– რა ხდება, საყვარელო, არ მეტყვი? – მოესმა ცოლის ხმა, რომელიც უკან გაჰყოლოდა.

– აქ შეიძლება ქურდი იყოს! – განაცხადა ბუღალტერმა შალვამ და მხატვარი ამირანის ბინის ვარდისფერ კარს საჩვენებელი თითი ატაკა. – მე ის ერთხელ უკვე გავამწარე და... – არ დაასრულა მან.

– და რა? – მოუთმენლობა გამოავლინა მენეჯერმა ნათელამ.

ბუღალტერმა შალვამ ერთი ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს წყალში უნდა ჩაყვინთოსო, ბინის კარს ხელი ჰკრა. კარი გაიღო. ბუღალტერი შალვა მიხვდა, რომ ბინაში შესასვლელად უკვე გამბედაობა არ ეყოფოდა და ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო, რათა პოლიციაში დაერეკა.

სანამ საჭირო ნომერს აკრეფდა, თანამეცხედრეს გადახედა და ადგილზევე გახევდა, რადგან მოეჩვენა, რომ ცოლის მზერაში გაჩენილი შეშფოთების მიზეზი არა შექმნილი საშიში სიტუაცია იყო, არამედ რაღაც სხვა – კერძოდ კი ის, რომ მენეჯერ ნათელას ძალიან ეხამუშებოდა ის ამბავი, რომ მისი ქმარი მხატვარი ამირანის ბინის კართან იდგა.

– თვალებში შემომხედე და ისე მითხარი! – კბილებიდან გამოცრა ბუღალტერმა შალვამ.

– რა უნდა მითხრა, საყვარელო? – დაიბნა მენეჯერი ნათელა.

ეტყობოდა, რომ გულწრფელი იყო. ბუღალტერი შალვა საკუთარ თავზე გაბრაზდა დაუსრუ-

ლებელი ეჭვიანობის გამო. გაბრაზებული კი იმდენად გამბედავი გახდა, რომ ბინაში შევარდა.

მზად იყო, ქურდს შებმოდა, მაგრამ ის არსად იყო. მისაღებ ოთახში მაგიდაზე მიგდებულ ჩარჩოს რომ დახედა, უკვე ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ იქიდან ქურდს ნახატი ამოეცალა.

ბუღალტერმა შალვამ მის ზურგს უკან ატუზულ მეუღლეს შეხედა და პოლიციაში დარეკა.

პოლიციელებმა როგორც კი გაიგეს, რომ მხატვარი ამირანის ბინაში ბუღალტერი შალვას მიერ ნანახ მამაკაცს ლოყაზე ნაიარევი ეტყობოდა, მაშინვე მიხვდნენ, რომ ის ერთი ცნობილი ბინის ქურდი იქნებოდა. მათი ეჭვი ბუღალტერი შალვას დახმარებით შედგენილმა ფოტოროობოტმა გაამყარა.

ბუღალტერმა შალვამ სიმართლე დამალა და პოლიციელებს უთხრა, რომ, როცა თავის ბინისკენ მიემართებოდა, სანამ მხატვარი ამირანი ბინის იმ წამს გამოღებული კარი სასწრაფოდ მიიკეტებოდა, მის იქით უცხო მამაკაცს მოჰკრა თვალი, რომელსაც გამომეტყველებაც საეჭვო ჰქონდა და ლამის შუბლზე დიდი ასოებით ეწერა, რომ ქურდი იყო. პოლიციელებმა ბუღალტერ შალვას ადვილად დაუჯერეს.

დამნაშავე ორი დღის შემდეგ დააკავეს. მან კი აღიარა, რომ ნახატი ერთ-ერთი კერძო კოლექციონერის შეკვეთით მოიპარა. კოლექციონერიც მაშინვე დააპატიმრეს.

ყველაფერი ეს ბუღალტერი შალვას დედინაცვლის დაკრძალვის დღეს მოხდა.

მოპარული ტილო ერთი, სამშობლოში ნაკლებად ცნობილი, სამაგიეროდ მთელ ევროპაში და მსოფლიოშიც დაფასებული აბსტრაქციონისტი მხატვრის, მხატვარი ამირანის მასწავლებლისა ყოფილიყო და „მენეჯერი ქალი“ ერქვა. ბუღალტერ შალვას იქვე მოაგონდა, როგორ გაფაციცდა ქურდი, როცა მან თავისი ცოლი, მენეჯერი ნათელა უხსენა – დამთხვევა, მართლაც რომ, საოცარი იყო.

ბუღალტერი შალვა ცნობილი გახდა – ჟურნალ-გაზეთებშიც და ინტერნეტსაიტებზეც გამოაქვეყნეს მისი ფოტო.

მეზობელი მადლიერი მხატვარი ამირანი და ბუღალტერი შალვა დამეგობრდნენ კიდეც – მეზობელი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი კომფორმისტი და გამომრჩენი, როგორც ბუღალტერ შალვას ეგონა.

მოგვიანებით მხატვარმა ამირანმა ბუღალტერი შალვა და მენეჯერი ნათელაც დახატა. მანამდე კი საყურადღებო ამბები მოხდა.

დაკრძალვის მეორე დღეს, შუადღეს, ბუღალტერ შალვას დეტექტივმა ამირანმა დაურეკა და მოსთხოვა, მისთვის ბოდიში მოეხადა.

– ველოდი, რომ დააამირეკავდით და ბოდიშს მომიხდიდით. თქვენ უკვე სააამჯერ მომაყენეთ შეურაცხყოფა. ჯერ იყო და რა ააარ მიწოდეთ, მერე ფულიც მესროლეთ სახეში დააა ყველაფერ ააამისთვის ააარც ბოდიში მომიხადეთ! – უთხრა დეტექტივმა ამირანმა ბუღალტერ შალვას.

– მერედა, შე დალოცვილო, თუ ეს ამბავი შეურაცხყოფად მიიღე, რაღას იღებდი იმ ფულს? – გაიოცა ბუღალტერმა შალვამ. – საოცარი ხალხი ხართ ეს კერძო დეტექტივები!

– ეს უკვე მეოთხედ მააყენებთ შეურაცხყოფას – ვინ მოგახსენათ, რომ მე ის ფული ააავიღე?! – გაცოფდა დეტექტივი ამირანი და ყურმილი დაკიდა.

ბუღალტერ შალვას ეჭვი ჰქონდა, რომ მაშინ დეტექტივმა ამირანმა ორმოცდაათლარიანი მაინც აიღო. მაგრამ იმავ საღამოს მას სახლში ეწვია ერთი ქვრივი ქალბატონი მეზობელი კორპუსიდან, რენტგენოლოგი იამზე, რომელიც შემდეგ ამბავს მოუყვა: წინა დღეს მას დაბადების დღე ჰქონოდა და ამასთან დაკავშირებით მის შვილს, ცამეტი წლის შალვას ფეხისგულების მასაჟორი ეჩუქებინა, რომლის ყიდვასაც რენტგენოლოგი იამზე კარგა ხნის წინათ აპირებდა, მაგრამ ხან ვერ იცლიდა და ხან ფული არ ჰქონდა; ბუღალტერი შალვას უმცროს სეხნიას დედამისისთვის ეთქვა, რომ მან ფული შინაური მტრედების გაყიდვით იშოვა, რომელთაც ის დედის ნებართვით გარაჟში აცხოვრებდა; რენტგენოლოგ იამზეს ეს ამბავი თავიდან დაეჯერებინა, მაგრამ მერე გაეგო, რომ იმ დღეს მისი პირმშო მთელი ეზოს ბავშვებს ნაყინით გამასპინძლებოდა, რის შემდეგაც მტრედები გადაუთვლია და აღმოუჩენია, რომ მათ რიცხვს არ აკლდა; რენტგენოლოგ იამზეს ვაჟიშვილისთვის დაკითხვა მოეწყო, მას კი ეღიარებინა, რომ შემთხვევით შესწრებოდა იმ ამბავს, როგორ ესროლა ბუღალტერმა შალვამ დეტექტივ ამირანს სახეში ფული, რომელიც მათი წასვლის შემდეგ ადგილზე დარჩა.

რენტგენოლოგმა იამზემ ბუღალტერ შალვას სთხოვა, დაედასტურებინა ან უარეყო ეს ამბავი.

– უკაცრავად კი ვარ, ამას რომ გთხოვთ, მაგრამ იმედია გამიგებთ. მთელი დღე სამსახურში ვარ, ჩემი შალვა კი ეზოშია და მეშინია, ცუდ წრეში ხომ არ გაერია და ფული რამე უკანონო გზით ხომ არ იშოვა-მეთქი. რაღა დაგიმალოთ და მისი მონაყოლი არადამაჯერებლად მეჩვენა, – უთხრა რენტგენოლოგმა იამზემ ბუღალტერ შალვას.

ამ უკანასკნელმა უყოყმანოდ დაუდასტურა, რომ პატარა შალვა არ ტყუოდა. რენტგენოლოგ იამზეს ის, რომ შვილს არ მოუტყუებია, ერთი მხრივ, გაუხარდა, ხოლო, მეორე მხრივ, ძალიან დასწყდა გული, რომ პირმშომ სხვისი ფული მიითვისა.

– მე ხომ ჩემს შვილს პატიოსან კაცად ვზრდიდი! – აღმოხდა მას და ატირდა.

ბუღალტერმა შალვამ სტუმარი ძლივს დააწყნარა. რენტგენოლოგ იამზეს უნდოდა, მასპინძლისთვის ორმოცდაათი ლარი გადაეხადა, მაგრამ ბუღალტერმა შალვამ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

სტუმრის წასვლის შემდეგ დეტექტივ ამირანს დაურეკა, ბოდიშიც მოუხადა და კუთვნილი გასამრჯელოც აუნაზღაურა. დეტექტივი ამირანი მისი მადლიერი დარჩა.

იმ დღის შემდეგ ბუღალტერი შალვა თავის უმცროს სეხნიას, როგორც კი საამისო შემთხვევა მიეცემოდა, ყურადღებას აქცევდა, რომ ის მართლა ცუდ წრეში არ გარეულიყო. მალე ბავშვს დაუახლოვდა კიდეც.

პატარა შალვა კეთილი ბიჭი იყო, მტრედების სიყვარული მას მამისგან გადასცემოდა, რომელიც ავტოკატასტროფაში დაღუპვოდა, როცა ბიჭი ორი წლის გახლდათ. პატარა შალვას ხატვა ყვარებოდა. ბუღალტერმა შალვამ ის თავის მეგობარ მხატვარ ამირანთან მიიყვანა, რომელმაც თქვა, რომ ბავშვს ფერწერის ნიჭი ჰქონდა და ამის შემდეგ კარგა ხანს აძლევდა გაკვეთილებს სრულიად უსასყიდლოდ.

აღმოჩნდა, რომ მენეჯერი ნათელა სულაც არ ყოფილიყო ორსულად და რომ მას თავისი ორსულობაცა და ტესტების დადებითი პასუხი მოჩვენებოდა, ანუ ცრუ ფსიქოლოგიური ორსულობა ჰქონოდა. ამაზე მენეჯერ ნათელას ისე ძალიან დასწყდა გული, რომ მეტი არ შეიძლება.

ცხრა თვის შემდეგ კი ბუღალტერმა შალვამ ცოლზე კვლავაც იეჭვიანა, რადგან მენეჯერი ნათელა, რომელიც ცრუ ფსიქოლოგიური ორსულობის შედეგად გადატანილი მღელვარების შემდეგ ერთბაშად არა მხოლოდ დამშვიდდა, მოულოდნელად გაახალგაზრდავების სურვილმაც წამოუარა, უფრო თავისუფლად იცვამდა და ერთკვირიან ხასხასა ფერების ტატუებსაც იკეთებდა — ამბობდა, რომ ყველაზე უფრო შველოდა სტრესთან ბრძოლაში.

ბუღალტერი შალვა დეტექტივ ამირანს დაუკავშირდა. მან კი მეორე დღესვე მოახსენა, თუ ვინ იყო მისი ცოლის საყვარელი – მასზე ხუთი წლით უმცროსი მხატვარი, რომელთან რომანი ორი წლის წინათ გაეწყვიტა, მაგრამ ცრუ ფსიქოლოგიური ორსულობის შემდეგ კვლავ აღედგინა მასთან ურთიერთობა – იმ დროისთვის ხელმოცარული მხატვარი ტატუების ოსტატი გამხდარიყო. სწორედ მას ეჩუქებინა თავის დროზე მენეჯერი ნათელასთვის სურნელოვანი მოსაწვევი, რომელშიც ვარდები ჩაეხატა.

მენეჯერმა ნათელამ ბუღალტერ შალვას უთხრა, რომ კარგა ხანი იყო არ უყვარდა, ხოლო ცრუ ორსულობის შემდეგ ის მისთვის განსაკუთრებით აუტანელი გახდა.

ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდა.

იმ დროისთვის უკვე ბუღალტერი შალვა რენტგენოლოგ იამზეს შეყვარებოდა რაც სხვა ყოფით საკითხებში წარმოუდგენლად მიამიტი მხატვარი ამირანის თვალს არ გამოპარვოდა. მხატვარმა ამირანმა ბუღალტერ შალვას უთხრა, რომ მას ძალიან გაუმართლა, რადგან ისეთ ღვთისნიერ ქალს ჩაუვარდა გულში, როგორც რენტგენოლოგი იამზე იყო და გული უგრძნობდა, რომ ძალიან მალე ბუღალტერ შალვასაც ასევე ძალიან შეუყვარდებოდა რენტგენოლოგი იამზე და ისინი ბედნიერი იქნებოდნენ.

მხატვარი ამირანი მართალი გამოდგა: ბუღალტერ შალვასაც შეუყვარდა რენტგენოლოგი იამზე და მათ იქორწინეს. ბიჭი შეეძინათ და ერთად ბედნიერად იცხოვრეს.

მენეჯერი ნათელა ტატუების ოსტატის მარადი საყვარელი გახდა.

რენტგენოლოგ იამზეზე ქორწინებიდან სამი წლის შემდეგ მოულოდნელად აღესრულა დიასახლისი მაყვალა – შუა ზამთარში აგარაკზე წასვლა მოუნდა, იქ კი ღამით გაზით მოიწამლა. მისი ცხედარი ბუღალტერმა შალვამ ერთი დღით სახლში დაასვენა და მთელი იმ ხნის განმავლობაში რენტგენოლოგ იამზესთან ერთად მიცვალებულს კუბოსთან სანთლებს უნთებდა და ლოცვებს უკითხავდა.

საღამოს კი ბუღალტერი შალვას სეხნიამ და გერმა კორპუსის ეზოში კიდევ ერთი ორმოცდაათლარიანი იპოვა. ერთი კვირა ეძებდა მის პატრონს და, რომ არ გამოჩნდა, ფული დახარჯა. იმ ლუდის თავსახური, რომელიც მან მამინაცვალს უყიდა, მომგებიანი აღმოჩნდა – ხუთი ათასი ლარი მოიგო.



ალექსეი თარია

ალექსეი თარია თხემით ტერფამდე აფხაზი, უაღრესად განათლებული, პატრიოტი, დიდსულოვანი ადამიანია. იგი, როგორც სხვაგვარად მოაზროვნე, არა მარტო მშობლიური კუთხიდან, არამედ რუსეთის ფედერაციიდანაც დევნილია და როგორც დისიდენტმა, საქართველოში, კერძოდ ბათუმში, პოვა თავშესაფარი.

წინამდებარე დოკუმენტურ მოთხრობაში ერთობ საინტერესო და გასათვალისწინებელი ფაქტები და მოვლენებია აღწერილი, რაც თანაბრად არის საფიქრალი და საწუხარი, როგორც აფხაზებისათვის, ისე ჩვენთვის, ქართველთათვის.

სანდრო ბერიძე

ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარი რედაქტორი

„გედის სიმღერა,“ ანუ სამუდამო დევნილის მოგონებები და ფიქრები

ყოველთვის, როცა რუსეთზე მსჯელობენ, მას სხვების მსგავს სახელმწიფოდ წარმოიდგენენ. სინამდვილეში ასე არ არის. რუსეთი განსაკუთრებული სამყაროა, მუდამ ერთი ადამიანის ნებასურვილსა და ფანტაზიას დამორჩილებული – მნიშვნელობა არა აქვს, პეტრე იქნება ის თუ ივანე: ყველა შემთხვევაში ეს თვითნებობის განსახიერებაა. ადამიანური თანაარსებობის ყველა კანონის საპირისპიროდ, რუსეთი მიაბიჯებს საკუთარი თვითდამონების და, ამავდროულად, მეზობელი ხალხების დამონების გზით. ამიტომაც ახალ, განსხვავებულ რელსებზე მისი გადაყვანა არა მარტო სხვა ხალხების, არამედ თვით რუსეთის პირად ინტერესებშიც შედის.

პ. ი. ჩაადაევი. „L'Univers“. 15 იანვარი, 1854 წელი.

სოხუმის ყოფილი ცენტრალური ქუჩის გაყოლებაზე (ომის შემდეგ ქალაქს „სუხუმ“ ეწოდა, მის ცენტრად კი ბაზარი იქცა და ყველაფერი, რაც ამ ბაზრის მიღმაა, პერიფერიად მიაჩნიათ), წიგნის მაღაზიის ფანჯრის რაფებზე გამოფენილ წიგნთა შორის თვალი ვკიდე გარეკანს დამაინტრიგებელი სათაურით – „პოსტსკრიპტუმი“. რაკი ავტორის გვარი მეცნო, შევჩერდი, გადავფურცლე. ერთ-ერთ გვერდზე კურიოზული ფრაზა ამოვიკითხე, რის გამოც – არ ვიცი, შევძრწუნდი თუ გავხალისდი, – ზედმეტად ხმამაღლა წამოვიძახე: „კხა!“ და უცებ გამახსენდა, რომ ავტორი, ალექსეი გოგუა, არც მეტი, არც ნაკლები, ყოფილი თავმჯდომარე, ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო 80-იანი წლების ბოლოს შექმნილი აფხაზური წითელ-ყავისფერი პარტიისა – „აიდგილარა,“ რომელმაც ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო ომისთვის მზადებაში, ომის დროს კი ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებიდან მებრძოლი ბოევიკების მობილიზაციაში. „სწორედ შენ მჭირდებოდი, მეგობარო,“ – ბოროტი სიხარულით გავიფიქრე და ვიყიდე წი-

გნი, რომლის გარეშე ეს მოთხრობა, შესაძლოა, არც შექმნილიყო – მოგეხსენებათ, ყოველგვარ დასაწყისს მიზეზი უდევს საფუძვლად, ამ შემთხვევაში კი მიზეზი გახდა ის, რომ გამახსენდა ძველი, მაგრამ დღემდე ერთობ ნაცნობი და ტკივილიანი ამბავი, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს უკავშირდება. ამ ისტორიის ერთ-ერთი ფიგურანტი იყო ავტორი წიგნისა, რომელსაც ახლა მშვიდობის პროსპექტზე მდებარე წიგნის მაღაზიასთან ვფურცლავდი.

1989 წლის 9 აპრილის ისტორიული თარიღის შესახებ, რომლის შემდეგაც ქართულ-აფხაზური ომის გათვლა უბრალოდ „თითებზე“ შეიძლებოდა, აგრეთვე იმ როლის შესახებ, რომელიც ალექსეი გოგუას დაეკისრა ამ მოვლენების დროს, და იმაზეც, თუ როგორ აისახა ეს ისტორიული თარიღი თქვენს წინაშე წარმოდგენილი „მოგონებების“ ავტორის ცხოვრებასა და ბედზე, ქვემოთ ვისაუბრებთ... ახლა კი ერთი ცოცხალი მაგალითით, მინდა, იმათ დასანახად, ვინც ადვილად წამოეგება ამა თუ იმ მოვლენის ან მის უკან მდგარი პიროვნებების პროპაგანდისტულ ანკესს, ვაჩვენო – როგორი სახისა და ხასიათის, რა განათლებისა და ინტელექტის პერსონები წყვეტენ ათასობით, ზოგჯერ – მილიონობით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებს ან სულაც მთელი ხალხების ბედს. თავს უფლებას მივცემ, შეგახსენოთ, რომ იმ ხალხთა ბედი (მით უფრო – ისტორიის გარდამტეხ, ავბედით პერიოდებში), რომელთაც სათავეში უდგანან უვიცი, ხარბი, სიძულვილითა და ბოროტებით დაბრმავებული წინამძღოლები, გრძელვადიან პერსპექტივაშიც კი არასახარბიელოა: ადრე თუ გვიან სამართლიანი შურისგება პოულობს მათ და ამის მაგალითები მრავლად გვხვდება როგორც ისტორიულ წარსულში, ისე თანამედროვე ისტორიაში; აიღეთ თუნდაც იუგოსლავია, რომელმაც შეწყვიტა არსებობა...

მაგრამ დავუბრუნდეთ „კულტურის“ საყოველთაოდ ცნობილ და პატივსაცემ მოღვაწეს, ერთ-ერთ ბელადს აფხაზი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა „სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის“ – ბრძოლისა, რომელიც დასრულდა შიდა სისხლიანი ბუნტით, უაზრო და დაუნდობელი დაპირისპირებით, რის შედეგადაც აფხაზეთი, რომელსაც საქართველოსგან თავდასახსნელად გამოყენებულმა მეთოდებმა და საშუალებებმა სამუდამოდ დააკარგვინა ადამიანურობაც, იქცა იმად, რადაც რჩება დღემდე: ბუფერულ ზონად და საბრალო ხელისშემყურედ მძლავრი მეზობლისა, რომელიც „ოქროს მთებს“ ჰპირდებოდა მას სამშობლოს ღალატისა და გამყიდველობის სანაცვლოდ, შემდეგ კი მოექცა ისე, როგორც შეიძლებოდა მოქცეოდა მოძალადე სადისტი თავის მოტყუებულ და უკვე დაუცველ მსხვერპლს. როცა მეკითხებიან თუ როგორ მესახება შესაძლებლობა ან პირობები აფხაზეთის დასაბრუნებლად საქართველოს იურისდიქციაში, ხშირად ასეთი მაგალითით ვპასუხობ: წარმოიდგინეთ, რომ მოღალატე ცოლი, რომლის ქმარი მივლინებაშია, საყვარელმა დაიყოლია, დაეხოცა შვილები და გაქცეულიყო მასთან ერთად სადღაც, სადაც მშვიდად და ბედნიერად იცხოვრებდნენ, რასაც ქალიც დათანხმდა. შედეგად, გაირკვა, რომ მოტყუებული ქალის იმედები სანახევროდაც არ გამართლდა, საყვარელი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორადაც მას წარმოედგინა – და ყოველივე ამის შემდეგ, შეძლებს კი ის, დაუბრუნდეს ქმარს, მისგან დახოცილი შვილების მამას?

უფრო სერიოზულად თუ შევხედავთ დღეს არსებულ რეალურ ვითარებასა და გარემოებებს, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შესაძლო დაბრუნებას უთუოდ დასჭირდება, მინიმუმ, ორი-სამი თაობის შეცვლა მაინც ან გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებები კავკასიაში; პოზიტიური მიმართულებით პროცესების დაჩქარებას ხელს შეუწყობდა რუსეთის ხელისუფლებაში ისეთი ძალის მოსვლა, რომელიც საღი აზრითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით იხელმძღვანელებდა, რაც რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში შეუძლებლად გვესახება. ისეთი შეგრძნებაა, რომ ეს ხელისუფლება რუსეთს, და არა მარტო მას, კატასტროფული და საბედისწერო შედეგისკენ მიაქანებს...

2000 წელს, სამშობლოს იძულებით დატოვებიდან რვა წლის შემდეგ, პირველად რომ მივუახლოვდი საზღვარს მდინარე ფსოუზე, ჩემი პირველი აზრი იყო – შორს, უკანმოუხედავად შორს აქაურობისგან! მაგრამ, როცა გამახსენდა, რომ წასასვლელი არსად მქონდა, თავი მოვთოკე და მეტი დაკვირვებით მიმოვიხედე.

...აგვისტოს მცხუნვარე მზის ქვეშ ყველა მხრიდან შემოსაზღვრულ მავთულხლართის მაღალ ღობეს ხან ერთი მხრიდან აწყდებოდა ხალხის უზარმაზარი მასა, ხან მეორიდან. მათ აუჩქარებლად, სათითაოდ ატარებდნენ საბაჟო კონტროლქვეშ. რაღაც მომენტში, როცა დახშული კვნესა-შეძახილები წყევლაში გადაიზარდა, ვაგონის კარი გაიღო და გამოვიდა ფორ-

მიანი ბრგე ყმაწვილი, რომელმაც ხმადაბლა, თითქოს შინაურულად, ჩაიღრინა: – რას აყაყანდით, თქვენი დედაც!?. კარს ბოქლომს დავადებ და დილამდე აქ იდგებით! – და ისევ კარს უკან გაუჩინარდა; ყმაწვილის ალაპლაპებული ტუჩები და მღვრიე გამოხედვა ადასტურებდა, რომ სადილობდა, თანაც, რა თქმა უნდა, ალკოჰოლის თანხლებით. ბრბო მაშინვე ჩაჩუმდა – როგორც ჩანს, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მით უფრო, რომ რკინის ვიწრო შესასვლელის ურდულში დაკიდებული მოზრდილი ბოქლომი საკმაოდ დამაჯერებელს ხდიდა მუქარას...

იმაზე საუბრისას, თუ რას წარმოადგენს აფხაზეთ-რუსეთის საზღვარი მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციულიდან სახელმწიფო მნიშვნელობის საზღვრად იქცა, გვერდს ვერ ავუვლით კორუფციისა და გამომძალველობის საკითხს – „იდუმალი რუსული სულის“ უცილობელ ნიშანს, თანდაყოლილი ხალივით ამოუძირკვავსა და მოუცილებელს რიურიკოვის დროიდან დღემდე, დაუბრკოლებლად გაბატონებულს აქ დღიდან მისი გაჩენისა. საკუთარ დაუსჯელობაში დარწმუნებული მებაჟეები, ნახევრად ველური ადგილობრივი აბორიგენების სამართლებრივი უფლებების იგნორირების ხარჯზე, კანონით შემოღებული მოვალეობების გარდა, რომელთა ლეგიტიმურობა თავისთავად ეჭვის საგანია, ყველაფერში ქრთამს ითხოვენ. სახელდახელოდ მოვიყვან ორიოდ მაგალითს:

...2003 წლის შემოდგომაზე ადლერის ვაგზლის ბაქანზე ვიჯექი ადლერი-სანკტ-პეტერბურგის მატარებლის მოლოდინში. მოულოდნელად ძმისშვილი შემხვდა, რომელიც მოსკოვში, დედასთან მიემგზავრებოდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ გოგონა რაღაცას აეღელვებინა. დავინტერესდი, რა შეგემთხვა-მეთქი, ვკითხე. როგორც გაირკვა, მებაჟეებმა მანამ არ მისცეს ნება, ორი თავი ყველით საზღვარზე გადასულიყო, სანამ უკანასკნელი ასი რუბლი არ გადაახდევინეს. რომ არა ჩვენი შეხვედრა, მას დღე-ნახევრის განმავლობაში მგზავრობა ჩაისა და თეთრეულის გარეშე მოუხდებოდა. 2010 წელს იმავე საზღვარზე გამაჩერეს ხუთი ლიტრი თაფლით, რომელიც საჩუქრად მიმქონდა პეტერბურგში. უშედეგო კინკლაობის შემდეგ მოვითხოვე მორიგე ოფიცერთან შეხვედრა, რომელთან ლაპარაკის დროსაც (როგორია – ცოლზე დაიჩივლო სიდედრთან?) მეორე მებაჟე მონდომებით აკაკუნებდა კომპიუტერის კლავიატურას – იქექებოდა მონაცემთა ბაზაში. მთელი ეს პროცესი იმით დასრულდა, რომ კომპიუტერთან მჯდომმა მიიხმო ოფიცერი და ჩაულაპარაკა: „მასზე არაფერია,“ რასაც პასუხად მოჰყვა: „გაატარე...“ ერთი წლის შემდეგ იმავე საბაჟო ტერმინალის სიახლოვეს ამ ადამიანებმა (რომლებსაც სამსახურებრივად ევალებათ ყველას შესახებ ყველაფრის ცოდნა), ალბათ, ჩემ მიერ ადრე მიყენებული „წყენის“ გამო, შემომასაღეს ბილაინის სიმბარათი საბანკო დავალიანებით – ერთგვარი ყვითელი „დავითის ვარსკვლავი,“ ალბათ, იმისთვის, რომ მათი თვალთახედვიდან არ დავკარგულიყავი რუსეთის უკიდეგანო სივრცეებში. ამ საზღვარზე, რომელსაც თოთხმეტი წლის განმავლობაში სხვას ვერაფერს ვუწოდებდი, თუ არა „ქურდულ შალმანს,“ მსგავს მაგალითებს თვლა არ აქვს...

ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ სსრკ/რფის სპეცსამსახურების ბევრმა ოფიცერმა, ვინც ომამდე გაცილებით ადრე საფუძველს უყრიდა, ომის დროს კი ორგანიზებას უწევდა აფხაზი ხალხის სისხლიან დაპირისპირებას ქართველ მოსახლეობასთან, საზღვარ „ფსოუზე“ მაღალი თანამდებობები მიიღეს. დღეს ისინი კრასნოდარის მხარის სანაპიროზე ათეულობით მილიონი დოლარისა თუ ევროს ღირებულების უძრავი ქონების მფლობელები არიან. 1991 წლიდან დღემდე აფხაზეთის მოსახლეობისგან მათ მიერ ნაძარცვი ფულით თავისუფლად აშენდებოდა და კეთილმოეწყობოდა სანაპირო ზოლი ფსოუდან ენგურამდე მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, თუმცა ორას ოც კილომეტრზე გადაჭიმული სანაპირო დღემდე გაველურებისა და მოუვლელობის საძაგელ სანახაობას წარმოადგენს. 2002 წელს აფხაზეთში სამსახურებრივ საქმეზე მყოფ კ. ზატულინს როცა თავისი შთაბეჭდილების შესახებ ჰკითხეს, მან ზუსტად ასე უპასუხა: „მე, როგორც რუსეთის მოქალაქეს, მრცხვენია, როცა ვხედავ, როგორ ძარცვავს ექვსი რუსული უწყება აფხაზეთის ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას...“ შემიძლია თავი დავდო, რომ ეს იყო პირველი და უკანასკნელი სიმართლე, რაც ზატულინმა თქვა აფხაზეთის (და არამარტო აფხაზეთის!) შესახებ, და დარწმუნებული ვარ, ამის გამო მას მცირე უსიამოვნება როდი შეხვდებოდა ზემდგომი ხელმძღვანელობისგან. მახსენდება, რომ „აფხაზეთის ღატაკი მოსახლეობის“ ძარცვის შესახებ ღიად გაკეთებული ამ განცხადების შემდეგ კ. ზატულინი დიდი ხნით გაქრა რუსული ტელეარხების ეკრანებიდან... და დამსახურებულადაც! სირცხვილი და სინდისი გაგაჩნია? – რა გესაქმება რუსულ „ისტებლიშმენტში!“ კარიერის კეთება გინდა? – უყურე

და ისწავლე სხვებისგან, სერგეი ლავროვისგან, მაგალითად, რომელიც დიდი ხანია უცვლელად ხელმძღვანელობს რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყებას სწორედ იმიტომ, რომ არასოდეს, არც ერთხელ ამ უმაღლეს თანამდებობაზე მუშაობისას არ დასცდენია არც ერთი მართალი სიტყვა! თავისთავად ცხადია, ჩვენში სიმართლეს, ისევე, როგორც სხვა დანარჩენს, განსაკუთრებული „გაგება“ აქვს. აი, „მისმა უწმინდესობა“ პატრიარქმა კირილმაც ხომ განაცხადა ახლახან, ვ. პუტინისა და მისი მიმდევარი ისტორიული ნაფტალინის სუნით გაჟღენთილი სლავოფილების კვალდაკვალ, რომ რუსეთი – ეს „განსაკუთრებული ცივილიზაციაა,“ საიდანაც „ბუნებრივად“ და უსათუოდ გამომდინარეობს, რომ ჩვენ, რუსებს, ჩვენი განსაკუთრებული სიმართლე გვაქვს, ჩვენი განსაკუთრებული „სუვერენული დემოკრატია,“ სიკეთისა და ბოროტების ჩვენი განსაკუთრებული ხედვა და გაგება. „...სიკეთისა და ბოროტებისადმი სამარცხვინო გულგრილობაც“ („...К добру и злу постыдно равнодушны“ – стих. «Дума“) ჩვენს გამო აღნიშნა ლერმონტოვმა, ჩვენი „განსაკუთრებულობის“ გამო. როგორც ახლო წარსულში იტყოდნენ ხოლმე საბჭოთა იდეოლოგები: „ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ჩვენი, განსაკუთრებული სიამაყე გაგვაჩნია!“ უკვე ყველამ ვნახეთ და ვიცით, რა მოუვიდა ამ „დემონურ“ სიამაყეს 90-იან წლებში, თუმცა ეს არ გვიშლის ხელს, ყველგან და ყოველთვის იგივე შეცდომა გავიმეოროთ... ამ განცხადების შემდეგ, ის (პატრიარქი კირილი) ჩემთვის – „მისი ჩეკისტუწმინდესობა“ უფროა... ყველგან, საითაც გაიხედავ, ეკლესიაშიც კი, „სორტირის მწვალებლისა“ და ნაციონალ-რევანშისტის „რქები და ჩლიქები“ მოჩანს...

დავუბრუნდეთ „პოსტსკრიპტუმის“ ავტორს, რომელიც აფხაზეთში ერთ-ერთ „გამორჩეულ გონებად“ მიაჩნიათ, და გადავშალოთ მისი წიგნი 29-ე გვერდზე, სადაც ის მსჯელობს ჩვენი დროის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემაზე, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ნატოს შორის, და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ე.წ. „ევრაზიული პროექტს“ შორის *გლობალიზაციის* შესახებ, რომელიც ა. გოგუას ასე ესმის (მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს „მწერლის,“ ან, იქნებ, „ფილოსოფოსისაც“ კი, მარცვალსა და პუნქტუაციას): „ასე მალე მივალთ გლობალიზაციისა და ატომიზაციის პროპაგანდამდე, რომლებიც ემუქრებიან მსოფლიოს, როგორც ოდესღაც კლასი, რომელსაც არაფერი ჰქონდა დასაკარგი, გარდა თავისი ბორკილებისა“. შემდეგ კი – ისევ გლობალიზაციაზე, ოღონდ უფრო „ღრმააზროვნად“ და გავრცობილად: „გლობალიზაციას, როგორც მე მგონია (იმაზეც მადლობა, რომ „გგონია,“ – ავტ. შენიშვნა), ახალი პროლეტარიატიზაციისკენ მივყავართ, უფრო მეტიც, გამარტორქებისკენ, ნიველირებისა და ნგრევისკენ...“ და მისთ. და მისთ... იძულებული გავხდი, რამდენჯერმე წამეკითხა ეს გაუგებარი სისულელე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ სწორედ „მარტორქიდან“ მომდინარეობდა სიტყვა „გამარტორქება“ („оносороживание“), რომელმაც ყველაზე მეტად შეძრა ჩემი მკითხველური წარმოსახვა და რომელიც მოცემულ კონტექსტში სრულიად დაუჯერებლად და წარმოუდგენლად მომეჩვენა. დიდი ფსიქოანალიტიკოსობა და გრაფოლოგობა არ გჭირდება იმის მისახვედრად, რომ აქ საქმე ბანალურ გრაფომანთან და შიზოფრენიკთან გვაქვს, სხვა არაფერი; თუმცა მთავარი ის არის, რომ შეშლილობის ამგვარი ნიშნები შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ განსაკუთრებული და თავშეუკავებელი სურვილის შემთხვევაში – ორიგინალურად და უარყოფითად გამოთქვას აზრი აქტუალურ თემაზე; მაგრამ მთავარი, რაც აქ ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, არის ის, რომ ამ სამარცხვინო „ნაჯღაბნის“ მოტივია ავტორის სწრაფვა – „ესოდენ მკვეთრად უარყოფითი“ შეფასებით სიამოვნება მიანიჭოს, აამოს ვიღაცას საფეხურის სათავეში, რათა მისი მაღალი ყურადღების ღირსი გახდეს, კეთილგანწყობა მოიპოვოს. თანამედროვე პოლიტიკის საკითხებში უკეთ გარკვეული და ჭკვიანი მკითხველი, რა თქმა უნდა, მიხვდება, რომ ნანატრი კერპი, რომელიც უთუოდ თვალწინ ედგა გლობალიზაციის უიღბლო „კრიტიკოსს,“ დედამიწის ზურგზე მხოლოდ ერთი ადამიანი შეიძლება იყოს, და ეს ადამიანი, რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვ. ვ. პუტინია – გლობალიზაციის ყველაზე ცნობილი და გავლენიანი მოწინააღმდეგე, რომელიც თავისი გაპრეზიდენტების პირველი დღიდან დღემდე „მრავალპოლარული სამყაროს“ აშკარად მკვდრადშობილი კონცეფციის მგზნებარე აპოლოგეტად და მქადაგებლად გვევლინება. „მოსასხამისა და დაშნის“ ეს „რაინდი,“ რომელიც თავხედურად, პოპულისტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, თავს ქრისტიანული პოზიციებიდან წარმოგვიდგენს, ოდნავ მეტად განათლებული ადამიანი და საკუთარი ქვეყნის წინაშე გარკვეულწილად მაინც პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსი რომ ყოფილიყო, ეცოდინებოდა, რომ „მრავალპოლარული სამყარო“ აბსოლუტურ შეუთავსებლობაშია როგორც 21-ე

საუკუნესთან, ისე ქრისტიანობის ფუძემდებლურ იდეასთან – „რათა ყველანი ერთნი იყვნენ“ (იოანე: 17, 21); რომ მხოლოდ ერთპოლუსიანი სამყარო გულისხმობს უალტერნატივო და ამიტომაც გარდუვალად და აუცილებლად ერთიან კაცობრიობას; რომ სწორედ ერთპოლუსიანი სამყაროა ქრისტიანული ცივილიზაციის ქვაკუთხედი და მისი საბოლოო, ნათელი მიზანი. თავს ვკითხოთ: გლობალიზაციის საკითხში ვინ ასახავს უფრო უკეთ თანამედროვე სამყაროს ჭეშმარიტ ინტერესებსა და მისწრაფებებს: ისინი, მოსკოვის კრემლის მაღალი კედლების მიღმა რომ სხედან და ერთგული ოლიგარქების ფინანსური ნაკადების მართვითა და დაყოფა-დანაწილებით უფრო არიან დაინტერესებულნი, ვიდრე მსოფლიოსა და საკუთარი ხალხის ბედით, თუ, მაგალითად, ლევ ტოლსტოი, რომელმაც თავისი თვალსაზრისი კაცობრიობის ერთიანობის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ ასი წლის წინათ არაორაზროვნად გამოხატა სიტყვებით: „ჭეშმარიტი პროგრესი ადამიანთა სულ უფრო დიდ ერთობებშია“. ერთპოლარული და მრავალპოლარული მსოფლიოს საკითხში ვის უნდა გაჰყვეს რუსი ხალხი, რუსეთი, მსოფლიო? მათ, ვინც ქმნის რუსეთის ჭეშმარიტ დიდებას, თუ რუსეთის ისტორიის მორიგ „ხალიფას ერთი საათით,“ მთვრალი ელცინის გულზიდვის შედეგს?.. და მაინც, რას გულისხმობს რეალურად პუტინისეული „მრავალპოლარული სამყარო?“ ეს – გავლენის სფეროებად დაყოფილი მსოფლიოა, გარშემორტყმული ეკლიანი მავთულით, ბლოკპოსტებითა და სათვალთვალო პუნქტებით, სასაზღვრო საკონტროლო ზოლებითა და წარწერებით – „სდექ, გესვრი გაუფრთხილებლად!“ ეს „განსაკუთრებული“ სამყაროა, მრავალტანჯული, კაცობრიობისა და კაცობრიულისგან მუდამ განზე მდგომი და გაუცხოებული სამყარო, რომლის სასაზღვრო პერიმეტრი ასიათასობით მესაზღვრითა და ძაღლით არის დაცული; სამყარო, სადაც მშვიდობა არასოდეს ყოფილა, არ არის დღეს და არც იქნება – მისი, პუტინის სურვილითა და ნებით...

მართლაც უსაზღვროა ჩემი უბედური თანამემამულეების კერპთაყვანისმცემლობისა და მონური ერთგულების ხარისხი პუტინისადმი – ჩვენი უსაფრთხოების „გარანტისადმი!“ 2007 წელს მდინარე ფსოუზე გამავალი საზღვრიდან მიკროავტობუსით მივემგზავრებოდი. ის-ის იყო, დავიძარით და ვიღაც მამაკაცმა, როგორც ჩანს, საზღვრის გადაკვეთის ბიუროკრატული პროცედურით გვარიანად გაწამებულმა, კრიტიკული აზრი გამოთქვა კანონმდებლობით შემოღებულ წესებზე, რომლებიც, მისი თქმით, საგანგებოდ იყო შექმნილი ადამიანების დასატანჯად; მან პუტინის სახელიც ახსენა (ძალაუფლების ვერტიკალის ერთ-ერთი თავისებურება ჩვენში ის არის, რომ პუტინი პასუხისმგებელია ყველაფერზე, მათ შორის, იმაზეც, რომ ონკანიდან წყალი წვეთავს ღვთისა და რუსი ჩინოვნიკებისგან მივიწყებულ რომელიღაც „დათვის კუთხეში,“ საიდანაც, გოგოლის სიტყვით რომ ვთქვათ, მთელი წელიც რომ იხტუნო, ვერსად გააღწევ), რაც ერთმა აფხაზმა ქალმა ემოციურად გააპროტესტა: „არ არის სიმართლე! პუტინს ჩვენ... ვუნდივართ!“ აქ რეზიუმესგან ვერც მე შევიკავე თავი: „რას ნიშნავს, „პუტინს უნდიხართ?“ პუტინს ჰყავხართ, როგორც მოუნდება!“ მთელი დარჩენილი გზა მგზავრები ეჭვის თვალით და ალმაცერად გვიცქერდნენ მეც და საუბრის წამომწყებ მამაკაცსაც. „ენა ჩემი – მტერი ჩემი!“ ძირეულად რომ არ მცოდნოდა, რას წარმოადგენს პუტინი რეალურად – გრუ-სა და საბჭოთა კგბ-ის ეს ფიცის გამტეხი ოფიცერი, ჩეკისტურ „მოდაზე“ გადაწყობილი არამზადა – მაშინაც კი ამ გზააბნეული და უვიცი ხალხის მისდამი მონური ერთგულება და ბრმა სიყვარული საკმარისი იქნებოდა იმის მისახვედრად, რომ საქმე გვაქვს აღმოსავლურ-აზიური ტიპის დიქტატორთან, მისთვის დამახასიათებელი ტრადიციული და გენეტიკური ხასიათის თვისებებით. პუტინისადმი გოგუას მსგავსი ადამიანების, და საერთოდ აფხაზი ხალხის, ცხოველურ სიყვარულში რაიმე განსაკუთრებული საიდუმლო არ იმალება, რადგან ისინი პუტინს არა მხოლოდ უსაფრთხოების, არამედ, ზოგადად აფხაზების, როგორც ნაციის, ფიზიკური არსებობის ერთადერთ გარანტად მიიჩნევენ. მე, როგორც საქართველოში (საქართველოს სსრ-ში) დაბადებულ აფხაზი ეროვნების ადამიანს, საკუთარ მოვალეობად მიმაჩნია, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ **არასოდეს დაბადებულა ჩვენს მიწაზე ისეთი ქართველი, ყოველ შემთხვევაში – 1992 წლამდე მაინც, რომელიც აფხაზი ხალხის განადგურებას ისურვებდა.** აფხაზეთსა და თვით რუსეთშიც ფართოდ გავრცელებული მითი, თითქოს ქართველებს იმთავითვე უნდოდათ აფხაზი ხალხის განადგურება და ერთთავად ყველა აფხაზის ქართველად გამოცხადება, სხვა მითების მსგავსად, შეიქმნა გოგუასა და მისი თანამოაზრეების – აფხაზეთის „გამარტორქებული“ და გამოთაყვანებული ზოოპატრიოტების, ასევე, მათი ველიკოდერჟავული მფარველების მიერ, რომლებიც ამ გზით ცდილობდნენ ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები აფხაზი და ქართველი

ხალხების წინაშე ჩადენილი თავიანთი რეალური და არა გამოგონილი დანაშაულების გამართლებასა და გადაფარვას – იმ დანაშაულებისა, რომლებიც, შესაბამისი სტატიით, ჰააგის ტრიბუნალს ექვემდებარება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: აფხაზთა და ქართველთა კულტურა ამაზონიის ტყეების აბორიგენებზე მაღლა რომ არ მდგარიყო და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის ყოფილიყო, რომ ქართველები ლერწმის ჩხირს მარჯვენა ნესტოში იყრიდნენ, აფხაზები კი მარცხენაში, აფხაზი ხალხის „პასუხისმგებელი ამხანაგები“ და „მეგობრები“ უთუოდ დააჯერებდნენ ამ უკანასკნელთ, რაოდენ საშიში და უპატიებელი დანაშაულია – ატარო ლერწმის ჩხირი ცხვირის მარჯვენა ნესტოთი, მაშინ, როცა მისი ტარება საჭიროა სწორედ მარცხენით, როგორც ამას აფხაზები აკეთებენ! მერე დაარწმუნებდნენ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე პრევენციული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაში უმსგავსობის სამუდამოდ აღსაკვეთად (აქ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზთა და ქართველთა კულტურების შედარება იძულებითია: რეალურად, ეს – „უდიდესი დისტანციაა...“ მსოფლიო იცნობს ათობით, ასობით ქართველს, რომლებმაც აღიარება მოიპოვეს ხელოვნების მრავალ სფეროში, მეცნიერებაში, კულტურაში, მაშინ, როცა აფხაზთა შორის ასეთი – საერთოდ არ არსებობს(!)... ის, რამაც „სახელი შესძინა“ აფხაზ ხალხს – 1992-1993 წლების სეპარატისტული ბოროტმოქმედებებია). ასე, ან თითქმის ასე მოქმედებდნენ სსრკ-ის გრუ-ს აგენტები და სპეცსამსახურების თანამშრომლები ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკაში, სადაც კონტრაბანდული გზებით იგზავნებოდა იარაღი და ვლადიმერ ლენინის ფოტოსურათები; იქმნებოდა ისეთი ამაზრზენი ფანტომები, როგორიცაა ჩრდილოეთ კორეა, პოლ-პოტის „წითელი კჰმერების“ რეჟიმი კამბოჯაში და მრავალი სხვა.

ძალიან არ უნდოდათ რუს სამხედროებსა და რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლებს, განსაკუთრებით, მათ გაუმაძღარ ხელმძღვანელობას კრემლსა და ლიუბიანკაზე, რომ რუსეთის იმპერიული გავლენის ჩარჩოდან გამავალ საქართველოს დარჩენოდა შავი ზღვის 220 კმ-იანი მონაკვეთი და სტრატეგიული ობიექტები: მოსკოვის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი დაბა აგუზერაში, სადაც ოპენჰაიმერის ლაბორატორიის თანამშრომელი გერმანელი სამხედრო ტყვეების მეშვეობით შეიქმნა პირველი საბჭოთა ატომური ბომბი; უნიკალური ღირებულებისა და ტექნიკური აღჭურვილობის სეისმური სადგური ქვედა ეშერაში; სტრატეგიული დანიშნულების ფართოპროფილიანი აეროდრომი დაბა ბომბორაში, გუდაუთის სიახლოვეს და მისთ.

უაზრო მიამიტობამდე მისულ აფხაზ ხალხს, რომელსაც არც ძველ და არც ახალ საუკუნეში არ ჰყავს არც ერთი ინტელექტუალი ან რამდენადმე უნივერსალური განათლების ადამიანი, ურყევად სჯერა, რომ რუსეთი დაეხმარა აფხაზებს ერთადერთი მიზნით – ეხსნა ისინი საქართველოსგან მომდინარე გენოციდის საფრთხისგან. საღი გონებითა და მყარი ისტორიული მეხსიერებით განა ამის დაჯერება შეიძლება? ჩემს ბედკრულ ხალხს კი სჯერა! სჯერა იმ ფაქტის მიუხედავად, რომ აფხაზები, როგორც მონოკულტურული ეთნოსი, გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ 1991 წლამდე საქართველოს იურისდიქციაში იმყოფებოდა; სხვაგვარად ისინი დიდი ხნის წინ გამქრალი დასავლელი მეზობლების – უბიხებისა და შაპსუღების (ადიღეელების სუბეთნოსი) ხვედრს გაიზიარებდნენ. განა სიმბოლური არ არის, რომ აფხაზთა უმრავლესობამ არაფერი იცის ამ ხალხთა არსებობის შესახებ? იმის გათვალისწინებითაც კი, რასაც დღეს რუსეთი ჩადის მთელი ცივილიზებული მსოფლიოს თვალწინ „მოძმე“ უკრაინის წინააღმდეგ (არაცივილიზებულისთვის ხომ „კანონი არ არსებობს“) – უკლებლივ ყველა აფხაზს ნეტარი რწმენა აქვს და სჯერა პუტინის სიმართლისა და უცოდველობისა; თავადაც ბევრჯერ მომისმენია: „ჩვენ ვლოცულობთ პუტინზე, მან თავისუფლება მოგვცა...“ ბიბლიური მითითება – „არ შექმნა თავისათვის შენისა კერპი, და ნუ თაყვანს სცემ მას“ – მათ მიერ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მტრული თავდასხმა „კაგებეშნიკურ“ წმინდანზე, ან შეხვდნენ სრულიად გულგრილად, თითქოს არაფერი ჰქონდეთ საერთო რეალურ ცხოვრებასთან, რადგან ფობიებითა და მანიებით დაბინდული ცნობიერება ათწლეულების განმავლობაში დამუშავებული ცრუპატრიოტული ობსკურანტიზმით არ ექვემდებარება არა მხოლოდ საღ აზრს, არამედ უნივერსალური ჭეშმარიტებისა და ცოდნის მატარებელ სიტყვასაც კი.

გუდაუთაში გატარებული ცხოვრების ბოლო თოთხმეტი წლის განმავლობაში საქალაქო ბიბლიოთეკაში გადავიკითხე 80-იან, 90-იან და 2000-იან წლებში გამოცემული ასობით ისეთი წიგნი და ჟურნალი, რომელთაც მკითხველის ხელი არასოდეს შეხებოდა... აფხაზთა უმეცრება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში (ისევე, როგორც სხვა სფეროებში) იმდენად განუზომე-

ლია, რომ მათ არც ძალუძთ მსგავსების დანახვა უკრაინაში დღეს მიმდინარე მოვლენებსა და აფხაზეთის 1992-93 წლების ამბებს შორის. შეულამაზებელი სინამდვილის, როგორც მოცემულობის, კონსტატაცია ასეთია – დღეს აფხაზთა ზოგადი კულტურისა და განათლების დონე არ იძლევა არანაირ იმედს იმისა, რომ ოდესმე ვინმე მისი საზოგადოებიდან შეეცდება გამოიკვლიოს, მაგალითად, რა მოუვიდოდა ფინეთს 1939-40 წლებში, რომ ვერ მოეხერხებინა რუსეთისგან თავისი დამოუკიდებლობის დაცვა? ან: ლამის სისხლისგან დაცლილი უკრაინა რატომ ცდილობს „უფროსი ძმის“ მარწუხებიდან თავის დაღწევას? ან: რა ბედი ელოდა საქართველოს, თუ მას სათავეში ჩაუდგებოდა ი. გიორგაძე, როგორც ამას იმედოვნებდა რუსეთი? ცოტათი მაინც ადეკვატურად რომ აღვიქვათ საკუთარი თავი, საკუთარი ხალხის ისტორია, მინიმუმ, უნდა შეგვეძლოს ისტორიული პარალელების გავლება. მე არასოდეს მსმენია აფხაზი ეროვნების ისტორიკოსის ან ფილოსოფოსის შესახებ, რომელსაც კაცთმოძულე კომუნისტური იდეოლოგიისა და მორალისგან თავისუფალი, ანალიტიკური აზროვნების უნარი შესწევს. ვფიქრობ, ასეთი არც არავინ არის აფხაზეთში... აქ საჭიროდ მიმაჩნია მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება იმ სამი საკითხის ირგვლივ, რაც ზემოთ ჩამოვთვალე: 1) ფინეთი, თანამედროვე მაღალგანვითარებული და მაღალი ტექნოლოგიების ევროპული სახელმწიფო, რუსეთის შემადგენლობაში რომ ყოფილიყო – ჩუხლანდიელები, ჩუხონცები (ისტორიულად, რუსულ ენაში „ჩუხნა,“ „ჩუხონცი“ ფინელების დამამცირებელი მეტსახელია) დღეს სანკტ-პეტერბურგის ქუჩებსა და მოედნებს დაგვიდნენ, როგორც ამას ახლა უზბეკები და ტაჯიკები აკეთებენ; 2) უკრაინა ე.წ. „საბაჟო კავშირში“ მოხვედრის შემთხვევაში საუკუნოდ დარჩებოდა იმად, რადაც ყოველთვის მიიჩნეოდა რუსეთის იმპერიის მიერ – ხოხლანდიად, ყოველგვარი უფლების გარეშე თვითმყოფადი ნაციონალური კულტურის განვითარებასა და ეროვნულ იდენტურობაზე, რომლის ძირითადი ეთნოსი „შეუმდგარი რუსები“ – განუწყვეტელი ასიმილაციის შედეგად უნდა გათქვეფილიყო „უფროსი ძმის უძირო წიაღში;“ ეს ხალხი რუსი ხელისუფლებისთვის ყველა დროში რჩებოდა „გამწევ ძალად“ ომებს შორის პერიოდში, ხოლო ომების დროს – იაფ საზარბაზნე ხორცად (თუ პატივცემულმა მკითხველმა არ იცის, რითი განსხვავდება უკრაინელისთვის ნორმალური რუსი საძულველი „კაცაპებისა“ და „მოსკალებისგან,“ გეტყვით, რომ ნორმალური რუსისთვის უკრაინელი ძმაა, კაცაპებისა და მოსკალებისთვის კი „უმცროსი ძმა“. აქ პრინციპული განსხვავებაა ის, რომ ძმა ძმის თანასწორია „თავისი ღირსებებითა და უფლებებით“ (იხ.„საყოველთაო დეკლარაცია,“ სტ.1), უმცროს ძმას კი შეიძლება წამოარტყა კეფაში, ან პანღური ამოჰკრა წელსქვემოთ; ან უფროსი ძმის ძალითა და გავლენით შეგიძლია სულაც წაართვა ის, რაც მოგწონს...); 3) საქართველო ი. გიორგაძის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, რუსეთის იმპერიის მისადგომებთან მდებარე ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის მსგავსად, ვეღარასოდეს დააღწევდა თავს ქურდულ მენტალობასა და კორუფციას...

საშინელების მოლოდინით შეფერილი გაურკვევლობით ვაკვირდებოდი 2000 წლიდან, მთელი თოთხმეტი წლის განმავლობაში, ჩემი ხალხის ცხოვრებას ყველა სფეროში და განცდა იმისა, რომ არაფრის შეცვლა არ შემეძლო, სასოწარკვეთაში მაგდებდა... იმ დასკვნამდეც მივედი, რომ ჩვენ ყველანი ან ვცდებით, ან ვთვალთმაქცობთ, როცა ვამტკიცებთ, რომ ადამიანი... მაიმუნისგან წარმოიშვა. ოქსფორდელი პროფესორი, მაგალითად, ამაზონიის პირველყოფილ ნაპირებზე მცხოვრები აბორიგენისგან განსხვავებით, უკვე „შედგა,“ როგორც „გონიერი ადამიანი“ (Homo sapiens), მაშინ, როცა მის შორეულ მოძმეს ამაზონიის ნაპირებზე (ან აფხაზეთში) კიდევ ერთი საუკუნე მაინც დასჭირდება „შედგომისთვის,“ თუ, რასაკვირველია, რომელიმე გარე და განსაკუთრებული მოვლენა არ შეცვლის მის ბედს.

ამ ყველაფრის უარყოფას იმდენად დიდი ფარისევლობა და თვალთმაქცობა სჭირდება, რომ ვერც კი წარმოვიდგენ ასეთი მკითხველის არსებობას. ამგვარი თვალსაზრისის ლოგიკური ექსტრაპოლირება შესაძლებელია სხვა ხალხების, მათ შორის, აფხაზების კულტურულ მდგომარეობაზეც. ყბადაღებული პოლიტკორექტულობის მიუხედავად, ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ არსებობენ მაღალკულტურული ერები და ასევე არსებობენ ხალხები, რომლებიც ძალიან შორს დგანან თანამედროვე კულტურისგან. ამის აღიარება არანაირად არ არღვევს ჩვენ მიერ უკვე ნახსენები „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის“ პირველ სტატიას. ყველამ ვიცით, რომ ამერიკული, გერმანული, იაპონური მარკის ავტომობილს რუსული წარმოების ავტომობილზე წინ დააყენებს ნებისმიერი რასისა თუ ეროვნების ადამიანი. სხვა საქმეა, თუ ვილაპარაკებთ რუსულ „ხორცსაკეპებზე“ – ადამია-

ნის ხორცის ფარშად გადასაქცევ ხელსაწყოზე – აქ ჩვენს „კალაშებსა“ და საბრძოლო რაკეტებს, მგონი, ბადალი არ მოეპოვება... როცა ვამაყობთ ჩვენი მიღწევებით კოსმოსურ მეცნიერებასა და ტექნიკაში, უნდა გვახსოვდეს ის ფასიც, რაც ჩვენ გავიღეთ ამ მიღწევებში: საბჭოეთში შეუძლებელი იყო ტუალეტის ქაღალდის რულონის ყიდვა, როცა იური გაგარინი დედამიწის გარშემო დაფრინავდა! არც ის უნდა დაგვავიწყდეს, როგორ და რა მიზნით მიმდინარეობდა სარაკეტო-კოსმოსური ფორსირებული ტექნიკის წარმოება და რით დასრულდა სსრკ-თვის გამალებული შეიარაღება 1991 წელს... მტკიცედ მჯერა: რომ არა რუსეთის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, ყველა დროის ხელისუფლების კაციჭამია ბუნება, რაოდენობრივად რუსები ჩინელებზე ნაკლებნი როდი იქნებოდნენ და ათვისებული და კეთილმოწყობილი იქნებოდა მთელი რუსეთი: წყნარი ოკეანის სანაპიროდან, პეტროპავლოვსკ-კამჩატკიდან დაწყებული, ნარვაზე მდებარე ივან-ქალაქამდე...

მაგრამ „დავუბრუნდეთ ჩვენს ცხვრებს“ – ეს ფრანგული გამონათქვამი ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და შინაარსს იძენს.

...აფხაზი ხალხის მრავალწლიანმა და მიზანმიმართულმა ზომბირებამ გამაოგნებელი, პარადოქსული შედეგები მოიტანა: „უფროსი ძმების“ მიერ (მათ შორის, რუსი მაღალჩინოსნების, პუტინის ჩათვლით) წაქეზებულმა აფხაზებმა სწრაფად ირწმუნეს ქართველებზე თავიანთი მრავალგზისი კულტურული აღმატებულობა; მაგრამ ეს ილუზორული და წარმოსახული უპირატესობაც არასაკმარისად მოეჩვენათ, რადგან სრულიად დაკარგეს წარმოდგენა არსებულ რეალობაზე, შესაბამისად, იმაზეც, თუ რას წარმოადგენენ დღეს და რა ადგილი უჭირავთ გარემომცველ სამყაროში. ამ ადამიანების ზომბირებულობის ხარისხის საჩვენებლად რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. დაახლოებით ერთი წლის წინათ ერთ-ერთმა აფხაზურმა გაზეთმა დაბეჭდა აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატის, ვინმე ბ. ბუტბას სტატია, რომელშიც ავტორი თანამედროვე სამყაროს პრობლემებისა და საფრთხეების გრძელი ჩამონათვალის შემდეგ კაცობრიობას სთავაზობდა – „ничтоже сумняшеся“ – მისი „ბედნიერი“ სამშობლოს ფარგლებში უკვე გამოცდილ საშუალებას ყოველგვარი ბოროტებისგან განსაკურნად – апсуа, сиречь – абхазство(!) კაცობრიობის ამ კეთილისმყოფელს, რომელიც მსოფლიოს აფხაზთა ბუნებრივ გვაროვნულ-ტომობრივ მდგომარეობაში დაბრუნებას სთავაზობს, რომელიმე „პროკურორთან“ ან „ნაპოლეონთან“ ერთად თუ მოვათავსებთ პალატაში, სადაც „პროლეტარიზაცია-გლობალიზაციის“ „გამარტორქებული“ მოწინააღმდეგეც დახვდებათ, ეს მართლაც მნიშვნელოვანი სიკეთე იქნებოდა მსოფლიო სიმშვიდისთვის, მით უფრო – ბედკრული აფხაზეთისთვის, რომელიც, გარესამყაროსგან ეკლიანი მავთულხლართით გამიჯნული, საკუთარ წუმპეში იძირება როგორც პირდაპირი, ფიზიკური გაგებით, ისე კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თვალსაზრისით. ქალაქ გუდაუთაში, მაგალითად, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან (!) მოყოლებული, სრულიად განადგურებული და ჯერაც აღუდგენელია საკანალიზაციო სისტემები. მრავალსართულიანი და მრავალბინიანი სახლებიდან წამოსული ფეკალური მასების ნაკადი შენობების სარდაფ-საძირკვლებისკენ მიედინება, სადაც საგანგებო ქიმიური დამცავის გარეშე ჩასვლა იმდენად შეუძლებელია, რომ მიუჩვეველ ადამიანს შეიძლება გულიც წაუვიდეს. ასეთ სახლებში მცხოვრები ახალდაბადებული ბავშვები (დიდებზე არაფერს ვამბობ – რაც დათესეს, ის მოიმკეს) თანდაყოლილი „ტოქსიკომანები“ არიან დაავადების თანმდევი ყველა გარემოებითა და შედეგით... უყურებ, ამ აუტანელ სუნში როგორ იშლება ქორწილებისა თუ ქელეხების ე.წ. „პალატკები...“ მერე კი, ვითომც არაფერი! – იწყება თავდავიწყებამდე მისული სმა-ჭამა და ღრეობა! გაოცება გიპყრობს: როგორ ახერხებს ეს ხალხი, ყოველდღიურ ცხოვრებაში აშკარად წარმართი (ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით), თავი წარმოაჩინოს, როგორც ქრისტიანმა ან მუსლიმმა, როცა სინამდვილეში არც ერთია და არც მეორე. ეს ყველაფერი მათ სულაც არ უშლით ხელს, საკუთარ თავზე არაადეკვატურად მაღალი წარმოდგენა ჰქონდეთ! აი, კიდევ ერთი მაგალითი: საკურორტო სეზონი დასასრულს უახლოვდებოდა და მე, ჩვეულებისამებრ, ტალღამტეხთან ვთევზაობდი. შორიახლოს, სანაპიროსთან, რუს დამსვენებელთა ჯგუფი შევნიშნე, რომელიც ყურადღებით უსმენდა (დაახლოებით ისე, როგორც ნორმალური ადამიანები უსმენენ ხოლმე მოლაპარაკე თუთიყუშს) წელამდე წყალში მდგარ აფხაზს. ჩემი საქმით გატაცებულმა, მათ ყურადღება მხოლოდ მაშინ მივაქციე, როცა აფხაზმა ღრმად შეცურა ზღვაში და შორიდან, როგორც ჩანს, თემის ამოსაწურად, ნაპირზე დარჩენილებს გამოსძახა: „ჰი-იტლერი ამბობდა – ხელი არ ახლოთ აფხაზებსოო!“ (!)(?) დაე, მკითხველმა იმკითხაოს, მართლა აფრთხილებდა ჰიტლერი

კაცობრიობას აფხაზთა საშიშროებაზე თუ საერთოდ არ ჰქონდა მათზე წარმოდგენა; მთავარია, რომ ეს ეპიზოდი დამაჯერებელად აჩვენებს, ვინ მიიყვანა ეს ადამიანები სიგიჟის ამ ზღვრამდე. ასეთი ლეგენდაც არაერთხელ მსმენია: როცა სტალინს მიართვეს გადასახლებაში გასაგზავნ ხალხთა სია, მან აფხაზები სიიდან ამოშალა, დოკუმენტს კი ასეთი რეზოლუცია დაადო: „აფხაზებს ხელი არ ახლოთ – ჩვენ მათგან უნდა ვისწავლოთ სწორად ცხოვრება...“ უცნაური ინტერპრეტაციით მოისმენთ აქ ამბავს მოციქულ სიმონ კანანელის მოწამებრივ აღსასრულზეც, რომელიც, ძველი აფხაზური გადმოცემით, თანამედროვე ახალი ათონის მახლობლად აწამეს: „...და როცა მან (სიმონ კანანელმა) უთხრა მათ (აფხაზებს), რომ უფლის მონებად აქცევდა მათ, აფხაზებმა უპასუხეს: ჩვენ არასდროს არავის დავემონებითო და დაახრჩვეს ის...“

მსგავს ზღაპრებს ყოველთვის ხალხი თხზავს, ოღონდ იმ ჩინოვნიკთა წაქეზებითა და შეძახილებით, რომლებიც ფეხქვეშ ეგებიან ნებისმიერ რუს ჩინოსანს, ოღონდ კი შეინარჩუნონ მათი კეთილგანწყობა, რადგან იციან, რომ ამაზეა დამოკიდებული მათი ილუზორული და დანაშაულებრივი ცხოვრება. უმაღლესი რგოლის რუს ჩინოვნიკებს არ სჭირდებათ მედიკამენტური საშუალებები, მაგალითად, ჰემოროის სამკურნალოდ – ჰემოროის სანთლები სრულად ჩაანაცვლა ურთიერთობამ „სტრატეგიულ პარტნიორებთან“ – აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობასთან... ერთადერთი ხილული მატერიალური ფაქტორი, რაც აფხაზებს ერთგვარად აძლევს საკუთარ თავზე არაბუნებრივი და ჰიპერბოლიზებული წარმოდგენის განმტკიცების საშუალებას, პრესტიჟული მარკის ავტომანქანების უდიდესი რაოდენობაა, რაც საოცარ შეუსაბამობაშია ფაქტობრივად ღატაკი რესპუბლიკის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ეს მოვლენა გაკვირვების საგანია მათთვის, ვინც ცუდად იცნობს აქაურ მკვიდრთ. აფხაზეთში ნებისმიერი ადამიანის სტატუსი ასი პროცენტით დამოკიდებულია მისი ავტომობილის მარკასა და გარეგან იერზე. ამ მანქანების შესაძენად, ძირითად შემთხვევაში, ისინი ყიდიან ბინებს, სახლებსა და მიწის ნაკვეთებს, რომლებიც ომის შედეგად დახოცილ, განდევნილ ან უარესისგან თავის გადასარჩენად გაქცეულ მრავალრიცხოვან ქართველ მოსახლეობას ეკუთვნოდა... ბევრმა არც კი იცის, რომ ადგილობრივთა უმრავლესობა გამუდმებით იმაზე ფიქრობს, სად იშოვოს ფული, რომელიც ძვირადღირებულ მანქანაში ბენზინის ჩასასხმელად ან სულაც ჰეროინის შესაძენად სჭირდება. იმაზე, რომ ამ ხალხში, აბსოლუტურ კულტურულ ვაკუუმში, იბადება და იზრდება თაობები, იზოლირებული გარესამყაროსგან ეკლიანი მავთულხლართით, არავინ ფიქრობს. არავის აინტერესებს, რა შედეგებს მოიტანს ეს მომავალში... არც სურთ იცოდნენ – მთელი სოციუმი ორ არათანაბარ ნაწილად არის გაყოფილი: ერთი გამუდმებით იმაზე ფიქრობს, სად გადამალოს ნაქურდალი, მეორის ზრუნვის საგნად კი ყოველდღიური „პური არსობისა“ ქცეულა მხოლოდ... ორივე ნაწილის ინტერესები ანომალიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით შემოიფარგლება... თუმცა, ისევ ჩემს დაპირებას უნდა დავუბრუნდე – გიამბობთ, სად, როდის და რა ვითარებაში გავიგე პირველად ჩვენი ავადსახსენები „გმირის“ – ა. გოგუას სახელი და საქმენი საგმირონი.

...1989 წლის ადრეულ გაზაფხულზე გადავწყვიტე, „წავსულიყავი უდაბნოში“ – განდეგილად მეცხოვრა მთებში, სადაც დავიბადე. ამ მიზნით და „უფასო თანაშემწეობის“ პირობით დავსახლდი ჩემს ერთ-ერთ ძმასთან (სამთაგან), რომელსაც მცირე ნახირი ჰყავდა და ამის გამო წელიწადის უმეტეს დროს მთაში ატარებდა. მიზეზთა და მიზეზთა გამო, ეს საქმე საკმაოდ დელიკატური იყო და მოთმინებასა და „დიპლომატიურ“ უნარ-ჩვევებს მოითხოვდა, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება ურყევი იყო – უკვე მაწუხებდა ავი წინათგრძნობა, რომელიც მალე ახდა კიდეც, მე კი, ქვეცნობიერის დონეზე, ვხელმძღვანელობდი დევიზით: „თავს უშველე, სანამ მთელი ხარ!“ – ბოლომდე არ მესმოდა, რომ თავს დამტყდარ უბედურებას ვერც მთებში დავემალებოდი.

9 აპრილს, გამთენიისას, მზის ამოსვლამდე კარგა ხნით ადრე, უმიზეზო შფოთით გამეღვიძა, რაც უცნაურად მეჩვენა. ერთხანს ვიტრიალე საწოლში და, როცა დავრწმუნდი, რომ ძილი აღარ მეკარებოდა, სიგარეტს მოვუკიდე და ჩემი განუყრელი რადიომიმღების – „ოკეანის“ ღილაკს დავაჭირე თითი. წინა ღამით ბი-ბი-სიის შეწყვეტილი ტალღა ისევ ახმაურდა და გავიგონე ორი მოსაუბრის ხმა: ერთი – ინგლისური აქცენტით, მეორე კი... აფხაზურით. რადიომიმღების სიხშირე შეძლებისდაგვარად გავასწორე და გულისყურით ვისმენდი უახლეს ამბებს თბილისში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ხმა ინგლისური აქცენტით პირველად არ მესმოდა – ეს იყო აღნიშნული ტელე-რადიოკომპანიის მოსკოვში აკრედიტებული კორესპონდენტი ტიმ ჰიუელი, აფხაზურაქცენტიანი ხმა კი იმხანად

სეპარატისტების მიერ შექმნილი ორგანიზაცია „აიდგილარას“ თავმჯდომარეს, ალექსეი გოგუას ეკუთვნოდა. პირველი ინტერვიუს იღებდა მეორისგან, რათა გაეგო მისი აზრი გენერალ როდიონოვის მეთაურობით საბჭოთა ჯარის მიერ 8-9 აპრილის ღამეს თბილისში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის შესახებ, რის შედეგადაც, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, სასანგრე ნიჩბებითა და მომწამვლელი გაზით დაიღუპა ოცზე მეტი ადამიანი (დაჭრილებს თვლა არ ჰქონდა), ძირითადად, ახალგაზრდა ქალები. ნახევარ საათზე მეტხანს, რომელიც მაშინ უსასრულობად მომეჩვენა, ინგლისელი გოგუას ერთსა და იმავე შეკითხვას უმეორებდა: როგორ აფასებთ თბილისში მიმდინარე და უკვე მომხდარ მოვლენებს? – რასაც პასუხად მოსდევდა გაუგებარი ზმუილი და ღრუტუნი, საიდანაც ვერაფერს გაიგებდით იმის გარდა, რომ ბედნიერების უდიდესი განცდით შეპყრობილ და თავბრუდახვეულ ა. გოგუას, რომელიც იმ მომენტში მთელ აფხაზ ერს წარმოადგენდა, სიხარულით სუნთქვა ეკვროდა! მომთმენმა ინგლისელმა, რომელიც ჭეშმარიტად ინგლისური ტაქტის ნიმუშს განასახიერებდა, მაინც მიაღწია თავისას, როცა უკვე მერამდენედ დასმულ შეკითხვაზე: – როგორია პირადად თქვენი დამოკიდებულება თბილისში საბჭოთა ჯარების მოქმედებაზე? – პირდაპირი პასუხის სანაცვლოდ, მიიღო რაღაც საშუალო პასუხსა და შემხვედრ შეკითხვას შორის, თუმცა ეს სრულიად საკმარისი იყო მისი აზრის გასაგებად: „აბა, რა უნდა ექნათ?“ (!) – რაც უიარაღო ხალხის მკვლელების მიმართ ინტერვიუერის უპირობო მხარდაჭერასა და სოლიდარობას აღნიშნავდა. ნებისმიერი, ოდნავ მაინც მოაზროვნე მსმენელისთვის, რომ არაფერი ვთქვათ დახვეწილ და მრავლისმნახველ ინგლისელზე, გასაგები იყო, რომ გენერალ როდიონოვის ადგილზე ა. გოგუა მსხვერპლის რაოდენობას სიამოვნებით გაზრდიდა ასეულებამდე და ათასეულებამდე...

გარკვეული დროის შემდეგ მივხვდი, რაოდენ დაკარგული მქონდა ამ ინტერვიუს მსვლელობის პროცესში ეროვნული იდენტობის ყველა ნიშანი!

...1992 წლის აგვისტოში, სულ მალე ომის დაწყებიდან, როცა გამოქვეყნდა აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის „მიმართვა“ მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი, რომელშიც ის ირწმუნებოდა, რომ „უზრუნველყოფილი იყო მსოფლიოს მხარდაჭერით“ და ა.შ., – ეს ან აშკარად ცინიკური და უბოდიშო სიცრუე იყო, ან გულუბრყვილო თავის მოტყუება „გამარტორქებული“ იდიოტისა, რომლისთვისაც „მსოფლიო საზოგადოებრიობა“ იწყებოდა ყუბანისა და დონის კაზაკების სივრცით და მთავრდებოდა კრემლსა და ლიუბიანკაზე, რაც მოგვიანებით მისი ფსიქიკური დაავადებითა და უდროო გარდაცვალებით დადასტურდა. ნათქვამია, როგორც ვიყიდე, ისევე ვყიდიო... სიცოცხლის ბოლო დღეებში აღარც კი დგებოდა დოლარებით დატენილი დივანიდან... პრეზიდენტ ვ. არძინბას მიუკერძოებელი და საბოლოო დახასიათებისთვის, რომლის „უჩვეულო გონებისა“ და „პოლიტიკური გენიის“ შესახებ აფხაზეთში დღესაც თაყვანისცემით საუბრობენ, საკმარისია გავიხსენოთ, რომ მან პირველმა (!) მიულოცა „გამარჯვება“ პუტჩისტ კომუნისტ-რევანშისტებს 1991 წლის 19 აგვისტოს.

... იმავე დღეს, 9 აპრილს, რაკი აღარ შემეძლო ამეტანა ძმის ოჯახში გამეფებული ეიფორიული განწყობა და მეზობლების მხიარული გადაძახილები, ძმის სახლთან ახლოს, შემაღლებულ ბორცვზე ავედი, სადაც ორმოცდაერთი წლის წინათ დავბადებულვარ სახლში, რომლის კვალიც აღარსად იყო, და ამოვთხარე საფლავის ზომის ორმო; გრუნტი მიწის მომცრო ფენის ქვეშ, რომელიც რბილი ფიქალისა აღმოჩნდა, ტოტებითა და ფოთლებით მოვფინე... ამ იმპროვიზებულ საფლავში ვიცხოვრე 5 მაისამდე (წარმომიდგენია, როგორ ხატავს განსაკუთრებით მგრძნობიარე და ემოციური მკითხველის ფანტაზია ცოცხლად მიწაში დამარხული ადამიანის ცხოვრებას, მე კი ვცდილობ წარმოვიდგინო, რა შეიძლებოდა ეფიქრა და განეცადა ჩემს სამოცდათვრამეტი წლის დედას ამ ამბის გაგების შემდეგ)... წინათგრძნობა მოახლოებული ტრაგედიისა, რომლის სისასტიკე ბევრად გადასცდა ადამიანურობის საზღვრებს და რომელიც განსაზღვრავდა მაშინ ჩემს საქციელს, გამართლდა – გაივლის ორ წელზე ცოტა მეტი და მიწა ფსოუდან ენგურამდე ომის მსხვერპლთა საფლავებით ამოივსება... იმ ომისა, რომელშიც, აპრიორი, ვერავინ იქნებოდა გამარჯვებული ან დამარცხებული, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით მესამე მხარეს... მაგრამ ამის შესახებ მაშინ მხოლოდ ადამიანური მოდგმის მტრებმა იცოდნენ (ლერმონტოვისეულად: „თავისუფლების, გენიისა და დიდების ჯალათებმა!“) – კრემლში, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში და ცნობილ შენობაში ლიუბიანკაზე...

ზემოთ შემთხვევით როდი ვახსენე „წინათგრძნობა:“ 1968 წელს ქ. გუდაუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსთან, გვარდიის პოდპოლკოვნიკ უშანგი კვიწინიასთან

დამიბარეს, რომელმაც მიმანიშნა, რომ ვიმყოფები კგბ-ის ადგილობრივი განყოფილების აღრიცხვაზე სსრკ-ის, მისი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის შესახებ „ცილისმწამებლური მოსაზრებების“ თანატოლებს შორის გავრცელების გამო, (პატივი მინდა მივაგო ამ ყოველმხრივ პატივსაცემი ადამიანის ხსოვნას, რომელიც იყო მილიციის უფროსი, მაგრამ სარგებლობდა პრივილეგიით – არ ეტარებინა მილიციელის სამხრეები: ის მხოლოდ გვარდიელის სამხრეებს ატარებდა); სწორედ ამ ადამიანს ვუმადლი ჩემს პირველ გაქცევას სამშობლოდან, სადაც, უკეთეს შემთხვევაში, მელოდა უკანონო სასჯელი არჩადენილი დანაშაულისთვის და ხანგრძლივი მივლინება გულაგში... სამშობლოში დავბრუნდი ხუთი წლის შემდეგ, 1974 წელს; მოვიარე მთელი კავშირი უსურიისკისა და მაგადანის მხარიდან კალინინამდე, ლენინგრადამდე, რიგამდე, ტალინამდე. რუსეთის „წმინდა“ მიწაზე ხეტიალისას ვიწვნიე შიმშილიცა და სიცივეც, გროშებისთვის კატორღული შრომის სიმძიმე, განვიცადე ეგზისტენციალური მარტოობის სევდა, თუმცა მაშინ არც სიტყვა „ეგზისტენციალიზმი“ მქონდა გაგონილი და არც ალბერ კამიუსა და ანტუან დე სენტ-ეკზიუპერის სახელები – მათთვის ვის ეცალა...

რუსული კლასიკის თაყვანისმცემელთათვის ცნობილია პუშკინის ფრაზა, რომელიც მან წარმოთქვა გოგოლის მიერ მისივე „უკვდავი პოემის“ – „მკვდარი სულების“ ჯერაც გამოუქვეყნებელ ხელნაწერში ხმამაღლა კითხვისას: „ღმერთო, რა სევდიანია ჩვენი რუსეთი!“ „ჩვენს ყველაფერს“ – პუშკინს „სევდიანის“ ნაცვლად სიტყვა „საშინელი“ რომ ეთქვა, ეს გაცილებით ახლოს იქნებოდა იმ სინამდვილესთან, რაც გამოვლინდა რუსეთის ისტორიის მომდევნო პერიოდებში: ისტორიკოსებს ჯერაც ვერ გაუაზრებიათ ბოლომდე რუსეთის როლი ორ მსოფლიო ომში, ურთიერთობებში პოლონეთსა და უნგრეთთან, კორეისა და ვიეტნამის ომებში; განა სათანადოდ შეფასებულია 1961-62 წლების „კარიბის კრიზისი,“ სადაც კრემლის „სტრატეგებმა“ – ადამიანური მოდგმის ურჩხულებმა – ბირთვული ასაფეთქებელი რაკეტები შეიტანეს და ამით არა მარტო „დედა უტირეს“ „თავისუფლების კუნძულს,“ არამედ ბირთვული აპოკალიფსის საფრთხე შეუქმნეს მთელ კაცობრიობას! დაუმატეთ ამას 1968 წლის ჩეხოსლოვაკია, 1979-1989 წლების ავღანეთი, ორი ომი ჩეჩნეთში, მოლდოვის, სომხეთის, საქართველოს, დღეს უკვე – უკრაინის მოვლენები... ყველაფერს ვერ ჩამოთვლი. უ. ფ. ტიუტჩევს, რუსულენოვანი მკითხველისთვის კარგად ცნობილს თავისი სახელგანთქმული კატრენით – „Умом Россию не понять...“ – აქვს კიდევ სხვა, გაცილებით ნაკლებად ცნობილი და, იქნებ, ბევრად საინტერესო გამონათქვამები რუსეთის შესახებ, ოღონდ ეს უკვე პროზაში: „რუსეთის ისტორია პეტრე პირველის შემდეგ – ერთი დაუსრულებელი სისხლის სამართლის საქმეა“. ტიუტჩევისეული ციტატა აქ მთავრდება, მაგრამ არ მთავრდება და დღემდე გრძელდება სისხლის სამართლის საქმე, უსაშველოდ გაწელილი სივრცესა და დროში... ვლადიმირ პუტინი ნებისმიერი ჭეშმარიტი რუსი პატრიოტისთვის მიუღებელი უნდა იყოს არა იმდენად რუსეთის ისტორიოსოფიაში გამოვლენილი უვიცობის გამო (ამ რთული მეცნიერების შესასწავლად მას ნაკლებად ექნებოდა დრო და შესაძლებლობა), არც იმისთვის, რომ მისი მართვის პერიოდში მთლიანად გაჩერდა რუსეთში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოების შენების ახალფეხადგმული პროცესი, რამდენადაც იმის გამო, რომ 21-ე საუკუნეშიც აგრძელებს ქვეყნის „დანაშაულობათა ნუსხას,“ რისთვისაც რუსეთს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოეკითხება.

ფრიდრიხ ენგელსი, კარლ მარქსის თანამოაზრე, რომლისთვისაც რევოლუცია იყო ერთადერთი რელიგია, მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს წერდა: „ვერანაირი რევოლუცია ევროპასა და მსოფლიოში ვერ გაიმარჯვებს მანამ, სანამ არსებობს რუსეთის სახელმწიფო...“ სწორედ 1917 წლის ოქტომბერი და აპოკალიფსური მასშტაბისა და რაოდენობის მსხვერპლით დასრულებული სამოქალაქო ომი გახდა ის საზღაური, რაც უნდა გადაეხადა რუსეთს ევროპულ პოლიტიკაში გასატარებელი რევოლუციური გარდაქმნების ხელისშეშლის გამო. როგორი იქნება მსოფლიოს გლობალური ინტერესების წინააღმდეგ პუტინის რუსეთის მანიაკური დაპირისპირების ფასი – მომავალი დაგვანახებს. პირადად მე გავბედავ, ვივარაუდო, რომ ნაძირალა ჩეკისტური ხელისუფლების წყალობით, რუსეთი მესამე მსოფლიო ომის მოდერატორიც გახდება, ოღონდაც კი პასუხი არ აგოს კრემლის ამჟამინდელ თუ წინამორბედ ბინადართა დანაშაულობებზე...

ძვირფასო მკითხველო, ბევრ თქვენგანს წაუკითხავს და გადაუკითხავს კიდეც გოგოლის „მკვდარი სულები“. გაგჩენიათ კითხვა, რატომ უწოდა ავტორმა თავის უკანასკნელ ქმნილებას „უკვდავი პოემა?“ არა გენიალურობის გამო – იმ მნიშვნელობით, რასაც ეს სიტყვა მოიცავს ლიტერატურულ-მხატვრული თვალსაზრისით;

გოგოლი, მისთვის ჩვეული და უმრავლესობისთვის უცხო ალღოს წყალობით, მიხვდა, რომ რუსული ცივილიზაციისა და, განსაკუთრებით, რუსული ხელისუფლების არსი და ბუნება სტატიკური და უცვლელია, როგორც კონსტანტა. ალექსეი ტოლსტოი, რომელსაც შესანიშნავად ესმოდა, რომ რუს ხალხს არ ჰყავს უფრო დიდი მტერი, ვიდრე მისი ხელისუფლება, წერდა: „ვინ არიან გერმანელები, ლიახები და თათრები მასთან შედარებით? რა შიმშილი და შავი ჭირი, როცა თავად მეფეა მხეცი მძვინვარე!“ – ეს ივან IV მრისხანეზე ითქვა, მოსკოვის კრემლის ამგებ რუს ხელმწიფეზე – ბუნების ყველაზე ამაზრზენ ქმნილებაზე, რომლის მყრალი და უკვდავი სული იდუმალად სახლობს მის მიერ აგებული საცხოვრისის თითოეულ მფლობელ-მცხოვრებში. კრემლის ბინადართა ფსიქიკაზე მისი კედლების ამ საბედისწერო ზეგავლენის მეტაფიზიკური საიდუმლო ამოხსნა ცნობილმა საბჭოთა სამართალდამცავმა, ამჟამად ლონდონში მცხოვრებმა ვლადიმირ ბუკოვსკიმ, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ რადიო „თავისუფლების“ ერთ-ერთ გადაცემაში აღნიშნა: „რუსეთის პრეზიდენტი რომ ვყოფილიყავი, არავითარ შემთხვევაში არ ავირჩევდი კრემლს ჩემს რეზიდენციად“. მაქვს ბუნდოვანი, თუმცა არადაუსაბუთებელი წინადადება – კრემლში დაცული აღურიცხავი სიმდიდრე, მათ შორის, ივან IV-ის მიერ ყაზანის, ასტრახანის, ციმბირის ლაშქრობების შედეგად ნაძარცვ-ნადავლი ფასდაუდებელი არტეფაქტები, რომელთაც გამუდმებით ელაციცებოდა კეთრითა თუ სიფილისით უკვე სასიკვდილოდ დასნებოვნებული მეფე, – სწორედ ეს სიმდიდრე არის მიზეზი საზარელი ეგოიზმისა, რომელიც იპყრობს ამ ჯოჯოხეთური „სახლის“ უკლებლივ ყველა ბინადარს. ეს რომ ასე არ იყოს, რატომ იტყოდა პუშკინი: „ხოლო კაშეი, წყვდიადის მეფე, გულში იხუტებს ოქროს ფიალებს... იქაც რუსული სული ტრიალებს!“ ისტორია ადასტურებს, რომ მეფე ივანე მეოთხის გახრწნილი სხეულის სიმყრალე აუტანელი იყო ყველასთვის, ვინც მის მოსასვენებელში შედიოდა...

ზოგჯერ ვიტყვი ხოლმე – ეშმაკსაც წაუღია ეს რუსეთი, რა უნდა მოსთხოვო ქვეყანას, რომელსაც, ტიუტჩევისა არ იყოს, „გონებით ვერაფერს გაუგებ?“ მაგრამ კაცობრიობის უბედურება ის გახლავთ, რომ უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული ეს ქვეყანა, დასახლებული ადამიანებით, რომლებიც უკვე რამდენი საუკუნეა ეწინააღმდეგებიან გენიალური ადამიანების (მათ შორის, არაერთი რუსის) გონებით შექმნილ ძირითად ფუძემდებლურ ზოგადკაცობრიულ ღირებულებებს, რომლებზეც აღმოცენდება და ვითარდება თანამედროვე ცივილიზაცია, – ფლობს იარაღის ისეთ არსენალს, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს სიცოცხლე ჩვენი პლანეტის უდიდეს ნაწილზე. მხატვარი რომ ვიყო, რუსეთის უკრაინაზე ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ დავხატავდი ტილოს, სადაც დენთის კასრზე გადამჯდარი პუტინი ანთებული ჩირაღდნით ხელში გაიძახის: „არ მომეკაროთ!!!“ წინა პლანზე მოჩანს ობამას, მერკელის, კემერონის, ოლანდის სახეები; უკანა პლანზე კი, პუტინის ზურგს იქით, რაკეტა-გამანადგურებლების ხიშტები... ეს სურათი, დახატული ისეთივე გულისხმიერებითა და მოთმინებით, როგორითაც მე ვცდილობ გადმოვცე ჩემი „მოგონებები და ფიქრები,“ უთუოდ უზრუნველყოფდა ჩემს უდარდელ სიბერეს... პუტინსა და მის მსგავსთ ოდესმე კიდევაც რომ წაეკითხათ კლასიკური რუსული ლიტერატურა, მას გაიგებდნენ არა თავისი ტვინით, რომელიც ნაწარმოების სიღრმეში წვდომისთვის არის საჭირო, არამედ ზურგის ტვინისთვის გადამცემი სიგნალებით... საბჭოთა ხალხი „მსოფლიოში ყველაზე მეტად მკითხველი“ ხალხი იყო, მაგრამ რა ვნახეთ „უმართავ 90-იანებში?“ რას ვხედავთ დღეს? რეიტინგი პუტინისა – ვისი შინაგანი სამყაროც, მისივე ლექსიკიდან და ქცევებიდან გამომდინარე, თავისუფალია კულტურის ნებისმიერი გამოვლინებისგან და რომელიც ბულგაკოვისეული შარიკოვის მოდიფიცირებული კლასიკური არქეტიპია – 80%-ს აღემატება!!!

ამ თემამ აშკარად შეუშალა ხელი ჩემს თხრობას და რაიმე ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიყოლას... დავუბრუნდები წინათგრძნობებს – ჩემი ფიზიკური და მეტაფიზიკური არსებობის ძირითად მამოძრავებლებს, რომლებიც წინ უძღოდა ჩეხოსლოვაკიის ცნობილ მოვლენებს 1968 წელს; ჩემში (ამ დროს მე უკვე სისტემატურად ვისმენდი რუსულენოვან დასავლურ რადიოს და ვკითხულობდი გერცენის „განვლილი და ნააზრევს“) უკვე ყალიბდებოდა პირველი პოლიტიკური წარმოდგენები რუსული მონგლოსფეროს ცის ქვეშ. ეს – იმ საკითხის გასაშლელად, „თუ როგორ მოვედი ასეთ ცხოვრებამდე...“ ჯერ კიდევ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (АГУ) სტუდენტი 1983-86 წლებში შევუდექი დოსტოევსკის შემოქმედების შესწავლას, რომლის იდეოლოგიური და ფილოსოფიური საფუძვლები ჩემს სადიპლომო ნაშრომში უნდა გამომეყენებინა, როგორც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მცდარობისა და საბჭოთა სახელმწიფოს

არასიცოცხლისუნარიანობის „უტყუარი მტკიცებულება“. როგორც იტყვიან – არც მეტი, არც ნაკლები! 1986 წლის მაისში სოხუმში შემთხვევით შევხვდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ მ. გ. ლადარიას, რომლის შეკითხვას – ხომ ვაგრძელებდი სადიპლომო ნაშრომზე მუშაობას, – ვუპასუხე, რომ ამის საჭიროება თითქმის აღარ იყო, რადგან ამიერიდან ჩემი ცხოვრების თითოეული დღე ჩემი სადიპლომო ნაშრომის კიდევ ერთი ფურცელი და გაგრძელება იქნებოდა. ვერ ვიტყვი, რომ მან მაშინ სწორად შეაფასა ჩემი პასუხის აზრი და შინაარსი, რომელშიც ჩერნობილის ავარიაზეც იყო მინიშნება – ამ ქალაქის სახელიც საკმარისი იყო „საბჭოეთის ურყევი კავშირისა“ თუ „პერესტროიკის“ ბედის განსასაზღვრად, რომელსაც მოჰყვა ახალი, ბევრისთვის ჯერაც გაუცნობიერებელი ბოროტება: კრემლში მოვიდა პუტინი, რომლის „სახელისუფლებო ვერტიკალი“ ადრე თუ გვიან, ფილოსოფიისა და თვით ფიზიკის კანონების თანახმად, რუსეთისთვის დასრულდება ქრესტომათიული და სისტემური „ბუნტით, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ აზრსა და ადამიანურობას“. ღმერთმა ქნას, ამ პარანოიკმა, კრემლის ამშენებლის ღირსეულმა მემკვიდრემ, რომელიც თავს დაცულად მხოლოდ ამ შენობის სქელი კედლების მიღმა გრძნობს, ვერ მოასწროს „ჯოჯოხეთის მანქანის“ ამოქმედება: მისთვის და მისი გენშტაბელი თუ ლიუბიანკელი თანამოაზრეებისთვის მსოფლიო მშვიდობისა და „მათ წინააღმდეგ ამხედრებული“ კაცობრიობის გასანადგურებლად ერთადერთი არგუმენტია საბჭოთა კავშირის ბირთვული არსენალი.

ძნელია თავი შეიკავო ომისშემდგომი, 40-იანი წლების ინგლისისა და აშშ-ის ხელისუფლების კრიტიკისგან, რომლებსაც 1945 და 1949 წლებში ჰქონდათ რეალური ძალა და უფლება – ულტიმატუმის სახით მოეთხოვათ რუსეთისგან და ეიძულებინათ ის, უარი ეთქვა ბირთვული იარაღის შექმნაზე, თუმცა მათ ეს შესაძლებლობა არ გამოიყენეს. არადა, რამდენ უდანაშაულო მსხვერპლს ავირიდებდით! რამდენი უაზროდ გახარჯული სახსარი მოხმარდებოდა შიმშილით, სიცივით, სიღატაკით, უმეცრებით, უუფლებობითა და უსამართლობით გატანჯულ მილიონობით ადამიანს! სრულიად ეჭვგარეშეა, რუსეთს (მის ნებისმიერ ხელისუფალს!) რომ ჰქონოდა ისეთი სამხედრო-ტექნიკური უპირატესობა, როგორსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდა აშშ, ის არათუ ოთხ წელიწადში, ოთხ კვირაშიც შეძლებდა „საყოველთაო ნათელი მომავლის“ მოწყობას ალასკიდან ცეცხლოვან მიწამდე...

დროა, ისევ ჩვენს ამბებს დავუბრუნდეთ. ...გამოგიტყდებით, დღემდე ვერ გავრკვეულვარ: როგორ შეეძლო ისეთ გამოცდილ ადამიანსა და პოლიტიკოსს, როგორიც ედუარდ შევარდნაძე იყო, არ სცოდნოდა, რომ სამხედრო მოქმედებები სეპარატისტების წინააღმდეგ წარმატებით არ დასრულდებოდა, რადგან, რეალურად, სეპარატისტებმა მხოლოდ „სადილის კოვზის“ ფუნქცია შეასრულეს სამხრეთ კავკასიაში რუსული სპეცსამსახურებისა და გენშტაბისთვის; როგორ შეიძლებოდა ეფიქრა შევარდნაძეს, რომ თავისი ნაჩქარევად ფორმირებული ქართული რაზმებით – საქართველოს კი იმხანად არ ჰყავდა რეგულარული არმია – შეძლებდა რუსეთთან გამკლავებას (!) მის მიერ კონტროლირებად აფხაზეთის ტერიტორიაზე? განა უცნაური არ იყო, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, წარმატების ნულოვანი შანსით სამხედრო მოქმედებებში ჩართვა? (მე ასევე დღემდე არ მესმის, რითი ხელმძღვანელობდა მიხეილ სააკაშვილი ცხინვალზე თავისი სამხედრო დემარშის დროს, 2008 წლის აგვისტოში; განა შეეძლო მას არ სცოდნოდა, რომ პუტინი არ დათმობდა ამ ომს, თუნდაც ეს ყველა იქ მცხოვრები ბრძოლისუნარიანი ოსის სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა, ჩრდილოელი ოსი იქნებოდა ის, სამხრეთელი თუ სტავროპოლელი! ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის დაეინახვებინა პუტინის რეალური სახე, რომელიც ჯერ კიდევ ცდილობდა, ლიბერალად მოეჩვენებინა თავი დასავლელი „პარტნიორებისთვის?!“ როგორც ჩანს, მართალი იყო ჯაბა იოსელიანი, როცა ამბობდა: პოლიტიკა ლობიოს ჭამა არ არისო...). ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების საბაბად იქცა მდინარე ენგურის გადალახვა ტანკებით – რუსული სარდლობისა და აფხაზეთის ხელისუფლებისთვის, რომლებიც დიდხანს და სულმოუთქმელად ელოდნენ ამ დღეს, „ციური მანანა“ იყო შევარდნაძის ეს საბედისწერო შეცდომა. ვფიქრობ, ამ გამოცდილ პოლიტიკოსს რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ საკმარისი დრო რომ ჰქონოდა მისთვის ახალ რეალიებში გასარკვევად, ის, ალბათ, ჯერ დაფიქრდებოდა, მერე კი საბრძოლო მანქანებით ადმინისტრაციული საზღვრის გადალახვის და საომარი მოქმედებების დაწყების ნაცვლად ასობით ცარიელი ავტობუსისა და ვაგონის გაგზავნის ბრძანებას გასცემდა – აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მასობრივად და ორგანიზებულად გასაყვანად ტერიტორიიდან, რომელიც, დე-ფაქტო, ომის დაწყებამდე ჰქონდა დაპყრობილი და მიტაცებული რუსეთს...

რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების მაღალი ეშელონების თანამშრომლები, რომლებიც წლების განმავლობაში აფხაზეთის საქართველოსგან ჩამოშორების საკითხს კურირებდნენ, დაინტერესებული რომ ყოფილიყვნენ აფხაზეთში ომის სწრაფად დამთავრებით, გარწმუნებთ, ის თვეებს კი არა, ერთ კვირასაც არ გასტანდა... მაგრამ ტყუილად ხომ არ ამბობენ რუსები – „ვისთვის – ომი, ვისთვის – მშობელი დედა?“ „პოლიტიკა“ ითხოვდა მსხვერპლს და, რაც მეტი იქნებოდა ეს მსხვერპლი, მით უკეთესი! რატომ? რისთვის? იმისთვის, რომ ორმხრივი სიძულვილი დაპირისპირებულ მხარეებს შორის ყოფილიყო ომის უკვე განსაზღვრული შედეგების შეუქცევლობის გარანტი, რომ მეტ-ნაკლებად პროგნოზირებად მომავალში შეუძლებელი ყოფილიყო კონფლიქტის მონაწილე მხარეების შერიგება. სწორედ ამ მიზნით აიარაღებდა „თავისუფალი აფხაზეთის დამცველი“ რუსული სარდლობა აფხაზთა სეპარატისტულ რაზმებს; მას აინტერესებდა არა იმდენად და არა მხოლოდ მოწინააღმდეგის განადგურება, რამდენადაც ეჭვი მომავალი შერიგებისა; ამიტომაც სიამოვნებით ითვლიდნენ დაღუპულ აფხაზთა რაოდენობას, რომელთა ქელეხებსა თუ მოსახსენიებელ სუფრებზე კარგად მორგებული „მგლოვიარე“ ნიღბით შეექცეოდნენ მუქთა საჭმელ-სასმელს; ამასთან, არც მგზნებარე სიტყვის წარმოთქმა ავიწყდებოდათ „თავისუფლებისმოყვარე აფხაზთა დამმონებელი“ ქართველების მისამართით...

აი, სხვათა შორის, კიდევ ერთი მითი – მითი აფხაზთა „თავისუფლებისმოყვარეობის“ შესახებ. არავისზე ნაკლებად არ ვიცნობ აფხაზებს და შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ თავისუფლება ამ ხალხის გაგებით სულაც არ არის ის თავისუფლება, რომელიც, ცნობილი კლასიკური ფორმულით, „გაცნობიერებულ აუცილებლობას“ წარმოადგენს. მხოლოდ აბსტრაქტულის, შეუძლებლისა და მიუწვდომლის სფეროში შეიძლება ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს შემდეგი სიტყვათშეთანხმება: ხის რკინა, სუვერენული დემოკრატია, რუსი სამშვიდობოები, თავისუფალი რუსეთი... ვის ან როგორ გაათავისუფლებდა ქვეყანა, რომელიც თავად არასოდეს ყოფილა თავისუფალი ამ სიტყვის საყოველთაო, უნივერსალური და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით? „თავისუფლება“ იმათ წარმოდგენაში, ვინც ხელმძღვანელობდა, მართავდა, ასულდგმულებდა, აიარაღებდა და, ამასთან, იარაღით ხელში იბრძოდა – ეს არის ქართული მოსახლეობის დაუსჯელი მკვლელობისა და ძარცვის თავისუფლება, მოსახლეობისა, რომელიც საკავშირო ხელშეკრულების დენონსაციის შემდეგ სასიკვდილო მახეში აღმოჩნდა.

საკმარისია ითქვას, რომ „სამშობლოს გასათავისუფლებლად“ წარმოებული ომის დამთავრების შემდეგ აფხაზი პატრიოტები ინერციით უკვე საკუთარ მუნიციპალურ დაწესებულებებს, სკოლებსა და საავადმყოფოებს ძარცვავდნენ; ბევრი საკურორტო ადგილი უბრალოდ აღიგავა პირისაგან მიწისა. მახსოვს, 2004 წელს როგორ შემძრა საქვაბის დემონტაჟმა, რომელსაც ცხელი წყალი უნდა მიეწოდებინა ათეულობით მრავალბინიანი სახლისთვის – რამდენიმე „ყოჩაღმა პატრიოტმა“ ის ჯართად აქცია, რათა თურქეთში გაეტანა გასაყიდად; და ამ ყველაფერს ფონად ედო, ერთი მხრივ, ხელისუფლების დანაშაულებრივი სიყრუე და სიბრმავე, მეორე მხრივ კი ათასობით თანამემამულის პირუტყვული დუმილი და გულგრილობა.

...სამშობლოში უკან დაბრუნებულს უკეთესობისკენ შემობრუნების ნიშნები რომ დამენახა, – საბინაო-კომუნალური მეურნეობის ნორმალური მუშაობა, ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვა ქალაქის კეთილმოწყობაზე, მოსახლეობის უმრავლესობის კეთილდღეობის გაუმჯობესება და ა. შ. – ჩემი ცხოვრებაც, ალბათ, სხვაგვარად აეწყობოდა. მაგრამ დანგრეული ქალაქის იერსახე, სრულიად პარალიზებული საქალაქო მეურნეობა, ქალაქში სანეპიდემიოლოგიური სამსახურის არარსებობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების უზარმაზარი გროვები, მაწანწალა ძაღლებისა და კატების წარმოუდგენელი რაოდენობა, რომლებსაც ქალაქის გულგრილი აბორიგენი მოსახლეობის თვალწინ ცოცხლად ჭამდა მკბენარი, წყალგაყვანილობის დანგრეული სისტემები, რაიმე სახის გამწმენდი ნაგებობის არარსებობა – ყოველივე ამან დაბრუნებიდან პირველივე დღეებში უარყოფითად განმაწყო ჩემს ირგვლივ ყველაფრისადმი. თუ იმასაც დავუმატებ, რომ მე, ცხოვრებაში ყველაფერზე მეტად ზღვაზე შეყვარებულ ადამიანს, ნანგრევებიღა დამხვდა ქალაქის ერთადერთი სამაშველო სადგურიდან, რომელიც ადრე მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა – ადვილი მისახვედრი იყო, რომ ჩემს „გაძლებამოთმინებას“ სადღაც წერტილი დაესმებოდა. და ასეც მოხდა. აზრი არა აქვს იმაზე მკითხაობას თუ რით დასრულდებოდა ჩემი განდეგილობა, 1989 წლის 5 მაისს, ძმისშვილს რომ არ შემოეთავაზებინა სამუშაო ახალ ათონში, სადაც ის აპირებდა გასაქირავებელი პუნქტის გახსნას ხუთი მოზრდილი ჰიდროველოსიპედისა და იალ-

ქნიანი ნავისთვის. ეს უკანასკნელი აღმოჩნდა სწორედ ის პირობა, რომლის გამოც უარის თქმა ვერ შევძელი, მივატოვე ჩემი ბოლოდროინდელი „ძვალშესალაგი“ და იმავე დღეს ძმისშვილის მანქანით დავბრუნდი შინ, გუდაუთაში.

ნავმისადგომის გახსნამდე რამდენიმე დღე რჩებოდა. დრო რომ მალე გასულიყო, თევზაობას მოვკიდე ხელი. ერთხელ ტალღამჭრელთან მისულს იქ უკვე დამხვდა ათამდე მეთევზე. ჩემი ყურადღება მიიქცია ათი, თორმეტი წლის ბიჭუნამ: ის ძალზე ემოციურად რეაგირებდა, როცა ვინმეს ანკესს თევზი წამოეგებოდა, და მთრთოლარე ხმით სთხოვდა ყველას, ცოტა ხნით მაინც ეთხოვებინათ მისთვის ანკესი, რასაც პასუხად უხეში უარი მოსდევდა. ბიჭს ჩემი ანკესი მივეცი და ვაჩვენე, როგორ უნდა წამოეგო ანკესის კაუჭზე მიდიის პატარა ნაჭერი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავის ანკესზე წამოგებული პაწაწინა თევზი დაინახა! პლაჟზე რამდენიმე რუსი დამსვენებელი იყო, რომლებიც ვერ ბედავდნენ ჯერ კიდევ ცივ წყალში ბანაობას. შევამჩნიე, რომ მეთევზეები ხშირად ნაპირისკენ შებრუნდებოდნენ, და საკმაოდ უხამსი გადაძახილებით ერთობოდნენ ახალგაზრდა ქალის დანახვაზე, რომელიც წინ და უკან დადიოდა ტალღამჭრელზე. ქალი ოცდაათი წლისა იქნებოდა, ტანმსხვილი, თუმცა სწორი აღნაგობის, ხელში სავარცხალი ეჭირა და საოცრად სქელ და გრძელ ქერა თმას ივარცხნიდა გასაშრობად. არც მანამდე და არც შემდეგ არასოდეს მინახავს ამდენი თმა ერთ თავზე – იმდენად გრძელი და ხშირი, რომ ქალი ერთ ადგილას რომ ჩაცუცქულიყო და თავი გაექნია, მთლიანად დაიფარებოდა საკუთარი თმით...

ამასობაში მზე ჰორიზონტს მიეფარა, თევზიც საკმარისი იყო ვახშმისთვის. წასასვლელად გამზადებულმა დავინახე, რომ ჩემი ანკესის მეგობარი ბიჭუნა ჩემკენ მოდიოდა... გრძელთმიან „უნდინასთან“ ერთად, რომელსაც უკვე გვირგვინად შეეკრა თმა. ჩემი პროტეჟე მისი შვილი აღმოჩნდა. ქალი მომიახლოვდა, ალერსით შემომხედა და მადლობა გადამიხადა მისი ვაჟისთვის მინიჭებული სიამოვნებისთვის. როგორც გაირკვა, მათ ოთახი ჰქონდათ დაქირავებული ქალაქის ცენტრში და იმ შემთხვევაში, თუ მე შორს ვცხოვრობდი, სიამოვნებით გამაცილებდნენ...

... ვახშამი ჩემს სახლში მცირე ხანს გაგრძელდა, თუმცა უკვე ბნელოდა. სტუმრები ოთახში დავტოვე, რომ პირდაპირ ტაფიდან, ბოლომდე მიერთვათ დარჩენილი თევზი, მე კი გარეთ გავედი ხელ-ფეხის დასაბანად. ის-ის იყო, პირსახოცს მივწვდი, რომ ლიდია (სწორედ ასე გამეცნო) უხმოდ მომიახლოვდა ზურგიდან, პირსახოციან ხელზე ხელი ამიკრა და ჩაცუცქულმა, უეცარი მოძრაობით, საკუთარი თმით დამიწყო ფეხის გამშრალება. შევეცადე, ამის ნება არ მიმეცა, თუმცა ქალი იმეორებდა, რომ ძალიან ეწყინებოდა, და თავისი გაიტანა. გამომშვიდობებისას, უკვე მის სახლთან მისულებმა, დავთქვით, რომ მეორე დღეს ისევ შევხვდებოდით, რაც, სამწუხაროდ, არ ახდა.

დაკვირვებული მკითხველი მიხვდებოდა, რომ ახლად მოვლენილი მარია-მაგდალინელის საქციელის მიზეზი სხვა რამე იყო, ვიდრე უბრალო მადლიერება შვილისთვის ანკესის თხოვებისა და რამდენიმე თევზისთვის. ვფიქრობ, ის შენიშნავდა ჩემი ოთახის კედელზე ფანქრით მიხატული თავის ქალის კონტურს ცენტრში ოთხსტრიქონიანი წარწერით: „დადგა 1989 წელი. სიცივე – შიმშილი – მარტოობა. ფიქრი სიკვდილზე, არეულობა – შიში – ფერფლი... დიდება შენ, უფალო, რომ ასეთია სასჯელი...“ დოსტოევსკის ცნობილ რომანში – „ძმები კარამაზოვები“ – არის ეპიზოდი, რომელშიც მონასტრის ბერი ზოსიმე მუხლებზე ეცემა ერთ-ერთი ძმის, დიმიტრის წინაშე, რადგან წინასწარ ჭვრეტს მის სატანჯველს. მოგვიანებით მას, უდანაშაულოს, მამის მკვლელობაში დასდეს ბრალი და კატორღა მიუსაჯეს... დაუვიწყარმა ლიდიამ ექსპრომტად, თავისებურად ჩემი ცხოვრების არა მარტო გარდასულ, არამედ მომავალ ტკივილებსაც დაუხარა თავი... ამ თითქმის ევანგელისტურ სიუჟეტს იმასღა დავამატებდი, რომ ეს არ არის ერთადერთი მაგალითი რუსი ქალების თავგანწირვის, სულიერი სილამაზისა და გამჭრიახობის. რა თქმა უნდა, ამ ფენომენსაც თავისი რაციონალური და გონივრული ახსნა მოეძებნება რუსულ ისტორიოსოფიაში. ვაღიარებ – ხშირად დავეჭვებულვარ, რომ მხოლოდ გენდერი არ განასხვავებს რუს ქალსა და რუს მამაკაცს, რომ არის რაღაც სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი... მეორე დილით, როცა ლიდიასთან შესახვედრად ვემზადებოდი, ძმისშვილმა მომაკითხა ახალ სამსახურში – ნავმისადგომზე წასაყვანად. რთული არ იყო, გამგზავრების ერთი დღით გადადება მეთხოვა მისთვის, მაგრამ რატომღაც, ჩემთვისვე გამოუცნობი მიზეზით, არ გავაკეთე ეს. თვენახევრის თუ ორი თვის შემდეგ, ერთ შტორმიან დღეს, სახლში შევიარე, სადაც კარის ქვეშ, იატაკზე, ბარათი დამხვდა – გაურკვევლობითა და ჩემი უცნაური გაუჩინარებით შეწუხებული ქალის მცირე ჩანაწერი...

ოთხი წლის განმავლობაში, დღეში 24 საათი, მაისის პირველი რიცხვებიდან ოქტომბრამდე, ზოგჯერ – ნოემბრამდეც კი (ამინდს გააჩნდა) ნავმისადგომზე ვმუშაობდი, რომელიც სანაპირო ზოლიდან 20-25 მეტრის მოცილებით მდებარეობდა. დაბალჭერიანი თავშესაფარი, რომელსაც მაშინვე „ბუნკერი“ დავარქვი, მონოლითური ბეტონის კედლებით სანაპირო ზოლსაც ამაგრებდა. მთელ აფხაზეთში სხვაგან არსად მენახა იმ ზომის ტარაკნები, ობობები და რვაფეხები, როგორებიც „ბუნკერზე“ ცხოვრობდნენ! სამაგიეროდ, ზღვა იყო მუდამ გვერდით – დღისითაც და ღამითაც...

ეს ომისწინა წლები იყო – მშვიდობის უკანასკნელი წლები ამ უბედურ მიწაზე. რაც უფრო ახლოვდებოდა 1991 წელი, მით უფრო მეტი სიხშირით ირღვეოდა მშვიდობა შიდაეთნიკური დაპირისპირებებითა და შეხლა-შემოხლით. საბჭოების ხელშეკრულების დენონსაციის შემდეგ, რასაც ე.წ. „ГКЧП“-ის მარცხი მოჰყვა, ერთიანად ირღვეოდა ნებისმიერი სახის კავშირები რეგიონებისა მეტროპოლიასთან, და ადგილებზე ძალაუფლება ყოფილი სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდა, რომელთა ხელმძღვანელებმა – „ფარული საქმეების დიდოსტატებმა“ – თავიანთ თავზე აიღეს უკვე არარსებული ცენტრის ფუნქციები.

ვინც კარგად იცის, რას წარმოადგენდა ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურები, ეჭვი არ შეეპარება იმაში, რომ დასაბამიდან დღემდე ამ, ქურდული მენტალობის ქვეყანაში ძალაუფლება რომ აღმოჩენილიყო არა სპეცსამსახურების, არამედ „კანონიერი ქურდების“ ხელში, ეს შედარებით ნაკლები ბოროტება იქნებოდა, რადგან გაცილებით ნაკლები მსხვერპლი, ნგრევა და სისხლი მოჰყვებოდა. ბოდიშს ვიხდი განვითარებული სამართლიანობის გრძნობის მქონე მკითხველთან, რომელთა რიცხვს მოკრძალებით საკუთარ თავსაც მივაკუთვნებ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ, ყოველგვარ ადამიანურობაზე ხელაღებულ ЧК-ГПУ-ОГПУ-НКВД-ГРУ-КГБ-ФСБ-ის თანამშრომლებისგან განსხვავებით, „კანონიერ ქურდებს“ (რამდენადაც მე ვიცი) ერთგვარი მორალური „ღირსების კოდექსი“ მაინც გააჩნიათ...

როცა სსრ კავშირის კგბ-ის ყოფილმა გენერალ-ლეიტენანტმა, ი. გიორგაძემ რუსეთის ერთ-ერთი ცენტრალური ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „შევარდნაძეს არასოდეს უყვარდა კგბ,“ – პატივისცემის გრძნობა, რომელიც ინტუიტიურ დონეზე ადრეც გამაჩნდა შევარდნაძის მიმართ, გამიორმაგდა. ...იმ წელს, როცა ედუარდ შევარდნაძე სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს შემადგენლობაში შევიდა, რიგაში ვმუშაობდი. ერთხელ სამუშაოდან დაბრუნებული საერთო საცხოვრებლის სააქტო დარბაზში შევედი, სადაც შეგვეძლო, ახალ პრესას გავცნობოდით. იქვე იდგა მაგიდები ჭადრაკისა და შაშის მოყვარულთათვის ან, უბრალოდ, „კულტურულად“ დასვენების მსურველთათვის. როცა ჩავუარე კედელს, სადაც, ტრადიციულად, პოლიტბიუროს წევრების სურათები იყო გამოფენილი, შევნიშნე, რომ ქვედა მარჯვენა კუთხეში ახალი წევრის ფოტო იყო დამატებული. როგორც ჩანს, დაფასთან იმაზე უფრო მეტხანს გავჩერდი, ვიდრე გარემოება მოითხოვდა, და მოთამაშეთა თუ მკითხველთა მხრიდან ვიღაცის ხმა მომწვდა: „შენ, ეი, რას დარჭობილხარ მანდ, ვერ გაძეხი თანამემამულის ცქერით?“ ხმაშიც და ნათქვამის ტონშიც იგრძნობოდა უფრო მეტი, ვიდრე ირონია ან უწყინარი ხუმრობა. – არაფერი, – შევეცადე, აღელვება არ გამომემჟღავნებინა და ადგილიდან დაუძვრელად ვუპასუხე, – აი, მეღორეც გამოჩნდა, – და მათი მხრიდან თანხმობის გამომხატველი მეგობრული ხარხარის შემდეგ დავუმატე, – ამიერიდან ღორებს მწყემსიც ეყოლებათ-მეთქი... წამიერი შოკური დუმილის შემდეგ ორი თუ სამი წამოიჭრა ადგილიდან – და რამდენადაც მათი განზრახვა არც დაეჭვების და არც იქ დაყოვნების არანაირ საფუძველს არ იძლეოდა, თავს სასწრაფო რეტიროვკით ვუშველე. გამომდინარე იქიდან, თუ როგორი გაანჩხლებით ანჯღრევდნენ ისინი ორი საკეტით ჩარაზული ჩემი ოთახის კარს, აშკარა იყო, რომ მხოლოდ საკუთარმა სიმარდემ მიხსნა მათი ულმობელი შურისძიებისგან.

90-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკურ ან ნახევრად პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული ჩემი რეპლიკები და კომენტარები, რომლებიც ხშირად გამოირჩეოდა მკვეთრი რადიკალიზმითა და უკომპრომისობით, უყურადღებოდ არ დარჩენია ახალი ათონის მცხოვრებთა უმრავლესობას, განსაკუთრებით, იგივე შეხედულებებზე ჩემგან რადიკალურად განსხვავებული, სრულიად საპირისპირო მოსაზრების ადამიანებს. ნავმისადგომის არმატურული მავთულით დაქსელილი რკინის ჭიშკარი იმდენჯერ გახდა სიბნელეში ნასროლი ქვების „მსხვერპლი,“ რომ იძულებული გავხდი, მისთვის შიდა მხრიდან „ლეჟანკები“ ამეფარებინა თავის დასაცავად.

„...Провозглашать я стал любви и правды,
чистые
ученья,
В меня все ближние мои бросали бешенно
каменья“,

– ეს ლერმონტოვისეული „წინასწარმეტყველებაა“... ჯერ კიდევ არ არის ყველა ქვა შეგროვილი, მაგრამ ამის დროც დადგება...

ჩემს სამუშაო მაგიდაზე, ნოუთბუკის გვერდით, დევს წიგნი, რომლის ავტორია 1992 წელს აფხაზეთში ომის დაწყების თვითმხილველი, სვეტლანა მიხეილის ასული ჩერვონნაია – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ეროვნებათშორისი ურთიერთობების შემსწავლელი ცენტრის თანამშრომელი (ძალიან კარგად ვიცნობ რუსულენოვანი მკითხველის უმეტესი ნაწილის ფსიქომოტორიკას, ამიტომ დაბეჯითებით ვთხოვ რუს შოვინისტებს, ნუ აღელდებიან, – ჩვენს შორის ხომ ასეთებიც არიან! ამასთან, ჩერვონნაია სვეტლანა მიხეილის ასულის ქმრის გვარია, მისი ქალიშვილობის გვარი კი ივანოვაა ან სულაც სიდოროვა). წიგნი 1993 წელს გამოიცა მოსკოვში, გამომცემლობა „მოსგორპეჩატში;“ ყდაზე აწერია „აფხაზეთი – 1992: პოსტკომუნისტური ვანდეა;“ ტიტულის გვერდი ოდნავ სახეცვლილია: „აფხაზეთი – 1992: პოსტკომუნისტური ქართული ვანდეა“ – რაც ასევე ნიშანდობლივია... ასეთი წიგნი ხელისუფლებაში პუტინის მოსვლის შემდეგ რომ გამოცემულიყო, ყველა, ვისაც პირდაპირი ან ირიბი კავშირი ჰქონდა მის გამოცემასთან, დღეს ისევე უმუშევარი იქნებოდა, როგორც მე ვარ – ჰალსტუხის გარეშე ან პუტინი – სინდისისა და ღირსების გარეშე. სხვათა შორის, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პუტინისთვის უცნობია ეტიმოლოგია სიტყვისა „სინდისი...“ 1995 წელს მოსკოვში, სადაც სამშენებლო მასალების მაღაზიის მტვირთავად ვმუშაობდი 1993-1998 წლებში, შევხვდი ჩემს შორეულ ნათესავს, განათლებით ისტორიკოსს, რომელმაც მაჩუქა ეს წიგნი და მითხრა: „ახალ ათონში მუშაობისას რამდენიმე წელი არ მასვენებდი შენი ვანდეით, აიღე ეს წიგნი, შენია. ჰო, მართლა, მეათე გვერდზე რაღაცები შენც გეხება, თუმცა მე წიგნის სათაურიდანვე მივხვდი, რომ ავტორის ნაცნობი ხარ...“

სვეტლანა მიხეილის ასული ჩერვონნაია ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ჩემს სამუშაო ადგილზე გავიცანი, სადაც ის საბანაოდ დადიოდა. არაფერი ვიცოდი მისი მივლინებისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრობაზე, უბრალოდ, მცირე მომსახურებებს ვუწევდი, როგორც საინტერესო და განათლებულ თანამოსაუბრეს; უამრავ რამეზე ვლაპარაკობდით, მათ შორის, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ მოვლენებზეც. შემდეგ ის ისევე მოულოდნელად გაქრა ჩემი თვალთახედვიდან, როგორც გამოჩნდა, მე კი, ჩემს პრობლემებში ჩაფლულს, საერთოდ მიმავიწყდა მისი არსებობა მანამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს აღნიშნული წიგნი ჩემს ხელთ არ აღმოჩნდა.

წიგნში რამდენიმე სიტყვა ჩემდამია მოძღვნილი – ვფიქრობ, ამით ავტორმა მადლიერება გამოხატა ჩემ მიმართ იმ სიტყვის გამო, რომელიც მან, როგორც მნიშვნელოვანი, სათაურად გამოიყენა; ან, იქნებ, იმისთვის, რომ იმ აფხაზთა შორის, რომელთა გაცნობაც მოახერხა აფხაზეთში ყოფნისას, მე ერთადერთი ვიყავი, ვისი შეხედულებებიც მეტ-ნაკლებად გასაზიარებლად და ადეკვატურად მიაჩნდა. აი, ეს ფრაგმენტი:

„იმავე საღამოს, ჯერ კიდევ მშვიდი და თბილი შავი ზღვის სანაპიროზე ახალ ათონში, უბრალო აფხაზი ჭაბუკი (მას ალიკს ეძახდნენ – ალბათ, ალი ერქვა; მაშველად მუშაობდა ნავმისადგომში, თუმცა უკვე დიდი ხანია ამაში აღარავინ უხდიდა ფულს; გასეირნების მსურველთათვის ორი ძველისძველი კატამარანი ჰყავდა და ოსტატურად მართავდა იალქანს თვითნაკეთ იახტაზე, რომლითაც, ომის დაწყების შემთხვევაში, თურქეთში წასვლას აპირებდა: ეს ამბავი ახალ ათონში ყველამ იცის) დაფიქრებითა და სევდიანად ამბობდა: – მათ, ვინც სოხუმის უმაღლესი საბჭოს თავზე ზოლებიანი დროშა გადმოკიდა, ჩემთვის არაფერი უკითხავთ. მე აფხაზი ვარ და, ალბათ, ქართველებზე განაწყენების რაღაც მიმეზი მეც მაქვს, მაგრამ კარგად მესმის, რომ დღეს მხოლოდ ახალ საქართველოსთან ერთად შეგვიძლია თავი დავაღწიოთ კომუნისტურ თავლას. ჩემი იმედები ედუარდ შევარდნაძეს უკავშირდება, რომელიც მხეცური სიძულვილით სძულთ, ალბათ, იმიტომ, რომ დასავლეთს ბერლინის კედელი დაუთმო, და იმიტომაც, რომ საბჭოთა ბირთვული საფრთხე აგვარიდა. კიდევ იმის გამო, რომ მან წინასწარ განჭვრიტა პუტჩი (ერთში შეცდა: ეგონა პოლკოვნიკები, აღმოჩნდნენ – მარშლები) და გააფრთხილა გორბაჩოვი; სძულთ იმისთვისაც, რომ გასულ აგვისტოში თეთრ სახლს იცავდა; იმისთვის, რომ სურს გამოათრიოს საქართველო თავისი ავტონომიებიანად სამოცდაათწლიანი ჭუჭყისგან...“

ეს ტექსტი კეთილი ქალბატონის აცახცახებული ხელით იწერებოდა, ქალისა, რომელიც ყოველდღიურად ხვდებოდა იმათ, ვინც სულსწრაფი მოუთმენლობით რაზმავდა აფხაზ, სომეხ, კაზაკ თუ ჩრდილოკავკასიელ გადამთიელთაგან შემდგარ აულაგმავ ბრბოს – ომის, ძალადობის, ძარცვისა და მკვლელობებისთვის; არის ტექსტში რამდენიმე უმნიშვნელო, თითქმის კურიოზული

შეცდომა, რომლებიც, დროისა და გარემოებების გათვალისწინებით, სრულიად გასაგები და მისატევებელია; ავტორი – ამ უდიდესი დანაშაულის პირველივე დღეების უშუალო თვითმხილველი, სულთმობრძავი ურჩხულის – საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ქრონიკის პირველ ფურცლებს ქმნიდა. ეს სამი შეცდომაა: 1) 1992-ში მე 44 წლისა ვიყავი, შესაბამისად, „უბრალო აფხაზი ჭაბუკი“ ვერ ვიქნებოდი; 2) მაშველად არ მიმუშავია; 3) მე არ მქონია „ქართველებზე რაიმეს გამო განაწყენების მიზეზი,“ რადგან საკმაოდ კარგად ვიყავი ინფორმირებული და ვიცოდი, რა სარჩული ედო ჩემს სამშობლოში მიმდინარე მოვლენებს; გარდა ამისა, როგორც ადრე ვთქვი, მაშინ უკვე თითქმის დაკარგული მქონდა ნაციონალური იდენტობის განცდა, ხოლო აზროვნების ფორმითა და მეთოდებით, ჩემს ირგვლივ არსებული სამყაროს, მოვლენების, სახეების აღქმითა და ასახვის უნარით – მე უფრო რუსი ვიყავი (და, ვფიქრობ, დავრჩი დღესაც), რადგან დავიბადე (და უკვე მოვხუცდი) რუსული კულტურის, რუსული ცივილიზაციის საზღვრებში...

ტექსტში მოყვანილი ზოგიერთი ფრაზიდან ის დასკვნა მომდინარეობს, რომ „ვანდეის“ ავტორი ახალი ათონის მცხოვრებლებისგან ჩემს შესახებ ცნობებს კრებდა იქიდან ჩემი წასვლის შემდეგ – 92 წლის 19 აგვისტოდან, აქედან – რეპლიკაც: „ეს ამბავი ახალ ათონში ყველამ იცის!“

19 აგვისტოს კი, ყველა კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღის უწყვეტი კონონადის ქვეშ, დავჭერი ჰიდროველოსიპედის თეთრ-წითელი ქოლგები; წითელი ზოლებისგან გავაკეთე ორი მეტრის სიმაღლის ორი ჯვარი, იალქანს ორივე მხრიდან სპილენძის მავთულით მივამაგრე, ავიღე თხუთმეტი ლიტრი სასმელი წყალი და ზღვაში გავედი. კურსი ჰორიზონტზე მეჭირა. ნაშუადღევს, როცა თანდათან გაძლიერდა სამხრეთიდან აქამდე სუსტად მქროლი ქარი, მოულოდნელად ნავმა ჩრდილო-დასავლეთით გადაუხვია და ნახევარი საათიც არ იყო გასული, შტორმი დაიწყო: მკითხველი, რომელმაც იცის, რას წარმოადგენს კალინინგრადის ქარხანაში წარმოებული „იანტარის“ კლასის დურალუმინის ნიჩაბიალქნიანი ნავი, კარგად მიხვდება, რას ნიშნავს ასეთი „ფარღალალა“ ნავით, ისიც შტორმულ ქარში, ღია ზღვაში ყოფნა... როცა ზღვიდან შემოჭრილი წყლით ნავი ბორტებამდე დაიფარა და ტალღები უკვე თავისუფლად გადადიოდა მასზე, შევეცადე, ნაპირისკენ მოვბრუნებულიყავი, რაც მხოლოდ რამდენიმე მცდელობის შედეგად მოვახერხე: სანახევროდ წყლით დაფარული ნავი ცურვას მხოლოდ გვერდითი საჰაერო პილონების ხარჯზე ახერხებდა და საჭით მართვას ძნელად ემორჩილებოდა; სულ მცირე შეცდომა შეიძლებოდა გამხდარიყო მძიმე ან სულაც ფატალური შედეგის მომტანი. მანევრირების უნარის სრული დაკარგვის გამო ახალ ათონში დაბრუნება შეუძლებელი იყო და უახლოეს ნაპირს მივაშურე. ნაპირამდე კილომეტრზე ნაკლები იყო დარჩენილი, როცა ზღვისა და ქარის ხმაურში რაღაც უცნაური ხმები შემომესმა და იმ აზრით შეწუხებულს – ხომ არ დაირღვა საჰაერო პილონების ჰერმეტულობა, რაც მაშინვე ჩაძირვას უქადდა ნავს – ერთადერთ იმედად მოახლოებული ნაპირი მიმაჩნდა მანამ, სანამ არ დავრწმუნდი, რომ სწორედ ნაპირი იყო იმ მომენტში მთავარი საფრთხე: როგორც აღმოჩნდა, მე ვუახლოვდებოდი რუსი სამხედროების მიერ მკაცრად დაცულ სეისმურ სადგურს, საიდანაც მხრებზე შემოდგმული СКС-დან დამიზნებით ესროდნენ ზიგზაგისებურად ნაპირისკენ მცურავ ნავს, რომლის იალქანზე ორი დიდი წითელი ჯვარი ეხატა... რაც უფრო ახლოვდებოდა ნაპირი, მით უფრო ხმამაღლა ისმოდა წყლის ზედაპირზე დაცემული ტყვიების ხმა...

ადრეც აღმოვჩენილვარ ექსტრემალურ პირობებში ზღვის სტიქიასთან, მაგრამ, როცა ამ შემთხვევას ვიხსენებ, ვერაფრით ვხვდები – თუ არა ღვთის სასწაულმა, რა ძალამ შემაძლებინა, უკვე წყობიდან გამოსული საჭით გამეხორციელებინა ოვერშტაგი – ნავის მობრუნება 180 გრადუსით ქარის საპირისპიროდ... როგორც ჩანს, ჩამითვალა ღმერთმა 1972 წლის ზაფხულში ფინეთის ყურეში ქარიშხლის დროს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადარჩენილი ოთხი ადამიანის – ორი ვაჟისა და ორი გოგონას სული და მიხსნა სასიკვდილო საფრთხისგან...

საღამო იყო, როცა უკვე ნაცნობ სოხუმის იახტკლუბის ნავმისადგომს მივუახლოვდი, სადაც თითქმის არავის მოუქცევია ყურადღება ჩემთვის და ჩემი ნავისთვის, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ბოშას, რომლებმაც წამში დაიტაცეს ნავზე არსებული წყლის მარაგი – ქალაქში უკვე იდგა სასმელი წყლის პრობლემა; იახტკლუბის დარაჯი, ალექსეიჩი დამეხმარა ნავის ცხვირით გამოყვანასა და წყლისგან დაცლაში; დაახლოებით ხუთი, ექვსი დღე ვიცხოვრე გვერდით მდგარ ტანკერზე T-17, რომელიც საწვავით ამარაგებდა სოხუმის სანაოსნოს, შემდეგ კი თევზსაჭერი სეინერით, რომელსაც ქართველი ეკიპაჟი მართავდა, სოჭში ჩავედი სხვა დევნილებთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ სომხები, ბერძნები, ბოშები... ორი

თუ სამი დღის განმავლობაში, რომელიც აქ დავყავი, „სასწრაფო დახმარების“ მანქანით რამდენჯერმე მიგვიყვანეს სხვადასხვა საავადმყოფოში, მათ შორის, ფსიქიატრიულშიც; ბოლოს, როგორც იქნა, ხუთას რუბლად ვიშოვე ადგილი მატარებლის ვაგონის სატვირთო თაროზე და ამ გზით მოვხვდი სანკტ-პეტერბურგში, რომელიც იმხანად ჯერაც ატარებდა „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის“ სამარცხვინო სახელს...

საოლქო საავადმყოფოში ჩატარებული კომპლექსური გამოკვლევის დიაგნოზში მითითებული იყო: თორმეტგოჯა ნაწლავის პროგრესირებადი წყლული, ფიზიკური გამოფიტვა, ნევროზი და სხვა. მივიღე დევნილი 9 13-ის მოწმობა, რომლის მეშვეობითაც ნომინალური თვითღირებულების 25%-ად ვიძენდი მედიკამენტებს; ამბულატორიულად ვმკურნალობდი და ვმუშაობდი პეტერბურგიდან ოთხმოცი კილომეტრის დაშორებით მდებარე ტორფის საწარმოში მომარაგების ნაწილის მტვირთავად; ამის შემდეგ სამუშაოდ გადავედი კოლპინოს სავაჭრო ცენტრის მშენებლობაზე; 93-ის ზაფხულის დასაწყისში, ჩემი ძველი მოსკოველი ახლობლის რჩევით, მოსკოვში გადავსახლდი, სადაც მუშაობა დავიწყე მეტრო ბაბუშკინსკაიასთან მდებარე მაღაზიისა და ოფისის 24-საათიან უცვლელ დარაჯად. მისმა მფლობელმა, შეძლებულმა „ახალმა რუსმა,“ ისეთი „ხელფასი“ შემომთავაზა, რომ სანახევროდ ვშიმშილობდი და ვეწეოდი „Дымок“-ს – იმხანად ყველაზე იაფფასიან სიგარეტს რუსეთში. იგივე 1993 წლის ზამთარში ადრიდანვე მოსკოვში მცხოვრები ჩემი ბიძაშვილის მისამართი გავიგე, რომელმაც სამშენებლო მასალების მაღაზიაში მტვირთავად მომაწყო – აქ ყოველგვარი შვებულების გარეშე ვიმუშავე 1998 წლამდე, რასაც ჩემს შრომის წიგნაკში გაკეთებული შესაბამისი ჩანაწერიც ადასტურებს.

ვისაც არ უნახავს 90-იან წლების მოსკოვი, მას არაფერი ეთქმის „უმართავ 90-იანებზე“ და წარმოდგენაც არა აქვს არა ოფიციალურ და დეკლარირებულ, არამედ რეალურ და ნამდვილ „რუსულ ცივილიზაციაზე,“ რომელიც განსაკუთრებით „შიშვლდება“ გარდამტეხ, კრიზისულ, არეულ დროში. ხუთი წელი ვიცხოვრე 90-იანი წლების მოსკოვში და ამ ხნის განმავლობაში ადამიანის ნებისმიერი უფლების წინააღმდეგ მიმართული უამრავი დანაშაულის მოწმე გავხდი; რიგითი ადამიანების თვალწინ ადგილი ჰქონდა ძალადობისა და ადამიანის ღირსების შემლახველ ისეთ სცენებს, როგორსაც კუბის ცნობილი „გუანტანამოს“ ციხის პატიმრებიც კი ვერ იხილავენ... საოცარია, რამდენი რამ შემორჩა თითქმის უცვლელად რუსი ხალხის მენტალიტეტსა და ფსიქოლოგიაში მე-16 საუკუნის „ოპრიჩნინიდან!“ იმ წლებში მოსკოვის ქუჩებში სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი თუ მოგმართავდათ სიტყვით – „პატივცემულო,“ ეს უნდა აღგექვათ, როგორც ფაშისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კომენდანტის საათის დარღვევა და რამდენიმე ტყვიასავით მოკლე შეძახილი – „Halt!“, „Hände hoch!“ და „Aus weiche!“ — ერთად, ერთ ფლაკონში, რაც ძირითადად მთავრდებოდა „პატივცემულის“ ფულის მითვისებით ან მილიციის უახლოეს განყოფილებაში, ე. წ. „обезьянник“-ში მოხვედრით... რუსი ოფიცრობის ღირსებისა და სამართლიანობისთვის იმასაც ვიტყვი, რომ რეგისტრაციის გარეშე მოსკოვში ცხოვრების ხუთი წლის განმავლობაში არასოდეს გამითენებია „ობეზიანნიკში“ და არც რაიმე დამცირება მიმიღია მათგან, თუმცა ისიც მესმის, რომ ამის მტკიცება იმ ადამიანებისთვის, ვინც საკუთარ თავზე გადაიტანა ბევრი დამცირება და უსამართლობა, სიმართლისგან შორს დგას. თუმცაღა იყო ერთი „უშტატო სიტუაცია,“ რომელიც ღირს იმად, რომ დაწვრილებით აღვწერო: 1995 წელს, სამების დღესასწაულის დილას, მაღაზიის ღია კარში გამოჩნდა ორი შეიარაღებული და ხელებდაკაპიწებული „ომონელი,“ – სურათის მეტი სიცხადისთვის რკინის ჩაფხუტებიღა აკლდათ! ერთი შიგნით შემოვიდა, ყურადღებით მიმოიხედა ირგვლივ, მზერა ჩემზე შეაჩერა და პასპორტი მოითხოვა. როცა დარწმუნდა, რომ რეგისტრაცია არ მქონდა, ბრძანა: „იარე!“ დავუწყე ახსნა, რომ ვარ კადრის მუშა, რომ ვიხდი გადასახადებს და ბოლოს დევნილის მოწმობაც წარვუდგინე. როგორც ჩანს, სწორედ აქ დავუშვი შეცდომა. მოწმობის „შესწავლის“ შემდეგ ისევ პასპორტს ჩახედა, ეროვნების გრაფაში ჩანაწერს გააყოლა თვალი და მკითხა: – აფხაზი ხარ?“ დიახ-მეთქი, ვუპასუხე. – აფხაზებმა ხომ ომი მოიგეს, დევნილი როგორღა აღმოჩნდიო! – რა უნდა მეპასუხა! „იარე!“ – ისევ მოკლედ და ბოროტად ბრძანა მან და ზურგზე ავტომატის ლულამიბჯენილმა გავიარე ათასგვარი საქონლით დატვირთულ დახლებსა და იქ მყოფ მყიდველებსა თუ გამყიდველებს შორის. იარაღისგან როგორღაც დისტანცირებას ვცდილობდი და ვერც შევნიშნე, როგორ ჩამომრჩა კონვოირი, რომელმაც ჩათვალა, რომ გაქცევას ვცდილობდი, და უეცრად მთელი ხმით იღრიალა: „დადგა-ა-აა!“ წამით ჩვენს ირგვლივ სივრცე დაცარიელდა თითქოს. ომონელი სულ ახლოს

მოვიდა, ლულა მკერზე მომაბჯინა და მძიმედ, ქრონიკული ასთმატიკის ხმით ამოიხრიალა: „კიდევ ერთხელ ერთ მეტრზე წინ გაიწევ – დაგ-გმარხავ! გაიგე?!“ – გაუგებარი რა არის, მეთაურო-მეთქი, ვუპასუხე... „წინ იარე!“ – იყო ბრძანება. დღემდე ნათლად მახსოვს მონაცრისფრო-მიწისფერი სახე და თეთრი, თითქოს ფერადი გარსის გარეშე დარჩენილი თვალები; მახსოვს თითი, რომელსაც ფრჩხილის ზემოდან „სამგლოვიარო“ ზოლად ერტყა ავტომატის ჩახმახის კაუჭი...

რამდენიმე ავტობუსით სხვა ჩემნაირებთან ერთად ჩერტანოვის რაიონის მილიციის ერთერთ განყოფილებაში მიმიყვანეს. კამერები ყველას არ ეყო და სხვები დროებით განყოფილების სააქტო დარბაზში მოათავსეს. „ობეზიანნიკში“ ხალხის სიმრავლის გამო მუდამ ცხელა, სუნთქვა ჭირს, იატაკი სიგარეტის ნამწვებითა და ფერფლითაა დაფარული... ჩემდა საბედნიეროდ, ორიოდე საათის შემდეგ რკინის გისოსს ნაცნობი სერჟანტი მოუახლოვდა: „შენ როგორ მოხვდი აქ?“ „ასეა... სამუშაო ადგილიდან ამიყვანეს, – ვუპასუხე გაკვირვებულს. – ახლავე მოვალო, – ჩაილაპარაკა.

... მაღაზიაში დაბრუნებულმა ცვლა დავასრულე, შემდეგ კი უგონოდ დავთვერი. ღამით, როგორც ჩანს, გული გამიჩერდა; მეხსიერებაში ჩამრჩა მკვეთრი სითეთრე და ჩემი უსასრულო მცდელობა – მეპოვა ამ გაჭიანურებულ და არამიწიერად დამთრგუნველ სითეთრეში რაღაც, რაც გამახსენებდა ძალიან საჭიროსა და ძალიან მნიშვნელოვანს და რის გარეშეც შეუძლებელი იყო ამ მტანჯველ-მოელვარე სითეთრისგან თავის დაღწევა...

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს „პროცესი,“ მაგრამ მდგომარეობიდან გამოსულს უცნაური ხმები მომწვდა: როგორც აღმოჩნდა, გვერდით ოთახებში კედელს მუშტებს სცემდნენ სომეხი კამო და აზერბაიჯანელი ნაგი... მახსოვს, „იმქვეყნიდან მობრუნებული“ დიდხანს ვერ გავერკვიე, ვინ ვიყავი, რა მერქვა, სად ვიმყოფებოდი და ა. შ. ხშირად მსმენია, რომ კლინიკურ სიკვდილის შემდეგ ბევრი ადასტურებს ერთგვარ „თეთრ სინათლეს,“ რაშიც თავადაც დავრწმუნდი. გამორიცხული არ არის, რომ ეს იდუმალი თეთრი შუქი იმ სუბსტანციის ინვერსიულ რელიქტს წარმოადგენს, რასაც თანამედროვე ასტრონომია *არაფერს* ან *არარას* უწოდებს ან იმას, რაც წინ უძღოდა სამყაროს წარმომქმნელ დიდ აფეთქებას...

... დილით, სამუშაოზე წასვლის წინ, ჩვეული მოძრაობით მოვხიე კალენდრის ფურცელი – სულიწმიდის დღე იდგა... ადამიანი, რომელმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანა, ცოტათი განსხვავდება მანამდე არსებულ „თავისი თავისგან“. შეიძლება ვივარაუდო, რომ, თუ არა კედელზე მეზობლების მუშტისცემის ხმა, სამუდამოდ დავრჩებოდი იმქვეყნიურ „სითეთრეში“ და ექიმები, ბუნებრივია, ჩემს სიკვდილს ღრმა ალკოჰოლური მოწამვლის ფატალურ შედეგად მონათლავდნენ და სრულიად სამართლიანადაც.

მომხდარზე ფიქრმა, ზუსტად არ მახსოვს, მაშინვე თუ უფრო მოგვიანებით გამახსენა ის, რაც დიდი ხნის დავიწყებული მეგონა – შემთხვევა კოლიმაზე 1970 წლის ზაფხულში.

...მივუყვებოდი მაგადან-ტალონის ტრასაზე მდებარე დასახლებას ძველისძველი სახელწოდებით – მეორე ДРП, სადაც თევზსაყინულის შესაკეთებლად გაგვგზავნეს არმანის რაიონული ცენტრის თევზკომბინატის მშენებელთა ბრიგადა. ყურადღება მივაქციე დიდ პლაკატს, რომელზეც გამოსახული იყო მფრინავი კოსმოსური ხომალდი და სკაფანდრიანი კოსმონავტი ტექსტით – „ამხანაგო, ამიერიდან ჩვენი დედამიწა სამყაროს სანაპირო გახდა!“ – ამასთან, პლაკატზე დატანილი საბჭოთა კავშირის რუკა არ იწვევდა არანაირ ეჭვს, რომ „ჩვენს დედამიწაში“ მხოლოდ საბჭოეთის მიწა იგულისხმებოდა. სულით სიღრმემდე შემძრა სხვაობამ გარემომცველი სამყაროს სიდიადესა და ხის უბადრუკ ქოხზე გაკრულ საზეიმო, ამბიციურ პლაკატს შორის. იმავე საღამოს, როცა მთელი ბრიგადა ჩვეულებისამებრ ლოთობდა, მე, სასმელით გახურებული, ჩემს პოლიტიკურ ოპონენტებს (რომელთაც ყოველთვის ვპოულობდი) ვუმტკიცებდი: „თავად იესო ქრისტე მეორედ მოსვლისას ჩვენს „საბჭოურ მიწაზე“ რომ მოგვევლინოს, ისიც, როგორც კი აქაურ ჰაერს ჩაისუნთქავს, ჯვარზე კი არა, ბაზარში წავა სომხებთან და აზერბაიჯანელებთან ერთად კარტოფილის გასაყიდად!“ – როგორი ახალგაზრდა ვიყავი, სულელი, სისხლმდუღარე და უკიდურესობამდე პოლიტიზებული... ღვთისგმობა – ეს უდიდესი ცოდვა, რომელიც ჩემს სინდისზე იყო – გამახსენდა 25 წლის შემდეგ მოსკვორეცკის ბაზრის სასტუმროს ნომერში, სადაც სანტექნიკით მოვაჭრე სომეხმა კამომ და ხილის გამყიდველმა აზერბაიჯანელმა ნაგიმ (ან მისმა რომელიღაც თანამემამულემ), შეგნებულად თუ შეუგნებლად, სიკვდილისგან მიხსნეს. ბევრს მივცემდი, ოღონდ გამეგო, რამ აიძულა ეს ადამიანები, ერთმანეთისგან შეუთანხმებლად,

სხვადასხვა მხრიდან ეკაკუნებინათ ჩემი ნომრის კედლებზე, რამაც, სმენის გავლით, ხელოვნური მასაჟის თუ ელექტროშოკის ფუნქცია შეასრულა ჩემი გულისთვის.

1998 წლის აგვისტოს დეფოლტისა და „შავი სამშაბათის“ შემდეგ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის რეგიონულმა სამმართველომ და ორეხოვო-ბორისოვოს „საძმომ“ ერთობლივად „გადაუარეს“ მოსკვორეცკის ბაზრობას აქ მომუშავე არარუსების „გასაკრეჭად“ და „დასაძირად“. 31 დეკემბერს ცვლა დავასრულე, იმავე დღეს კადრების განყოფილებაში ჩემი გათავისუფლების ბრძანებას ბეჭედი დაუსვეს, 1 იანვარს კი უკვე სანკტ-პეტერბურგში ვიყავი, სადაც ვიცხოვრე 2000 წლის აგვისტომდე. მანამდე, 1999 წელს, შევეცადე რუსული პასპორტით შემეცვალა საბჭოთა პასპორტი, მაგრამ სმოლნში, სადაც ამის გამო მომიხდა გამგზავრება, დატრიალდა ამ პროცესის თანმდევი ბიუროკრატიული მანქანა: რამდენიმე პირობასთან ერთად მათ ჩემგან მოითხოვეს დევნილის მოწმობის ახლით (ხუთი თუ ექვსციფრიანით) შეცვლა, რაც ჩემ მიერ აღქმული იყო, როგორც „არამეგობრული აქტი“. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ მივმართე საქართველოს საკონსულოს, საიდანაც გარკვეული დროის შემდეგ გადმომეცა საქართველოს საზღვარგარეთის პასპორტი, რომელსაც, ღვთის ნებით თუ ბოროტი ადამიანების მცდელობით, გამოყენება არ ეწერა...

2000 წლის აგვისტოში სამშობლოში დავბრუნდი, სადაც შევიძინე ოროთახიანი ბინა ორდერით (ბინებს, რომლებიც იძულებით დაატოვებინეს კანონიერ მესაკუთრეებს, ადგილობრივები „ნადავლს,“ „ნაალაფარს“ ეძახიან და მათი შეძენა გაცილებით იაფად შეიძლება, თუმცა მე, ჩემი მოსაზრებების გამო, მათი შეძენა არ მხიბლავდა). აქ ვიცხოვრე ბოლოდროინდელ მოვლენებამდე – უკრაინაზე პუტინის ავაზაკურ თავდასხმამდე; ამის შემდეგ ბინა ნაჩქარევად, სამჯერ იაფად გავყიდე, ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტების გაფორმების ყველა უფლება მყიდველს გადავეცი, ხოლო მიმდინარე წლის 8 მაისს სხეულიდან ჩამოვიფერთხე დანაშაულითა და ცოდვით სავსე ჩემი სამშობლოს მიწის მტვერი და კიდევ ერთხელ დავადექი შორეულ გზას...

არ შემიძლია თავი შევიკავო იმ ინციდენტის აღწერის სიამოვნებისგან, რასაც მგზავრობისას ჰქონდა ადგილი. 9 მაისს დონის როსტოვში მატარებელში ამოვიდა ცოლ-ქმარი ექვსი წლის გოგონასთან და მასზე ერთნახევარი-ორი წლით უმცროს ბიჭუნასთან ერთად. ისინი ჩემს მოპირდაპირედ დასხდნენ. ოჯახის დედის რეპლიკები გასაგებს ხდიდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებლები უნდა ყოფილიყვნენ, საბრძოლო მოქმედების ზონისთვის სასწაულებრივი მარშრუტით დაეღწიათ თავი და ახლა ერთ-ერთი მეუღლის მშობლებთან მიემგზავრებოდნენ. ამრიგად, ახალმა მგზავრებმა კიდევ უფრო მაღლა ასწიეს ვაგონში ისედაც უკრაინის გარშემო მიმდინარე მსჯელობის ტემპერატურა. მკითხველი უთუოდ მიხვდება, რომ ამ თავისებურ საგზაო დისპუტში მე ვერ ვიქნებოდი ორკესტრის ბოლო ვიოლინო... მეორე კლასის ვაგონში (ე.წ. „პლაცკარტში“) პოლიტიკურ თემებზე საუბრის წაყვანის ხელოვნება დიდი სიფრთხილითა და უნარით ახერხებს საერთოს მონახვას ყველა დაინტერესებული თუ უნებლიე მსმენელისთვის. ამ „დისპუტში“ თითოეული მონაწილე თავის დამოკიდებულებას განსაზღვრავს პრინციპით – „თავისიანი – სხვისიანი“. ასეთ სიტუაციებში ერთი გაუფრთხილებელი სიტყვა შეიძლება საკმარისი გამოდგეს იმისთვის, რომ რომელიმე აღშფოთებულმა მგზავრმა ხმაურის შეწყვეტა მოითხოვოს, ან კიდევ უარესი – გამცილებელი გამოიძახოს და მისგან მოითხოვოს წესრიგის დამყარება.

ამჯერად უფალი მოწყალე იყო და მე, როგორც იტყვიან, „იერიშზე“ გადავდიოდი. საუბრის პროცესში შევამჩნიე, რომ დევნილი ოჯახის მამა სიტყვას არ ძრავდა და ფანჯარასთან დაღვრემით მჯდომი შიგადაშიგ ბრაზიან მზერას მომაპყრობდა ხოლმე. რაკი მისი გარეგნული არაკეთილგანწყობის მიზეზს ვერ ჩავწვდი, ჩავთვალე, რომ უბრალოდ, მე ვაღიზიანებდი, როგორც პიროვნება, და ყველაფერი, რაზეც ვსაუბრობდი; არადა, ვლაპარაკობდი ბევრს და გატაცებით... ამასობაში მომდევნო სადგურში მატარებელი გაჩერდა, მგზავრები ბაქანზე გავიდნენ და მეც მათ შევუერთდი.

ვაგონში დაბრუნებულმა დავინახე, რომ სკამზე მჯდომ ცოლ-ქმარს და მათ ბავშვებს პოლიციის ორი ოფიცერი დასდგომოდა თავს; პატარებს ანგელოზისებრ სახეზე შიში აღბეჭდოდათ და უმნიშვნელო მიზეზითაც ტირილს იწყებდნენ. მათი დამშვიდება დავიწყე, ვეუბნებოდი, რომ პოლიციელი ძიები დედიკოსა და მამიკოს საბუთებს შეამოწმებენ მხოლოდ, შემდეგ ჩემთან გადმოვლენ, მერე – სხვა დეიდებთან და ბიძიებთან და ასე შემდეგ. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მომეჩვენა, რომ პოლიციელებს ჰქონდათ სურვილი თუ დავალება – რადაც უნდა დასჯდომოდათ, მატარებლიდან მოეხსნათ მთელი ოჯახი თუ არა, მამა მაინც. ასე გავიარეთ კიდევ რამდენიმე სადგური. ოფიცრები

ჩამოგვშორდნენ, მაგრამ რამდენიმე ხანს კიდევ იდგნენ გამცილებლის კუპესთან; ერთი მათგანი რატომღაც ძალიან ხშირად იხედებოდა ჩემკენ, თუმცა ვცდილობდი, ამისთვის ყურადღება არ მიმექცია და ბავშვების გართობას ვაგრძელებდი... როგორც იქნა, პოლიციელები წავიდნენ და ვაგონში განწყობა გამოკეთდა. ერთ-ერთ სადგურზე, მგონი, ეს იყო კანტემიროვო, დევნილი ოჯახი ჩასასვლელად მოემზადა; დედა ბავშვებთან ერთად წინ გავიდა, მამაკაცი კი ჩამორჩა მათ, ბარგი წამით იატაკზე დადო, მომიახლოვდა ისეთივე კუშტი სახით და უსიტყვოდ, გულითადად ჩამომართვა ხელი – ფეხზე ავდექი და მთელი გულით ვუსურვე მას და მის ოჯახს კეთილი მგზავრობა.

ამ ხელის ჩამორთმევით ღმერთმა თითქოს მე გამაძლიერა და დამლოცა იმისთვის, რომ სწორედ უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ მიმეღო უკვე კარგა ხნის მომწიფებული გადაწყვეტილება – სამუდამოდ მიმეტოვებინა სამშობლო და ხელახალი აღორძინების გზაზე მდგარი რუსეთის იმპერიის საზღვრები. 3 ივნისს პულკოვოს აეროპორტიდან სტამბოლში გავფრინდი...

„მოგონებების“ დასრულებამდე ორი-სამი დღით ადრე სრულიად შემთხვევით მობილურის არქივში რამდენიმე თვის წინანდელი ჩანაწერი აღმოვაჩინე: „პიოტრ სტოლიპინის ცნობილი ისტორიული სიტყვის პერიფრაზით თუ ვიტყვით, – პუტინს სჭირდება უდიდესი და თავისი დიდებულებით მსოფლიოსთვის შიშისმომგვრელი რუსეთი, ჩვენ კი გვჭირდება ზღაპრული ფენიქსივით ისტორიული ფერფლიდან აღმდგარი, დიდი და, ამავდროულად, წმინდა რუსეთი; ამაზედ ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს, და ვაი მათ, ვინც ამ გზაზე გადაგვეღობება“. მიამიტური ნათქვამია, ზედმეტი პათოსით, თუმცა – გულწრფელი...

ჩემი განსასჯელი არ არის, რას ვემსახურებოდი მთელი ცხოვრება ქვეყანაში, სადაც დავიბადე და ვიცხოვრე 66 წლამდე – სიკეთეს თუ ბოროტებას, ამას უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლო განსჯის, მაგრამ ის კი აუცილებლად მინდა ვთქვა, რომ, ავად თუ კარგად, გონებისა და გულის ყველა შესაძლებლობა მივუძღვენი უკეთესი მომავლის იმედს – არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის.

ვარშავის ხელშეკრულების რღვევის და „ბოროტების იმპერიის“ – სსრ კავშირის თვითლიკვიდაციის შემდეგ გაჩნდა რწმენა, რომ ჩვენი იმედები არ იყო ამაო, თუმცა მოხდა ის, რაც მოხდა... და მაინც, „არსებობს ღვთის სამართალიც – ის გველოდება!“ სწორედ მას ვუტოვებ საბოლოო ვერდიქტის გამოტანის უფლებას...

„ადექით, სასამართლო მოდის...“

P.S. გული მიგრძნობს, ჩემი „მოგონებები და ფიქრები“ სხვადასხვაგვარი განსჯის საგანი გახდება ბევრი მკითხველისთვის, განსაკუთრებით, ჩემს თანამემამულეთა შორის, a la Луговой и К ტიპის ადამიანებისთვის – ერთადერთი, რაც თქვენ შეგიძლიათ, თქვენი კაციჭამია ინსტინქტების დაკმაყოფილებაა, აქ გამოთქმული ზოგიერთი ჭეშმარიტება კი დროებითი და ხანმოკლე ადამიანური ვნებებისგან, სიმპათიებისა თუ ანტიპათიებისგან დამოუკიდებლად არსებობს – ისინი ჩვენგან, მოკვდავთაგან განსხვავებით, უნივერსალური და მუდმივი არიან...

P.P.S. თუ „მოგონებებისა და ფიქრების“ მკითხველებს შორის აღმოჩნდება იალქნიანი ნავის ან ნებისმიერი წყალწყვის იახტის მეპატრონე, მცხოვრები რეგიონში, სადაც ზამთრის პალტო აუცილებლობას არ წარმოადგენს, – ის ჩემი სახით შეიძენს ერთგულ და მადლიერ თანაშემწეს ნავის მოვლისა და ექსპლუატაციის საქმეში. ისე გამოვიდა, რომ ჩემს ხელთ არსებული საშუალებებით იმ პირობებში, რომელშიც აღმოვჩნდი გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, სხვისი დახმარების გარეშე დამდეგ ზამთარს ვერ გადავიტან, ჩემი სულის მონათესავე ნებისმიერი ეროვნების ზღვაოსნისგან დახმარების მიღებას კი სულაც არ მივიჩნევ სათაკილოდ ან საძრახისად, რამდენადაც მდგომარეობა (SOS!), რომელშიც მე ვიმყოფები, დაუსახლებელი კუნძულის ნაპირზე გამორიყული მეზღვაურის ბედს ჰგავს, რომელსაც გადარჩენის ერთადერთ იმედად ოკეანეში გადაგდებული, საგულდაგულოდ თავდაცულ ბოთლში ჩადებული წერილი ესახება...

სიცოცხლისთვის კი ბოლომდე უნდა იბრძოლო...

რუსულიდან თარგმნა
ლალი კონცელიძემ



ბუხამ ჯახუტაშვილი

•

არავინაა,
მამა-შვილის გარდა ჯებირთან,
მამა ბრმა არის, უსინათლო, ბავშვი – თამამი...
არავითარი დნმ-ი, ნაბიჯებითაც
ვერ განასხვავებ,
ისე მოჰგავს ბიჭი მამამისს.
უსინათლოა,
მაგრამ მამამ შიში არ იცის...
წინ მიდის,
ჯოხის მოძრაობებს ახშობს ნაღველით,
წინ მიდის,
როგორც სივრცეების და დედამიწის
ბოლო იმედი,
გადამრჩენი და გამნაღმელი.
არავინაა.

•

დიდი ხანია, დამძიმებულს ფიქრით, არათუ
შენი თვალები აღარ მახსოვს, უკვე თავიც კი
გადამავიწყდა – როგორი ვარ. ჩემივე პროფილს,
აურას, ნიკაპს ვერ ვუყურებ, რადგანაც არ მაქვს
სარკე, რომელიც გამომგლიჯა ხელიდან ქარმა

და ახლა სულის უდაბნოში რეზინის თოფით
წარმოსახული სიმაღლიდან ვდარაჯობ ქვიშას,
ვდარაჯობ ჰაერს და ცასავით ცარიელ წიგნის
შუაგულიდან აბზაცებით ვართობ აქლემებს,
რომლებიც მზისგან ამოტეხილ შუბლებს აქნევენ,

თან სანახევროდ დახუჭული თვალების შიგნით
მალავენ ტყეებს, მდინარეებს, ყვავილებს. თითქოს
ხვდებიან, გრძნობენ, განიცდიან, რომ მე ვერაფრით
მეხმარებიან, მიმასწავლონ – სად არის წყალი –
მოძრავი თუნდაც უსუსტესი ნაკადის ძალით...

რომ აქლემივით მეკრძალება შევხვდე შენაპირს,
ოდესმე ვიგრძნო – ამ ქალაქში თუ მოდის წვიმა,
და, თუ არ მოდის, როდის მოვა, როდის დაძრავენ
ცივი ქარები სამხრეთიდან ჟანგიან ღრუბელს,
როდის დადგება სასურველი ორისთვის – გუბე,

სადაც მარტივად გაგისწორებ რკინის ნაწნავებს.
მაგრამ მანამდეც უსიკვდილოდ მჭირდება წვიმა,
საკუთარ თავის მოსაძებნად მჭირდება სარკე,
რადგან, მე რასაც ჩემს სარკეში ვარკვევდი წინათ,
დღეს თავახდილი აქლემების თვალებში ვარკვევ.

მშრალი ხიდი

არარსებობა, მარტოობა და ენკენისთვე.
აუხდენელი ზმანებების შავი ბაზარი:
აქეთ – ბაწარი გასაყიდი. შიში. ენის ქვეშ –
ლურსმანი. იქით – დალუქული ბუდე კრაზანის.
ყიდიან პირველ შეყვარებას. პირველ ნაფაზებს.
დახლებზე ლპება განშორება. გაუცხოება.
გადამყიდველი რეალურზე ძვირად აფასებს
სხვების, გროშებად ჩაბარებულ, გზას და ცხოვრებას
ბრები. ლითონის ტორშერები. რქები მოზვერის.
პატეფონები. ამსახველი ომის – ალბომი,
ყიდიან ტკივილს – მარტოობის ქვაბში ჩალბობილს,
გადადუღებულს, გადათქვეფილს და ამოზელილს.
ყიდიან სიზმრებს. ფასდაკლებით გააქვთ ლოდინი,
ძაფზე კამათლებს უკინძავენ ქალებს – ყელისთვის,
ქალებიც თავებს აწონებენ ფილატელისტებს
კისერზე კოხტად მორგებული გილიოტინით.
ყიდიან ცვრიან ბალახებში წოლის იდეას,
დახლზეა ოქროც, ამოღებულ კბილის სინჯისვე...
ყიდიან პროთეზს სულ მოოქრულს – ამით ყიდიან
ისტორიული ჩაღიმების სინარინჯისფრეს.
ყიდიან დროშებს.ზანზალაკებს. დროგამოშებით
ყიდიან შიშებს ათეისტურს, ზოგი ცას ყიდის
და ხალხიც ცდილობს, დააწებოს გროშებს გროშები –
გატაცებული ანგელოზის გამოსასყიდი.
ყიდიან წვერებს, გაწყალებულ ღვინოს თასისთვის,
ნახატებიდან ტყეს ყიდიან, მინდვრებს, კალიებს..

საბრძოლო დახლზე შემომხტარი კაცი – რასისტი
წინაპრის ხანჯლით იგერიებს ფერადკანიანს.
ბავშვი ჯაზმენი ფაიფურზე უკრავს ჩანგლებით,
უკრავს კოვზებით, აფართოებს თეფშზე ნაპრალებს,
ვინმემ თუ ჭიქა დაითვალა ერთით ნაკლები,
მაშინვე ბავშვის სიმარტოვეს გადააბრალებს.
ეძებენ კიდეც მამა-პაპის ნაქონ განწყობას.
ჩრდილიდან მარცხნივ – სანოვაგის მაღაზიამდე
აუყვებიან ჩამწკრივებულ დახლებს, საწყობებს,
ინტუიციით – ძიებას რომ ახასიათებს.
ეძებენ წერილს, არც მიწაზე და არც გაფენილ
სარეცხის თოკზე არსად ხვდებათ ქალის ბარათი.
მხოლოდ ბეჭედი ენარცხება შვეულ ქვაფენილს
და უთეთრდება სამახსოვრო რკალი არათითს.
დგანან მუხლამდე სიმშრალეში. და ვინ ვინ არის
ველარ გაიგებ... ველარ დასვამ უფრო საშინელ
შეკითხვას, რადგან უხილავი დროის მდინარე
უკლებლივ ყველას მიაქანებს ხიდის რკალშივე,
და აყვინთავებს ყოველგვარი ვალდებულების
გარეშე ქალაქს აჭრელებულს. ვინტაჟებიანს,
ქალაქს, რომელშიც – მუცლიდანვე მსჯავრდებულები
მოქრონიკულო ისტერიით იტანჯებიან.

●

მზემ ჩაიარა
შენი ცრემლის მღვრიე კაშხალთან,
კაშხალი უცებ წამოდუღდა, წყალი გაჟღალდა,
მზემ ჩაიარა.
მას შემდეგ, რაც ჩაცდა ქანებსაც,
უბრალო წერტილს დაემსგავსა, უფრო ნანემსარს.

მზემ ჩაიარა,
გაგიხეთქა მკერდი ვერაგმა,
ათასგვარ მიწად დაგიშალა, არქიპელაგად,
კენჭებად, ქვებად, მარილებად, ფიქრის ფხვნილებად –
ასე დაიწყო სამყაროში შენი მხილება.

მზემ ჩაიარა.
ეშაფოტზე ყულფი შეიკრა,
შენც დაემსგავსე უსასრულო სიზმრის ფეიქარს,
მზემ ჩაიარა.
ჩაქროლების ბოლოს პეპლებმა
დაიწყეს რკინის მდელოებზე ჩამოფერფლება.

მზემ ჩაიარა,
ავტობანზე, სკვერში.... მეტროსთან –

გამოშვერილი ხელისგული დაუნეკროზდათ.
და შენც დაგილპა მოსახამი ლეჩაქიანად.
სახესთან როცა სამკუთხედმა მზემ ჩაგიარა.
მზემ ჩაიარა...

თოვლი

რა შეიძლება
შეცვალოს თოვლმა?
დღეს რას ცვლის,
გუშინ ვის რას უცვლიდა,
როდესაც ზამთარს აძლევდა ფორმას,
იწყებდა დილას სუფთა ფურცლიდან.
ფარავდა მიწას,
რომ სისხლის კვალი
არ დასტყობოდა ცოდვიან ლითონს,
მერე კი დიდხანს ებრძოდა მარილს
და ბრძოლის შემდეგ დნებოდა თვითონ.
ვიცოდით!
თოვლი ჩვენს მახსოვრობას
აძლევდა ნიშანს ფიფქების ცარცით,
რომ ყველა კეთილ კაცში ცხოვრობდა
არასწორ გზაზე წამსვლელი კაცი.
და ჩვენც
ახალი თოვლით ვნიღბავდით,
რაც კი რამ გულით დაგვქონდა ხისტი,
და თოვლი იყო ჩვენთვის იღბალი,
და თოვლი იყო იღბალი სხვისთვის!
ახლაც თოვს!
თეთრი ჭიანჭველების
ვერტიკალური ეშვება რიგი.
ვგრძნობ გათოშილი ღმერთის ხველებას
სიცოცხლისა და სიკვდილის იქით.
ზამთრის თითები დილას ბეჭდავენ
სახლის შემთხვევით შეღებულ კართან,
რას ვნახავთ თოვლზე უშთამბეჭდავესს,
რას ვნახავთ ახალ ფიფქებზე მართალს.
თოვს,
როგორც ადრე –
ყველა კუთხიდან –
და ზამთრის ხელი ათეთრებს ქიმებს,
არ შეიძლება არ გავუფრთხილდეთ
ჩვენში თოვლივით გაჩენილ იმედს,
ან ვის სჭირდება,
არ თქვას ნისლებთან,
რასაც ჯიუტად მალავდა დღემდე,
რაიც ისედაც ამოიხსნება
მიწაზე თოვლის გადნობის შემდეგ.
თოვს!

●

ეზოში პეშვით გამაქვს საკენკი,
გული ქუჩაში ჭურვივით გამაქვს
და ვაკვირდები, მერქნებგაქექილ
ხეებზე როგორ ჭიმავენ ჰამაკს.

დუმილის მძიმე ჭაში ვვარდები,
არაფერს ვითხოვ ზედმეტს და წვრილმანს,
უბრალოდ, მინდა, რომ ნისკარტები
მომიკაკუნოს ჩიტების წყვილმა.

●

მოხდება,
ერთხელ მაინც გამიშვებ,
ერთხელ მეც წავალ და ანაკონდას
წამახულ კბილებს, როგორც კლავიშებს,
გამოვიყენებ ბოლო აკორდად.

შიშის, ოცნების და ჩაფიქრების
გარეთ დავტოვებ თვალებს ლექიანს,
ფერფლამდე შენთვის ცეცხლი ვიქნები,
და ცეცხლის შემდეგ – ნაცარქექია.

●

ვერ მოვუფიქრე სახელი ლოდინს,
ლოდინში შებმულ ჭრიალა ურმებს.
მაშინაც, როცა არაფერს ვგრძნობდი,
ყველაზე ძლიერ მიყვარდი თურმე.


ვერ დავახვედრე ჯებირი გულში
წარსულის უცებ გადმოსხმულ დესანტს,
რა სიფრთხილითაც მიყვარდი გუშინ,
იმავე გრძნობით მიყვარხარ დღესაც.

მიყვარხარ! შუშის თვალებით გიმზერ,
ვეყრდნობი შენი მკერდის ავანგარდს
და ამოვდივარ გრძნობების ქიმზე
გრძნობების ხრამში გადასავარდნად.

●

ჩერდები. ფიქრობ. გეღიმება. მიდიხარ. უცებ
გათოვს და თოვლში არც კი იცი, ფიქრი ვის ანდო...
ვისკენ მიმართო არსებობის გრილი გლისანდო,
რა ჩასჩურჩულო აკაციის შებერილ მუცელს,
რომელსაც თოვლი გადანერგილ გულივით უცემს
და ცდილობს, ქვაზე ხელმეორედ ამოიზარდოს.

ყველა იყავი – ცა, მაგნიტი, ტალღა, სათითე,
მსურველებიდან ერთადერთი დარჩი ღმერთადღა
და, როცა სახლში მობეზრებულ თავთან ერთად ხარ,
ცოცხლდები, შიშის სამახსოვროდ სურათს ადიდებ,
თუ გაურბიხარ მტრებს – სიცოცხლეს იწყებ მათითვე
და ნალურსმევის დასაფარად იცვამ ხელთათმანს.



ჯაჰჯი ფხოველი

ვიგონებ წარსულს

ხომ ის დრო არი, რო ითავცემო,
არიე თოვლში შენი თმაწვერი:
იმ წლების გვემა, იმ წლების გემო,
იმ წლების ტექსტი, გადასაწერი,
როცა ღრუბლებმა დაკლეს შენი მზე,
როცა მისდიე იმედს, ცარიელს...
როცა სატანის სულის ზეიმზე
შენი ცრემლები ლაფში არიეს...
როცა და... უნდა დაახრჩო, გვემო
ის: ბედისწერის შავი ფრინველი:
იმ წლების ცრემლი, იმ წლების გემო,
იმ წლების ტექსტი: გულის მყინველი!

2014.

●

მოდი, დაამშვიდე შეთქმული სიტყვები:
ამქვეყანაზე იმედი ხომ ყველას ეკუთვნის,
იმ ველური ნადირის გარდა,
ვინც აღაგო ციხეკოშკები,
ვინც შორიდან თვალებს გიმწვეტებს,
ვინც გაგაძევა თავის ჯოგიდან!
ვისაც უკვე მეტისმეტი ჰგონია შენთვის
საარაგვოს მთების ჰაერი:
შენ რომ სუნთქავ,
დაფლეთილ გულს რითაც იმაგრებ...

მოდი, დაამშვიდე სიტყვები,
დაამშვიდე ხორციელი, გულჭირიანი...
უთხარი, რომ ყველასია
საარაგვოს მთების ჰაერი:
ყველასია ეს ღრუბელი,
ცივბორბალოს ვეშაპის ჭარს
და ქანჩახებს, კბილმოტეხილებს,
კვამლად რომ ასდის მაისის თვეში...

2014.

და ის გადარჩა

წვიმის წკავწკავი წლებმა წალეკეს.
ავი დრო იდგა: სტვენდა ისარი...
და ქართულ სიტყვას: ლექსის სანერგეს
რწყავდენ ცრემლები სამოთხისანი...
და ის გადარჩა მდინარესავით:
თითქოს ნეტარი ლოცვა ღვთაების...
და ის გადარჩა: ხმლის გამლესავი,
პირველსიტყვა და პირველტაეპი...
და ის გადარჩა: იმის განაჩენს
იგრძნობ და ცისკე აიმართები...
და ის გადარჩა... და შენც გადარჩი,
გადარჩა ძველი მისამართები...
ისიც გადარჩა: სულის ობობა,
ჯავრი, მომჭრელი შენი მარჯვენის:
ჯავრი სიბერის, ჯავრი ობლობის,
გულში რომ კვნესის, დასახარჯველი...
გადარჩა ხსოვნა: ის ვერ წალეკეს,
დარდს რომ აქარვებს, ეხლა ის არი...
იხსენებ სიტყვას: ლექსის სანერგეს
რწყავდენ ცრემლები სამოთხისანი...
და ის გადარჩა...

2014.

სურვილი

ძალიან მინდა რომ მივატოვო
ჩემი პირქუში გამოქვაბული:
პრეისტორიული და დევების ნაცვეთი მღვიმე...
ძალიან მინდა წარსულ გზებზე სიარული ვისწავლო ისევ.
მინდა, ჩავწიხლო გამოვლილი დრო, ნაღვლიანი,
უდაბნოს ღამე, უვარსკვლავებო...
მინდა, შენთან ჩამოვჯდე სადმე,
რომ ისევ ვიგრძნოთ და შევირიგოთ

ეს პირშავი დღე,
გულებში რომ უკითხავად შემოპარულა...

მინდა, მოგიყვე სულპატარა შვილიშვილებზე,
მინდა გითხრა, რომ სიბერე
მკვდარი გულის თრევა ყოფილა...
და ეხლა, მართლაც, ბედნერი ხარ,
რომ არ გინახავს ის ღრუბელი, გულჭირიანი,
სიბერე რომ მოგვახვევს თავზე...

მინდა, რომ ისევ შენთან ერთად ჩამოვჯდეთ სადმე,
თუნდაც, აი, იქ:
დიდი მარტყოფის დედათა მონასტრის წმინდა ეზოში,
სასაფლაოს მოწყენილ კორდზე,
სადაც ჯოყრები კანკალებენ საღამოს ქარში,
სადაც ვინმე უხილავი და გრძნეული ბალახის ფურცლებს
ჩუმი კვნესით ალაპარაკებს:
და ჩემი გული გულისგულში მარხავს, ტიალი,
შენს ობოლ სიტყვებს,
ისე,
როგორც შავეთიდან ამოშვერილ ბალახის ფოთლებს.

2014.

●

ოხერ გულზე ნაწყენები:
ისე,
როგორც ნატყვიარები!..

და შენს თმაში შერეული ღრუბლის ქულები...
და ჩამქრალი მზე და მთვარე
შენს თვალებში, დასათხრელებში!
და შეცდომები,
და წაშლილი მოგონებები,
და წაშლილი სტრიქონები,
და წაშლილი მისამართები...

და ტიალი მიწის ნაპირი,
სულ რომ გაგირბის,
მაგრამ მაინც წინ გელოდება!

ავთვალს გაურბის,
მუხანათის მახვილს გაურბის:
ის გარბის,
მაგრამ ყველა გზებზე შენ გელოდება!

2014.

მარტოერთი

ძველლიბრი

და ასე იყო: მარტოერთი და ლანდი ოდენ.
ისმოდა გმინვა: კვნესდა მაცილი...
წლები აქ მაინც არ იცდიდენ და გადიოდენ...
და იგი გრძნობდა მარტოკაცივით

აქ დროის ყაყანს... და უკუნეთს და უკაცრიელ
ტრამალის სუნთქვას... ჟამი ხვრელივით
ხვრეპდა წყვდიადებს.... და ის ეგდო ყინვით აცრილი
აჩრდილი: დროის ამონახველი...

2014.

თავისთავზე

ნაღავჯიავარ თავისქალაზე
გაილანდებაა შენი წარსული:
აქ ხომ უღრმესი ჭრილობებიდან
დარდიც ჟონავდა და ტკივილიც: ღვთითდაწყევლილი...

აქ ხომ თავისთავს თამაშობდი, გულჭირიანი,
და პოეტობას თამაშობდი,
საქართველოს დარდს თამაშობდი...
და შენს დაკეჭნილ თავისქალაზე
მხოლოდ ეს დარჩა: მომავალი გველნაკბენივით...
და სიტყვების შავი მინდორი,
უიმედობის მძიმე ჯაჭვით შემოღობილი...

მხოლოდ ეს დარჩა
აქ თამაშის კვალდაკვალ: შავი
დღეების ლიბრი, განუჭვრეტელი,
და შავი ფანქრით დახატული,
შავად ნამღერი
სტრიქონები, როგორც იმედგაცრუებები...

2014.

ავტოპორტრეტი. 2014

შენ: გულნაკლული, შენ: გულდაკლული...
ველარ დამალავ გულებს, დათვლილებს!
სტრიქონს უხდება ხელი, გაკრული:
შენ ეს ფურცელი ცრემლით დათრთვილე...

და ითამაშე საღვთო თამაში:
ვიდოდი დიდი დარდის მეურვე...
აქ პოეზიის გრძელ აკლდამაში
დატოვებ ლექსებს, შხამდალეულებს!

2014.

●

სიზმრიდან აგყვა გველის ნაკბენი.
ეს დღე ავი და ეს დღე საშიში
შავი შავეთის შავნაღველს გაკმევს
გულში დახეულ ხანჯრის კვნესაში.

შეგეგებება დედის ქვითინი:
დიდიხანია, ვიცი, იქ მელის...
ესეც სიკვდილის გასაქვითია:
ცხოვრება, შხამთან გასარითმელი...

იმედს ნუ ელი: უთხარ უარი,
ვინც წასულია, აღარ მოვა შინ...
სიცოცხლეს გაცვლი დედის ცრემლებში:
სხვა მზე ამოდის დედის გლოვაში!

2014.

●

არ იცდის ჟამი, ტიალი,
ქუდმოშვლეპილი გარბის...

მთვარე: ხან იატაგანი,
ხანაც: დედოფლის წარბი...

შორს დარჩი, გულო, ოხერო,
აღუვსებელი, ხარბი...

არ გაიკვირვო, რო დაგთმე,
წარსულს რო გადაგაბი...

ნუ მოძებნიან: ამოწყდა
მიმტანი შენი ამბის!..


13



ბია სიამაშვილი

სადღეისო ჩანაწერები

პატრონყმობა თუ დემოკრატია?

ქართულში „უპატრონო“ შეურაცხმყოფელი განსაზღვრებაა. ყველას და ყველაფერს – კაცს, ოჯახს, ორგანიზაციას, რაიონს, ქალაქს და, რა თქმა უნდა, ქვეყანას უნდა ჰყავდეს პატრონი ან პატრონები. ეს არის ჩვენი სოციოკულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ძალაუფლების მქონე პირი ითვალისწინებს ამას და, რა გინდ მცირე ჯგუფსაც უნდა ხელმძღვანელობდეს, საჯარო სივრცეში თავს წარმოაჩენს, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი პატრონი. ამაში თითქოს ცუდი არაფერია, მაგრამ ერთი უცხოური ანდაზა მახსენდება: შვიდ ძიძას ბავშვი თვალდავსებული ჰყავდაო. ასეა ჩვენი ქვეყანაც. ვისაც არ ეზარება, ყველა მის პატრონობას ჩემულობს. ერთი „პატრონი“ ახალ ხელისუფლებას ზედმეტ ლოიალობაში სდებს ბრალს. მე ყველას დავიჭერდიო, – ძველი ხელისუფლების წევრებს გულისხმობს. საქართველოს მთელ მოსახლეობას დავაპურებდი და გავათბობდიო... მედიასაშუალებები მოხერხებულად იყენებენ პატრონობის მოყვარულთა ემოციებსა და ენერგიას. რა თემაზეც უნდა უსვამდნენ შეკითხვებს – ეკოლოგია, ენერგეტიკა, ჯანდაცვა, განათლება, ტერიტორიული მთლიანობა – ყველაფერზე პასუხი აქვს. აბა, როგორ შეიძლება, პატრონმა რაიმე არ იცოდეს, მაშინ რაღა პატრონია? ისე, მართლა რომ გახსნან, ვთქვათ, ჩინელებმა საწარმოები ან მოაწყონ ფერმები, არა მგონია, რომ ეს მოლაპარაკე პროფესიის ადამიანები ან მათი მსმენელები იხვეწებოდნენ მიგვიშვით ღუმელთანო. რა არის ამისი მიზეზი – ეთნოფსიქოლოგია, სოციოკულტურა თუ „მძიმე მემკვიდრეობა?“

პატრონყმულ სისტემაში აუცილებელია ერთი დიდი პატრონის არსებობა, რომელიც მომცრო პატრონებს გამოუყოფს მათ საპატრონებელ თუ საბრძანებელ არეალს. როდესაც ერთი დიდი პატრონი მიდის, სოციალურად აქტიური ადამიანები თადარიგს იჭერენ და ერთვებიან ადგილებისთვის ბრძოლაში. ამ დროს ტელეგადაცემები უფრო მეტ მაყურებელს იზიდავს. ადამიანები საკუთარი მომავლისთვის იბრძვიან, მავანს კი ჰგონია, რომ ქვეყნის სიყვარულსა და პატრიოტიზმში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ყველა დიდი ქართველების შთამომავლად და მათი საქმის გამგრძელებლად აცხადებს თავს. როგორც კი ძალაუფლების გადაცემის ცერემონიალი მთავრდება, „პატრიოტიზმის“ მოტივაციაც და დემოკრატიაზე ლაპარაკიც წყდება. 80-იანი წლებიდან უკვე მეოთხედ ვარ ანალოგიური პროცესის მომსწრე და ეს ხდება არა ვიღაცის ან ვიღაცების ბოროტი ნების გამო, არამედ იმიტომ, რომ პატრონყმობა და დემოკრატია შეუთავსებელი ცნებებია. ან ერთი უნდა გვინდოდეს, ან მეორე. მოსახლეობა კი კვლავ „კარგი პატრონის“ მოლოდინშია.

ინტელიგენცია

ადამიანი არ იცნობს საკუთარ თავს, ზედაპირული წარმოდგენა აქვს შინაგან „მე“-ზე. თვითცნობიერება უსარგებლო ეჩვენება. ადრეულ ასაკში უყალიბდება რაღაც ღირებულებები, რომლებიც გარესამყაროსთან ურთიერთობას უზრუნველყოფს. რა საჭიროა საკუთარ თავში ჩაღრმავება, ქვეცნობიერში მოგზაურობა, მით უფრო, რომ ვერაფერ საინტერესოს და ორიგინალურს იქ ვერ აღმოაჩენ. თავსატეხი კი ბევრი გაგიჩნდება. არსებობს საზღვარი, რომლის იქით ყველაზე გამჭრიახი გონებაც კი უძლურია რაიმე დაინახოს. ამიტომ ადამიანები ამჯობინებენ „ტივტივას“ ცხოვრებას. რა სჯობია ტივტივად ყოფნას – მზეც გეალერსება, ტალღებიც გათამაშებენ, ჩაძირვა არ გემუქრება: როგორი ამინდიც უნდა იყოს, სულ ზედაპირზე ხარ პროცესებში ჩართული. ტივტივა მოდერნული ადამიანის კლასიკური სიმბოლოა. შეუძლებელს ნუ დაისახავ მიზნად, დაისახე მსუბუქი, სასიამოვნო და შესაძლებელი. სულიერი საფუძველი, საზრისი, ზეამოცანა, პრინციპების ერთგულება ძველმოდურია. არავითარი პრინციპები – სიტუაციებზე ინტუიტური რეაგირება, არავითარი საზრისის ძიება, სიტუაციაში სწრაფად გარკვევა და ადეკვატური რეაგირება. არაერთ ახალგაზრდა კაცს გამოუთქვამს საყვედური იმის თაობაზე, რომ ტრადიციული განათლება იძლევა არა პრაქტიკულ ცოდნას, რომელსაც გამოიყენებ, არამედ მსოფლმხედველობას, რომელიც, პირიქით, ხელს გიშლის ადაპტაციაში. პედაგოგთა უმრავლესობა სხვა სისტემის პირობებში ჩამოყალიბდა და, შესაბამისად, იმ კულტურის მატარებელია, რომელიც ეწინააღმდეგება თანამედროვე პრაქტიკას. საზოგადოების დიდი ნაწილიც იმ ქვეყნის წესებით აგრძელებს ცხოვრებას, რომელიც დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. ვკითხულობ სტატიას საბჭოთა ინტელიგენციაზე, რომელიც, ავტორის აზრით, როგორც ფენა, აღარ არსებობს, მაგრამ არსებობენ მისი წარმომადგენლები. მათი უმეტესობა იმ ილუზიით ცხოვრობს, თითქოს წარმოადგენს რაღაც ფენას, რომელიც პასუხისმგებელია ახალგაზრდა თაობის აღზრდაზე, კულტურის განვითარებაზე, პოლიტიკურ პროცესებზე, მათ ანალიზსა და განჭვრეტაზე. ამ ილუზიით ახდენენ თავიანთი იდენტობის დადგენას.

„მეტაფიზიკოსების“ დრო აღარ არის

ორტეგა-ი-გასეტის „მასების ამბოხიდან“ მახსენდება ერთი ადგილი, რომელიც მასის წარმომადგენელის ცხოვრებისუნარიანობას ეხება. მისთვის არ არსებობს მეტაფიზიკური შრე და იგი თხუნელასავით მიზანმიმართულად თხრის ლაბირინთს, იწყობს ცხოვრებას, მიიწევს წინ და თითქმის ყოველთვის აღწევს მიზანს. გზადაგზა შემხვედრ ჭიაყელებსაც გეახლებათ. ადამიანებს კულტურის „კოსმეტიკის“ გარეშე უყურებს და აფასებს. ესეც წარმატების საწინდარია, რადგან საბაზისო მოთხოვნათა დონეზე ყველა ერთნაირია და ადვილად პროგნოზირებადი. მაგრამ თუ ადამიანი კითხვასა და ფიქრში ატარებს დროს, გატაცებულია პოეზიით, რელიგიით ან ხელოვნების ისტორიით, წასულია მისი საქმე ხელიდან. ერთი ავანგარდისტი პოეტისა არ იყოს: „პატიოსნება ხდება დოგმატი, როცა ხაზინის ზიხარ ჯიბეში, ბაბუა მყავდა არისტოკრატი, რომელიც მოკვდა სიღარიბეში...“ ასე შეუმჩნევლად მიდიან ადამიანები, რომლებიც ფიზიკურ სამყაროში მეტაფიზიკური წარმოდგენებით აგრძელებენ ცხოვრებას. გაორებას არ პატიობს მკაცრი რეალობა. თუ აქაური ხარ, აქაური ქუდი დაიხურე – ლარებზე იფიქრე და არა ვარსკვლავებზე. მეტაფიზიკოსების დრო წავიდა და თან – დიდი ხნით.

ქართლის ჭირი გუშინ და დღეს

თორმეტი წლის წინათ გერმანელი სოციოლოგი იყო ჩვენთან სტუმრად. ერთ-ერთ ლექციაზე დასვა შეკითხვა: რა ღირებულებები კრავს საზოგადოებას? მისი სტრუქტურის შემაკავშირებელ ელემენტებად დაასახელა ენა, რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა და ფული. გაიხსენა ჩვენი ავბედითი 90-იანი წლები, რომლებმაც ომთან და არეულობასთან ერთად მოიტანა ეკონომიკური ცხოვრების კატასტროფული ვარდნა, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი ურთიერთობების წყვეტა. ბევრს ქალაქის ფარგლებშიც კი არ ჰქონდა გადაადგილების საშუალება, რომ აღარაფერი ვთქვათ რაიონში გარდაცვლილი ნათესავის გასვენებაში ჩასვლაზე. როდესაც ქვეყანამ თითქოს

თავი დააღწია არეულობას, ოდნავ შეიხორცა ჭრილობები, სიდუხჭირე წყევლასავით აედევნა. მერე იყო „ვარდების რევოლუცია,“ რომელსაც, ბევრის წარმოდგენით, საბოლოოდ უნდა გაეტანა სოციალიზმის „რადიაციული ნარჩენები,“ – შევარდნაძის რეტროგრადული მთავრობა – და ფართოდ გაეღო კარი დასავლეთისთვის. მთავარ პანაცეად „ნატოში“ გაწევრიანება მოიაზრებოდა. პროდასავლური ახალგაზრდა ხელისუფლება აღიქმებოდა, როგორც ერთგვარი გზამკვლევი სანუკვარ დასავლურ „სამოთხეში“. რა იყო შემდეგ, ამის მოყოლას აღარ შევუდგები. დღესაც ქვეყანა იმავე გადაუჭრელი ამოცანების წინაშე დგას, რომლებზეც დამოუკიდებლობის დღიდან ვლაპარაკობთ. მიზეზი მარტივია, ის ჩვენს პოლიტიკურ სისტემაშია: ხელისუფლებაში მოდის გამარჯვებული კლანი, რომელიც რაღაც პარტიას ან პარტიათა კოალიციას უწოდებს საკუთარ თავს და უკონტროლოდ ეუფლება ქვეყნის რესურსებს. ამ დროს სხვა კლანები ან თანამშრომლობას იწყებენ მასთან, ან იატაკქვეშეთში მიდიან და ელოდებიან თავიანთ ჯერს. ასე გრძელდება დამოუკიდებლობის დღიდან.

რა არის ამის მიზეზი? – ჩვენი უბედობა, ინფანტილიზმი... ალბათ, კიდევ ათიოდე „იზმის“ ჩამოთვლაა შესაძლებელი, მაგრამ რას შველის ეს საქმეს?

შემაკავშირებელი ელემენტებიდან ვინარჩუნებთ ენას, თუმცა სრულიად ბარბაროსულად ვეპყრობით მას. რადგან ქვეყანა მთლიანად მედიასივრცემ შთანთქა, სადაც კულტურას არ აჭაჭანებენ – რეიტინგული არ არის – ენის როლი დაყვანილია ინფორმაციის გაცვლამდე, რისი გაკეთება „მორზეს ანბანითაც“ კი მოხერხდებოდა. რელიგია სრულიად გაუაზრებელია და ყველას საკუთარი წარმოდგენა აქვს მის არსსა და მნიშვნელობაზე. მედიასაშუალებებში „საღმრთო წერილს“ ან რაღაც კონსტიტუციად აღიქვამენ და მიდის მისი „მუხლობრივი“ განხილვა, „მცნებებისა“ და „წერილების“ დილეტანტური ინტერპრეტაციები, რათა მასობრივი მსმენელისთვის უფრო სახალისო მოსასმენი იყოს; ან ძველი ქართულით სახარებიდან ნაწყვეტების კითხვა, თითქოს ყველა ქართველისთვის გასაგები იყოს ეს ენა. რელიგიათმცოდნე, რომელიც გასაგები ენითაც ისაუბრებდა და შთაგონების უნარიც ექნებოდა, დიდი იშვიათობაა. ამას ხომ ხარისხიანი საერო და სასულიერო განათლება სჭირდება. ხანდახან ვკითხულობ საუკუნის წინანდელ ეპისკოპოსთა წერილებს – საოცარი შერწყმაა სიმარტივისა და ამაღლებული სტილის.

ერთიან ეთნიკურ წარმომავლობას ვცნობთ, რაც სრულიად არ გვიშლის ხელს ერთმანეთთან ქიშპობასა და ბრძოლაში. გარდა ამისა, დამკვიდრებულია ე.წ. პოსტმოდერნული სტილი, რომლის მიხედვითაც „ყველაფერი მოსულა“. ასეთია ქართული პოსტმოდერნი, არ ცნობს არავითარ ეთიკურ ნორმებს და არც საზღვრებს. რაც შეეხება ფულს, როგორც სოციალური სტრუქტურის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, აქაც ცუდად გვაქვს საქმე. უმრავლესობისთვის ფული არ „იშოვება,“ რაც ავტომატურად თამაშგარე მდგომარეობაში აყენებს მას, ზოგს კი ბევრი აქვს, რაც აუცხოებს საზოგადოების დანარჩენი წევრებისგან, ბადებს შურს, რევანშის სურვილს და ხშირ შემთხვევაში სიძულვილსაც კი. ჯიპიდან გადმოსული კაცი ისე უყურებს არემარეს, როგორც კოლონიზატორი მისდამი აშკარად არაკეთილგანწყობილ სივრცეს.

საზოგადოება კვლავ დეზინტეგრირებულია. არა აქვს შინაგანი სტრუქტურის რაიმე მყარი შემაკავშირებელი ელემენტები. ეს ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას და დაუცველს ხდის მას გარეშე ძალის წინაშე, სულერთია, მახვილით გიპყრობს ეს ძალა თუ დოლარით.

„დედა არა გყავს, დოქსოპულო?“

რომელი სცნობს შენს სახეს,
ან ვინ იტყვის შენს სახელს?
გალაკტიონი

გამახსენდა ცხარე დებატები პირადობის მოწმობაში ეროვნების აღმნიშვნელი ჩანაწერის გაუქმების და მამის სახელის ამოღებასთან დაკავშირებით. ამ ნოვაციის მომხრეები თავიანთ პოზიციას რამდენიმე არგუმენტით ამაგრებდნენ. ერთ-ერთი იყო, რომ ეს გახლდათ საბჭოთა გადმონაშთი, რომ ეროვნების ფიქსირებით იმპერია ახორციელებდა „დაყავი და იბატონეს“ პრინციპს. ოფიციალურად ყველა თანასწორუფლებიანი მოქალაქე იყო, ამასთანავე, ყველას უნდა ხსომებოდა, რომელი ერის თუ ეთნოსის სახით შედიოდა „ძმურ კავშირში“. ერებს და ეთნოსებს ხომ განსხვავებული სტატუსები ჰქონდათ: ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკა, რესპუბლიკა. სახელი-

სუფლებო იერარქიაში ეროვნებას, რა თქმა უნდა, ენიჭებოდა მნიშვნელობა. გაუქმების მომხრეთა უსუსური არგუმენტი ისიც იყო, რომ თითქოსდა აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს ამ მეხუთე გრაფამაც შეუწყო ხელი, თუმცა V საუკუნეში პასპორტები არ არსებობდა და თხუთმეტი წლის მეფე ვახტანგმა მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა: „ისმინეთ ხმისა ჩემისა; არა დავითმინო კიცხევა ოვსთა“ და წარჩინებულებს ოსებზე სალაშქროდ მოუწოდა...(ქართლის ცხოვრება, ტ.1 გვ. 143)

რაც შეეხება მამის სახელის ამოღებას, ამასაც იმპერიული გადმონაშთით ამართლებდნენ. მამის სახელით მიმართვა ხომ რუსული ტრადიციაა, რომელიც თითქოსდა მონღოლებისგან დარჩათ მემკვიდრეობით. ამის შესახებ ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი, თუმცა დღემდე პროვინციულ მიმბაძველობად მიმაჩნია, როდესაც ვითომ განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნით კაცს მამის სახელით მიმართავენ. ზოგიერთი ქართული სახელი ანეკდოტურადაც კი ჟღერს „ვიჩის“ დამატებით.

საბოლოო ჯამში ნოვაციის მომხრეებმა გაიმარჯვეს და პირადობის მოწმობაში არც მამის სახელი ფიგურირებს და არც ეროვნება. მითითებულია ნომერი, სერია, დაბადების ადგილი და თარიღი.

რატომ გამახსენდა ეს ამბავი? ჩვენი დროის ერთ-ერთი ტრაგიკული ნიშანი ბიოგრაფიის „გაქრობაა“. საბჭოთა საქართველოში სამსახურში მიღების დროს ბიოგრაფიის დაწერა ლამის საავტორო სტილის ფლობას მოითხოვდა. ეს იყო რაღაც მემუარული ჟანრის ნაწარმოები, რომელშიც, შენს გარდა, ფიგურირებდნენ მშობლები, მათი განათლება, სოციალური წარმომავლობა, პროფესია... შემდეგ: რომელ წელს რომელი სკოლა დაამთავრე, რა სახის ჯარში მსახურობდი, გყავს თუ არა ოჯახი, შვილები, ნამყოფი ხარ თუ არა საზღვარგარეთ და რომელ ქვეყნებში, ნასამართლევი ხომ არა ხარ და ასე შემდეგ... ავტობიოგრაფიის წერის დროს ადამიანი იგონებდა მთელ გავლილ ცხოვრებას, მნიშვნელოვან და სამახსოვრო თარიღებს. დღეს ეს დაიკარგა, პირადი ცხოვრება „სივის“ ასლად გადაიქცა, ფარატინა ქაღალდად, რომელშიც წერია ის, რასაც არავითარი ცოცხალი კავშირი არა აქვს ადამიანთან. თუ ბიოგრაფია მშრალ ანკეტურ მონაცემებამდეა დაყვანილი, პიროვნება იკარგება, მასაც საკუთარ ბიოგრაფიაში მხოლოდ მშრალი ფაქტები აინტერესებს, ის, რაზეც არსებობს დაკვეთა. კაცი იქცევა ფუნქციონერად, რომლის სატირული სახე მოცემულია კაფკას „მეტამორფოზაში“ – ადამიანური ცხოვრების უარმყოფელი ზამზა მწერლის ფანტაზიით გადაიქცევა ხოჭოდ და ოჯახის წევრების მიერ მოძულებული კვდება საწოლქვეშ შეყუჟული.

დეპერსონალიზაციის ერთ-ერთი გამოვლენაა პირადობის მოწმობის გამარტივებაც. ვის რაში აინტერესებს „რომელი გორისა ხარ,“ რა ერქვა მამაშენს, მთავარია პირადი ნომერი და სერია. ჰო, რაც მთავარია, ტრენინგებში მონაწილეობა. ტრენინგი ნიშნავს წვრთნას. ჰოდა, აინტერესებს დამქირავებელს, რამდენად კარგად ხარ გაწვრთნილი. ეს უკვე ზოომორფული ბიოგრაფიის მახასიათებელია.

მძიმე მემკვიდრეობის „ტრადიცია“

პირველად ამ ტრადიციის შესახებ სკოლაში შევიტყვე XX საუკუნის სსრკ-ის ისტორიის სწავლების ჟამს. სახელმძღვანელოთა ავტორები პათოსით ყვებოდნენ იმის შესახებ, თუ როგორი ძალისხმევის და მსხვერპლის ფასად უწევდა მშრომელ ხალხს ბრძოლებში მოპოვებული თავისუფლების დაცვა და შენარჩუნება. გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანას ყოველი მხრიდან ესეოდნენ მტრები, ქვეყნის შიგნით კი დამარცხებული თავადაზნაურობა და ბურჟუაზია შეთქმულებას შეთქმულებაზე აწყობდა. კოლჩაკის და დენიკინის არმიები ახალგაზრდა რესპუბლიკის სისხლში ჩახრჩობას ლამობდნენ, მათი ბუნებრივი მოკავშირეები კი საწყალი გლეხების ექსპლუატაციით გაზულუქებული კულაკები იყვნენ. მაგრამ აი, როგორც იქნა, მუშურ-გლეხურმა მთავრობამ დაამარცხა ვერაგი მტერი და დაიწყო ომებით გაპარტახებული ქვეყნის მშენებლობა. ასე სკოლიდან იწყებოდა მტრის ხატის „ძერწვა“. მძიმე მემკვიდრეობის კატეგორიაში გადიოდნენ არა მარტო ღია და ფარული მტრები, არამედ ისინიც, ვინც საკუთარი ჩამორჩენილობის გამო ვერ აცნობიერებდა ახალი წყობის აშკარა უპირატესობებს. ესენი იყვნენ „სერედნიაკები,“ სამღვდელოება, ლიბერალური ინტელიგენცია, რომლებიც არ ჩქარობდნენ შრომით ფერხულში ჩაბმას. ყველა ეს ელემენტი

ძველი რეჟიმის გადმონაშთად იყო მიჩნეული. ითვლებოდა, რომ ცარისტულ-ბურჟუაზიულმა წყობამ წარმოშვა ეს ხორცმეტები. მათთან მუშაობას ეწეოდნენ იდეოლოგიური სამსახურები. მაგალითად, მღვდლებს უხსნიდნენ, რომ რელიგია მჩაგვრელი კლასების მიერ ხალხში გავრცელებული „ოპიუმია," რომ განათლება და ღმერთი შეუთავსებელი ცნებებია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მძიმე მემკვიდრეობად იქცნენ უპატრონო ბავშვები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, დახეიბრებული ადამიანები... ამდენად, მძიმე მემკვიდრეობის თემას აქტიურად იყენებდა საბჭოთა პროპაგანდა. იგი მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. „ნეგატიურ მოვლენებთან" ბრძოლაც შევარდნაძის კომუნისტური მმართველობის პერიოდში ხომ მძიმე მემკვიდრეობას უკავშირდებოდა. ვერ დაიძლია ბოლომდე მესაკუთრული ინსტინქტი საბჭოთა ადამიანში. ესეც მძიმე მემკვიდრეობა იყო. ამ ტრადიციით მანიპულირება გაგრძელდა დამოუკიდებელ საქართველოშიც. ზვიად გამსახურდიას ხანმოკლე მმართველობის პერიოდში მძიმე მემკვიდრეობას წარმოადგენდნენ კომუნისტები და მათთან შეხმატკბილებული ინტელიგენცია. შევარდნაძის „მეორედ მოსვლის" ჟამს მძიმე მემკვიდრეობად „ზვიადისტები" გამოცხადდნენ, რომლებთანაც, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული, რამაც დიდწილად შეუწყო ხელი აფხაზეთში ომის დაწყებას. შემდგომში მძიმე მემკვიდრეობაა ლტოლვილები, ომში დაჭრილები, დაღუპული ადამიანები... „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მძიმე მემკვიდრეობად მიაჩნდათ ტოტალური კორუფცია, განუკითხაობა, სახელმწიფო აპარატის არაეფექტური მუშაობა, აღმასრულებელი ხელისუფლების საბჭოური წარმომავლობა, აჭარის დისტანცირება, უკონტროლო შეიარაღებული ფორმირებები სამეგრელოსა და კოდორის ხეობაში. ეს ყველაფერი თითქოს დაიძლია, შუქი კი გვირაბის ბოლოს მაინც არ გამოჩნდა. ოპოზიციამ დაიწყო საპროტესტო აქციები, მას აჰყვა ხალხი. პრეზიდენტი წავიდა და ისევ მოვიდა. მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს. როგორც შევარდნაძის მმართველობის დროს, სისტემა კვლავ „გაიჭედა" და ველარ ფუნქციონირებდა, თითქოს ამოიწურა რესურსი და, როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, თუ რაციონალური გამოსავალი არ იძებნება, მიმართავენ ირაციონალურს. თუ სააკაშვილის 2008 წლის საინაუგურაციო სიტყვას წაიკითხავთ, გაგაოცებთ გეგმების გრანდიოზულობა. ფაქტობრივად, იქ ქვეყნის წინაშე მდგარი ყველა პრობლემის გადაჭრაზეა საუბარი. ომის შემდეგ ამ გეგმებზე ხმა აღარავის ამოუღია. მთავარ „გეგმად" იქცა ლტოლვილების ბანაკების მოწყობა და შემდეგ სახელდახელოდ კოტეჯების აგება. ევროსაბჭოს და აშშ.-ის მიერ გამოყოფილი თანხებით, რა თქმა უნდა, ისევ მძიმე მემკვიდრეობა და მისი ლიკვიდაციისკენ მიმართული ზომები... დღეს რა არის მძიმე მემკვიდრეობა? – წინა რეჟიმის მიერ ჩადენილი ეკონომიკური და კრიმინალური დანაშაულები, სიღარიბე, უმუშევრობა, უსახლკარობა, სოციალური დაუცველობა, ლტოლვილები, რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობა... გასაკეთებელი იმდენია, რომ, სულ ცოტა, კიდევ ორ მომდევნო ხელისუფლებას მიეცემა მძიმე მემკვიდრეობაზე ლაპარაკის შესაძლებლობა. ასეთია მძიმე მემკვიდრეობის „ჯადოსნური" ბუნება – ერთი მოჭრილი თავის ადგილას რამდენიმე ამოდის.

მთავარია, არ გადავშენდეთ

პოლიტიკაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი ასაკის, სქესის, კანის ფერის, აღმსარებლობის და წარმომავლობის ადამიანს. ეს კარგიც არის და ცუდიც. კარგია იმიტომ, რომ, აბა, რა უნდა აკეთოს ამდენმა უმუშევრად დარჩენილმა ადამიანმა? ხომ ჩავარდა საბოლოოდ დეპრესიაში! აი, ურეკავს მეგობარს ან შეხვდა მეზობელს, ნათესავს და მოკლე მისალმების შემდეგ ეგრევე ერთვება პოლიტიკაში. ვინ თქვა, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ გვყავს. აბა, სხვა რა მოეთხოვება სამოქალაქო საზოგადოების წევრს პოლიტიკაზე ლაპარაკის გარდა. წაიკითხა გაზეთი, მოუსმინა საინფორმაციო გადაცემებს და „ჩაერთო" პოლიტიკის ბობოქარ მორევში, შეიგრძნო მოქალაქედ დაბადების ნეტარება. მერე რა, რომ უცხოეთში არ უსწავლია. ხომ წერდა ჩვენი საამაყო მგოსანი: „რა წამაკითხებს ამ ბრიყვთა წიგნებს, ისედაც კარგად ვწყვეტ მსოფლიო საკითხებს". მერე რა, რომ ის დიდი პოეტი იყო, ჩვენი მოქალაქეც ხომ ქართველია და რაღაც-რაღაცები მასაც წაუკითხავს. მაგრამ პოლიტიკაში, როგორც სპორტში, ალღოა მთავარი. ალღო უნდა აუღო მოვლენებს. ამას ვერ ისწავლი. ეს კი ის უნარია, რომელიც მომადლებული აქვთ ქართველებს. ასე რომ, თამამად შეგვიძლია პოლიტიკაზე ლაპარაკი ყოველგვარი განათლების გარეშეც. მთავარია, ამასობაში მაცივარი არ დაცარიელდეს. მოკალათდი სა-

ვარძელში, მოუკიდე სიგარეტს, დაურეკე მეორე მოქალაქეს და იჭუკჭუკეთ. მთავარია, სწორი არჩევანი გავაკეთეთ და „ოცნება“ უეჭველად იზრუნებს ჩვენს კეთილდღეობაზე, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ ვუყუროთ ტელეგადაცემებს, თოქშოუებს და ვიყოთ ასე მოლოდინის რეჟიმში – ხან ბერიძე მოვიწვიოთ სტუმართან ერთად, ხან პაიჭაძე, ხან ჟიჟილაშვილი, ხან აქუბარდია და ასე ნება-ნება ცურვით აღმოვჩნდებით ევროკავშირში. ან ევრაზიულ კავშირში. მაგრამ არა უშავს, ეგეთები გვინახავს ჩვენი დრამატული ისტორიის განმავლობაში. მთავარია, არ გადავშენდეთ. თუ პოლიტიკა მოგბეზრდა ან არავინ გეგულება შენსავით კარგი მოქალაქე, საუბარში რომ აგყვეს, შედი Facebook-ში, აქ ხომ ნამდვილად ნახავ ვინმეს. შეუდექი მიმოწერას, თან სახალისო ფოტოებსაც დაათვალიერებ, ხან მუსიკალურ პაუზას გააკეთებ, ხან ფოტოს „დაალაიქებ“. რაღა გინდა მეტი, სამოქალაქო ცხოვრებითაც ცხოვრობ და ესთეტიკურ განცდებსაც არ იკლებ. მთავარია, მაცივარმა არ გიღალატოს და ინტერნეტის გადასახადი დროულად შეიტანო.

საქანელაზე

საქართველო ქანაობს საქანელაზე: მაგრამ საქანელა უფსკრულზეა გამართული და ადვილი შესაძლებელია, საქანელა სახრჩობელად გადაიქცეს...

საქართველო ქანაობს უდარდელი: მაგრამ სახრჩობელას ჩვენება სტანჯავს მას, ან საკუთარი თავის მონახვა უკანასკნელი, ან სრული დაღუპვა თავის თავისა...

გრიგოლ რობაქიძე
1920 წ.

ვერ მონახა მაშინ ან არ დააცალეს – განახლებულ იმპერიაში უკრეს თავი, თანაც რაღაც სიგელ-გუჯრებიც მიართვეს დამოუკიდებლობის ატრიბუტების სახით: ღერბი, დროშა, ჰიმნი, კონსტიტუცია... ასე გააგრძელა არსებობა უტოპიურ თეორიაზე აგებულ დიდ წარმონაქმნში, რომელსაც მსოფლიოს ჰეგემონობაზე გააჩნდა პრეტენზია. მაგრამ დაიშალა ეს ხელოვნური წარმონაქმნი, უსიცოცხლო აღმოჩნდა კიდევ ერთი ცივილიზაციური პროექტი და მასში შემავალი ერები დაუბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ ფესვებს. ჩვენც იმავე მდგომარეობაში და იმავე ამოცანების წინაშე აღმოვჩნდით, რომელთაც ასე ხატოვნად წარმოაჩენდა გრიგოლ რობაქიძე. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ოც წელზე მეტია გასული, ჩვენ კი კვლავ სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმის ძიებაში ვიმყოფებით. გარეგან ფორმას არ ვგულისხმობ, ის ნაპოვნია – დემოკრატიული რესპუბლიკა. შინაარსზე მოგახსენებთ, ამ პოლიტიკური მოდელის შინაარსთან შესაბამისობაზე. რა გვიშლის სახელმწიფო ერად ქცევაში ხელს? უმთავრესად, საქანელაზე მყოფი ადამიანის ბუნება, მისი განწყობა, ღირებულებები და შესაბამისი ცხოვრების წესი. აი, რას წერდა ასი წლის წინათ ცნობილი ეთნოლოგი ვ. ველიჩკო: „კავკასიელთა შორის სახელმწიფოებრიობისადმი შედარებით ძლიერი ლტოლვა ქართველებს აღმოაჩნდათ, თუმცა მათაც ვერ შეძლეს ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. უპირველესად, ამას ხელი შეუშალა ფეოდალურმა განცალკევებამ. სერიოზულ წინააღმდეგობას ქმნიდა ქრონიკული შიდაანარქია: ქვეყანას მოულოდნელად ესხმოდნენ თავს ისეთი მრავალრიცხოვანი ველური ურდოები, რომ მათგან თავის დაცვა ხშირად შეუძლებელი გახლდათ. ამგვარი შემოსევები მძიმე და ტრაგიკული შედეგების მომტანი იყო, რის გამოც ხშირად მთელი ქვეყნის ბედი მოვლენათა შემთხვევითობაზე იყო დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ამიერკავკასია მოკლებული გახლდათ მყარი დასახლებისა და კომფორტის შესაძლებლობას, რაც ქვეყანაში მხოლოდ ხანგრძლივმა სიმშვიდემ შეიძლება დაამკვიდროს... თვით მსხვილმა მემამულეებმაც კი ახლახან შეძლეს საკუთარი სახლ-კარის მოწყობა, თუმცა ცხოვრება კვლავ წარსულის ნიშნით მიედინება: იმდენად დიდია მტრის მოულოდნელი თავდასხმის შიში, რომ ყველა მზად არის წამიერად გადამალოს ქონება. ყოველივე ეს კი ხელს უშლის მშვიდობიანი კულტურის განვითარებას და ე. წ, ბურჟუაზიული სათნოების დამკვიდრებას...“ სახელმწიფოს

ჩამოუყალიბებლობის კიდევ ერთ მიზეზად ვ. ველიჩკო ასახელებს გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს: „კლიმატური, და, საერთოდ, ბუნებრივი პირობების ზეგავლენა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე უაღრესად სერიოზულია: ზოგჯერ მალარია, ზოგჯერ დაშრობამდე მისული ან წყალდიდობისგან რისხვად ქცეული მდინარეები, ზოგჯერ ქარიშხლები და კოკისპირული წვიმები, სეტყვაცა და გაუსაძლისი სიცხეებიც – ყოველივე ეს დამოუკიდებლად მოქმედებდა სახალხო მეურნეობაზე და ღრმა კვალს ამჩვევდა მოსახლეობის სულიერ წყობას, ტომობრივ განსხვავებას კი ერთ სიბრტყეში წარმოაჩენდა; აზროვნება ხდებოდა არათანმიმდევრული, ხასიათში იკარგებოდა თავშეკავება, ზნეობრიობას აკლდებოდა კატექიზმო (ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით), შრომა მოკლებული იყო სისტემურობას, ხოლო ცხოვრებას აშკარად არ ჰყოფნიდა გონებრივი საფუძვლები“. არ ვიცი, თქვენ როგორ, მე კი, სამწუხაროდ, ბევრი რამ მეცნო ამ ჩამონათვალიდან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს უბედობას გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე ის ორასწლოვანი კოლონიალიზმის პერიოდი, რომელსაც ხშირად პოლიტიკური პროპაგანდის მიზნით იყენებენ. რომ გადავიაზროთ წარსული, ჯერ კარგად უნდა გავიაზროთ იგი, ზერელე პროპაგანდისა და ფსევდოპატრიოტიზმის გარეშე დავაკვირდეთ საკუთარ თავს და, ეგებ, დავინახოთ ის, რაც რეალურად გვიშლის ხელს განვითარებაში.

სიცარიელე პოეზიასა და პოლიტიკაში

„ხალხი სიცარიელეა, შეუვალი სიცარიელე, მე ერთ ყველაზე შეუვალ სიცარიელეს ვუყურებ და გელოდები...“ – ვკითხულობ ახალგაზრდა პოეტის ლექსში. რატომ გაუჩნდა ასეთი განცდა? გასაგებია, რომ აქ მასა იგულისხმება. სიცარიელეში – სულიერი ცხოვრების სიმწირე. ძველი რომაელები მონას „მოლაპარაკე ხელსაწყოს“ უწოდებდნენ. მის გარეშე საქმეს ვერ გააკეთებ, უნდა მისცე დავალება, კარგად აუხსნა, რა და როგორ უნდა გააკეთოს. ამისთვის ენას უნდა ფლობდეს, მაგრამ, თუ განყენებული ცნებებით ან მხატვრული სახეებით დაუწყე ლაპარაკი, შეუვალი ხდება, რადგან არ ესმის შენი. აბსტრაჰირების არც უნარი და არც სურვილი გააჩნია. არა იმიტომ, რომ განათლება აკლია ან შესაბამის წრეში არ ხდებოდა მისი ფორმირება. არა, ის, უბრალოდ, ასეთია და ნუ სთხოვ, იყოს სხვაგვარი. შეიძლება იმ ბევრ სხვანაირზე უკეთესიც არის ადამიანური თვისებებით (ბლოკის ერთი ლექსი გამახსენდა, რომელშიც პოეტი უსურვებს ახალგაზრდა ქალს, შეიყვაროს უბრალო კაცი, რომელსაც ეყვარება მიწა და ცა და არა სიტყვები მიწასა და ცაზე) . მაგრამ აი, მიდის ხალხთან რაღაც „იზმების“ მატარებელი პირი და ცდილობს, „გაანათლოს“. საბჭოთა რუსეთში, ალბათ, ახლაც, უბრალო ხალხის დამოკიდებულება ინტელიგენციის მიმართ ამ შესიტყვებით იყო გამოხატული – „გნილაია ინტელიგენცია“. არ უყვარდათ ინტელიგენტები, ფარისევლებს და პირფერებს ხედავდნენ მათში. ჩვენთან ასეთი მკვეთრი ზღვარი არ ივლებოდა. ერთად ვისხედით ჭირის თუ ლხინის სუფრასთან, ერთსა და იმავე სადღეგრძელოებს წარმოვთქვამდით, მაგრამ, რა თქმა უნდა, იყო რაღაც პატრონყმულიც ამ ურთიერთობებში. ინტელიგენტს თითქოს რაღაც „აზნაურის“ წოდება ჰქონდა მინიჭებული და ამ წოდების შესაბამისად ეჭირა თავი, როგორი უბრალო წარმომავლობისაც უნდა ყოფილიყო, თითქოს რაღაც სულიერ ადამიანთა კასტას მიეკუთვნებოდა. სახელმწიფო ორგანიზაციები ამას ახალისებდნენ. მუზეუმის თანამშრომელი, ბიბლიოთეკარი ან საბავშვო ბაღის აღმზრდელი თავისი პროფესიის გარდა რაღაც საგანგებო მისიის მატარებლად მიიჩნევდა თავს. რაც იკვეთებოდა მის მანერებში, მეტყველების სტილსა და ჩაცმულობაში...

ახალგაზრდა პოეტი შეყვარებულის სიცარიელიდან დაბადებას არ ელის, თუმცა ხშირად სწორედ სიცარიელე ბადებს მას („მგონია თითქოს ბრბოდან გამოვა ლამაზი ქალი, ცისფერთვალება“ – გალაკტიონი.), როგორც ლამაზ ყვავილს შესაძლოა გადაეყარო იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად ელი, მაგრამ გამართული პოლიტიკური სისტემა ჭირვეული ყვავილია და ნოყიერ ნიადაგს მოითხოვს.



ნათია ჩოსტიაშვილი

შარშან თბილისის მერიისა და საქართველოს მწერალთა კავშირის თაოსნობით ჩატარდა ახალგაზრდა მწერალთა კონკურსი, რომელშიც ასზე მეტმა შემოქმედმა მიიღო მონაწილეობა; ამჯერად გთავაზობთ კონკურსში გამარჯვებულ ერთ ნაწარმოებს.

საით წავიდა ლოლა

– როგორ მიხარია, ასეთს რომ გხედავ, – ჰენრი ზურგიდან მომეხვია.

– ასეთს, როგორს? – გამეღიმა.

ღია ფანჯარასთან ვზივარ. დაბერილი ნესტოებით შემოდგომის სურნელოვან ჰაერს დიდ ულუფებად „ვყლაპავ," თან ჰენრის რიტმულად ვკოცნი მაჯაზე – ყოველი ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვისას.

მგონია, ჰენრი ჩემთან ერთად დაიბადა და თავიდანვე ისევე ბუნებრივად ჩემი იყო, როგორც, ვთქვათ, ჩემი ხმაა. წარსული საერთოდ არ მახსოვს – როგორ გავიცანი, რა თავგადასავლები გვქონდა?.. ყოველთვის ვარსებობდი მხოლოდ აწმყოში – ახლა, ამ წამს და, თუ ვარ მე, ესე იგი, არის ჰენრიც.

ჰენრის, სინამდვილეში, ვიქტორი ჰქვია. სახელი რომ გადავარქვი, მგონი, მხოლოდ ეს მახსოვს საკუთარი წარსულიდან. ჩემი დაკვირვებით, სახელი გავლენას ახდენს ადამიანის გარეგნობაზე. სანამ ჰენრის ვიქტორი ერქვა, მაშინ მხოლოდ მიყვარდა. ახლა მომწონს კიდეც.

– მშვიდი დილაა, კარგ გუნებაზე ვარ, – ლოყა ხელისგულზე გავუხახუნე. კოცნა შევწყვიტე, სუნთქვა არა.

– მიხარია, ძალიან მიხარია, – მკლავზე ხელი მომითათუნა. დიდი და თბილი ხელები აქვს. ზოგჯერ უცნაური შეგრძნება მეუფლება, თითქოს ჰენრის ხელები და თვალები მხოლოდ სხეულის ნაწილები კი არა, დამოუკიდებელი პიროვნებებია. ჰენრი – ეს მისი თვალებისა და ხელების ერთობლიობაა. მიყვარს ჰენრი. ერთიანობაშიც და ცალ-ცალკეც.

– სანამ მიხაილოვნა კატლეტს შეწვავს, წავალ, ტელევიზორს ჩავრთავ. არაფერზე იფიქრო და არ მოიწყინო. შემპირდი, რომ არ მოიწყენ, – თავზე მაკოცა, სავარძელს შემოუარა, ჩემ წინ, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და გამიღიმა.

ნიავმა ჯერ გამხმარი ფოთლები ააფარფატა ჰენრის ზურგს უკან, მერე ოქროსფერ ფოთლებნაქარგი ფარდა ააფრიალა, თან ერთი ხმელი ფოთოლი ოთახში შემოგვიგდო, ბზრიალით ჩამოსვა ჩვენს ფეხებთან.

გავიფიქრე, თუ ჰენრი ჩემზე ადრე მოკვდება, ამ კადრით გავიხსენებ ხოლმე: ფოთლებისა და ფარდის ფარფატში ჰენრის უძრავი, ოდნავ დაშვებული მხრები; ერთმანეთში ჩახვეული მეტყველი ხელები და დიდი, თბილი თვალები. რაც დრო გადის, მის მზისფერობამდე ღია თაფლისფერ თვალებს ხმელი ფოთლის ფერი ედება. მზისფერი თვალებიდან თოვლისფერი თმისკენ მიჰყავს დროს. შემოდგომაა ახლა ჰენრიში.

– არ მოვიწყენ, გპირდები, – გავუღიმე.

ადგა, იატაკიდან ფოთოლი აიღო, ნაწნავში ჩამიბნია.

– ამას გიტოვებ. იცოდე, თუ სიტყვას გატეხ, აუცილებლად მეტყვის, – საჩვენებელი თითი ცხვირის წვერზე ჩამომისვა.

ჰენრი გავიდა. ქარი ჩადგა. მე ისევ ვზივარ...

ღია ფანჯრიდან მობუზული ადამიანების წყება მოჩანს. მხრებ და ყურებჩამოყრილები მიდიან, საფიქრალს ზურგით მიათრევენ.

„ჩემი ცხოვრება ნაცრისფერია...“ – ტელევიზორში ცნობილი შოუს უცნობი სტუმარი მოთქვამს.

გავიფიქრე: ადამიანები, რომლებსაც ფანჯრიდან ვხედავდი, ალბათ, ძალიან ჰგავდნენ ადამიანს, რომელსაც ჰენრი ტელევიზორში უყურებდა. კაცმა რომ თქვას, მე, ჰენრი და დედაც, დიდად არ განვსხვავდებოდით ამ ერთმანეთის მსგავსი ადამიანებისგან.

ამოვიოხრე. როგორ გინდა, ამ განწყობით პიროობა შეასრულო?..

იმ ვიღაც(ებ)ის ცხოვრებისფერი პლედი მოვიხურე. გრილოდა.

•

ლოლას ფანჯრიდანაც ასეთივე სევდისმომგვრელი ხედი იშლებოდა. მაღალ, მოწყენილ შენობას ტანზე დაყრილი ალერგიასავით ადგილ–ადგილ აჩნდა ამძვრალი ბათქაში. შენობის წინ ირიბად გადახრილ ხეს ძელსკამზე შემოელაგებინა ტოტები. მძიმე ჩანთებით დატვირთულ, დაღლილ ქალს ჰგავდა – წუთით რომ ჩამოჯდა სულის მოსათქმელად. ხეს ვერ ამჩნევდნენ ფიქრში გართული, მობუზული ადამიანები, მიწას ჩასჩერებოდნენ. ყველა თავისას ფიქრობდა.

პატარა ვიყავი, ლოლას სახლის კარს შიშით რომ მივაწექი. ეს ჩემი პირველი საიდუმლო იყო...

ბებო მაფრთხილებდა, ჩვენი კორპუსის ბოლო სადარბაზოს მოვრიდებოდი, რადგან იქ, მესამე სართულზე გიჟი ლოლა ცხოვრობდა. ამ სადარბაზოსთან გავლას მართლაც ყველა ერიდებოდა. მესამე სართულის ფანჯრიდან ხომ ხან თეფშები მოფრინავდა, ხან ჭიქები, ხანაც ხილი...

ბებომ მშვენივრად იცოდა, ბავშვები იქით არასდროს მივდიოდით სათამაშოდ, მაგრამ დეიზს – „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ – არ ღალატობდა. ჩვევად ექცა, ყოველდღე დაუზარლად, ერთგვარი წამღერებითაც კი მიმეორებდა:

– სტასიიი... იცოდე, ბოლო სადარბაზოში შესვლა კატეგორიულად გეკრძალებაააა!..

საბოლოოდ იმას მიაღწია, რომ „აკრძალული ხილის დაგემოვნების“ დაუძლეველი სურვილი გამიჩნდა.

ერთხელაც ვერ მოვერიე დაუოკებელ ინტერესს, რომელმაც ჩემში ჩაბუდებულ შიშსაც კი ძლია...

ერთ საღამოს ბებომ პურის საყიდლად გამგზავნა. ქუჩაში გამოვედი თუ არა, მარცხნივ გავუხვიე. პურის მაღაზია მარჯვნივ იყო.

მომეჩვენა, თითქოს ამ სადარბაზოში ნესტის სუნი გაცილებით მძაფრად იდგა, ვიდრე ჩვენსაში. ლიფტის თავზე ჩამოკონწიალებული დამტვერილი ნათურა როგორღაც ნერვულად ციმციმებდა. ინთებოდა-ქრებოდა, ინთებოდა-ქრებოდა... ჩვენი მეზობლის დაკლული მამალი გამახსენდა, დაცალკევებული თავი და ტანი საზარლად რომ უფართხალებდა. რიგრიგობით ფეთქავდნენ: თავი-ტანი, თავი-ტანი... დავიზაფრე.

უცებ – ტკაც! – და ჩამობნელდა.

– აააა!.. – წამოვიკივლე და პირზე ხელი ავიფარე. იმის ნაცვლად, რომ გარეთ გავვარდნილიყავი, გიჟივით ავირბინე კიბის საფეხურები. თან გულში სართულებს ვითვლიდი: ერთი... ორი... სამი...

სახლის კარი ოდნავ შეღებული დაეტოვებინათ. რაღაც ძალა, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ ვუწევდი, მიხმობდა, შიგნით მექაჩებოდა. კარს ვუყურებდი, თან შიშისგან ვკანკალებდი. ცალკე ლოლასთან შეხვედრის მეშინოდა და ცალკე იმის, რომ ჩემი ლამის საგულედან ამომხტარი გულის ბაგაბუგი ბებიაჩემის ყურამდე მიაღწევდა. ისიც ფანჯარას გამოაღებდა და გაბრაზებული დამიძახებდა:

– სტააა–სიიიიიი!..

მოჯადოებულივით ვიდექი ლოლას სახლის ზღურბლთან. ვნატრობდი, შიგნიდან ვინმეს კარი მოეჯახუნებინა, ჩაერაზა და ჩემთვის დაეყვირა – აქურობას მოსწყდი, შე წვლინტიანო! მხოლოდ ასე თუ შევძლებდი, ამ საშინელ ადგილს მოვშორებოდი და მისკენ აღარასდროს გამომეხედა.

სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარი კი კვლავ მაცდურად იყო შეღებული...

ზღურბლს გადავაბიჯე, სიბნელეში სამიოდე ნაბიჯი გადავდგი და კედელს ავეკარი. არ ვიცი, როგორ მოხდა, უცებ საკუთარი თავი წინიდან შევათვალიერე.

„მოვკვდი, სული ვარ,“ – გავიფიქრე. ხელის თითები გაუბედავად ავამოძრავე, თავი მივატრიალ-მოვატრიალე.

„მკვდარი ვერ შევძლებდი,“ – თავი დავიმშვიდე, მაგრამ უბედურება ის იყო, მხოლოდ თითების ამოძრავება კი არა, მათი დანახვაც შემეძლო ისე, რომ ქვევით კი არა (ხელები ჩამოშვებული მქონდა), პირდაპირ მეცქირა. გაუბედავად გავიწოდე ხელი ჩემკენ. რაღაც ცივს შევეხე. შიშის-

გან ტუჩი მოვიკვნიტე. უცებ გონება გამინათდა, – ჩემს პირდაპირ სარკე ეკიდა. ამ ამბავმა ისე გამახარა, ლამის ტაში შემოვკარი. ფეხაკრეფით გავყევი ვიწრო, ბნელ დერეფანს, რომელმაც ოთახამდე მიმიყვანა. ოთახში ნათურა არ ენთო, მაგრამ ისე არ ბნელოდა, როგორც დერეფანში. სარკმლის გისოსებს წრეებად დაეჭრა მთვარის შუქი – ჭიამაიასავით დაკოპლილიყო სინათლით იატაკი. ისეთი ლამაზი იყო, თითქოს ზღაპარში შევაბიჯე. მე კი გულის სიღრმეში ობობის ქსელებს და ღამურებს ველოდი... შვებით ამოვისუნთქე. როგორც ჩანს, ხმამაღლა... რაღაც შეირხა. დამფრთხალმა მხედველობა დავძაბე. ის იყო – ლოლა! ჩემკენ ზურგით იჯდა. თმას იწნავდა. არ შემოტრიალებულა. ხელით მანიშნა, მისგან მოშორებით მდგარ პატარა სკამზე ჩამოვმჯდარიყავი. დაძაბული ჩამოვჯექი. ხელები ისე მაგრად მოვმუჭე, ხელისგულებში ფრჩხილების ჩასობა ვიგრძენი. თავდახრილი ქვემოდან მალულად ამოვცქეროდი. ლამაზი იყო. მის დახვეწილ პროფილში ვერც გაოცება ამოვიკითხე, ვერც გაბრაზება. მე, უცხო ბავშვი, მის ოთახში ვიჯექი. ნერვულად ვძიძგნიდი ბებოს შეკერილი კაბის არშიას და მის უგრძელეს ნაწნავს თვალს ვერ ვაცილებდი. მას კი არაფერი გაკვირვებია, არაფერი უკითხავს, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო.

– მთვარე ყოველთვის ნამგალა იბადება. მერე ადამიანები ჩვენს ფიქრს, დარდს, სევდას ვუგზავნით. ისიც იბერება, იბერება... ჩვენი სევდით ივსება... სავსემთვარეობაა ამაღამ...

თქვა და გამაცია. კუდიანებისა და მთვარის კავშირზე თითქოს რაღაც ვიცოდი, ბუნდოვნად მახსოვდა. წარმოვიდგინე, რომ ეს მშვიდი ქალი უცებ კუდიან დედაბრად გადაიქცა, მომვარდა, თმაში ხელი ჩამავლო და მთვარისკენ გამაქროლა. გულგახეთქილი წამოვხტი და სირბილით გამოვვარდი ჯერ ოთახიდან, მერე სახლიდან, სართულიდან, სადარბაზოდან...

მეგონა, იმდენი ხანი გავიდა, სადაც არის, გათენდებოდა, მაგრამ გარეთ ყველაფერი ისე დამხვდა, თითქოს აქ რამდენიმე წუთის წინ ვიყავი. განათებულ მაგიდასთან კაცები ისევ ნარდს თამაშობდნენ, თან რაღაცაზე გულიანად იცინოდნენ. მეზობლის ქალი ისევ ბაფთიან ძაღლს ასეირნებდა. ვიღაც პიანინოზე „ძაღლების ვალსს“ უკრავდა. მოკლედ, ყველაფერი ძველებურად იყო. შვებით ამოვისუნთქე. უცებ ჩემი საქციელის შემრცხვა. რას იფიქრებდა ლოლა? ქალი მშვიდად იჯდა, თმას იწნავდა. მე კიდევ ნამდვილი შეშლილივით მოვიქეცი.

პური ვიყიდე. რატომღაც ამაყად შევედი ჩემს გაჩახჩახებულ სადარბაზოში, სართულზე, სახლში, ოთახში.

– გამაგიჟებ შენ მე, – მკაცრად მითხრა ბებომ, – რას მორბოდი? რა გარბენინებდა? როგორ გაოფლილხარ!

იმ დღის შემდეგ ლოლასთან სტუმრობა ჩვეულებად მექცა. როგორც კი საშუალება მომეცემოდა, მის სადარბაზოში შევრბოდი.

– თმა ადამიანის სულია. გაშლილი თმით მხოლოდ თავისუფალი ადამიანები დადიან. მე ვიწნავ, – მითხრა ლოლამ ერთ–ერთი სტუმრობისას. უფრო სწორად, კი არ მითხრა, თქვა. ჩემკენ არც მაშინ გამოუხედავს.

შემდეგი მისვლისთვის ბებოს დავაწნევინე. ძალიან მინდოდა, ლოლას შეენიშნა. რამდენჯერმე ჩემი პატარა თოჯინაც კი „დამივარდა“. არ გასჭრა – არ გამოუხედავს. ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით. ის ფანჯარას მისჩერებოდა, მე – მას. ორივენი საკუთარ ნაწნავს ვაწვალებდით. მერე ავდექი, სანამ ოთახიდან გავიდოდი, თავი გააქნია, ღრმად ამოისუნთქა და თქვა:

– ნუ შეეჩვევი... ყველა ნაწნავი თოკია...

ყოველთვის მშვიდად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა. ზოგჯერ ვერ ვუსმენდი. მის მუდამ ჰორიზონტს მიჯაჭვულ ხავსისფერ თვალებს მივჩერებოდი და შავ წინწკლებს ვუთვლიდი. სუნთქვისშემკვრელი, დამაბნეველ-გამაბრუებელი თვალები ჰქონდა: მუქმწვანე გარსზე ჭორფლივით ეყარა შავი წერტილები. გამოგხედავდა და თითქოს ათ–ათი გუგით გათვალიერებდა. ბრრრ!.. კიდევ კარგი, თითქმის არასდროს მიყურებდა.

გატრუნული ვისმენდი მის მონათხრობს. ეს ამბები ისევე ბუნებრივად და მარტივად შემოდიოდნენ ჩემში, როგორც სუნთქვისას ფილტვებში ჰაერი. ოღონდ ჰაერივით იოლად ვეღარ „ამოვისუნთქავდი“ ხოლმე. მრჩებოდნენ, ილექებოდნენ და, თუ რომელიმე აღარ მახსოვდა, არა იმიტომ, რომ დავივიწყე, უბრალოდ, სხვა ამბების სქელი ფენის ქვეშ იყვნენ მოყოლილები.

გაგონილი მქონდა, რომ ლოლა დედასთან და ქმართან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ მე ისინი არასდროს მინახავს. მახსოვს მხოლოდ ლოლას პროფილი ღია ფანჯარასთან, რომლიდანაც მუდამ ერთი და იგივე მოსაწყენი ხედი მოჩანდა. მახსოვს ჩემი ერთმანეთზე მიტყუპული რეიტუზიანი მუხლები და ამ მუხლებზე მუშტად მოკუმული ჩემივე ხელები.

კითხვებს არასოდეს ვუსვამდი. როგორ გავბედავდი?! რასაც მიყვებოდა, იმით ვკმაყოფილდებოდი. ოღონდ კი რამე მოეთხრო... ერთხელ, მხოლოდ ერთადერთხელ გავბედე მეკითხა. გამშრალი, ერთმანეთს მიწებებული ტუჩები ძლივს ავახლიჩე ერთმანეთს, შედედებული ნერწყვი გაჭირვებით გადავყლაპე და თვითონაც ვერ ვიცანი საკუთარი ხმა:

– და... ქმარი?

– ჰო, ქმარი... – ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა წელში მოკაკვულ ხეს ან, იქნებ, შენობას, ხის უკან და სკამის საზურგეს მხრებით მიაწვა. სავარძელი ზანტად ამოძრავდა: წინ... და უკან... წინ... და უკან... საათის წიკწიკს ჰგავდა, უფრო სწორად, ძველებური დიდი კედლის საათის ქანქარის მოძრაობას. აქამდე არასდროს შემინიშნავს, რომ ლოლა სარწეველა სავარძელში იჯდა. მიჩვეული ვიყავი, ამ ოთახში ყველაფერი გაქვავებული უნდა ყოფილიყო – სულიერიც და უსულოც. თუმცა „უსულო“ მხოლოდ პირობითი სიტყვა იყო ლოლას ოთახში...

– ჰო, ქმარი... – გაიმეორა და თვალები დახუჭა. სავარძელი გაჩერდა. აღარც ლოლას ფერმკრთალი ტუჩები მოძრაობდნენ. წამით ისევ მოჯადოებულივით გაშეშდა ირგლივ ყველაფერი. უცნაური გრძნობა დამეუფლა – თითქოს რეალურ ქალს კი არა, ნახატს მივჩერებოდი.

– სულ თავიდან ძალიან მეშინოდა, – ტუჩები თითქოს არც შერხევია, ისე დაიწყო თხრობა. – მისი კი არა... ხომ ხვდები... როცა პირველად ერთ საწოლში დავწექით...

იმის მისახვედრად, თუ რა იგულისხმა, ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ იმდენად მომეწონა მისი „ხომ ხვდები,“ რომ თავი დავუქნიე. მთელ ჩემს წარმოსახვის უნარს, ფანტაზიას მოვუხმე, შევეცადე, ლოლა სავარძელში მჯდომი კი არა, ლოგინში მწოლიარე წარმომედგინა, თანაც მამაკაცთან ერთად. არაფერი გამომივიდა.

– ...სანამ დავწვებოდით, შარვლიდან ქამარი გამოიძრო და ძირს მიაგდო. არ დაუნახავს, როგორ დაიკლაკნა მისი ქამარი, დაისისინა და სადღაც შესრიალდა... მერე ღილები გაიხსნა და მისი შარვლიდან ჩიტები ამოფრთხიალდნენ. შავ, პრიალა ფრთებს ერთმანეთს უხახუნებდნენ და გამაყრუებლად ჟივჟივებდნენ. ათი ჩიტი მაინც იქნებოდა, შესაძლოა, ოციც...

გაჩუმდა. რამდენიმე წამით ისევ ნახატად იქცა. უცებ ძალიან შემეშინდა. აი, ჩაძინებულ ბებოს რომ ასე უძრავს ვხედავდი ხოლმე, მაშინაც ყოველთვის მეშინოდა. მეგონა, მოკვდა. მერე ჩავახველებდი ხოლმე, რომ გაღვიძებოდა. ლოლასთან ჩახველებას რას გავბედავდი?.. ის იყო, წამოდგომა და გაპარვა დავაპირე, ამოიოხრა და თქვა:

– ვინ იცის, იქნებ ოცდახუთიც... შენ რას იზამდი, ჩემს ადგილას, პატარა?..

– სტასი. ანასტასია მქვია, მაგრამ ბებო სტასის მეძახის. – მივაყარე. აქამდე არ დავფიქრებულვარ იმაზე, რომ ლოლასთვის სახელი არ მითქვამს. რატომღაც მეგონა, ისედაც უნდა სცოდნოდა. იმდენად ჩუმად ვსაუბრობდით, თითქოს ხმას კი არ ვიღებდით, ტელეპათიურად გადავცემდით ერთმანეთს სათქმელს.

– ჰო, კარგი სახელია სტასი.

მეც ძალიან მომწონდა „სტასი,“ აბა „ლოლა“ რა სახელია?..

– საინტერესო ბებო გყოლია... – თქვა და „ათივე გუგით“ შემომხედა. გამაცივა.

– ყოველთვის მინდოდა, სხვებივით მეც მყოლოდა ბებია. ეს ჩემი ბავშვობის აუხდენელი ოცნებაა... ჰოდა, შენ რას იზამდი ჩემს ადგილას, სტასი?

ძალიან დავიბენი. ამდენი ხნის განმავლობაში ლოლამ პირველად შემომხედა თვალებში, თან ჩემი სახელითაც დაინტერესდა. ბებიაჩემის ხსენებისას კი გულმა ისეთივე ბაგაბუგი ატეხა, როგორც მაშინ, ლოლას სახლის კარს პირველად რომ მივადექი. ძალიან დამაბნეველი შეკითხვა იყო:

„შენ რას იზამდი ჩემს ადგილას, სტასი?“

მხრები ავიჩეჩე. ლოლა აღარ მიყურებდა. ისევ ჩემთვის უცნობ, შორეულ სამყაროს გაუშტერა თვალი და თხრობა განაგრძო.

– არ მინდოდა, ჩემში ჩიტი ჩასახულიყო... არ მინდოდა, ჩიტები მეშვა, ვერ ვიქნებოდი კარგი დედა. თან კერტებს ბასრი ნისკარტით დამიკენკავდნენ... არაფერი მიგრძნია და დამინახავს. მხოლოდ ჩიტების გამაყრუებელი ჟივჟივი მესმოდა. თვალები დახუჭული მქონდა. თან ისე ძლიერად, რომ ქუთუთოებიდან სისხლი მდიოდა. მეშინოდა, სისხლის სუნზე დაგეშილებს ჩემთვის თვალები არ ამოეკორტნათ და, სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, უფრო ძლიერად დავხუჭე... როცა გავახილე, ჟივჟივი ჯერ ისევ მესმოდა, ოღონდ ჩიტებს ვეღარ ვხედავდი. იყო მხოლოდ თვალისმომჭრელი ნათება. ჩემი ქმრის თვალები ანათებდნენ. მიღიმოდა, თან შარვალს იკრავდა. შეიკრა და ჟივჟივიც შეწყდა... არ მინდოდა, ჩიტები მეშვა... რა უნდა მექნა? ავდექი და მუცელი სამართებლით დავისერე.

•

წყლის დასალევად ვდგები. ჰენრის ჩემი ქოშების წკაპუნი ესმის და შემოდის.

– სად მიდიხარ, საყვარელო?

– დედამიწას უნდა შემოვუარო ფეხით. უფრო სწორად, შენი ნაყიდი კაკუნა ქოშებით შემოვუკაკუნო, – ვხუმრობსავით.

მკლავებს წელზე ვხვევ, თავს მკერდზე ვადებ, თვალდახუჭული ვეხუტები. თავზე მკოცნის.

– წყალს დავლევ და მოვალ, – თვალდახუჭულივე ვეუბნები, თან ადგილიდან არ ვიძვრი. ჰენრისთან ჩახუტება ერთგვარი თერაპიაა. მამშვიდებს, მთენთავს, მავსებს.

– კი მაგრამ, ქმარი რისთვის გყავს? – თავს ჩემი მკლავებისგან ითავისუფლებს.

– იმისთვის, რომ წყალი მომიტანოს.

გვეცინება. ლოყაზე მკოცნის და სამზარეულოსკენ მიდის.

ჩემს ადგილს ვუბრუნდები. ხეს ვათვალიერებ, აღარც ერთი ფოთოლი აღარ შერჩენია. იქნებ, სულ ბოლო ეს არის, ჰენრიმ მეთვალყურედ რომ მომიჩინა... ხის ტოტზე წვიმისგან დამბალი, გათხელებული, წკიპზე შეკავებული თოკი კონწიალებს. მარყუჟივით არის გამონასკვული. არა მგონია, ვინმეს სუიციდური მიზნებისთვის ჩამოეკიდა. ყოველ შემთხვევაში, მასში თავის გაყოფის მსურველი არასდროს დამინახავს. ალბათ, ბავშვებმა იმაიმუნეს. უცნაურად ერთობიან ახლანდელი ბავშვები...

წლებია, ვაკვირდები. გაზაფხულობით მარყუჟი თითქოს უხერხულად ტოკავს კვირტებამოყრილ ტოტებს შორის. ზაფხულში ფოთლებში იმალება. ზამთარში – არ ვიცი, ფანჯრიდან არ ვიყურები ხოლმე... აი, შემოდგომით კი მთელი თავისი სისასტიკით მოსჩანს. მე ხატოვნად ვფიქრობ, რომ ეს ბებერი მარყუჟი ნიშნის მოგებით გადმოჰყურებს ჩამოცვენილ ფოთლებს და რომ ფოთოლცვენა მისი გამარჯვებაა.

სულელური ჩვევა მაქვს. ვთქვათ, ხილს ვჭამ. კურკას დიდი მონდომებით ვუმიზნებ ამ მარყუჟს. ჩაფიქრებული მაქვს, თუ შიგ გავატარებ, მე და ჰენრი ბედნიერები ვიქნებით. ჯერჯერობით არ გამომდის.

ჰენრის წყალი მოაქვს. სველი ჭიქის ძირს ხელისგულით ამშრალებს და მაწვდის. სანამ ვსვამ, თავისი თბილი, სევდიანი თვალებით მომჩერებია.

– მისტერ ჰენრი, თქვენ თქვენი ქმრული ვალი უკვე მოიხადეთ. ასე რომ, შეგიძლიათ ტელევიზორს მიუბრუნდეთ, – დედოფლური ჟესტით კარისკენ ვუთითებ, თან სმას განვაგრძობ.

– არა, დაგელოდები, ჭიქას წავიღებ. მსიამოვნებს იმის ყურება, ყოველი ყლუპის შემდეგ თვალებს როგორ ნაბავ.

ჭიქას რაფაზე ვდებ, ჰენრი იღებს.

– იდოს, იქნებ, ისევ მომწყურდეს.

– ისევ მოგიტან, რა პრობლემაა. მე ხომ ქმარი ვარ...

მერე რა, რომ მიზანში მსროლელად არ ვვარგივარ, მთავარია, ჰენრი ჩემი ქმარია.

პლედში ვეხვევი. ვფიქრობ, ჩემს „დედამიწას შემოვუკაკუნოზე," წესით, რამე უნდა ეპასუხა ჰენრის, თუნდაც ასეთი: „აზრი არა აქვს, მაინც არ გაგიღებენ, სახლში არ არიან".



ეს ქოშები ჰენრიმ რომელიღაც დღესასწაულზე მაჩუქა. ზუსტად არ მახსოვს: დაბადების დღესთან, პირველი თოვლის მოსვლასთან თუ რაგბიში რუსეთის ნაკრებთან საქართველოს გამარჯვებასთან დაკავშირებით. რა მნიშვნელობა აქვს... ამ ამბავში მთავარი ეს არის: ჰენრიმ მთელი ქალაქი მოიარა, რომ მაინცდამაინც ხმაურიანი ჩუსტებით დავესაჩუქრებინე. ჩემი რეაქცია არ მახსოვს, დედასი კი დამამახსოვრდა. ამ არცთუ ძვირფასი კაკუნა ქოშებით გულწრფელად აღფრთოვანდა. – რა კარგად მოგიფიქრებია, შვილო, – ისეთი მადლიერებით უთხრა ჰენრის, დავეჭვდი, ქოშის ცერებზე დასკუპებული ოქროსფერი პეპლები მართლა ოქროსები ხომ არ არის-მეთქი.

ხმაურიან ქოშებს ვიხდი. გრძელ ფეხებს განიერი კაბის ქვეშ უხმაუროდ ვიკეცავ. ჩავთბი.

•

იმ დღეს ლოლას სახლის კარი ჩვეულებრივზე მეტად დამხვდა შეღებული. მომესმა, თითქოს სახლის სიღრმეში მამაკაცმა ჩაახველა. დავიძაბე. უკან გაბრუნებაც კი დავაპირე, მაგრამ ეს სახლი ხომ უხილავი ძალით მიზიდავდა, მიხმობდა?! გამბედაობა მოვიკრიბე და ზღურბლს ფრთხილად გადავაბიჯე. მივაყურადე. სასტუმრო ოთახიდან ქალისა და მამაკაცის ჩურჩული ისმოდა. შევკრთი, ნაცნობი ოთახისკენ აჩქარებული ნაბიჯით გავემართე. ფეხი შევდგი თუ არა, ვიგრძენი – რაღაც ისე არ იყო.

ძირს პლედი ეგდო. ავიღე და ლოლას მივაწოდე. ხელი გავიწოდე და უცებ დენდარტყმულივით განზე გავხტი. პლედი ისევ იქ დავარდა, საიდანაც ავიღე. სავარძელი გულდასმით შევათვალიერე. ერთი პირობა ვიფიქრე, რომ მეჩვენებოდა. რაიმე არარსებულს კი არ ვხედავდი, პირიქით, შესაძლოა, არსებულს ვერ ვხედავდი. სავარძელში ლოლა არ იჯდა. მხოლოდ მისი ფეხსაცმელი ეწყო. თითქოს სავარძელზე შედგა და გაქრა.

„გიჟია, კუდიანია," – ყურში ბებოს ხმა ჩამესმა.

„სავსემთვარეობაა ამაღამ," – გამახსენდა ლოლას სიტყვები.

– გიჟია, კუდიანია!.. სავსემთვარეობაა ამაღამ... გიჟია!.. სავსემთვარეობაა... კუდიანია!.. – კედლები ბუტბუტით დაიძრნენ ჩემკენ. ნაცრისფერი პლედი უზარაზარი ცხოველის კუდივით ეგდო ჩემს ფეხებთან. უცებ ხელ–ფეხი დამიბუჟდა, გამეყინა და მზე ჩამექცა თავში.

•

ქარმა ფანჯარა მსუბუქად მიაჯახა კედელს.

– კარგად ხარ, საყვარელო? – გამომძახა ჰენრიმ მეორე ოთახიდან.

ამინდი მკვეთრად შეიცვალა. ფოთლები გიგანტური მოლეკულებივით ქაოტურად მოძრაობენ ჰაერში, ერთმანეთში ირევიან და ბევრდებიან. მტვერი თითქოს მიწიდან კი არ აიშალა, თოვლივით წამოვიდა მაღლიდან. ჰაერი ჩამუქდა. ფანჯრის გადაღმა სამყაროში ადამიანები შეჩოჩქოლდნენ. თვალმოჭუტულ ქალებს თმები და კაბები უფრიალებთ. კაცები ლაბადების საყელოში მალავენ აფრიალებული კაბებისთვის ვერშევლებულ მზერას. ელვა და ქუხილი ჯერ არ არის. სამაგიეროდ, ვხედავ, როგორ გარბიან ქალები, როგორ ეფარებიან თვალს და, როცა უკვე აღარ ჩანან, მაშინღა აღწევს ჩემამდე მათი ფეხსაცმლის წკაპუნის ხმა. ვერაფრით იფიქრებ, რომ ეს მღელვარე დღე იმ მშვიდი დილის გაგრძელებაა.

ქარმა ერთხელ კიდევ მოაჯახუნა ფანჯარა. ფარდა აფრიალდა. ქუჩამ და ოთახმა ერთმანეთს თავიანთი ამონასუნთქი ჰაერი შეასუნთქეს: პირველმა – გრილი, მშრალი და მსუბუქი; მეორემ – ტაფაში ადუღებული ზეთის ოხშივარით დამძიმებული, მსუყე. ოთახის კარი გამოულია ჰენრის, ორპირია.

– კარგად ხარ, საყვარელო?

– ჰო, – თავი ოდნავ შესამჩნევად დავუქნიე.

– უჰ, როგორი ქარი ამოვარდა, გაწვიმდება...

– ჰო, – თავი ოდნავ შესამჩნევად დავუქნიე და გავუღიმე.

– არა უშავს, შენ ხომ გიყვარს წვიმა? მგონი, ქმარზე მეტადაც, არა?

– ჰო, – თავი ოდნავ შესამჩნევად დავუქნიე, გავუღიმე და თვალი ჩავუკარი.

– ხომ იცი, წვიმაა თუ სეტყვაა, სიტყვა სიტყვაა: ნაკლები ფიქრი და მეტი სიმშვიდე.

„ნაკლები ფიქრი და მეტი სიმშვიდე," – ეს თითქმის არასდროს გამომდის, ამიტომ მხოლოდ გავუღიმე, რა თქმა უნდა, ოდნავ შესამჩნევად.

•

– მაღალი სიცხე აქვს...

თვალები გავახილე. ბებო ტელეფონზე საუბრობდა, თან ცხვირსახოცით უპეებს იმშრალებდა.

ლოლას გაქვავებული, ნახატადქცეული პროფილი დამიდგა თვალწინ. წარმოვიდგინე, როგორ ავიდა სავარძელზე, ხელები მთვარისკენ გაიწოდა და ფანჯრიდან ფეხშიშველი გაფრინდა. გამაჟრჟოლა. ლოლა... არსებობდა კი საერთოდ? იქნებ, ზმანება იყო? არსებობდა თუ დამესიზმრა? არსებობდა თუ დამესიზმრა?! მისუსტებულსა და სიცხისგან გათანგულს აზრის მოკრება, მეხსიერების კონცენტრირება მიჭირდა. ბოლოს დავასკვენი, რომ ლოლა რეალურად არ არსებობდა. ყველაფერი მაღალი სიცხის ბრალი იყო.

– ... ჰო, მეც გავიგე, გიჟი ლოლა სახლიდან გაპარულა. თმაგაწეწილი და ფეხშიშველი მირბოდა თურმე წვიმაში, – ტელეფონზე საუბარს განაგრძობდა ბებო. – არავინ იცის, სად შეიძლება წასულიყო.

არ დამსიზმრებია...

„გიჟი ლოლა" – ეს იყო ყველაზე გულსაკლავი სიტყვათა შეთანხმება, რაც კი სამყაროში არსე-

ბობდა. საბანი თავზე წამოვიხურე და ავსლუკუნდი. ნეტავ, მცოდნოდა, საით წავიდა... აუცილებლად დავედევნებოდი, აუცილებლად! დღემდე ვცდილობ, რაიმე ისეთი გავიხსენო მისი მონათხრობიდან, რაც მიმანიშნებდა, სად შეიძლება წასულიყო, მაგრამ ამაოდ...

შუაღამისას ბებომ ფრთხილად გამომიცურა იღლიიდან თერმომეტრი და ექიმს ხელის კანკალით მიაწოდა. გამეღვიძა.

– ნუ ღელავთ, – დაამშვიდა დაღლილსახიანმა ექიმმა და სათვალე გაიკეთა, – მდა... ორმოცდარამდენიღაცაა... ცოტათი მეტი...

– ღმერთო!.. – აკანკალებული ხელები და ცრემლიანი თვალები მაღლა აღაპყრო ბებომ.

უცებ ბებოს ზურგსუკან კაშკაშა სინათლე გაჩნდა. ნათებას ხმაც მოჰყვა:

– შენ მხოლოდ ნახევარი ხარ... ის, ვინც ორ ნაწილად მოვიდა, უნდა გამთლიანდეს. ის, ვინც გაყოფილია, ერთ სხეულად უნდა შეირწყას.

გასაკვირია, მაგრამ არ შემშინებია. ის კი არა, ერთგვარი აღმაფრენაც კი დამეუფლა.

– უნდა გამთლიანდე... წადი, დროა! – ციმციმებდა უცნაური ნათება.

– საით წავიდე? – ვკითხე ჩუმად.

– რა თქვი, ბები? – ტუჩებზე ყური მომადო ბებომ.

– ბოდავს, – „აუხსნა“ ექიმმა.

– გელოდება, – მიპასუხა ნათებამ და გაქრა. თან გაიყოლა ბებოც, ექიმიც, ძვირად ღირებული წამლებისა და ბებოს იაფფასიანი სუნამოს სუნიც, ნათურის სინათლეც... აღარაფერი არსებობდა ჩემი და სიბნელის გარდა.

•

დაიქუხა.

– ჰენრი, – გავძახე, – ასეთი ფოკუსის გაკეთება შეგიძლია? შარვალი გაიხსენი და ჩიტები ამოაფრთხიალე. მოდი, რა, ჩემთან!

ოთახში შემოდის, ხელში პულტი უჭირავს. ვიბროსიგნალზე დაყენებული ტელეფონივით ცახცახებს პულტი.

– გაიხსენი, რაა, შარვალი და ქამარი ფანჯრიდან გადააგდე.

მომეჩვენა, რომ ჰენრი გაფითრდა. თვალის ფერი კი საბოლოოდ ამოევსო ხმელი ფოთლებით.

– დამშვიდდი, ლოლა, – ამბობს და პულტს მაგიდაზე დებს. პულტი ჩერდება, ახლა მხოლოდ ჰენრის ხელი ცახცახებს.

ფარდა ფრიალებს. გარეთ წვიმს. მე ჰენრის შევყურებ.

– ხმამაღლა ვფიქრობდი? კარგია, რომ ამყევი... ჰო, მართლა, ჩიტები მოჟივჟივე და არა მოჭიკჭიკე ან მგალობელი. პრიალა ფრთებით, თუ შეიძლება. ათი ან ოცი ცალი, – ვუღიმი და თეატრალურად ვაყოლებ, – ოცდახუთიც დასაშვებია...

ოთახში დედაჩემი შემოდის. დამწვარი კატლეტის სუნი შემოაქვს. კი არ შემოდის, მოფარფატებს. ისეთი გამხდარი და გალეულია, ისეთი, ისეთი, რომ ტირილი მინდა.

„მგონი ეწყება,“ – ეჩურჩულება ჰენრი დედას.

– რას გულისხმობ? – მიკვირს.

– ლოლა, ჩემო საბრალო გოგონა, – მიყვავებს დედა. შუბლი ნაოჭებით, თვალები უზომო სიბრალულითა და გული ალბათ, ტკივილით აქვს სავსე. თან გამხდარია, ისეთი გამხდარი... გალეული. ვეღარ ვიკავებ, ვღრიალებ.

– დამშვიდდი. მე და ჰენრი ახლავე დავურეკავთ ექიმს.

„ჰენრის“ ხაზგასმით ამბობს, თითქმის დამარცვლით. საბრალო დედა... ჰგონია, რომ ვერ ვამჩნევ, ჰენრის მხოლოდ ჩემს საამებლად რომ ეძახის. სინამდვილეში, ის მისთვის ისევ ვიქტორია.

– ახლავე დავურეკავთ, – მიმეორებს და ჰენრის ეჩურჩულება, – წამოდი, ვიქტორ!

– რა ლოლა, მე ხომ სტასი ვარ. ორივე ერთდროულად გაგიჟდით?! – ნერვები მეჭიმება. ეს ყველაფერი თამაშს უკვე აღარ ჰგავს.

ვუყურებ, როგორ ნერვულად უკიდებენ ჩემი ხელები სიგარეტს და მაწვდიან. ტუჩებით ვართმევ, ღრმა ნაფაზს ვარტყამ და კვამლთან ერთად უკან ვუბრუნებ.

ბოლი თვალს მიწვავს. კადრი იდღაბნება. ორ უფორმო სილუეტს ვარჩევ. ერთ-ერთის ხმა ექოდ ჩამესმის: „შეტევაა“. შემდეგ ორივე სილუეტი გვერდითა ოთახის კარისკენ იწელება. თვალებს ვიფშვნეტ. ვხუჭავ. ვახელ. ყველაფერი რიგზეა. ყველა ნივთს თავისი ფორმა დაუბრუნდა.

ვცდილობ, დავმშვიდდე და გავერკვიო, რა ხდება. „ახლა მარყუჟში თუ გავატარებ...“ – ვფიქრობ და ოთახს თვალს ვავლებ. რა ვისროლო? ხილის ლარნაკი ცარიელია. სხვას, მცირე ზომისას, ვერაფერს ვპოულობ. ის ჭიქა მაინც დაეტოვებინა ჰენრის... პულტს ვიღებ და მარყუჟის ცენტრს ვუმიზნებ. მიზანს სცდება, მარყუჟსა და ტოტს შორის გათხელებულ თოკს ხვდება. გაწყვეტილი თოკი გაყვითლებული ფოთოლივით შორდება ტოტს...

ტელეფონთან დედა და ჰენრი ჩურჩულებენ. სიზმარში მგონია თავი. რა ხდება? მეორე ნაფაზამდე ჩემს თითებს ვაკვირდები. ღმერთო! ზუსტად, ზუსტად ისეთივე თითები...

– სარკეეეეე! სარკე მომიტანეეეეთ! – ვკივი. პლედს ძირს ვაგდებ, მერე კაბის კალთას ნიკაპამდე ვიწევ. ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო! ჩემს ნაიარევ მუცელს გაოგნებული დავყურებ. „ღმერთო, ნუთუ... მე... ნუთუ...“.

გვერდითა ოთახის კარს ფრთხილად კეტავენ, ალბათ, იმიტომ, რომ არ გავიგო, როგორ ეტყვიან ექიმს: „შეტევა განუახლდა“.

თვალებს ისე მაგრად ვხუჭავ, ქუთუთოები მიბუჟდება. გონებაში სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს კადრები. კადრს ვერდამთხვეული ხმები მაგიჟებს. უნიჭოდ გაკეთებულ მონტაჟს ჰგავს ეს ყველაფერი. უცნაური შეგრძნება მეუფლება, თითქოს ორი კამერიდან ერთდროულად ვიყურები: ერთით – სავარძლიდან ფანჯრისკენ: ხეს, შენობასა და ადამიანების მწკრივს აღვიქვამ; მეორე სავარძლისკენ არის მიმართული, კადრში ჩემი პროფილი და ღია ფანჯრის ნაწილი ჩანს. ორივე კამერიდან დანახული ერთმანეთს ედება. ხმები ერთმანეთში ირევა, სადაც არის, თავი გამისკდება! გონებას ძალას ვატან, ვძაბავ. გაორებული კადრების ფოკუსირებას გაჭირვებით, მაგრამ მაინც ვახერხებ. თვალებს ვახელ.


დედა და ჰენრი ისევ ჩურჩულებენ. გარეთ წვიმს. ოთახში მარტო ვარ.

ვმსუბუქდები. თითქოს რაღაც ტვირთი ჩამომხსნეს გონებიდან, გულიდან, თვალებიდან. თითქოს უწონო გავხდი. დავმშვიდდი. ახლა რომ დედა შემოვიდეს, ალბათ, აღარ მომეჩვენება გულის ტკივილამდე გამხდარი.

ვდგები. ქოშებს ვიხდი და უხმაუროდ ვდებ სავარძელზე. სიგარეტს ვიღებ, ბოლს ვიგუბებ. ძირს მიგდებულ ფუმფულა პლედს გვერდს ვუვლი და თითისწვერებზე გავდივარ ოთახიდან.

შემოსასვლელის კარი ოდნავ არის შეღებული. ხელის შეხებაზე ძლივს გასაგონად ჭრიალებს. სანამ კიბეზე დავეშვები, ბოლს ვუშვებ, ნაწნავს ვიშლი, გულზე მეშვება: ახლა კი ნამდვილად გავიგებ, საით წავიდა ლოლა...





მარჯუს ტულიუს ციცერონი

სციპიონის სიზმარი[1]

სციპიონი[2]. როდესაც აფრიკაში ჩავედი კონსულ მანიუს მანილიუსის[3] ხელქვეითად და, როგორც მოგეხსენებათ, მეოთხე ლეგიონის სამხედრო ტრიბუნად,[4] ყველაზე მეტად მეფე მასინისას[5] ნახვა მსურდა, რომელსაც, სავსებით საფუძვლიანად, ახლო მეგობრობა აკავშირებდა ჩვენს ოჯახთან. როგორც კი ვეწვიე, ბერიკაცი[6] გადამეხვია და თვალზე ცრემლი მოადგა. მერე ზეცას ახედა და თქვა: „მადლობას ვწირავ მაღალ მზეს და ზეცის დანარჩენ მკვიდრთაც, რადგანაც, ვიდრე ამ ქვეყანას დავუტევებდე, საშუალება მომცეს ჩემს სამეფოში და ამ ჭერქვეშ მეხილა პუბლიუს კორნელიუს სციპიონი,[7] ვისი სახელის ხსენებაც კი მხნეობას მმატებს. ჩემს სულში ხომ არასოდეს წაშლილა იმ დიდებული და უძლეველი კაცის ხსოვნა“. შემდეგ მისი სამეფოს ამბავი ვკითხე, მან ჩვენი რესპუბლიკის ვითარება გამომკითხა, და მთელი ეს დღე გულითად საუბარში გავატარეთ.

მას შემდეგ, რაც მეფურად მიმასპინძლა, გვიან ღამემდე შევყევით საუბარს. ბერიკაცი მხოლოდ პუბლიუს კორნელიუს აფრიკელზე ლაპარაკობდა და არამარტო მის საქმეებს, მისსავ სიტყვებსაც იხსენებდა. ბოლოს, როცა გამომშვიდობებისა და მოსვენების ჟამმა მოაწია, მგზავრობითა და ღამის თევით დაღლილს უფრო ღრმად ჩამეძინა, ვიდრე მჩვეოდა. ძილში, ეტყობა, იმის შედეგად, რაზედაც ვსაუბრობდით (აკი სიფხიზლეში ნათქვამი და ნაფიქრალი რაღაც იმდაგვარს იწვევენ ძილში, რასაც ენიუსი წერს ჰომეროსზე, ვისზედაც, ალბათ, სიფხიზლეში ხშირად ფიქრობდა და ლაპარაკობდა[8]), – „აფრიკელი“ გამომეცხადა, რომელსაც მისი გამოსახულების მიხედვით უკეთ ვიცნობდი, ვიდრე მისი ნამდვილი სახით.[9] როცა ვიცანი, ვინც იყო, შიშმა ამიტანა, მაგრამ მან მითხრა: „მხნედ იყავ, სციპიონ,[10] განდევნე შიში და დაიხსომე, რასაც გეტყვი.

თუ ხედავ იმ ქალაქს, მე რომ ვაიძულე დამორჩილებოდა რომაელ ხალხს, მაგრამ ახლა უწინდებურად ომის გზას ირჩევს, რადგანაც მშვიდად ყოფნა არ შეუძლია?[11] (ამასთან, ის მაღალი და ვარსკვლავებით მოჭედილი, ნათელი და სხივმფინარე ადგილიდან[12] მიჩვენებდა კართაგენს). ახლა კი შენ ლამის უბრალო ჯარისკაცად მოვლენიხარ აქაურობას,[13] რათა იერიში მიიტანო ამ ქალაქზე. ორ წელიწადში, როგორც კონსული,[14] მიწასთან გაასწორებ მას და კიდევაც დაიმსახურებ იმ მეტსახელს, რომელიც დღემდე მემკვიდრეობით გრგებია ჩემგან.[15] კართაგენის დაქცევის შემდეგ, რაც შენი ტრიუმფით დაგვირგვინდება,[16] ცენზორი გახდები და ლეგატად ეწვევი ეგვიპტეს, სირიას, აზიასა და საბერძნეთს, მერე კი, შენდა დაუსწრებლად, მეორედაც აგირჩევენ კონსულად, უსასტიკეს ომს მოიგებ და ნაცარტუტად აქცევ ნუმანციას. მაგრამ როდესაც ეტლით შეგრიალდები კაპიტოლიუმში,[17] ჩემი შვილიშვილის ზრახვებით ამტუტებულს ჰპოვებ რესპუბლიკას.[18]

და აქ შენ, აფრიკელო, უნდა უჩვენო სამშობლოს შენი სიმამაცის, სიბრძნისა და გონიერების ნათელი. მაგრამ მე თითქოს ორმაგ გზას ვხედავ, ბედისწერის მიერ საიმდროისოდ განსაზღვრულს, როცა შენს სიცოცხლეში რვაჯერ იხილავ ცის ერთსა და იმავ წერტილში მზის შვიდ მოქცევას, და როცა ეს ორი რიცხვი, სხვადასხვა მიზეზის ძალით, სრულ რიცხვად მიჩნეული, თავისი ბუ-

ნებრივი სვლით გაასრულებს ბედისწერის მიერ შენთვის დასაზღვრული წლების სათვალავს,[19] მხოლოდ შენსკენ, მხოლოდ შენი სახელისკენ მოიქცევა მთელი ქალაქი: სენატიც და ყველა კეთილი მოქალაქეც; მოკავშირეებიც და ლათინებიც; შენსკენ მზირალნი მხოლოდ შენ მიგიჩნევენ სახელმწიფოს კეთილდღეობის ერთადერთ მხსნელად, და შენ, დიქტატორმა, უნდა აღადგინო საზოგადოებრივი წესრიგი, თუკი შეძლებ თავი დააღწიო შენი ახლობლების უკეთურ ხელს“.[20]

აქ ლელიუსს[21] სიმწრის ყვირილი აღმოხდა და დანარჩენებმაც ერთხმად ამოიგმინეს, მაგრამ სციპიონმა ალერსიანი ღიმილით შეაჩერა ისინი: „გევედრებით, ნუ გამაღვიძებთ; ყური მიგდეთ და ბოლომდე მოისმინეთ ჩემი სათქმელი“.

„მაგრამ ესეც უნდა იცოდე, სციპიონ, – განაგრძო აფრიკელმა, – რათა უფრო მხნედ ემსახუროო რესპუბლიკას: ყველას, ვინც დაიცვა სამშობლო, შეეწია მის კეთილდღეობას და განავრცო მისი საზღვრები, გარკვეული ადგილი აქვს მიჩენილი ცაში, მარადიული სიცოცხლისა და უხრწნელი ნეტარებით ტკბობის ადგილი. რადგან არაფერი ისეთ სიამეს არა ჰგვრის უზენაეს ღვთაებას, სამყაროსა და ყოველივე იმის გამრიგეს, რაც ხდება დედამიწაზე, როგორც სამართლით შეკრულ-შედუღებულ კაცთა ერთობა, რასაც სახელმწიფოს ვუწოდებთ ჩვენ, რომლის მმართველნი და მფარველნიც, აქედან წასვლის შემდეგ, აქაურობასვე უბრუნდებიან“.

მაშინ მე, შეძრწუნებულმა არა იმდენად სიკვდილის შიშით, რამდენადაც ჩემი ახლობლების მზაკვრობით,[22] ვკითხე: „შენ თვითონ, მამაჩემი პავლუსი[23] და სხვები, ვინც მკვდრებად მიგვაჩნდა, ცოცხლები თუ ხართ-მეთქი; – „რა თქმა უნდა, –მომიგო მან, – ყველანი ცოცხლები ვართ, სხეულის ბორკილებიდან, როგორც პირქუში დილეგიდან, თავდახსნილნი და თავისუფალნი; სიკვდილი კი ისაა, რასაც თქვენ სიცოცხლეს უწოდებთ.[24] ნუთუ ვერ ხედავ მამაშენ პავლუსს,[25] რომელიც გიახლოვდება?“ მისი დანახვისას ღაპაღუპით წამომივიდა ცრემლები, ის კი გადამეხვია, გადამკოცნა და თავისი ალერსით შემიშრო ცრემლი.

როცა ტირილი შევწყვიტე და ხმის ამოღება შევძელი, მამაჩემს ვკითხე: „მითხარი, უწმინდესო და ყოვლის მჯობო, თუკი სიცოცხლე სწორედ ესაა, როგორც აფრიკელისაგან შევიტყვე, მაშინ რაღას ვუდგივარ ამ წყეულ ქვეყნად რატომ არ მოვეშურები თქვენსკენ?“ – „არა, – თქვა მან, – სანამ ღვთაება, ვისიცაა ეს ტაძარი,[26] რომელსაც ხედავ, არ გაგათავისუფლებს შენი სხეულის ტყვეობისაგან, მანამდე არ გაგეხსნება ზეცის კარი. ადამიანები ხომ იმისათვის არიან დაბადებულნი, რომ არ მიატოვონ დედამიწად სახელდებული ბურთი, ამ ტაძრის შუაში რომ ხედავ; მათი სული კი იმ მარადიული ცეცხლოვანი სფეროებიდან იღებს დასაბამს, თქვენს მიერ ვარსკვლავებად და მნათობებად რომ იწოდებიან. ეს მრგვალი, ღვთაებრივ გონთან წილნაყარი და ღვთაების მიერვე გასულიერებული სფეროები განსაცვიფრებელი სისწრაფით ასრულებენ თავიანთ წრებრუნვას. ასე რომ, შენ, პუბლიუს, ისევე, როგორც ყველა ღვთისმოსავმაც, სხეულის დილეგში უნდა ამყოფოთ თქვენი სული, და მისი ნებართვის გარეშე, ვინც ეს სული გიბოძათ, არ დაუტევოთ ადამიანური სიცოცხლე და, ამრიგად, არ უღალატოთ ღმერთის მიერ დაკისრებულ მოვალეობას.[27]“

ხოლო შენ, სციპიონ, ისევე აღასრულე სამართლიანობა და მოიხადე შენი ვალი, როგორც აქ მყოფმა პაპაშენმა და მე, შენმა მშობელმა, მოვიხადეთ. ეს ვალი დიდია მშობლებისა და ახლობლების მიმართ, სამშობლოს მიმართ კი – უდიადესი.[28] მხოლოდ ამნაირი სიცოცხლე თუ მიგიყვანს ზეცის კარად, იმ ხალხის ხომლში, ვინც უკვე დაასრულა თავისი სიცოცხლე და ახლა, სხეულისაგან თავდახსნილი, იმ ადგილას სახლობს, რომელსაც ხედავ (სხივცისკროვანსა და ვარსკვლავთა შორის ნათლის მფრქვეველ რკალზე მანიშნა), და რომელსაც თქვენ, ბერძნების მსგავსად, გალაქტიკას უწოდებთ“.

იქიდან, სადაც ვიყავი და თვალს ვერ ვწყვეტდი ამ საოცარ სანახაობას, ყველაფერი მომნუსხველად და გამაოგნებლად მეჩვენებოდა. ასე ლამაზი და ამხელა ვარსკვლავები არასოდეს დაგვინახავს ჩვენი საცხოვრებლიდან. მათ შორის ყველაზე უმცირესი, რომელიც ყველაზე შორსაა ციდან და ყველაზე ახლოს – ჩვენთან, ნასესხები სინათლით ნათობდა.[29] ვარსკვლავთა ეს გიგანტური სფეროები თავიანთი სიდიდით განუზომლად აღემატებოდნენ დედამიწას, რომელიც მათთან შედარებით ისე პატარა მომეჩვენა, რომ სიბრალულიც კი ვიგრძენი ჩვენი ქვეყნის მიმართ, პაწაწინა წერტილად რომ აჩნდა დედამიწის ზედაპირს.

ვიდრე ასე დაჟინებით ვუცქერდი დედამიწას, აფრიკელმა თქვა: „როდემდე იქნება შენი აზრი მიქცეული დედამიწისკენ? ნუთუ ვერ ხედავ ამ ღვთაებრივ ტაძარს, სადაც მოსულხარ? ყველაფერი შეკრულია ცხრა წრით, ან უკეთ რომ

ვთქვათ, სფეროთი, რომელთაგანაც ერთ-ერთი, ყველა დანარჩენის მომცველი, გარეთა ციური სფეროა;[30] ესაა უზენაესი ღმერთი, რომელიც მოიცავს ყველა დანარჩენს. სწორედ მასზე არიან მიმაგრებული უძრავი ვარსკვლავები, მარადიულად რომ ბრუნავენ. მის ქვემოთ კი შვიდი სფეროა, რომელთა უკუქცევითი მოძრაობა საპირისპიროა ციური სფეროს მოძრაობისა. ერთ-ერთი სფეროს მფლობელია პლანეტა, რომელსაც სატურნს უწოდებენ დედამიწაზე. მისი მომდევნოა ვარსკვლავი, იუპიტერად სახელდებული, რომელსაც ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მოაქვს კაცთათვის. უფრო ქვემოთ წითლად მბრწყინავი და დედამიწისათვის თავზარდამცემი ვარსკვლავი, რომელსაც თქვენ მარსს უწოდებთ. კიდევ უფრო ქვემოთ, დაახლოებით შუა ადგილი მზეს უჭირავს, დანარჩენ მნათობთა მეუფეს, მბრძანებელსა და მთავარს, სამყაროს გონსა და გამრიგეს, იმდენად დიადს, რომ თავისი სხივებით ავსებს და ანათებს ყველაფერს. მისი თანმხლებნი არიან, ერთის მხრივ, ვენერა, მეორეს მხრივ კი, მერკური. და ბოლოს, სულ ქვემოთა წრეზე მიმოიქცევა მზის სხივებით განათებული მთვარე. მის ქვემოთ კი სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რაც მოკვდავია და ხრწნადი, სულების გამოკლებით, რომლებიც ღმერთმა უბოძა კაცთა მოდგმას. ხოლო მთვარის ზემოთ ყველაფერი მარადიულია. რაც შეეხება დედამიწას, ანუ მეცხრე სფეროს და სამყაროს ცენტრს, ის უძრავად დგას ყველაზე დაბლა, და ყველაფერი, რასაც წონა აქვს, მისკენ მიილტვის საკუთარი სიმძიმის ძალით“.[31]

ყოველივე ამის მიმართ განცვიფრებით მზირალმა გონს მოგებისთანავე ვკითხე: „კი, მაგრამ, ეს რა ბგერებია, ასე ხმამაღალი და საამო, თავიანთი ჟღერადობით რომ ავსებენ სასმენელს ჩემსას?“ – „ეს ბგერები, – მომიგო მან, – არათანაბარი შუალედებით დაყოფილნი, მაგრამ მაინც გარკვეული თანაფარდობებით განლაგებულნი, სფეროთა შმაგი ბრუნვისაგან იღებენ დასაბამს, რაც მაღალ და დაბალ ბგერათა შერევა-შეხამების შედეგად სხვადასხვანაირ ჰარმონიულ თანახმიერებას იწვევს. ეს უზარმაზარი სხეულები ჩუმად ხომ ვერ იმოძრავებენ, და თვით ბუნება აწესებს იმას, რომ კიდურა სფეროთაგან ზოგი უფრო ხმამაღლა, ზოგი კი უფრო ხმადაბლა ჟღერდეს. სწორედ ამ მიზეზის ძალით, აი, ის უზენაესი, უძრავ ვარსკვლავთა მტვირთველი და უფრო სწრაფად მოძრავი ზეცა უფრო მაღალ და მკვეთრ ბგერებს გამოსცემს, მთვარის ყველაზე დაბალი სფერო კი, პირიქით, – დაბალს.[32] რიგით მეცხრე დედამიწა ხომ ყოველთვის სამყაროს შუაშია, ერთსა და იმავე ადგილას. დანარჩენი რვა გზა კი, რომელთაგანაც ორი ტოლძალია,[33] ერთმანეთისაგან შუალედებით დაყოფილ შვიდ ბგერას გამოსცემს.[34] ხოლო ეს რიცხვი თითქმის ყველა საგნის კვანძია. სიმებითა თუ სიმღერით მათი მიბაძვის შედეგად, ცოდნით ნათელფენილმა ხალხმა, ისევე, როგორც ყველა მაღალმა სულმა, ადამიანურ სიცოცხლეში ღვთაებრივ საგანთა შემეცნებას რომ მიელტვოდა, ღირსეულად დაიმსახურა კვლავ დაბრუნებოდა იმ ადგილს, სადაც ჩვენა ვართ ამჟამად.[35] ვისი სასმენელიც ამ მეგობრებითაა სავსე, აღარაფერი ეყურება, რადგანაც თქვენში არ არსებობს უფრო ჩლუნგი გრძნობა, ვიდრე სმენაა. ხომ მოგეხსენებათ, რომ იმ ადგილის ბინადართათვის, რომელსაც კატადუპად[36] უხმობენ, სადაც ნილოსი ცადაზიდული მთებიდან ღრიალით ეშვება დაბლა, გამაყრუებელ ხმაურს მთლიანად დაუხშავს სმენა. სამყაროს შმაგი წრებრუნვით გამოწვეული ბგერების ხმიანობა იმდენად მაღალია, რომ ადამიანისთვის ისევე შეუძლებელია მისი აღქმა, როგორც შეუძლებელია თვალი გაუსწოროთ მზეს, რომლის სხივებსაც ეწირება მაგ თქვენი მზერის სიბასრე“.

მიუხედავად იმისა, რომ გაოგნებული მივჩერებოდი ყოველივე ამას, მაინც დედამიწისკენ გამირბოდა მზერა. მაშინ აფრიკელმა თქვა: „როგორც ვხედავ, კაცთა საცხოვრისს და სამკვიდროს ვერასდიდებით ვერა წყვეტ თვალს, თუ ისე პატარა გეჩვენება, როგორიცაა სინამდვილეში, გამუდმებით უმზირე ციურ სხეულებს, დედამიწას კი ზიზღით აქციე ზურგი. მართლაცდა, რა სახელი შეიძლება მოგიხვეჭოს კაცთა მითქმა-მოთქმამ, ან რა სანუკვარი დიდება? ხომ ხედავ, დედამიწა მხოლოდ აქა-იქ, ალაგ-ალაგაა დასახლებული, და ყველა ამ პატარა ადგილს, თითქოს ლაქებად რომ ატყვია მიწის ზედაპირს, ერთმანეთისაგან ვრცელი უდაბნოები ჰყოფს; ასე რომ, დედამიწის მკვიდრნი არა მარტო ერთმანეთისაგან გათიშულ-განცალკევებულნი და განმხოლოებულნი არიან, არამედ ურთიერთსაპირისპირო სარტყლებში[37] მიმოფანტულნიც, რის გამოც ერთიმეორის ანტიპოდებად გვევლინებიან. მერედა, რა დიდებას უნდა მოელოდეთ მათგან?

იმასაც ხედავ, რომ ეს დედამიწა გარშემორტყმული და შემოგარსულია სარტყლებით, რომელთაგანაც ორი, ერთმანეთისგან ყველაზე მეტად დაშორებული და, ორივე მხრივ, თხემით ზეცის თაღს მიბჯენილი, ყინულითაა დაფა-

რული;[38] შუათანა, ყველაზე ფართო სარტყელი კი – მზის მცხუნვარებით გადახრუკული.[39] ორი სარტყელი დასახლებულია. მათგან ერთ-ერთს, კერძოდ, სამხრეთ სარტყელს, რომლის მკვიდრნიც თქვენი ანტიპოდები არიან, არავითარი საერთო არა აქვს თქვენს მოდგმასთან. რაც შეეხება მეორე – ჩრიდლოეთისაკენ მიქცეულ სარტყელს, სადაც თქვენ სახლობთ, დაუკვირდი, რა უბადრუკი ნაწილი გიჭირავთ მისი. მთელი ეს მიწა, თქვენი საცხოვრისი, ორთავ თხემთან რომ ვიწროვდება, გვერდულად კი განიერდება, არსებითად, მხოლოდ პატარა კუნძულია, იმ ვრცელი ზღვით გარემოცული, რომელსაც თქვენ, დედამიწის მკვიდრნი, ატლანტიკას, დიდ ზღვასა თუ ოკეანეს უწოდებთ; მაგრამ ისიც კი რა პატარაა ესოდენ შთამბეჭდავ სახელთან შედარებით. მერედა, როგორ გგონია, ამ დასახლებული და კაცთათვის ცნობილი მიწა-წყლიდან გინდ შენი და გინდ რომელიმე თქვენგანის სახელი შეიძლება ფრენით გადავლებოდა თავს კავკასიას, ან ცურვით გადაელახა განგი.[40] ამომავალი თუ ჩამავალის მზის რომელ ქვეყანაში, ან ჩრდილოეთის თუ სამხრეთის რომელ მხარეში, ვის, რომელ მოკვდავს შეიძლებოდა ოდესმე მაინც სმენოდა შენი სახელი? ხოლო თუ მათ გამოვრიცხავთ, რა თქმა უნდა, შეგიძლია შენივე თვალით დაინახო, რაოდენ ვიწრო ფარგლებით იზღუდება იმისი გავრცელების არე, რასაც თქვენ დიდებად სახავთ. ისინი კი, ჩვენ რომ გვადიდებენ, როგორ გგონია, რამდენ ხანს განგვადიდებენ კიდევ?

თუმცა შთამომავლობამ კიდევაც რომ მოისურვოს მომავალ თაობებს გადასცეს ჩვენი დიდების ხსოვნა, სულერთია, მოგიზგიზე ხანძრებში დედამიწის დანთქმისა თუ ყოველისწამლეკი წარღვნების გამო, გარდუვალად რომ მეორდებიან დროის გარკვეულ შუალედთა შემდეგ,[41] – მაინც ვერ ვეღირსებით არამცთუ სამარადისო, თვით მეტნაკლებად ხანგრძლივ დიდებას. მაშ, რა მნიშვნელობა აქვს, რას იტყვიან შენზე მომავალი თაობები, როცა უფრო ადრე შობილთ არც კი უხსენებიხართ ოდესმე? არადა, ეს უკანასკნელნი ხომ არანაკლებ მრავალრიცხოვანნი, მეტიც, უფრო ღირსეულნიც კი იყვნენ; მით უმეტეს, რომ თვით მათ შორისაც კი, ვისაც, საერთოდ, შეიძლებოდა სმენოდა ჩვენი სახელი, ერთ წელზე მეტხანსაც არავის შეუნახავს ჩვენი ხსოვნა. მართლაცდა, ადამიანები ხომ ხალხური ჩვეულების მიხედვით, მზის, ე.ი. ერთადერთი პლანეტის მოქცევით განსაზღვრავენ წელს, თუმცა, სინამდვილეში წლის ცვალებად უნდა მიგვეჩნია მხოლოდ ის დრო, როცა, ხანგრძლივი შუალედების შემდეგ ყველა მნათობი ხელახლა უბრუნდება მოძრაობის საწყის წერტილს და, ამრიგად, მთელი ცის თაღი კვლავ თავის ოდინდელ იერს იღებს. გამიჭირდებოდა მეთქვა, ადამიანთა რამდენ თაობას მოიცავს ერთი ასეთი წელი. რადგან ოდესღაც, როცა რომულუსის სული მოევლინა, აი, ამ ტაძარს, ხალხს მოეჩვენა, რომ მზე თანდათან ჩაიშრიტა და ჩაქრა. ხოლო როცა ის კვლავ ჩაქრება იმავე ადგილას და იმავე დროს; როცა ყველა თანავარსკვლავედი და ყველა მნათობი ცის თაღზე კვლავ დაიჭერს უწინდელ ადგილს, სწორედ მაშინ გასრულდება „დიადი წელი“.[42] მაგრამ იცოდე, რომ ჯერ ამ წლის მეოცედსაც არ გაუვლია.

ამიტომ, თუ გადაგიწყდა იმის იმედი, რომ კვლავ დაუბრუნდე ამ ადგილს, სადაც ყველაფერი ღვაწლმოსილ და სახელგანთქმულ კაცთათვისაა განკუთვნილი, რაღა ფასი აქვს მაშინ ადამიანურ დიდებას, რომელიც ძლივს თუ გასწვდება ერთი წლის უბადრუკ ნაწილს? თუ გინდა ზეცას მიაპყრო მზერა, რათა პირისპირ ჭვრეტდე ამ მარადიულ სავანესა და საცხოვრისს, ყურს ნუ მიუგდებ ბრბოის მითქმა-მოთქმას და ნურც კაცთაგან მონიჭებულ ჯილდოს მიიჩნევ შენი სასოების ხორცშესხმად. დაე, თვით სიქველე თავისი ხიბლით გიძღოდეს წინ ჭეშმარიტი დიდებისაკენ. რასაც შენზე იტყვიან კაცნი, ეს მათი საქმეა; თქმით კი უსათუოდ იტყვიან. მაგრამ მთელი ეს მიეთ-მოეთი იმ მხარეთა ვიწრო ფარგლებითაა ზღვარდებული, აქედან რომ ხედავ, და ვერავის ვერასდროს ვერ მოუხვეჭს ხანგრძლივ დიდებას, რადგანაც ისევე უხანოა და უდღეური, როგორც თვით კაცთა სიცოცხლე, და უკვალოდ ქრება შთამომავლობის ხსოვნაში“.

ეს სიტყვები რომ წარმოსთქვა, მე მივუგე: „მართლაცდა, აფრიკელო, რაკიღა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილთათვის ხსნილია გზა, რომელსაც ცის კარად მივყავართ, – მე, სიყრმითგანვე რომ მივდევდი არა მარტო მამაჩემის, არამედ შენს კვალსაც, და არასოდეს შემიბღალავს თქვენი დიდება, ახლა, როდესაც ესოდენ დიდი ჯილდო მელის, კიდევ უფრო დაუმცხრალი ვიქნები ჩემი სწრაფვისას.“ ხოლო მან მითხრა: „მაშ, მხნედ იყავ და გახსოვდეს: შენ კი არა ხარ მოკვდავი, არამედ – შენი სხეული. ვინაიდან ის როდი ხარ, რასაც შენი გარეგნული იერი ავლენს, არამედ – სული; დიახ, სწორედ სულია ადამიანი, და არა მისი იერსახე, რაც სხვებს შეიძლება თითით უჩვენო. მაშ, იცოდე, რომ ღმერთი ხარ, რადგანაც ღმერთი ისაა,

ვინც ცოცხლობს, ვინც გრძნობს, ვისაც ახსოვს, ვინც წინასწარ ხედავს, განაგებს, მართავს და ისევე ამოძრავებს მისთვის ბოძებულ სხეულს, როგორც უზენაესი ღმერთი ამოძრავებს მთელ სამყაროს. დიახ, სწორედ სულია ადამიანი, და არა მისი იერსახე, რაც სხვებს შეიძლება თითით უჩვენო. მაშ, იცოდე, რომ ღმერთი ხარ, რადგანაც ღმერთი ისაა, ვინც ცოცხლობს, ვინც გრძნობს, ვისაც ახსოვს, ვინც წინასწარ ხედავს, განაგებს, მართავს და ისევე ამოძრავებს მისთვის ბოძებულ სხეულს, როგორც უზენაესი ღმერთი ამოძრავებს მთელ სამყაროს. დიახ, როგორც ყოვლისმძლე ღმერთი ამოძრავებს ამ უსასრულო და, გარკვეულწილად, მოკვდავ სამყაროს, ასევე ამოძრავებს ხრწნად სხეულსაც მარადი სული.

რადგან ის, რაც მარად მოძრაობს, წარუვალია; ხოლო ის, რაც სხვას ანიჭებს მოძრაობას, რომელსაც, თავის მხრივ, სხვისაგან იღებს, მოძრაობის შეწყვეტისთანავე არსებობასაც წყვეტს. მხოლოდ თვითმოძრავი არასოდეს არა წყვეტს მოძრაობას, რადგანაც არასოდეს არ ღალატობს საკუთარ თავს. მეტიც, ყველა სხვა მოძრავი სხეულისთვისაც სწორედ ისაა მოძრაობის წყარო და საწყისი. თვით საწყისი კი დაუსაბამოა. ყველაფერი საწყისისგან იღებს დასაბამს, ხოლო საკუთრივ საწყისი არაფრისგან არ იბადება, არც არასოდეს ქრება, რადგანაც საწყისი რომ ქრებოდეს, ვეღარც სხვა რამისაგან დაიბადებოდა და ვეღარც სხვას მისცემდა დასაბამს, რაკიღა აუცილებელია, რომ ყველაფერი საწყისის წყალობით ეზიარებოდეს არსებობას. მაშასადამე, მოძრაობის დასაბამი არის ის, რაც თვითონვე ამოძრავებს საკუთარ თავს, ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია იბადებოდეს და კვდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიღუპებოდა მთელი ცა, მოძრაობას შეწყვეტდა მთელი ბუნება, და ისინი ვერასდიდებით ვეღარ შეიძენდნენ ძალას, რომელიც შეძლებდა მოძრაობა მიენიჭებინა მათთვის.

ამრიგად, რაკი აშკარაა, რომ მარადიულია ის, რაც თავის თავს თვითონვე ანიჭებს მოძრაობას, ვინ შეძლებს იმის უარყოფას, რომ ეს თვისება ნიშნეულია სულისთვის? ყოველივე ის, რაც გარეგანი ბიძგით მოძრაობს, უსულოა, მაშინ როდესაც ყოველივე იმას, რაც სულდგმულია, შინაგანი და თავისთავადი ბიძგი ამოძრავებს. რადგანაც ასეთია საკუთარი ბუნება და ძალა სულისა. თუკი ყველა სხვა არსთა შორის ის ერთადერთია, თავისთავად რომ მოძრაობს, მაშასადამე, არც შობილია და არც წარმავალი. ამიტომ შენც უკეთეს საქმეთა კეთებას მოახმარე იგი. არ არსებობს უფრო კეთილშობილური საქმე, ვიდრე სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვაა. მასზე ზრუნვით შეძრული და მისთვისვე თავდადებული სული გაცილებით უფრო სწრაფად მიაღწევს თავის ზეციურ სამკვიდროსა და სავანეს. და ეს მით უფრო მალე მოხდება, თუ ჯერ კიდევ სხეულის გარსში გამომწყვდეული მთელი არსებით მიიქცევა ზეციური სიწმინდის ჭვრეტად, რათა, ამრიგად, თავი დააღწიოს ხორცის ბნელ დილეგს. რადგანაც იმათი სული, ვინც ხარბად მიელტვოდა ხორციელ განცხრომას, მონური მორჩილებით ემსახურებოდა ქვენა გრძნობებს, ქედს იხრიდა მათ წინაშე და ვნებით აღძრული არღვევდა ღმერთთა და კაცთა კანონებს, სხეულს გაყრილი კვლავაც დიდხანს, საუკუნეების მანძილზე, იფრთხიალებს და იბორიალებს მიწის გარშემო, ვიდრე დაუბრუნდებოდეს ზეცის სავანეს.[43]

ამ სიტყვებით გაუჩინარდა და მეც გამომელვიძა.

შენიშვნები

1. ეს ტრადიციული სათაური პირობითია, რადგანაც „სციპიონის სიზმარი“ დიდი რომაელი ორატორის, სახელმწიფო მოღვაწისა და მოაზროვნის მარკუს ტულიუს ციცერონის (106-43ძვ.წ.ა) დამოუკიდებელი თხზულება კი არ არის, არამედ მისი ვრცელი ფილოსოფიური ტრაქტატის – „რესპუბლიკის“ ბოლო – VI წიგნის დასკვნითი ნაწილი. „სციპიონის სიზმარი,“ არსებითად, ალიტერაციებით მდიდარი რიტმული პროზაა, თავისი შინაგანი სტრუქტურით და ჰარმონიული ხმიერებით არცთუ იშვიათად რომ უახლოვდება პოეზიას. ციცერონის თხზულების მიხედვით დაიწერა იტალიელი პოეტის პიეტრო მეტასტაზიოს (1698-1782წ.) დრამატული კანტატა „სციპიონის სიზმარი,“ რომელიც 16 წლის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტმა (1756-1791წ.) საფუძვლად დაუდო თავის „დრამატულ სერენადას – სციპიონის სიზმარი“ („Serenata dramatica“ „Il songo di Scipione“, ზალცბურგი, 1772წ.).

2. **სციპიონი** – იგულისხმება რომაელ პატრიციუსთა სახელოვანი საგვარეულოს – სციპიონების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუსი (185-129 ძვ.წ.ა), მეტსახელად აფრიკელი; კონსული, მესამე პუნიკური ომის (149-146ძვ.წ.ა) გმირი, ვისი სარდლობითაც რომაელთა ლაშქარმა საბოლოოდ გაანადგურა და მიწასთან გაასწორა რომის მთავარი მეტოქე კართაგენი, რითაც აღსრულდა მარკუს პორციუს ცენზო-

რიუს კატონის (234-149ძვ.წ.ა) სანუკვარი სურვილი: „Censeo Carthoginem delendam esse“ („ვფიქრობთ, კართაგენი უნდა დაინგრეს“).

3. **მანიუს მანილიუსი** – იგულისხმება ციცერონის მეგობარი, რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი მანიუს მანილიუს ნეპოტი – 149 წელს კონსული (ლუციუს მარციუს ცენზორინუსთან ერთად), თავისი ლაშქრითურთ გარს რომ ადგა კართაგენს. თუმცა წარუმატებელი ალყის გამო მალე გადააყენეს მთავარსარდლის პოსტიდან და პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუსით შეცვალეს.

4. **სამხედრო ტრიბუნები** (tribuni militum) – ოფიცრები, ორი თვის განმავლობაში რიგ-რიგობით რომ მეთაურობდნენ ლეგიონს. თვითოეულ ლეგიონში ექვსი სამხედრო ტრიბუნი იყო.

5. **მასინისა** (240-149 ძვ.წ.ა) – აღმოსავლეთ ნუმიდიის მეფე. მეორე პუნიკური ომის დროს (218-201ძვ.წ.ა) თავდაპირველად კართაგენის მოკავშირე იყო, მაგრამ 206 წელს რომაელებს მიემხრო და თავისი მხედრიონით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პუბლიუს კორნელიუს სციპიონის (უფროსის, იხ. ქვემოთ, შენ.7) მიერ კართაგენელთა მხედართმთავრის ჰანიბალის (247-183ძვ.წ.ა) არმიის განადგურებაში (202 ძვ.წ.ა), რითაც, ფაქტიურად, დამთავრდა მეორე პუნიკური ომი. რომაელ ისტორიკოსთა მოწმობით, მასინისამ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეინარჩუნა ერთგულება სციპიონთა საგვარეულოს მიმართ.

6. ამ დროს (149ძვ.წ.ა) მასინისა 90 წლისაა.

7. აქ მასინისა თავის სტუმარს და, იმავდროულად, მის სეხნიას – სახელგანთქმულ რომაელ სახელმწიფო მოღვაწეს და მხედართმთავარს – პუბლიუს კორნელიუს სციპიონს (235-183ძვ.წ.ა.) გულისხმობს, რომელიც მეორე პუნიკური ომის დროს თავდადებით იბრძოდა კართაგენელთა წინააღმდეგ ჯერ ესპანეთში, ხოლო 205 წლიდან (როცა კონსული გახდა) – აფრიკაში, სადაც თავისი 30 000-იანი ლაშქრითა და მასინისას მხედრიონით დაამარცხა ჰაზდრუბალი და მისი მოკავშირე – დასავლეთ ნუმიდიის მეფე სიფაქსი, 202 წელს კი – იტალიიდან გამოხმობილი ჰანიბალიც. მომდევნო 201 წელს კართაგენი იძულებული შეიქნა სამარცხვინო ზავი დაედო რომთან. სწორედ ამ გამარჯვების აღსანიშნავად ეწოდა მეტსახელად „აფრიკელი“. უფრო გვიან, სციპიონ ემილიანუსის – „უმცროსი აფრიკელისაგან“ განსხვავებით, მას „უფროს აფრიკელად“ იხსენიებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანუსი პუბლიუს კორნელიუს სციპიონის უფროსი ვაჟის შვილობილი იყო.

8. იგულისხმება რომაელი პოეტი და დრამატურგი **კვინტუს ენიუსი** (239-169ძვ.წ.ა), ავტორი 18 წიგნისაგან შემდგარი პირველი რომაული ნაციონალური ეპოსისა „ანალები“ („Annoles“), რომელმაც ფრაგმენტების სახით მოაღწია ჩვენს დრომდე (სულ დაახლ. 600 სტრიქონი). პოემაში გადმოცემული იყო რომის ისტორია, იტალიაში ენეასის ჩამოსვლიდან პოეტის დრომდე. ენიუსს მისაბაძ ნიმუშად მიაჩნდა ჰომეროსის ჰეროიკული ეპოსი, თვით ვერსიფიკაციული თვალსაზრისითაც („ანალები დაქტილური ჰექსამეტრითაა დაწერილი“). პოემის პროლოგში ჰომეროსი იუწყებოდა, რომ მისი სული ენიუსში გარდასხეულდა. ჩვენამდე მოაღწია რომაელი პოეტის მრავალრიცხოვანი დრამატული თხზულებების ფრაგმენტებმაც. ენიუსის პოემამ საგრძნობი გავლენა მოახდინა ვერგილიუსსა და ტიტუს ლივიუსზე.

9. ყველა რომაელი პატრიციუსის სახლს ამკობდა წინაპართა გამოსახულებანი (imagines majorum) – მარმარილოს სტატუები თუ ცვილით ნაძერწი ფიგურები. რომაელებს ასეთი ანდაზაც ჰქონდათ: “non habet imagines”, რაც ნიშნავდა – „წარჩინებული წინაპრები არა ჰყავს“, ე.ი. მდაბიოა, პლებეიაო... უფროსი სციპიონი ძვ.წ.ა. 183 წელს გარდაიცვალა, როცა უმცროსი მხოლოდ ორი წლისა იყო (დაიბ. 185წ.) და ამ უკანასკნელს, ცხადია, არ შეეძლო „მისი ნამდვილი სახით“ ხსომებოდა იგი.

10. მიმართვა „სციპიონ“ იმას ნიშნავს, რომ ემილიანუსისთვის, როგორც სციპიონისათვის, უცხო უნდა ყოფილიყო შიში.

11. მეორე პუნიკური ომის შემდეგ, რომელიც რომაელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინა პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა, კართაგენში კვლავ იმძლავრა სამხედრო პარტიამ.

12. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს „ვარსკვლავებით მოჭედილი, ნათელი და სხივმფინარე ადგილი“ გალაქტიკაა.

13. სამხედრო ტრიბუნის თანამდებობა (იხ. შენ. 4) პუბლიუს კორნელიუს სციპიონს მეტისმეტად შეუფერებელი ეჩვენება კართაგენის მომავალი დამქცევისათვის.

14. სციპიონ ემილიანუსი 38 წლისა გახდა კონსული (147წელს), თუმცა, კანონის ძალით, კონსული 42 წლისა მაინც უნდა ყოფილიყო... ორ წელსაც არ გაევლო, რომ რომაელთა არმიამ, მისი სარდლობით, აიღო და მიწასთან გაასწორა კართაგენი.

15. იგულისხმება „აფრიკელი“ (africanus), რომელსაც საპატიო მეტსახელად ატარებდა პუბლიუს კორნელიუს სციპიონი, შემდეგ კი – სციპიონ ემილიანუსიც, როგორც უკვე ითქვა, ერთმანეთისაგან განსასხვავებლად პირველს „უფროსად, მეორეს კი „უმცროსად“ იხსენიებდნენ.

16. კართაგენის დამხობის შემდეგ სციპიონ ემილიუსს (უმცროს „აფრიკელს“) ტრიუმფი მოუწყვეს რომში. ტრიუმფი იყო უმაღლესი სამხედრო პატივი, რომელსაც მადლიერი სამშობლო მიაგებდა ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებულ მხედართმთა-

ვარს. ტრიუმფს სენატი უნიშნავდა გამარჯვებულს. დანიშნულ დღეს ტრიუმფატორი „მარსის ველიდან“ (Compus Martius) „ტრიუმფალური ბჭის“ (Porta triumphalis) გავლით მიემართებოდა კაპიტოლიუმისაკენ. პროცესიას წინ მიუძღოდნენ სენატორები და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირნი, შემდეგ – მუსიკოსები, ქურუმები და თეთრტოგიანი ჭაბუკები, რომლებსაც თეთრი ხარები მოჰყავდათ (ხარებს მსხვერპლად სწირავდნენ კაპიტოლიუმში). მათ ბორკილების ჩხარუნით უკან მისდევდნენ წარჩინებული სამხედრო ტყვეები, რომლებსაც ხშირად სიკვდილით სჯიდნენ, როგორც კი ტრიუმფალური პროცესია ფორუმს გაუსწორდებოდა. შემდეგ მოდიოდა ტრიუმფატორის კვადრიგა, რომელშიც ოთხი თეთრონი იყო შებმული. ტრიუმფატორი ფეხზე იდგა ოქრომკედით ნაქარგი ძოწისფერი ტუნიკითა (tunica palmata) და ძოწისფერივე ტოგით, რომელზეც სირმით ოქროსფრად მოციმციმე ვარსკვლავები იყო ამოქარგული (toga picta). ცალ ხელში სპილოს ძვლის კვერთხი ეჭირა, მეორეში კი – პალმის რტო. ტრიუმფატორის კვადრიგას უკან მოჰყვებოდნენ გამარჯვებული ლეგიონები. მსვლელობა მთავრდებოდა იუპიტერ კაპიტოლინუსის ტაძარში სამადლობელი მსხვერპლშეწირვით, ლოცვა-ვედრებითა და საყოველთაო სადღესასწაულო ღრეობით... ისტორიკოსთა მოწმობით, სციპიონის ტრიუმფზე უფრო გრანდიოზული საზეიმო სანახაობა რომს მანამდე არ ენახა.

17. პუბლიუს კორნელიუს სციპიონი აქ წინასწარ უცხადებს უმცროს „აფრიკელს“ მის მომავალ ბედს: ისტორიული წყაროების მიხედვით, ცნობილია, რომ ის ცენზორი გახდა 142 წელს, ელჩად (legatus) იყო წარგზავნილი ეგვიპტეში, სირიასა და აზიაში, 134 წელს ხელმეორედ აირჩიეს კონსულად და იმავე წელს წარგზავნეს ესპანეთში ქალაქ ნუმანციის დასამორჩილებლად, რომლის აღებასაც მთელი 10 წლის მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ რომაელები. 133 წელს სციპიონმა 9 თვიანი ალყის შემდეგ იერიშით აიღო და მიწასთან გაასწორა ურჩი ქალაქი. გამარჯვებულ მხედართმთავარს კვლავ ტრიუმფი მოუწყვეს რომში.

18. იგულისხმება პუბლიუს კორნელიუს სციპიონის ქალიშვილის – კორნელიას უფროსი ვაჟი ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსი (162-133 ძვ.წ.ა), სახალხო ტრიბუნი, რომელიც შეეცადა, ნობილიტეტის ინტერესების საზიანოდ, აგრარული რეფორმა გაეტარებინა რომში, რათა შეძლებისდაგვარად შეემსუბუქებინა წვრილ მესაკუთრეთა, უმიწაწყლო გლეხობისა და მონების უკიდურესად მძიმე, უნუგეშო და გაუსაძლისი ყოფა. გრაკხუსის მიზნებს ერთობლივად აღუდგა წინ რომის მთელი ნობილიტეტი. 133 წელს სენატორებმა თავიანთი თავკაცის – პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ნაზიკა სერაპიონის (138წ. კონსული, შემდეგ – ქურუმთუხუცესი – pontifux maximus) მეთაურობით კაპიტოლიუმში მუსრი გაავლეს ტიბერიუს გრაკხუსსა და მის თანამზრახველებს.

19. 7-სა და 8-ს უფროსი „აფრიკელის“ სიზმარეული ლანდი „სრულ რიცხვად“ (numerus plenus) სახავს (ტერმინი პითაგორელებისაგან იღებს დასაბამს: τελειιοα αριδμόα). 7 „სრულია“ იმიტომ, რომ ნებისმიერ ორ შესაკრებად დაშლისას ერთი ყოველთვის კენტი იქნება, მეორე კი – ლუწი (6+1, 5+2, 4+3). პითაგორელების მიხედვით, კენტი რიცხვი მამრული საწყისის სიმბოლოა, რადგანაც მას აქვს შინაგანი ღერძი, თავისი სიმტკიცის ცენტრი (3=1+1+1, 5=2+1+2, 7=3+1+3, და ა.შ.). ლუწი კი – მდედრული საწყისისა, რადგანაც მას ასეთი ღერძი არ გააჩნია... „როცა ეს ორი რიცხვი“... თავისი ბუნებრივი სვლით გაასრულებს ბედისწერის მიერ შენთვის დასაზღვრული წლების სათვალავს: „უმცროსი „აფრიკელი“ დაიბადა ძვ.წ. ა. 185 წელს, მოკლულ იქნა 129 წელს, როცა ის 56 წლისა იყო; 7X8=56.

20. ტიბერიუს გრაკხუსისა და მისი თანამოაზრეების პროპაგანდამ დიდი არეულობა და შინააშლილობა გამოიწვია რომში. სციპიონ ემილიანუსი გადაჭრით არ დაპირისპირებია მოსახლეობის დაბალი ფენების მღელვარებას, მაგრამ, თავისი უზარმაზარი გავლენისა და ავტორიტეტის წყალობით, ყოველნაირად კი ცდილობდა როგორმე დაეშოშმინებინა აზავთებული ხალხი, რამაც უამრავი მტერი შესძინა მას. 129 წელს ის მკვდარი იპოვეს თავის საწოლში, იმ დღეს, როცა აპირებდა ტიბერიუს გრაკხუსის სასამართლო კანონის წინააღმდეგ სიტყვით გამოსულიყო ხალხის წინაშე. სციპიონის სიკვდილში ადანაშაულებდნენ მის ცოლს სემპრონიას – ტიბერიუს და გაიუს გრაკხუსების დას, ამ სამი და-ძმის დედას – კორნელიას (სციპიონის სიდედრს), ტრიუმვირებს მიწა-წყლის განაწილების დარგში (triumviri agris dividendis) – გაიუს პაპირიუს კარბონს, მარკუს ფულვიუს ფლაკუსსა და გაიუს სემპრონიუს გრაკხუსს (სციპიონის ცოლისძმას). ამ მხრივ, ისტორიული წყაროები ერთმანეთს არ ეთანხმებიან.

21. **გაიუს ლელიუსი** – უმცროსი სციპიონის მეგობარი და თანამებრძოლი, ისევე, როგორც მამამისი – გაიუს ლელიუსი (მამა-შვილი სეხნიები იყვნენ) – უფროსი აფრიკელისა. სციპიონებისა და ლელიუსების მეგობრობას ისიც განაპირობებდა, რომ ამ ღრმად განსწავლულსა და განათლებულ პიროვნებებს თავდავიწყებით უყვარდათ როგორც ლათინური, ისე ბერძნული კულტურაც). ლელიუსის სახელი ეწოდება ციცერონის ერთერთ ქმნილებას; ლელიუსია რომაელი მოაზროვნის ბევრი სხვა ტრაქტატის, მათ შორის, „რესპუბლიკის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი (შეგახსენებთ, რომ „რესპუბლიკა“ „სციპიონის სიზმრით“ მთავრდება).

22. იხ. შენ. 20.

23. იგულისხმება სციპიონ ემილიანუსის მშობელი მამა ლუციუს ემილიუს პავლიუს მაკედონელი, რომელმაც პუბლიუს კორნელიუს სციპიონის უფროს ვაჟს (მამის თანამოსახელეს) მიაშვილა თავისი ძე.

24. ესაა სულის უკვდავების პითაგორული და, უწინარეს ყოვლისა, პლატონური კონცეფცია (ციცერონი პლატონიზმის ადეპტი იყო). აქ მინდა მოვიტანო ერთი ფრაგმენტი ჩემი გამოკვლევიდან „პლატონი და რუსთველი“ (იხ. წიგნში – პლატონი, პარმენიდე, თბ., 2002, გვ. 376-377): „განსხეულება სულისათვის მეტაფიზიკური სინამდვილიდან ფიზიკურ სამყაროში გადასვლას ნიშნავს. ესაა ყველაზე უჩვეულო, უცნაური და გონებამიუწვდომელი, სამყაროული არსებობის ყველაზე მისტიური აქტი. მარად უცვლელი, წარუვალი, დროისა და სივრცის მიღმური სინამდვილის სხივოსანი მკვიდრი ყოველწამიერი ცვალებადობის, მსწრაფლწარმავლობის, ხრწნადობის, სიმწრისა და სიმწირის საუფლოს, დროისა და სივრცის ყოველისგამსრეს მარწუხებში გათანგული ჩლუნგი და უაზრო მატერიის, გრძნობად-კონკრეტული სამყაროს უმწეო ტყვედ იქცევა. სხეული (σηωα) მისთვის სხვა არა არის რა, თუ არა დილეგი („რომელშიაც მომწყვდეულია, როგორც ლოკოკინა თავის ნიჟარაში“, „ფედროსი“, 250C), ან, უფრო სწორად, „საფლავი“ (σημα, „გორგია“, 493-ი), მაგრამ სწორედ ამ „დილეგისა“ თუ სულისავე წყალობით მოძრავი და მოარული „საფლავის“ მეშვეობით მკვიდრდება იგი, ცოდვილ მიწაზე, სადაც თანდათანობით ეჩვევა, ეგუება და, ბოლოს, კიდევაც ესისხლხორცება მისთვის სრულიად უცხო გარემოს („ტიმეოსი”, 44bc), რათა წუთისოფლის დროებითმა მკვიდრმა შეძლებისდაგვარად აღასრულოს თავისი დანიშნულება და მოიხადოს თავისი ადამიანური ვალი, ვიდრე კვლავ საუკუნო სოფლად მოიხმობდეს განგება თუ ყოვლისგამრიგე ღმერთი.

რა არის სული სხეულში? წარუვალი – წარმავალში, უკვდავი – მოკვდავში, ნათელი – ბნელში: სიცოცხლეს რომ ანიჭებს უსულო, უსახო და უსიცოცხლო მატერიას, სული ისევე ანათებს მის სიბნელეს, როგორც სანთელი – წყვდიადით მოცულ სახლს (და, პირიქით, მკვდრის საზარელი ფერი იმის შედეგია, რომ სული გაეყარა სხეულს: სანთელი გაიტანეს და კვლავ ძველებურად ჩაბნელდა სახლი“...

ერთხელ კიდევ მივუბრუნდეთ ზემოთ გაკვრით მონიშნულ „ფედროსის მომხიბლავ პასაჟს“ (250 b-d), ესოდენ ცხადად რომ წარმოგვიჩენს სხეულის დილეგიდან თავდაღწეული სულის ნეტარებას ზეგრძნობადი სინამდვილის უხრწნელ წიაღში, სადაც არავითარი მოგონება, არავითარი ვნება, არავითარი სურვილი არ ამღვრევს მის უშფოთველ ყოფას; სადაც ის პირისპირ ჭვრეტს იდეალური სამყაროს მთელ სრულქმნილებას, ღვთთაებრივი სიბრძნის, სიკეთის, მშვენიერებისა და ჭეშმარიტების ნათელ სავანეს: „...მშვენიერება თვალისმომჭრელი სხივოსნობით ბრწყინავდა მაშინ, როცა... ნეტართა დასსთან ერთად ვჭვრეტდით ამ თვალწარმტაც სანახაობას და, ამრიგად, ვეზიარებოდით მისტერიათაგან, თამამად შეიძლება ითქვას, უტკბესსა და უნეტარეს მისტერიას, რომელშიაც, უბიწონი და მომავალ ცხოვრებაში ჩვენს თავს მოწევნად ბოროტებასთან წილუყრელნი, თავად ვასრულებდით მარადიული ღმრთისმსახურების მისტიურ წესს. ჩვენ ვჭვრეტდით უხრწნელ, უმარტივეს, ურყევსა და წარუვალ არსთ (იგულისხმებიან „იდეები“, – ბ.ბ.), და მათი წმინდა სხივოსნობის მჭვრეტნი თავად ვიყავით უმწიკვლონი და უმანკონი, რადგან ნატამალიც კი არ გვეცხო იმ ხრწნადი გარსისა, რომელსაც დღეს სხეულს ვუწოდებთ და რომელშიაც მომწყვდეულნი ვართ, როგორც ლოკოკინა თავის ნიჟარაში.

25. იგულისხმება პავლეს ემილიანუსი, რომელმაც რომაელ პატრიციუსთან, ოჯახების ძველი ტრადიციისამებრ, თავისი შვილი პატარაობაშივე მიაშვილა პუბლიუს კორნელიუს სციპიონის უფროს ვაჟს.

26. იგულისხმება გალაქტიკა (იხ. ქვემოთ) – პითაგორელთა და პლატონის მიხედვით, ნეტარი სულების სავანე.

27. პლატონს დაუშვებლად მიაჩნდა თვითმკვლელობა, – იხ. „ფედონი“, 67c.d. უფრო ადრე ამავე აზრისა იყო პითაგორაც. შდრ. ციცერონი, „სიბერისათვის“; 72: „პითაგორა კრძალავს იმპერატორის, ესე იგი, ღვთაების ბრძანების გარეშე მივატოვოთ გამაგრებული პოსტი, ანუ სიცოცხლე.“

28. შდრ. ციცერონი, „მოვალეობათათვის“, I, 57: „... მაგრამ თუ ყველაფერს გონებისა და სულის თვალსაზრისით შევხედავთ, ყველა საზოგადოებრივ კავშირურთიერთობას შორის თვითეული ჩვენგანისთვის ყველაზე ძვირფასია ჩვენი კავშირი სახელმწიფოსთან. ძვირფასია ჩვენთვის მშობლები, ძვირფასნი არიან შვილები, ნათესავები, ახლობლები, მეგობრები, მაგრამ სამშობლო ერთადერთია. რომელიც მოიცავს ადამიანთა მთელ სიყვარულს. არ მეგულება პატიოსანი კაცი, უყოყმანოდ რომ არ შეეძლოს თავის გაწირვა, თუკი ამითი იხსნის სამშობლოს. მით უფრო მეტი ზიზღის ღირსია იმათი გულმხეცობა, ვინც ათასნაირი დანაშაულით ფლეთდა და აქუცმაცებდა სამშობლოს და მის სრულ განადგურებას მიელტვის ახლაც, ისევე, როგორც მიელტვოდა უწინაც...“

შდრ. აგრეთვე პლატონი, „კრიტონი“, 51 BS, სადაც სოკრატეს ამ სიტყვებით მიმართავენ მის მიერ პერსონიფიცირებული კანონები: „ნუთუ მთელი შენი სიბრძნის მიუხედავად, ვერა გრძნობ, რომ სამშობლო დედაზე, მამაზე და ყველა სხვა წინაპარზე უფრო ძვირფასია, უფრო წმინდა, უფრო საყვარელი და, როგორც ღმერთის, ისე კაცის თვალშიც, უფრო მეტი

თაყვანისცემის ღირსი? ჩვენ ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, გონიერ კაცს. ამიტომ სამშობლოს მიმართ უფრო მეტი მოწიწება, მეტი მორჩილება გვმართებს, ხოლო თუ გაგვირისხდა, უფრო მეტად უნდა დავუთმოთ და დავუყვავოთ, ვიდრე მშობელ მამას; ან უნდა გადავარწმუნოთ იგი, ანდა უყოყმანოდ შევასრულოთ მისი ბრძანება, და თუ რაიმეს მოგვისჯის, უდრტვინველად შევეგებოთ სასჯელს – ბორკილებს, გვემას, შეჩვენებას და ბრძოლის ველზე – მის მიერ საომრად წარგზავნილნი, – სასიკვდილო ჭრილობებს და თვით სიკვდილსაც. დიახ, ყველაფერს უნდა გავუძლოთ, სწორედ ესაა სამართლიანობა; არ შეიძლება უკან დახევა, თავის არიდება და მწყობრში შენი ადგილის თვითნებურად მიტოვება. ომში იქნება, სამსჯავროში თუ სადაც გნებავთ, ყველგან უყოყმანოდ უნდა შევასრულოთ სამშობლოსა თუ სახელმწიფოს ბრძანება, ანდა შევაგნებინოთ მას, რას ნიშნავს ჭეშმარიტი სამართლიანობა. ხოლო ძალადობა დედის, მამის და, მით უმეტეს, მამულის მიმართ – მკრეხელობაა.“

29. იგულისხმება მთვარე.

30. ე.წ. „ციურ სფეროთა“ კოსმოლოგიური კონცეფცია პითაგორასაგან (დაახლ. 570-500 ძვ.წ.ა) იღებს დასაბამს. მაგრამ სამყაროს აგებულების მისეული, საკმაოდ პრიმიტიული მოდელი საგრძნობლად განსხვავდება ბერძენ ასტრონომთა უფრო გვიანდელი მოდელებისგან. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ „ციურ სფეროთა“ კონცეფცია მთელი ოცი საუკუნის მანძილზე (თვით ნიკოლოზ კოპერნიკამდე), ცალკეული მოდიფიკაციების მიუხედავად, უცვლელი დარჩა, ვინაიდან სწორედ მათი მეშვეობით ხსნიდნენ პლანეტების ხილულ მოძრაობათა უცნაურობას: უძრავი ვარსკვლავებისაგან განსხვავებით (ასე იწოდებიან იმიტომ, რომ ცის თაღის მოძრაობისას თანავარსკვლავედთა კონფიგურაციები უცვლელი რჩება), ზოგი პლანეტის ხილული მოძრაობა საათის ქანქარის მოძრაობას მოგვაგონებს, ზოგისა კი, როგორც პლატონი იტყოდა, – „ცხენის დუშაყს“, ანუ რაც იგივეა, მარყუჟს.

31. ზემოაღნიშნული ცხრა ჰომოცენტრული სფეროდან ყველაზე უკიდურესია ე.წ. „უძრავ ვარსკვლავთა“ სფერო, რომელიც დედამიწის ირგვლივ ბრუნავს დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. შვიდი პლანეტის მტვირთველი დანარჩენი შვიდი სფერო კი საპირისპირო მიმართულებით, ე.ი. აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მოძრაობს. ეს სფეროებია: სატურნის, იუპიტერის, მარსის, მზის, ვენერას, მერკურისა და მთვარისა. ასეთია ჰომოცენტრულ ციურ სფეროთა რიგი. ხოლო თუ ათვლას სამყაროს გეოცენტრული სისტემის ცენტრიდან, ე.ი. დედამიწიდან დავიწყებთ, მაშინ პლანეტების რიგი შემდეგნაირად წარმოგვიჩნდება: მთვარე, მერკური, ვენერა, მზე, მარსი, იუპიტერი, სატურნი და, ბოლოს, უძრავ ვარსკვლავთა ცა. ბერძენ და რომაელ ასტრონომთა ეს პლანეტარული სისტემა საფუძვლად დაედო სამყაროს პტოლემაიოსისეულ (დაახლ. 83-დაახლ. 161წ.) გეოცენტრულ მოდელს (მხოლოდ ძალზე გართულებული სახით).

32. პითაგორული ტრადიციის თანახმად, გამჭვირვალე სფეროებზე მიმაგრებული ციური სხეულები (იხ. წინა შენიშვნა) ერთმანეთისაგან გარკვეული შუალედებით არიან განმხოლოებულნი. ეს შუალედები ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც ოქტავის ტონების ინტერვალები. ყოველი სწრაფად მოძრავი სხეული გამოსცემს ბგერას, რომლის სიმაღლე მოძრაობის სისწრაფეზეა დამოკიდებული. ამიტომ პლანეტებისა და მათი სფეროების მოძრაობა ე.წ. „კოსმიური ჰარმონიის“ წყაროდ გვევლინება. ციურ სფეროთა ეს ჰარმონია კიდით-კიდემდე განწონის მთელ სამყაროს, მაგრამ მას მხოლოდ იმიტომ ვერ აღიქვამს ადამიანის სმენა, როს ის გამუდმებით, უწყვეტად ჟღერს. ასევე ვერა ვგრძნობთ ჩვენ – ჰაერის, ხოლო თევზები – წყლის სიმკვრივეს (და თუ სციპიონი თავის გრძნეულ სიზმარში მაინც ტკბება ამ კოსმიური სიმფონიით, ეს მხოლოდ მისი მდგომარეობის ექსტრაორდინალურობით უნდა აიხსნას).

33. იგულისხმება მერკურისა და ვენერას ტრაექტორიები.

34. ეს შვიდი ბგერა ძველი ბერძენი მუსიკოსის ტერპანდრეს (VIIს. ძვ.წ.ა) შვიდსიმიანი საკრავის – ჰეპტაქორდის ბგერებს შეესაბამება. ყოველი პლანეტა თითქოს გიგანტური კოსმიური ჰეპტაქორდის სიმისა თუ ლარის როლს ასრულებს.

35. ამრიგად, ციცერონი ზეციური ნეტარების კარს უხსნის არა მარტო სახელმწიფო მოღვაწეებს და მხედართმთავრებს, არამედ მომღერლებს და მუსიკოსებსაც. შდრ. კვინტილიანე, „ორატორის განსწავლა,“ I, 10,12 და შმდ.

36. ნილოსის ჭორომები. იხ. ჰეროდოტე, „ისტორია“, II, 17; პლინიუსი, „ბუნებითი ისტორია“, II, 181.

37. დღეს ჩვენ მათ „განედებს“ ვუწოდებთ. ჯერ კიდევ დიდმა ბერძენმა ასტრონომმა, გეოგრაფმა და ფილოლოგმა, ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკის მთავარმა ბიბლიოთეკარმა ერატოსთენემ (დაახლ. 282-202 ძვ.წ.ა.) გრძედებად და განედებად დაჰყო დედამიწა, განედებს მან უწოდა „ზონები“ (ξωυαι), ანუ „სარტყლები“ (ლათ. cingula). ციცერონი სრულყოფილად ფლობდა ბერძნულს (ჰომეროსისა და პლატონის ენაზე ლაპარაკობდა, წერდა, თარგმნიდა). მაგრამ აქ, რა თქმა უნდა, ლათინურ ტერმინს იყენებს.

38. როგორც ეს პასაჟი გვიმოწმებს, ციცერონს გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონოდა არქტიკასა და ანტარქტიდაზე.

39. ეს კი ტროპიკული სარტყელი უნდა იყოს.

40. კავკასიონის ქედიცა და მდინარე განგიც ადამიანთა საცხოვრისის (οἰκουμένη) უკიდურეს აღმოსავლეთ ზღვრად იყო მიჩნეული.

41. შდრ. პლატონი, „ტიმეოსი“, 22 cd: „...ვინ მოსთვლის, რამდენჯერ დაღუპულა კაცთა მოდგმა და კიდევ რამდენჯერ და რამდენნაირად დაიღუპება იგი. ყველაზე სასტიკად ადამიანებს მუსრს ავლებდა ცეცხლი და წყალი, შედარებით უფრო ნაკლებ – ათასი სხვა უბედურება. სწორედ აქედან იღებს დასაბამს თქვენი თქმულება (ამას ეგვიპტელი ქურუმი ეუბნება დიდ ათენელ კანონმდებელს სოლონს, პლატონის შორეულ ნათესავს, – ბ.ბ.) ფაეტონზე, ჰელიოსის ძეზე, რომელიც ერთხელ ვითომ მამამისის ეტლში ჩამჯდარა, მაგრამ ვერ მოუხერხებია ჰელიოსის გზით წარემართა იგი, ამიტომაც გადაუბუგავს ყველაფერი დედამიწაზე და, ელვით დაფერფლილი, თვითონაც დაღუპულა. ეს თქმულება მითს მოგვაგონებს, მაგრამ ის სიმართლესაც შეიცავს: მართლაცდა, ცის თაღზე დედამიწის ირგვლივ მბრუნავი სხეულები თავიანთი ჩვეული გზიდან გადაიხრებიან ხოლმე, ასე რომ დროის ხანგრძლივ შუალედებს შორის, დედამიწაზე ყველაფერი აბობოქრებულ ხანძარში ინთქმება და იღუპება. ამ დროს მთების, ზეგნებისა თუ უწყლო ადგილების მკვიდრნი გაცილებით უფრო მეტნი იხოცებიან, ვიდრე ზღვისა თუ მდინარეთა ნაპირებზე მობინადრენი... ხოლო როდესაც ღმერთები, დედამიწის გაწმენდის მიზნით, წარღვნას მოუვლენენ მას, თავის გადარჩენის იმედი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მწყემსებსა და მეჯოგეებს, მთის კალთებზე რომ აძოვებენ ნახირს.“ კოსმიური კატაკლიზმებისა და მათი დამანგრეველი ზემოქმედების შედეგად არა მარტო დედამიწის, თვით სამყაროს პერიოდული დაღუპვისა და გადაგების შესახებ დაწვრილებით იხ. ჩემი გამოკვლევა“ მაგრამ თუ ერთხელ სოფელს უნდა ბოლო მოეღოს“, ჟურნ. „მნათობი“, 2003, №3-4, გვ. 114-134.“

42. გადმოცემით, ქალაქ რომის ლეგენდარული დამაარსებელი და მისი პირველი მეფე რომულუსი ძვ.წ.ა. 716 წელს, მზის სრული დაბნელებისას, ზეცად იქნა ატაცებული, რამაც დასაბამი დაუდო მის გაღმერთებას. სციპიონ ემილიანუსი თავის მაგიურ სიზმარს ხედავს ძვ.წ.ა. 149 წელს. 716-149=567. თუ ეს რიცხვი, ციცერონის თანახმად, „დიადი წლის“ მეოცედსაც არ შეადგენს, მაშინ „დიადი წელი“, სულ მცირე, 11340 წელს უნდა მოიცავდეს (567X20=11340)... ზოგიერთი რელიგიური სისტემისა თუ ძველი ფილოსოფიური დოქტრინის თანახმად, მარადმედინი დრო უკუმოუქცევლად კი არ მიედინება იდუმალებით მოცული მომავლიდან სამუდამოდ უცვლელი წარსულისაკენ (თანამედროვე ქრონოლოგიური კონცეფციით, დროის დინება დიამეტრალურად საპირისპიროა: ის წარსულიდან მომავლისკენ მიედინება), არამედ ციკლურობით ხასიათდება: ყოველი ციკლის ხანგრძლივობა „დიადი წლით“ განისაზღვრება, რომლის დასასრულსაც სამყარო კოსმიური კატაკლიზმების შედეგად იღუპება, რათა შემდეგ კვლავ დაიბადოს. „ეს სამყარო, ერთი და იგივე ყველა არსისთვის“, – ამბობს ჰერაკლიტე ეფესელი, – არავის არ შეუქმნია, არც ღმერთთაგანს და არც კაცთაგანს. არამედ ყოველთვის იყო, არის და კვლავ იქნება, როგორც მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც – თანაბარზომიერად – ხან იფეთქებს, ხან იშრიტება (Diels, fragm. 30b)...“ „დიადი წლის“ ხანგრძლივობა სხვადასხვაა. თვით ჰერაკლიტე ეფესელი მას 10800 წლით განსაზღვრავს, პლატონის მიხედვით კი ის უზარმაზარი დროული პერიოდის მომცველია: 12960000 წელი. დაწვრილებით იხ. ჩემი გამოკვლევა, რომელიც ზემოთ 41-ე შენიშვნის ბოლოსაა დასახელებული.

43. შდრ. პლატონი, „ფედონი“, 81 c=e.

ლათინურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო
ბაჩანა ბრეგვაძემ



ნიკოლოზ ტრუბეცკოი

საერთოევრაზიული ნაციონალიზმი

მრავალხალხოვანი ნაცია, ანუ საბჭოთა ხალხი
(მთარგმნელის წინათქმა)

ნიკოლოზ ტრუბეცკოი ცამეტი წლის ასაკში უკვე ღრმა მეცნიერულ ინტერესს ავლენდა. მან დაიწყო პალეო-ციმბირული, უნგრო-ფინური და ჩრდილოკავკასიური ფოლკლორული ნიმუშების მოძიება, ჩაწერა და კვლევა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ფოლკლორიდან იგი ენათმეცნიერებამდე მივიდა. განსაკუთრებული ღირებულებისაა მისი გერმანულ ენაზე შესრულებული ნაშრომი „ზოგადი ფონოლოგიის საფუძვლები," რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ ტრუბეცკოის განუყრელი მეგობრისა და თანამოაზრის, რომან იაკობსონის ინიციატივით პირველად პრაღაში გამოქვეყნდა 1939 წელს.

ნიკოლოზ ტრუბეცკოი რუსეთიდან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგებს გაექცა და მალე სხვა ემიგრანტ ინტელექტუალებთან ერთად სათავეში ჩაუდგა ევრაზიულ მოძრაობას, რომელიც რუსეთის ძველი დიდების დაბრუნებას ისახავდა მიზნად. თანდათანობით ევრაზიულმა თეორიამ დაიწყო რუსეთ-ევრაზიის განსაკუთრებულობის მტკიცება. ევრაზიული თეორიის მამამთავრები არიან ნიკოლოზ ტრუბეცკოი, პეტრე სავიცკი და რომან იაკობსონი. ევრაზიული მოძრაობა დაიშალა მიმართულებებად, მაგრამ ყველა მიმართულება იზიარებდა, რომ რუსეთ-ევრაზია არის ევროპასა და აზიას შორის მდებარე განსაკუთრებული გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, ლინგვისტური და კულტურული მთლიანობა, რომლის დაშლა მხოლოდ ბუნებრივ წარმონაქმნზე ძალადობად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამით დაიშლება მრავალხალხოვანი ევრაზიული ნაციის სიმფონიური ერთობა, რომელიც შეადუღაბა საერთო ისტორიულმა ბედმა.

მკითხველს განსჯისთვის ვთავაზობთ ნიკოლოზ ტრუბეცკოის 1927 წელს დაწერილ სტატიას „საერთოევრაზიული ნაციონალიზმი". სწორედ ამ ნაშრომში ავითარებს ტრუბეცკოი მრავალხალხოვანი ნაციის იდეას. ეს მრავალხალხოვანი ნაცია კი, არც მეტი, არც ნაკლები, საბჭოთა ხალხია, რომელიც სოციალური იდეალების ნაცვლად ნაციონალური სუბსტრატით უნდა გაერთიანებულიყო. ქართველი მკითხველი ადვილად იცნობს ამ თეორიის იმპერიალისტურ ხასიათს, რომელიც, რაც უნდა გასაოცარი იყოს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით უკმაყოფილო და ამის გამო ევროპაში ემიგრირებულმა ინტელექტუალებმა შექმნეს.

ტრუბეცკოის ევრაზიული მრავალხალხოვანი ნაცია მიაჩნდა განსაკუთრებული ღირებულების მთლიანობად მაშინ, როცა საბჭოთა კავშირს, ანუ ევრაზიულობის თეორიის მომხრეთა ტერმინოლოგიით რუსეთ-ევრაზიას, ახასიათებდნენ, როგორც უზარმაზარ ენობრივ კონგლომერატს, როგორც დახლართულობასა და არეულ-დარეულობას და არა სისტემურ მთლიანობას (მაგალითად იხ. E. G. Multilingualism in the Soviet Union – Aspects of Language Policy and Its Implementation: Contributions to the Sociology of Language, ed. By S. A. Fishman, Mouton – The Hague – Paris, 1972). ამ ენობრივ კონგლომერატს საფუძველი ივანე მრისხანის დროიდან ეყრებოდა და ალექსანდრე II-ის მეფობის წლებში უკვე ჩამოყალიბებული იყო მრავალენოვანი სახელმწიფო, თუმცა დაპყრობითი პოლიტიკა ამის შემდეგაც გრძელდებოდა. ამ ქვეყნის პატრონი რუსი ხალხია, სხვები კი მხოლოდ მოსახლენი არიან, – ასე აღწერდა ნ. ტრუბეცკოი რუსეთის იმპერიას. „რუსეთი ერთი იმ-

ისთანა სახელმწიფოა, – წერდა ილია ჭავჭავაძე, – საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ და მერე ისე, რომ თავიანთ მამაპაპეულ მიწა-წყალზე შეჯგუფულნი არიან... ამიტომაც ერთს უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, თუ სხვადასხვა ერის ტომნი როგორ მოეწყონ შინაობაში სათითაოდ და მერე, – როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოში... რუსეთს არ ჰქონდა და არც დღეის აქამომდე აქვს გამოკვლეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი".

ნათლად ჩანს, რომ ილია და ტრუბეცკოი ერთნაირად აფასებენ რევოლუციამდელ რუსეთს, ოღონდ ისიც აშკარაა, რომ პირველს საკუთარი ეროვნული სატკივარი ამოძრავებდა, მეორეს კი იმპერიის გადარჩენა-შენარჩუნების წადილი. მართალია, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ეროვნული თავმოყვარეობა რუსეთის იმპერიის ბევრ ხალხს გაუღვიძა, მაგრამ ძალიან მალე სტალინურმა ნაციონალურმა და ენობრივმა პოლიტიკამ საბჭოთა ხალხების თანდათანობითი და სრული ასიმილაცია დაისახა მიზნად. ეს პოლიტიკა ძალიან წინ იყო წასული თავისი შედეგებით „განვითარებული სოციალიზმის," ანუ საბჭოთა კავშირის ბოლო პერიოდისთვის. საბჭოთა ხალხებს არ ჰქონდათ ისტორიული ბედით ერთ სახელმწიფოში გაერთიანების განცდა. ამიტომ სსრკ-ის ისტორია სავსეა ისეთი დაპირისპირებებით, მათ შორის სისხლიანი შეტაკებებით, რომლებიც საერთო წარსულისა და საერთო მომავლის მსურველ ხალხს, ფაქტობრივად, არ ახასიათებს. ასეთი ურთიერთობები ვერ ჩამოაყალიბებდა მრავალხალხოვან ნაციას. არ ჩანდა იმის პირობები, რომ ამხდარიყო ტრუბეცკოის ოცნება: „საერთოევრაზიული ნაციონალიზმი უნდა იყოს ევრაზიის თითოეული ხალხის გაფართოება, კერძო ნაციონალიზმთა შერწყმა". ნაციონალიზმები საბჭოთა კავშირში, ანუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ერთმანეთს ვერ შეერწყა, გაიმარჯვა ცენტრისკენულმა ძალებმა და ეს კავშირი დაიშალა.

მაგრამ ახლა თავი იჩინა იმ მოვლენამ, რომელსაც, ნიკოლოზ ტრუბეცკოის აზრით, რუსი ხალხი არასოდეს არ უნდა დასდგომოდა, რადგან ეს გზა დამღუპველია: „გამოხატული რუსული ნაციონალური თავმოყვარეობა თუ უსაზომო სიამაყეში გადაიზრდება, მაშინ ანტისახელმწიფოებრივ ფაქტორად იქცევა...

რადიკალურ-ნაციონალისტური ოცნება მხოლოდ იმ დავიწროებულ საზღვრებში ახდება, რომელშიც დიდი რუსი ხალხი ცხოვრობს. ეს კი არის თანამედროვე რუსეთი ურალამდე. ამგვარად, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ახლა წრეგადასული რუსი ნაციონალისტი არის სეპარატისტი". თანამედროვე რუსეთი, ტრუბეცკოის დახასიათებას თუ გავითვალისწინებთ, სწორედ ამ გზას ადგას ახლა. ამ გზით კი საზღვრების გაფართოება კი არ მოხდება, არამედ მისი დავიწროება ისტორიული რუსეთის საზღვრებში. თან ისიც ჩანს, რა სისხლიანია ეს გზა და რა დიდ ფასად დაუჯდება იგი რუსეთსა და მის მეზობელ სახელმწიფოებს.

ტრუბეცკოის ამ სტატიის შემოთავაზება მკითხველისთვის სწორედ თანამედროვე მდგომარეობამ განაპირობა. იმპერია იბრძვის არსებობისთვის, ხოლო იმპერიის ყოფილი ნაწილები სრულფასოვანი დამოუკიდებლობისთვის. ეს წერილი ეხმიანება ჩვენს დღევანდელ ვითარებას და მკითხველს არა მარტო დააფიქრებს, არამედ, იქნებ, პასუხიც აპოვნინოს ბევრ კითხვაზე.

მხოლოდ ბედის ირონიას უნდა დაბრალდეს ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მოწინააღმდეგე ტრუბეცკოი საბოლოოდ ფაშიზმს შეეწირა. ევრაზიული მოძრაობის ერთერთ სხდომაზე ნიკოლოზ ტრუბეცკოის დაეგვიანა, დაეწერა სპეციალური სტატია რასების შესახებ, რომელიც ავტორმა წაიკითხა მოხსენებად პრაღის ლინგვისტური წრის ერთ-ერთ სხდომაზე. ამ სტატიის მიმართ გაჩნდა დიდი ინტერესი და ბევრმა გამომცემლობამ მოისურვა მისი სრული სახით გამოქვეყნება. ჯერ კიდევ ახალი ფაშისტური მოძრაობის რასისტულმა იდეებმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებშიც შეაღწია და მალე დაიწყო „ინდოგერმანიზმის" პროპაგანდა. სწორედ ამან გამოიწვია ტრუბეცკოის მოხსენებით დაინტერესება ფაშიზმის მტრებსა და მოყვარეებს შორის. ამის გამო დაინტერესდა გესტაპოც ნიკოლოზ ტრუბეცკოის პიროვნებით და რასისტი არქეოლოგის მენგინის (რომელსაც თურმე ტრუბეცკოი ხშირად ირონიულად მოიხსენიებდა) ინფორმაციის საფუძველზე ავსტრიის ანშლუსის, ანუ ავსტრიის გერმანიასთან იძულებით მიერთების შემდეგ, 1938 წელს, ვენაში გაჩხრიკეს ნიკოლოზ ტრუბეცკოის სახლი, ამოიღეს და გაანადგურეს მისი მრავალი შრომა. იგი არ დააპატიმრეს მხოლოდ იმიტომ, რომ იყო თავადი (ეს წოდება „თავადი" **(князь)** არ მოშორებია მის სახელს არასოდეს), არისტოკრატი, მაგრამ ჩხრეკას ვერ გაუძლო და ნიკოლოზ ტრუბეცკოი გულის შეტევით გარდაიცვალა.

მთარგმნელი

***

I

რევოლუციამდე რუსეთი იყო ქვეყანა, რომელშიც სახელმწიფო ტერიტორიის ოფიციალურ მფლობელად აღიარებული იყო რუსი ხალხი, თან ისე, რომ პრინციპულად არ განასხვავებდნენ ერთმანეთისგან მხარეებს, სადაც ყოველთვის რუსი მოსახლეობა იყო იმ მხარეებისგან, სადაც სხვა ხალხები ბინადრობდნენ: რუსი ხალხი ითვლებოდა ამ მხარეების პატრონად და მესაკუთრედ, ხოლო სხვა ხალხები კი მხოლოდ უბრალო მაცხოვრებლებად.

რევოლუციის დროს ვითარება შეიცვალა. რუსეთს ელოდა ანარქიული დაქუცმაცება ნაწილებად, რუს ხალხს სულ რომ არ ეშველა სახელმწიფოებრივი ერთიანობისთვის. სწორედ ამისთვის დათმო მან სახელმწიფოს ერთადერთი პატრონის მდგომარეობა. ამდენად, ისტორიის შეუბრალებელი ლოგიკით რუს ხალხსა და სხვებს შორის დამოკიდებულება შეიცვალა. რუსეთის იმპერიის არარუსმა ხალხებმა მოიპოვეს ის მდგომარეობა, რაც იქამდე მათ არ ჰქონიათ. რუსი ხალხი რუსეთში მოსახლეობის ერთადერთი გაბატონებული ხალხიდან იქცა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს შორის ერთ-ერთ თანასწორუფლებიან წევრად.

რადგან რუსი ხალხი სხვა ხალხებს აღემატება რაოდენობრივად და აქვს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, ამიტომ იგი ბუნებრივად თამაშობს, და ასეც უნდა იყოს, მთავარ როლს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ხალხებს შორის. მაგრამ იგი უკვე აღარ არის ბატონ-პატრონი, არამედ მხოლოდ პირველია თანასწორუფლებიანთა შორის.

ეს გარდაქმნა უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვინც კი ჩვენი სამშობლოს მომავალზე ფიქრობს. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რუსი ხალხის ახალი მდგომარეობა რუსეთის იმპერიასა და ახლანდელ საბჭოთა კავშირში, რომელიც მოიტანა რევოლუციურმა პროცესმა, წარმავალი და ცვალებადია. ის უფლებები, რომლებიც ახლა აქვთ სსრკ-ს არარუს ხალხებს, მათ ვეღარ ჩამოერთმევათ. დრო ამყარებს მათ მდგომარეობას. თუ მომავალში ვინმე ამას დააპირებს, შედეგად საშინელ წინააღმდეგობას მიიღებს. თუ რუსი ხალხი ოდესმე გადაწყვეტს, რომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ხალხების უფლებები ან დააკნინოს, ან ძალადობრივად წაჰგვაროს, ამით იგი თავის თავს გასწირავს ამ ხალხებთან პირდაპირი ან ფარული, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლისთვის. უეჭველია, რომ ასეთი ომი დიდად სასურველია რუსეთის მტრებისთვის და, თუ რუსი ხალხი რუსეთის ყოფილი იმპერიის ანდა ახლანდელი სსრკ-ის თვითაღიარებული ხალხების მიმართ ასეთ რამეს გაივლებს გულში, აუცილებლად აღმოუჩნდებათ ამ ხალხებს მხარდამჭერები და მოკავშირეები უცხო სახელმწიფოებს შორის. მით უმეტეს, რომ რუსი ხალხის სწრაფვა სახელმწიფოში მოსახლე სხვა ხალხებისთვის ნაციონალური უფლებების წართმევის ან შევიწროებისკენ მორალური თვალსაზრისით იქნება ძალიან წამგებიანი და, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდება მისი დაცვა. რუსი ხალხის მორალურად გაუმართლებელი ბრძოლა რუსეთის ყოფილი იმპერიის ხალხთა უფლებების წართმევისთვის არაპოპულარული იქნება თვით რუსი ხალხის შიგნითაც. როგორიც უნდა იყოს ამ ბრძოლის ამოსავალი წერტილი, თავად ფაქტი ნიშნავს რუსი ხალხის მხრიდან სახელმწიფოებრიობის გრძნობის დაკარგვას და შოვინისტური თვითდამკვიდრებისთვის სწრაფვას, რაც ნამდვილად იქნება სახელმწიფოს დაშლის ნიშანი.

ამგვარად, რუსეთის ყოფილი იმპერიის ხალხების მიერ რევოლუციის დროს მოპოვებული უფლებების წართმევასა და შევიწროებაზე საუბარიც არ უნდა იყოს. რუსეთი, რომლის სახელმწიფო ტერიტორიის ერთადერთი ბატონ-პატრონი იყო რუსი ხალხი, წარსულს ჩაბარდა. დღეის ამას იქით რუსი ხალხი იქნება მხოლოდ ერთ-ერთი თანასწორუფლებიან ხალხებს შორის, რომლებიც სახლობენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მონაწილეობენ მის მართვაში.

სახელმწიფოში რუსი ხალხის როლის ასეთი ცვლილება რუსული ნაციონალური თვითშეგნების წინაშე ბადებს ახალ პრობლემებს. ადრე ყველაზე უკიდურესი რუსი ნაციონალისტიც კი პატრიოტი იყო. ახლა ის სახელმწიფო, რომელშიც რუსი ხალხი ცხოვრობს, მხოლოდ მისი აღარ არის, ამიტომ რუსული ნაციონალიზმი დაარღვევს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილების წონასწორობას და საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს ერთიანობას. რუსული ნაციონალური სიამაყის უსამანოდ ზრდა რუსი ხალხის წინააღმდეგ განაწყობს სახელმწიფოს სხვა ხალხებს, ანუ დააშორებს რუს ხალხს მათგან. თუ ადრე თვით ყველაზე უკიდურესად გამოხატული რუსული ნაციონალური თავმოყვარეობაც კი იყო ფაქტორი, რომელსაც შეიძლებოდა სახელმწიფო დაყრდნობოდა, ახლა ეს თავმოყვარეობა თუ უზომო სიამაყეში გადაიზრდება, მაშინ ანტისახელმწიფოებრივ ფაქტორად იქცევა. იგი კი არ

შექმნის, არამედ დაშლის სახელმწიფოებრივ ერთობას. სახელმწიფოში რუსი ხალხის ახლანდელი, უკვე შეცვლილი როლის გათვალისწინებით უაღრესად გამოხატული რუსული ნაციონალიზმი მივა რუსულ სეპარატიზმამდე, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. ყველაზე უკიდურესი ნაციონალისტიც კი, რომელსაც სურს, რომ, რადაც უნდა დაუჯდეს, რუსი ხალხი იყოს სახელმწიფოს ერთადერთი პატრონი და ეს სახელმწიფო სრულად და განუყოფლად ეკუთვნოდეს მხოლოდ რუს ხალხს, უნდა შეეგუოს თანამედროვე პირობებში იმ აზრს, რომ მის „რუსეთს“ ჩამოსცილდა განაპირა „მხარეები“.სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი რადიკალურ-ნაციონალისტური ოცნება მხოლოდ იმ დავიწროებულ საზღვრებში ახდება, რომელშიც დიდი რუსი ხალხი ცხოვრობს. ეს კი არის თანამედროვე რუსეთი ურალამდე. ამგვარად, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ახლა წრეგადასული რუსი ნაციონალისტი არის სეპარატისტი და „სამოსტინიკი*“ ისევე, როგორც უკრაინელი, ქართველი, აზერბაიჯანელი და სხვა რომელიმე ნაციონალისტ-სეპარატისტი.

II

თუ ადრე რუსეთის იმპერიას ერთ მთლიანობად კრავდა ის, რომ იმპერიის მთელი ტერიტორია ერთ პატრონს – რუს ხალხს ეკუთვნოდა, რომელსაც რუსი მეფე ჰყავდა, ეს ფაქტორი ამჟამად განადგურებულია. ისმის კითხვა: რა ფაქტორმა უნდა გაამთლიანოს ახლა სახელმწიფოს ნაწილები ერთ სახელმწიფო მთლიანობად?

ასეთ გამაერთიანებელ ფაქტორად რევოლუციამ წამოსწია ცნობილი სოციალური იდეალის მიღწევა. სსრკ მხოლოდ ცალკეული რესპუბლიკების ჯგუფი კი არ არის, არამედ სოციალისტური რესპუბლიკების, ანუ ისეთი ქვეყნების, რომლებიც მიისწრაფვიან, ხორცი შეასხან ერთსა და იმავე სოციალურ წყობას და სწორედ საერთო იდეალი ამთლიანებს ამ რესპუბლიკებს.

საერთო სოციალური იდეალი და სსრკ-ის ცალკეული ნაწილების სწრაფვა ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, არის ძლიერი გამაერთიანებელი ფაქტორი და დროთა განმავლობაში ამ იდეალის ხასიათი რომც შეიცვალოს, სოციალური სამართლიანობის ზოგადი იდეალი მაინც აუცილებლად უნდა დარჩეს და ამ იდეალისკენ სვლაც ყოველთვის უნდა ედოს საფუძვლად იმ ხალხებისა და იმ მხარეების სახელმწიფოებრიობას, რომლებიც ახლა გაერთიანებულნი არიან სსრკ-ში. თუმცა ისმის კითხვა, საკმარისია კი ეს ფაქტორი ერთ სახელმწიფოში სხვადასხვა ხალხის გასაერთიანებლად? იმ ფაქტიდან, რომ უზბეკეთის რესპუბლიკა და ბელორუსიის რესპუბლიკა შიდა პოლიტიკაში მიზნად ისახავენ ერთი და იმავე სოციალური იდეალის მიღწევას, სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ ეს რესპუბლიკები აუცილებლად ერთ სახელმწიფოში უნდა ერთიანდებოდნენ. უფრო მეტიც, სოციალური იდეალის ერთიანობა სულაც არ გამორიცხავს, რომ ეს ორი რესპუბლიკა მტრულად იყოს განწყობილი ერთმანეთის მიმართ ან ერთმანეთს ომი გამოუცხადონ. აქედან ცხადია, რომ სოციალური იდეალი არ არის საკმარისი სსრკ-ის ცალკეული ნაწილების ნაციონალისტურ-სეპარატისტული სწრაფვების საწინააღმდეგოდ და რომ უნდა მოიძებნოს კიდევ რაღაც სხვა მათ შესაჩერებლად.

თანამედროვე საბჭოთა კავშირში ნაციონალიზმისა და სოციალიზმის საწინააღმდეგოდ მოქმედებს კლასობრივი შუღლი და პროლეტარიატის სოლიდარული ცნობიერება გარედან მუდმივად მოსალოდნელი საფრთხის გამო. სსრკ-ის შემადგენელი ხალხებიდან სრულუფლებიან მოქალაქეებად იწოდებიან მხოლოდ პროლეტარები და, არსობრივად, თვითონ საბჭოთა კავშირს შეადგენს არა იმდენად ხალხები, არამედ ამ ხალხთა პროლეტარიატი. ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და საკუთარი დიქტატურის დამყარების შემდეგ სსრკ-ის ხალხთა პროლეტარიატი სულ გრძნობს მტრული ძალების მხრიდან საფრთხეს როგორც შიგნით (რადგან სოციალიზმი ჯერ არ დამყარებულა და მიმდინარე „გარდამავალ“ პერიოდში სსრკ-ის შიგნით თვით კაპიტალისტებისა და ბურჟუების არსებობაც დასაშვებია), ასევე გარეთ (მთელი დანარჩენი სამყარო საერთაშორისო კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ხელმძღვანელობით). სსრკ-ის ხალხთა პროლეტარიატმა მიტაცებული ძალაუფლება რომ შეინარჩუნოს, აუცილებელია მისთვის ერთიანი სახელმწიფო.

---

* „სამოსტინიკი“ – რუსულ განმარტებით ლექსიკონებში განიმარტებოდა, როგორც უკრაინელი ბურჟუა-ნაციონალისტი (САМОСТИЙНИК, самостийника, муж. (полит.). Украинский буржуазный националист, сторонник самостийности), ხოლო ნიკოლოზ ტრუბეცკოიმ გააფართოვა მისი მნიშვნელობა და ეს სიტყვა გამოიყენა რუსეთში ყველა სახის სეპარატიზმის აღსანიშნავად.

სწორედ ამ ფონზე ებრძვის სსრკ-ის საბჭოთა ხელისუფლება სეპარტიზმს: სეპარატისტებს უნდათ სსრკ-ის სახელმწიფოებრივი ერთიანობის დაშლა, მაგრამ ერთიანობა სჭირდება პროლეტარიატს მიტაცებული ძალაუფლების შესანარჩუნებლად. აქედან გამომდინარე, სეპარატისტები პროლეტარიატის მტრები არიან. ამავე მიზეზით შესაძლებელია და აუცილებელიც არის ნაციონალიზმთან ბრძოლა, რადგან იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფარული სეპარატიზმი. მარქსისტული დოქტრინის თანახმად, პროლეტარიატს არა აქვს ნაციონალისტური ინსტინქტები, რაც ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული წყობის მახასიათებელია. ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ხდება ხალხის ყურადღების ნაციონალური ემოციებიდან სოციალურ ემოციებზე გადატანით. ნაციონალური ერთიანობის შეგრძნებას, რომელიც ყოველგვარი ნაციონალიზმის საფუძველია, ამარცხებს გააფთრებული კლასობრივი შუღლი, ხოლო ნაციონალური ტრადიციების დიდ ნაწილს არცხვენენ ბურჟუაზიულ წყობასთან, არისტოკრატიულ კულტურასთან ან „რელიგიურცრუმორწმუნეობასთან“ კავშირის გამო. ამის მიუხედავად, ყოველი ხალხის თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია იმით, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ეს ხალხი სახლობს, მისი ენა აღიარებულია ოფიციალურ ენად, ადმინისტრაციული და სხვა თანამდებობები, უდავოა, ამ ხალხის შვილებს უჭირავთ და თვით მხარესაც სახელი შერჩეული აქვს იქ მოსახლე ხალხის მიხედვით.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტორი, რომელიც აერთიანებს სსრკ-ის ახლანდელ ნაწილებს ერთ სახელმწიფოდ მთლიანობად, კვლავ არის სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ოფიციალური ბატონ-პატრონის აღიარება.ოღონდ ადრე ასეთი პატრონი რუსი ხალხი იყო, ახლა კი პატრონი სსრკ-ის ხალხთა პროლეტარიატია, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

III

საკითხის გადაჭრის ზემოთ აღწერილი გზის ნაკლოვანებანი ნათელია. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სსრკ-ის ხალხთა დიდი ნაწილის დაყოფა პროლეტარიატად და ბურჟუაზიად ან სწორი არ არის, ან ნაკლებმნიშვნელოვანი და ხელოვნურია. ისიც უნდა აღინიშნოს, პრობლემის ასეთი გზით გადაჭრა მხოლოდ დროებითია. იმ ხალხების და ქვეყნების სახელმწიფოებრივი ერთიანობა, სადაც ძალაუფლება პროლეტარიატმა მიიტაცა, მიზანშეწონილია მხოლოდ პროლეტარიატისა და მისი მტრების ბრძოლის ამ კონკრეტული ეტაპისთვის. თვით პროლეტარიატიც, როგორც ჩაგრული კლასი, მარქსიზმის თანახმად, დროებითი მოვლენაა და იგი აუცილებლად დაიძლევა. იგივე უნდა ვთქვათ კლასთა ბრძოლაზეც. ამგვარად, სახელმწიფოს ერთიანობა რომელიმე პრინციპულად მუდმივ და ურყევ საფუძველს კი არ ემყარება, არამედ დროებით, პრინციპულად დროებით და წარმავალ ფაქტორს. ეს სულაც არ არის სასურველი მდგომარეობა და ბევრ არაჯანსაღ მოვლენას შეიცავს. იმისთვის, რომ თავისი არსებობა გაამართლოს, ცენტრალური ხელისუფლება იძულებულია, ხელოვნურად შეუქმნას საფრთხე პროლეტარიატს, თავად ქმნის კლასობრივი სიძულვილის ობიექტებს ახალი ბურჟუაზიის სახით, რაც ერთადერთ მიზანს ისახავს – პროლეტარიატი მიუსიოს ამ კლასს და ასე შემდეგ... მოკლედ, აუცილებელი ხდება, რომ პროლეტარიატი მუდამ ფიქრობდეს ერთ პრობლემაზე – მისი, როგორც სახელმწიფოს ერთადერთი პატრონის მდგომარეობა მყარი არ არის.

ამ სტატიის მიზანი არ არის სახელმწიფოს კომუნისტური კონცეფციის კრიტიკა. ჩვენ აქ პროლეტარიატის დიქტატურას განვიხილავთ მხოლოდ ერთი ასპექტით – როგორც სსრკ-ში შემავალი ხალხების ერთიან სახელმწიფოში გამაერთიანებელ და ნაციონალისტურ-სეპარატისტული დინებების შემაკავებელ ფაქტორს. უნდა ვაღიაროთ, რომ აქამდე პროლეტარიატის დიქტატურის იდეა კი მოქმედებდა, მაგრამ პრობლემის გადაწყვეტის საფუძვლად არ გამოგდება. სსრკ-ის ცალკეული ხალხების ნაციონალიზმი ვითარდება იმის შესაბამისად, თუ რამდენად ეგუება იგი თავის ახალ მდგომარეობას. განათლების განვითარება, დამწერლობის შემოღება სხვადასხვა ნაციონალურ ენებზე, ადმინისტრაციულ და სხვა თანამდებობაზე უპირატესად ადგილობრივი ხალხის წარმომადგენლების (**туземцы***) დანიშვნა აღრმავებს

*. ამტერმინის – **туземцы** – თავდაპირველი მნიშვნელობა არის ძირითადი მოსახლეები, აბორიგენები, ავტოქტონები, მაგრამ მას ყოველთვის იყენებდნენ ირონიული მნიშვნელობით და ვერც ერთ კონტექსტში ვერ ჩამოიშორებს იმ დამაკნინებელ ელფერს, რომელიც ჰქონდა ამ ტერმინს XIX საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიასა თუ გეოგრაფიაში (მთარგმნ.).

ცალკეულ მხარეებს შორის ნაციონალურ სხვაობებს, ადგილობრივ ინტელიგენტებს უჩენს კონკურენციის ეჭვნარევ შიშს „წარსულის ელემენტებისადმი“ და მდგომარეობის გაძლიერების სურვილს. ამასთანავე სსრკ-ის ხალხთა შიგნით კლასობრივი ბარიერები თანდათანობით იშლება და კლასობრივი დაპირისპირებები ნელ-ნელა ქრება. ყოველივე ეს ერთად ქმნის სსრკ-ის თითოეული ხალხის ნაციონალურ და სეპარატისტულ მიდრეკილებებს. ამის საწინააღმდეგოდ პროლეტარიატის დიქტატურის იდეა უძლურია. ხელისუფლების სათავეში მოხვედრილ პროლეტარიატს ზოგჯერ ძალიან დიდი, გადაჭარბებული დოზითაც კი ახასიათებს ნაციონალისტური ინსტინქტი, რომელიც, კომუნიზმის დოქტრინის თანახმად, თანამედროვე პროლეტარიატს არ უნდა ახასიათებდეს. და ხელისუფლების სათავეში მოხვედრილ ასეთ პროლეტარიატს, როგორცა ჩანს, უფრო ნაკლებად აღელვებს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესები, ვიდრე ეს კომუნიზმის დოქტრინით იყო მოსალოდნელი.

ამგვარად, პროლეტარიატის დიქტატურის იდეა, პროლეტარული სოლიდარობა და კლასობრივი შუღლის გაღვივება საბოლოოდ გამოუსადეგარი აღმოჩნდება სსრკ-ის ხალხთა ნაციონალისტური და სეპარატისტული სწრაფვების საწინააღმდეგოდ.

IV

რუსეთის ყოფილი იმპერიის ნაწილების სახელმწიფოებრივი გაერთიანების საკითხი ამჟამად ეყრდნობა სახელმწიფოს კლასობრივი ბუნების მარქსისტულ სწავლებას და სახელმწიფოს ნაციონალური სუბსტრატის მისთვის დამახასიათებელ უგულებელყოფას. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, ამ მოძღვრების მომხრეებს მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ ერთი ხალხის ბატონობა ერთი კლასის ბატონობით ჩაანაცვლონ, ანუ სახელმწიფოებრიობის ნაციონალურ სუბსტრატს კლასობრივი სუბსტრატი არჩიონ. ამ ჩანაცვლებიდან დანარჩენი თავისთავად გამომდინარეობს. ამდენად, კომუნისტები ყოველ შემთხვევაში დემოკრატებზე უფრო მართალნი და თანმიმდევრულნი არიან, რადგან დემოკრატები უარყოფენ რუსული სახელმწიფოს ერთიან ნაციონალურ სუბსტრატს და მხარს უჭერენ ფართო საიმპერიო ავტონომიის, ანუ ფედერაციის იდეას კლასობრივი დიქტატურის გარეშე, ანუ არ ესმით, რომ ასეთ პირობებში ერთიანი სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია.

იმისთვის, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ნაწილებმა გააგრძელონ არსებობა ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში, აუცილებელია სახელმწიფოებრიობის ერთიანი სუბსტრატი. ეს სუბსტრატი შეიძლება იყოს ნაციონალური (ეთნიკური) ან კლასობრივი. ამასთან, კლასობრივ სუბსტრატს, როგორც უკვე განვიხილეთ, რუსეთის ყოფილი იმპერიის ნაწილების გაერთიანება შეუძლია მხოლოდ დროებით. მტკიცე და მუდმივი ერთიანობა, შესაბამისად, შესაძლებელია, მხოლოდ ეთნიკური (ნაციონალური) სუბსტრატის შემთხვევაში. ასეთი რევოლუციამდე იყო რუსი ხალხი. მაგრამ ახლა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლებელია იმ მდგომარეობის დაბრუნება, როცა რუსი ხალხი იყო სახელმწიფოს ტერიტორიის ერთადერთი მეპატრონე. ნათელია ისიც, რომ ვერც ერთი სხვა ხალხი, რომელიც ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე, ვერ შეასრულებს სახელმწიფოს ტერიტორიის ერთადერთი პატრონის ფუნქციას. აქედან გამომდინარე, იმ სახელმწიფოს ნაციონალური სუბსტრატი, რომელსაც სსრკ ჰქვია, შეიძლება იყოს იმ ხალხთა ერთობლიობა, რომელიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობს. ეს იქნება მრავალი ხალხისგან შემდგარი ნაცია და ექნება თავისი ნაციონალობა.

ამ ნაციას ჩვენ ვუწოდებთ ევრაზიულს, მის ტერიტორიას – ევრაზიას, მის ნაციონალიზმს – ევრაზიულობას.

V

ყოველი ნაციონალიზმი გამომდინარეობს მოცემული ეთნიკური ერთეულის პიროვნული ბუნებიდან და ამიტომაც ამტკიცებს ამ ეთნიკური ერთეულის (ხალხის, ხალხთა გაერთიანების ან ხალხის ნაწილის) ორგანულ მთლიანობას და თვითმყოფადობას. მაგრამ დედამიწაზე არ არის (ან თითქმის არ არის) მთლიანად ერთიანი ან ერთგვაროვანი ხალხი. ყველა ხალხში, თვით ყველაზე მცირერიცხოვან ხალხშიც კი, გამოიყოფა ტომობრივი სახესხვაობანი, ზოგჯერ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულიც კი როგორც ფიზიკური მონაცემებით, ისე ხასიათით, ზნე-ჩვეულებებით და სხვა. დედამიწაზე არ არის (ან თითქმის არ არის) მთლიანად იზოლირებული ან ყველასგან განაპირებული: ყოველი ხალხი შედის ხალხთა რომელიმე

ჯგუფში, რომელთანაც აერთიანებს ესა თუ ის თვისება; ზოგჯერ კი ერთი და იგივე ხალხი თვისებათა რაღაც ერთობლიობით ერთ ჯგუფს ეკუთვნის, სხვა თვისებებით კი მეორე ჯგუფის ნაწილია. შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური ერთეულის მთლიანობა ამ ერთეულის სიდიდის უკუპროპორციულია, ხოლო ეთნიკური ერთეულის თვითმყოფადობა პირდაპირპროპორციულია ამ ერთეულის სიდიდისა: სრულ ერთგვაროვნებას, სრულ მთლიანობას მხოლოდ ყველაზე პატარა ეთნიკური ჯგუფები აღწევენ (მაგალითად, ერთი ხალხის რომელიმე პატარა ტომობრივი განშტოება), სრულ თვითმყოფადობას კი მხოლოდ დიდი ეთნიკური ერთეულები (მაგალითად, ხალხთა ჯგუფი) აღწევენ. ამგვარად, ნაციონალიზმი გარკვეულად განსხვავდება ფაქტობრივი არაერთგვაროვნებისა და ამ ეთნიკური ერთეულის არაიზოლირებულობისგან, სწორედ ამ განსხვავების ხარისხით შეიძლება განვსაზღვროთ ნაციონალიზმის სახეები.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ყოველ ნაციონალიზმს ახასიათებს როგორც ცენტრალიზაციის ელემენტები (რომელიც განსაზღვრავს ამ ეთნიკური ერთეულის ერთიანობას), ისე სეპარატისტული თვისებები (რომელიც განსაზღვრავს ამ ეთნიკური ჯგუფის თვითმყოფადობას და გამოარჩევს მას უფრო დიდ ერთეულში). აქედან ნათელია, რომ, რადგან ერთი ეთნიკური ერთეული შედის უფრო დიდ ერთეულში (მაგალითად, ხალხი შედის ხალხთა გაერთიანებაში, ოღონდ, თავის მხრივ, მოიცავს რამდენიმე ტომობრივ და სამხარეო სახესხვაობას), ნაციონალიზმებიც განსხვავდება ერთმანეთისგან ამპლიტუდისა და სიფართოვისდა მიხედვით). თვითონ ნაციონალიზმებიც „შედიან“ ერთმანეთში კონცენტრირებული წრეების სახით იმ ეთნიკური ერთეულების შესაბამისად, რომლებსაც ეყრდნობიან. ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი და იმავე ნაციონალიზმის ცენტრალიზაციისა და სეპარატისტული ელემენტები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მაგრამ ორი კონცენტრირებული ნაციონალიზმის ცენტრალიზაციისა და სეპარატისტული, ელემენტები ერთმანეთს გამორიცხავენ. ესე იგი თუ A ეთნიკური ერთეული „შედის“ B ეთნიკური ერთეულის შემადგენლობაში, მაშინ A ერთეულის ნაციონალიზმის სეპარატისტული ელემენტი და B ერთეულის ნაციონალიზმის ცენტრალიზაციის ელემენტი ერთმანეთს გამორიცხავენ.

ამდენად, იმისთვის, რომ მოცემული ეთნიკური ერთეულის ნაციონალიზმი სრულ სეპარატიზმში არ გადაიზარდოს, აუცილებელია მისი კომბინირება იმ დიდი ეთნიკური ერთეულის ნაციონალიზმთან, რომელშიც მოცემული ეთნიკური ერთეული შედის. ევრაზიასთან მისადაგებით ეს ნიშნავს, რომ ევრაზიის (თანამედროვე სსრკ-ის) ცალკეული ხალხის ნაციონალიზმი კომბინირებული უნდა იყოს საერთოევრაზიულ ნაციონალიზმთან, ანუ ევრაზიულობასთან. ევრაზიული სახელმწიფოს თითოეულ მოქალაქეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს არა მარტო ის, იგი ეკუთვნის ერთ რომელიმე ხალხს (ან ერთი რომელიმე ხალხის სახესხვაობას), არამედ ისიც, რომ თავად ეს ხალხი ეკუთვნის ევრაზიულ ნაციას. ამ მოქალაქის ნაციონალური ღირსება უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ერთის, ისე მეორის გაცნობიერება. სწორედ ამის შესაბამისად უნდა აიწყოს ამ ხალხების ნაციონალიზმი: საერთოევრაზიული ნაციონალიზმი უნდა იყოს ევრაზიის თითოეული ხალხის გაფართოება, კერძო ნაციონალიზმთა შერწყმა.

VI

ევრაზიის ხალხთა შორის ყოველთვის არსებობდა ძმობა და ადვილად ხდებოდა მათი დაძმობილება, რაც გულისხმობს ქვეცნობიერ ურთიერთსწრაფვასა და სიმპათიას (საპირისპირო შემთხვევა, ანუ ქვეცნობიერი ანტიპათია და განზიდვის სურვილი ევრაზიის ხალხებს შორის ძალიან იშვიათია). მაგრამ მხოლოდ ეს ქვეცნობიერი გრძნობები, რასაკვირველია, საკმარისი არ არის. აუცილებელია, ევრაზიის ხალხთა ძმობა შეგნებულ ფაქტად იქცეს და თან მნიშვნელოვან ფაქტად. აუცილებელია, რომ ევრაზიის ყოველი ხალხი თავის თავს იაზრებდეს, როგორც ამ ძმობის წევრს, რადგან მას გარკვეული ადგილი აქვს ამ ძმობაში და საჭიროა, რომ ევრაზიული საძმოს წევრობის განცდა ყოველ ამ ხალხში იყოს უფრო ძლიერი და მკაფიო, ვიდრე ხალხთა სხვა რომელიმე გაერთიანების წევრობა. შეიძლება ევრაზიის ცალკეული ხალხი ამა თუ იმ თვისებით სხვა, არაევრაზიული ჯგუფის გაერთიანებასაც ეკუთვნოდეს. მაგალითად, რუსები ენობრივი მახასიათებლებით ეკუთვნიან სლავ ხალხებს; თათრები, ჩუვაშები, ჩერემისები და სხვები – ეკუთვნიან ე. წ. ხალხთა „თურანულ“ ჯგუფს, თათრები, ბაშკირები, სარტები რელიგიური ნიშნით მუსლიმ ხალხებში შედიან. მაგრამ დასახელებული ხალხებისთვის ეს კავშირები ნაკლებად

მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ის კავშირები, რომლებიც მათ ხალხთა ევრაზიულ ოჯახთან აერთიანებთ. არც პანსლავიზმი რუსებისთვის, არც პანთურანიზმი ევრაზიელი თურანელებისთვის და არც პანისლამიზმი ევრაზიელი მაჰმადიანებისთვის არ უნდა იყოს პირველ პლანზე. მათ ყოველთვის უნდა გამოარჩევდეთ ევრაზიელობა. რადგან ყველა ეს „პან-იზმი“ ზრდის მრავალი ხალხისგან შემდგარი ნაციონალიზმის ცენტრიდანულ ძალებს, ხაზს უსვამს ამა თუ იმ ხალხის ერთი რომელიმე ნიშნით გამორჩეულ ცალმხრივ ურთიერთობას ამა თუ იმ ხალხთან, რაც ვერ შექმნის რეალურ და ცოცხალ მრავალხალხოვან ნაცია-პიროვნებას, ევრაზიულ საძმოში კი ხალხები ერთმანეთთან ცალმხრივად კი არ არიან დაკავშირებულნი, არამედ ისტორიული ბედის ერთიანობით*. ევრაზია არის გეოგრაფიული, ეკონომიკური და ისტორიული ერთიანობა. ევრაზიის ხალხთა ბედი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ამ მჭიდრო კავშირმა შექმნა ისეთი დიდი ნასკვი, რომლის დაშლა უკვე შეუძლებელია, რომელიმე ხალხის გამოყოფა ამ ერთობიდან შეიძლება მხოლოდ ბუნებაზე ხელოვნური ძალადობით და მხოლოდ ავნებს ამ ხალხებს. ასეთს ვერაფერს ვიტყვით იმ ხალხებზე, რომელთა ერთობას საფუძვლად უდევს, მაგალითად, ისეთი ცნებები, როგორიც არის პანსლავიზმი, პანთურანიზმი ან პანისლამიზმი.

არც ერთი ეს ჯგუფი არ შექმნილა მასში შემავალი ხალხების ისტორიული ბედის ერთიანობით. ამიტომ „პან-იზმების“ არც ერთ სახეს არ აქვს ისეთი პრაქტიკული ღირებულება, რაც საერთოევრაზიულ ნაციონალიზმს. ეს ნაციონალიზმი ღირებულია არა მხოლოდ პრაგმატული თვალსაზრისით, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელია: ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ, რომ მხოლოდ მრავალხალხოვანი ევრაზიული ნაციის ერთიანობაზე დაფუძნებული ცნობიერება იქცევა რუსეთ-ევრაზიის სახელმწიფოებრიობის იმ ეთნიკურ სუბსტრატად, რომლის გარეშეც ადრე თუ გვიან იგი დაიშლება მისი შემადგენელი ყოველი ნაწილის საუბედუროდ.

იმისთვის, რომ საერთოევრაზიულმა ნაციონალიზმმა წარმატებით შეასრულოს იმ ფაქტორის როლი, რომელიც გააერთიანებს ევრაზიულ სახელმწიფოს, საჭიროა შესაბამისად ევრაზიის ხალხთა შეგნების ხელახალი წვრთნა. რა თქმა უნდა, შეიძლება ვთქვათ, რომ ამაში თვით ყოველდღიური ცხოვრება გვეხმარება. მხოლოდ ის ფაქტი რად ღირს, რომ ყველა ევრაზიელი ხალხი (და არც ერთი სხვა ხალხი მსოფლიოში) უკვე ამდენი წელია ერთად ცხოვრობს და უძლებს კომუნისტურ წყობას. ეს ერთი ფაქტი ქმნის ყველა ამ ხალხს შორის ახალ ფსიქოლოგიურ და კულტურულ-ისტორიულ კავშირებს და აიძულებს მათ, სულ უფრო და უფრო ნათლად და რეალურად იგრძნონ მათი ისტორიული ბედის ერთიანობა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ იმ ადამიანებმა, რომლებსაც უკვე დღეს ნათლად და მკაფიოდ აქვთ გაცნობიერებული მრავალი მრავალხალხოვანი ევრაზიული ნაციის ერთიანობა, გაავრცელონ ეს რწმენა იმ ევრაზიელ ხალხში, რომელშიც მუშაობს. ეს არის ჯერაც ხელშეუხებელი სფერო ფილოსოფოსების, პუბლიცისტების, პოეტების, მწერლების, მხატვრების, მუსიკოსებისა და სხვადასხვა დარგის მეცნიერებისთვის. მრავალხალხოვანი ევრაზიული ნაციის ერთიანობის თვალსაზრისით საჭიროა მეცნიერების სხვადასხვა დარგების გადახედვა, ძველი, დაფხავებული სამეცნიერო სისტემების ნაცვლად ახლის შემუშავება. სწორედ ასეთი მიდგომით სრულიად ახლებურად მოგვიწევს ევრაზიის ხალხთა, მათ შორის რუსი ხალხის, ისტორიის წარმოდგენა.

ამ ხანგრძლივ პროცესში, რომელიც მიზნად ისახავს ნაციონალური თვითშეგნების ისეთ გადაწყობას, რომ მივიღოთ ევრაზიის მრავალხალხოვანი ნაციის სიმფონიური (გუნდური) ერთობა, რუს ხალხს ევრაზიის სხვა ხალხებთან შედარებით განსაკუთრებით მოუწევს საკუთარი ძალების დაძაბვა, რადგან მას მეტად, ვიდრე სხვას, ელის ბრძოლა ამ ძველ წარმოდგენებთან და თვალსაზრისებთან, რომლებიც რუსულ ნაციონალურ თვითშეგნებას ქმნიდნენ ევრაზიული სამყაროს რეალური კონტექსტის გარეშე, რუსი ხალხის წარსულს აშორებდნენ ევრაზიის ისტორიის ზოგად პერსპერქტივებს. მეორეც, რუსმა ხალხმა, რომელიც იყო რუსეთ-ევრაზიის ტერიტორიის ერთადერთი ბატონ-პატრონი და ახლა არის რიცხოვნობით და მნიშვნელობით პირველი ევრაზიელ ხალხებს შორის, რა თქმა უნდა, მაგალითი უნდა მისცეს სხვას.

ნაციონალური თვითშეგნების გარდაქმნის თვალსაზრისით ევრაზიელები მუშაობენ განსაკუთრებულად რთულ პირობებში, სსრკ-ის ტერიტორიაზე ასეთ სამუშაო, რა თქმა უნდა, ღიად ვერ ჩატარდება. ემიგრაციაში კი ძირითადად

* იხ. კ. ა ჩხეიძის სტატია „ევრაზიული ქრონიკაში“, IV. გამოცემა.

ისეთი ადამიანები სჭარბობენ, რომელთაც არ ძალუძთ საკუთარ ცნობიერებაში რევოლუციის შედეგებისა და ობიექტური წინსვლის რეალიზება. ასეთი ადამიანებისთვის კვლავაც არსებობს რუსეთი, როგორც ისეთი ტერიტორიული ერთეულების კრებული, რომელიც რუს ხალხს ბრძოლით აქვს მოპოვებული და მხოლოდ მას ეკუთვნის სრულად და განუყოფლად. ასეთი აზროვნებიდან გამომდინარე ამ ადამიანებს უჭირთ საერთოევრაზიული ნაციონალიზმის შექმნისა და მრავალხალხოვანი ევრაზიული ნაციის ჩამოყალიბების პრობლემის გაგება.

მათთვის ევრაზიელები მოღალატეები არიან, რადგან ცნება „რუსეთი“ ახალი ცნებით – „ევრაზიით“ ჩაანაცვლეს. მათ არ ესმით, რომ ევრაზიულმა მოძრაობამ კი არა, თავად ცხოვრებამ მოიტანა ეს „ცვლილება,“ რომ რუსული ნაციონალიზმი თანამედროვე პირობებში უბრალოდ ველიკორუსული სეპარატიზმია, რომ ის წმინდა რუსული რუსეთი, რომლის „აღდგენასაც“ ისინი ესწრაფვიან, მხოლოდ ყველა განაპირა მხარის ჩამოშორებით, ანუ ეთნოგრაფიული დიადი რუსეთის (Великоросия) ფარგლებშია შესაძლებელი.

არსებობს სხვა ემიგრაციული მოძრაობებიც, რომლებიც თავს ესხმიან ევრაზიულობას და მოითხოვენ, რომ ევრაზიელებმა უარი თქვან საერთოდ ნაციონალურ თვითმყოფადობაზე და ფიქრობენ, რომ რუსეთი, როგორც სახელმწიფო, შეიძლება დაეფუძნოს ევროპული დემოკრატიის საწყისებს, ყოველგვარი ნაციონალური ან კლასობრივი სუბსტრატის წინწამოწევის გარეშე. ეს ხალხი რუსული ძველი ინტელიგენტის მედასავლეთეობის განწყობილების გამგრძელებელია. მათ არ უნდათ იმის გაგება, რომ სახელმწიფოს არსებობა უპირველესად ეყრდნობა მისი მოქალაქეების ამ სახელმწიფოსთან ორგანული ერთიანობის განცდას, ეს კი შეიძლება იყოს ან ეთნიკური, ან კლასობრივი. თანამედროვე პირობებში შესაძლებელია მხოლოდ ორგვარი გადაწყვეტა – ან პროლეტარიატის დიქტატურა, ან მრავალხალხოვანი ევრაზიული ნაციის ერთიანობა და თვითმყოფადობა და საერთო ევრაზიული ნაციონალიზმი.

1927 წ.

თარგმნა
თინათინ ბოლქვაძემ





ელჩინ ეფენდიევი

ელჩინ ეფენდიევი – აზერბაიჯანის სახალხო მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი. დაიბადა 1943 წლის 13 მაისს ქალაქ ბაქოში, XX საუკუნის აზერბაიჯანული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემოქმედის, ილიას ეფენდიევის ოჯახში. პირველი მოთხრობა თექვსმეტი წლისამ გამოაქვეყნა. მისი პირველი წიგნი სათაურით „ათას ერთი ღამიდან ერთ-ერთი“ 1965 წელს დაიბეჭდა. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, თურქულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, არაბულ, ჩინურ, სპარსულ, პოლონურ და სხვა ენებზე.

„სარი გელინი“

...და მერე კოკისპირულად დაუშვა წვიმამ და მთების სალი კლდეები, ხასხასა ფერდობებზე აქა-იქ ამოზრდილი ხეების მწვანე ქოლგები, ბუჩქების ფოთლები, ხევის ძირში აქაფებული მდინარის თავზემოთ მწყობრად გაწოლილი ქარაფები მტვრისგან, მიწისგან დარეცხა, დაწმინდა, სუფთად ააპრიალა და ამ წუთას ეს მთებიც, ეს სიმწვანეებიც, სალი კლდეებიც, ხევის გასწვრივ მიჯრილი ქარაფებიც სამყაროს უკიდეგანობაზე, დაუსაბამობაზე და უსასრულობაზე ამეტყველდნენ...

...შემდეგ მთელი ეს უკიდეგანობა, დაუსაბამობა და უსასრულობა სულერთიანად გალობამ მოიცვა და იმ გალობას, გეგონება, ხევის ძირში მოქაფქაფე მდინარემ, მთებმა, ხასხასა ფერდობებმაც სიტყვები აუწყვესო:

არ დაიწვნის თმათა ბოლო,
არ მატანენ შენ თავს მხოლოს.
რა იქნება, ვნახო ერთხელ
ჩემი სატრფოს სახე მხოლოდ.
რა ვქნა, ვამე, ვაგლახ, ვაგლახ,
რა ვქნა, ვამე, ვაგლახ, ვაგლახ.
სარი გელინ...

...და ის კოკისპირული წვიმაც შეწყდებოდა, ისევ მოსაღამავდებოდა, ისევ ჩამოღამდებოდა, მაგრამ ის გალობა, ის სიმღერა იმ ადგილებს აღარ მოსცილდებოდა:

ამ ნაპრალის გასწვრივ ღარად
მწყემსო, მოაბრუნე ფარა.
რა იქნება, თვალი მოვკრა
ჩემი სატრფოს თვალთა ჯავარს.
რა ვქნა, ვამე, ვაგლახ, ვაგლახ,
რა ვქნა, ვამე, ვაგლახ, ვაგლახ.
სარი გელინ...

•

სამწვადე „შემოდგომის წვიმის“ შესახედაობაში სახელის გარდა არაფერი იყო გულმისავალი. საბჭოთა კავშირის დროს ბაქოს მესამე მიკრორაიონში აშენებული რვასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზოს ბოლოში რომელიღაც დაწესებულების მომცრო საავტომობილო სარემონტო სახელოსნო მდებარეობდა, მაგრამ როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა, ვიღაცებმა ეს სახელოსნო „გაიპრივატიზაციეს“ და სამწვადედ გადააკეთეს.

მართალია, როგორც ამბობდნენ, აქ კარგ მწვადს აკეთებდნენ, მაგრამ რვასართულიანი კორპუსის მოსახლეებს ბოლი, მწვადის გამუდმებული სურნელება, შიგადაშიგ იქ მისტუმრებულთა ჩხუბები და აყალმაყალი ყელში ამოსვლოდათ. ერთადერთი სასიამოვნო ის იყო, რომ ზოგჯერ „შემოდგომის წვიმისგან“ კლარნეტის სევდიანი ხმა მოისმოდა. მაშინ სიწყნარე ისადგურებდა და ეს ხმა რვასართულიანის ბინადართა გულ-გვამში რაღაცნაირ გრძნობას ბადებდა, რითიც ისინი რაღაც დროით მწვადის იმ გამუდმებულ სუნსაც, ცეცხლისგან ანადენ ბოლსაც, უზრდელი კლიენტების ყვირილ-გნიასსაც ივიწყებდნენ...

•

გაზაფხულის იმ მშვენიერ დილას, როცა კლარნეტზე შემსრულებელი ფატულა, ჩვეულებისდაკვალად, ლოგინიდან დილაადრიან წამოდგა და ხელ-პირის დასაბანად გაემართა, ცოლმა – ფირუზემ – თითქოს მის წამოდგომას ელოდაო, სამზარეულოდან თავი წამოყო და:

– ადექი, ფატულა? – იკითხა, მერე კი: – რაღაც მაქვს შენთვის სათქმელი... წადი ხელ-პირი დაიბანე და მერე... – დაამატა, მაგრამ ეს ისე წარმოთქვა, რომ ფატულას გულში თარის ყვითელი ლარივით უსაშველოდ წვრილმა, მაგრამ ამავე დროს ძალიანაც გაჭიმულმა ყუვილმა დაიკვნესა: ფირუზეს ხმაში საწყალობლობა, უილაჯობა ჭვიოდა და ფატულასავით კაცს მთელი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ხელ-პირის დაბანისას გული გვარიანად არ ამოჯდომოდა. მან ამ წუთისოფლის მისამართით გულში გემრიელი ქუჩური გინებაც გაიტარა, რადგან ბოლო ხანებში – რა იყო ამის საბაბი? თვითონაც არ იცოდა! – თავისი ცოლის ყმაწვილქალობა ხშირ-ხშირად წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ. ის დრო, როცა ამჟამინდელი ინით წითლად შეღებილი ჭაღარა არსად იყო, მაჯის სიმსხო უშავესი ორი ნაწნავი თითქმის კოჭებამდე უცემდა, თვალად ნაგ შვლის ნუკრს ჩამოჰგავდა და მზეს და მთვარეს წუნობდა. როცა მთელი უბნის ყმაწვილკაცობას თვალები ნაწნავიან გოგოზე დაეკოსებინა, ნაწნავიანმა გოგონამ უშქარ ვაჟთა შორის ეს, ე.ი. ამწუთას გულში წეღანდელი ტკივილით ხელ-პირის მბანი ფატულა აირჩია.

ფატულა აირჩია, მაგრამ არა იმისთვის, რომ ოცდაათი წლის შემდეგ მზისა და მთვარის წუნია იმ გოგოს ხმა ამგვარად გასაწყლებოდა, იმისთვის კი არა, რომ ფირუზეს ამ გაზაფხულს უბნის ხუთივე ქორწილში ზედიზედ ერთი და იგივე კაბა სცმოდა, იმიტომ კი არ აურჩევია, რომ... და აქ ფატულას ცოტაღა დააკლდა, რომ საპონი სარკეში თავისი ანარეკლისთვის არ მიეთხლიშა სახეში.

კარგი...

გეყოფა...

სხვები შენზე უარეს ყოფაში არიან...

და იმხანად ფატულაც შავგვრემანი, ხუჭუჭა, უკანდაუხეველი, ეზოს კარის მოპირდაპირე წყვილი თუთის ხის ჩრდილში მჯდომარე, ნარდის, ქუჩაში მიმავალი თუ ფანჯრებიდან მისი მოთვალთვალე გოგონების ფარული მზერის ქვეშ ლაღად მოთამაშე და მთელი უბნის ახალგაზრდობის მომგები ვაჟი იყო. ასე, რომ იმ ნაწნავიანი გოგოს მიერ ამოდენა ბიჭებში არჩევანის ფატულაზე შეჩერებაც ზაფხულის პაპანაქებაში უბნის კაცების ამ წყვილი თუთის ხის ჩრდილქვეშ თავშეფარებასავით რამ იყო, ბუნებრივი გახლდათ, ე.ი. და ამაში თვით გასაკვირალიც კი გასაკვირი იქნებოდა, რადგან ფატულაც თავისი წარმოსადეგობით, შემართებით იმ ნაწნავიანი გოგოს საღირალ ჭაბუკად მშვენობდა, თუმცა მექუდე ჯაფარმა, ნაწნავიანი გოგონას მამამ, ორივე ფეხით მაინც ცალ ჩექმას უყელა და – ჩემს ქალს „მეზურნეს“ არ გავატანო – აიხირა.

საქმე ის გახლდათ, რომ ფატულას ოჯახობა თაობების განმავლობაში მუსიკოსი იყო. პერპერაც, პაპაც, მამაც ბაქოში ცნობილი მედუდუკეები იყვნენ და თვითონ ფატულასაც დუდუკზე დაკვრა სულ პატარაობიდანვე ესწავლა. დუდუკი მისთვის ჰაერივით, წყალივით რამ იყო და თავად ფატულასთვისაც ამ მშვენიერ ქვეყანაზე უდუდუკოდ ცხოვრება წარმოუდგენელი გახლდათ. მაგრამ, როცა მექუდე ჯაფარი გაჯიუტდა, ფატულა იმ ნაწნავიანი გოგოს გულისთვის მთელი თავისი ცხოვრების აზრად მინაჩნევ დუდუკს შეეშვა და კლარნეტზე გადავიდა.

კლარნეტი, ეტყობა, მექუდე ჯაფარისთვის დუდუკზე გაცილებით პატივსაცემი და აღმატებული იყო. ასე, რომ იმ ნაწნავიან გოგოს დასტური მისცა.

იმ დროიდან ოცდათექვსმეტი წელი გამოხდა.

ამ ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში ფატულას კლარნეტმა ბევრი მეჯლისი გაისტუმრა, ბევრ ქორწილში დაუკრა, დიდი ჯალაბობა – თავიანთი თავი და კიდევ ხუთი გოგონა არჩინა. იმ კლარნეტმა გოგონები დაზარდა, ასწავლა და დაათხოვა.

საბჭოთა დროს ამდენი მუსიკოსი არ იყო. მაგრამ საბჭოთა კავშირი დაიშალა თუ არა, იმ სიმრავლის მომღერალი, დამკვრელი გამოჩნდა, რომ გასაოცარია პირდაპირ, ესენი აქამდე სად იყვნენ? დამოუკიდებლობა ამათზე რაგვარად დაორსულდა, რომ სულ პარტყაპურტყით შვა და აჩინა? თანაც ყველანი საკრავზე შემსრულე-

ბლებზე მეტად კარგ მონტიორს ჩამოჰგავდნენ იმ აზრით, რომ ყველაფერს ელექტროდენს უერთებდნენ, ისეთ აურზაურს ატეხდნენ, ისე იმოსებოდნენ, რომ ფატულას კლარნეტი ბოლოს პატარა სამწვადესღა შერჩა და ერთ დროს ფულის მომტანი კლარნეტი, ახლა სამიოდ თუ ხუთიოდ მუშტრის ჯიბის იმედადღა აკვნესდა.

და ხელ-პირის საპნით მბანი ფატულა სარკეში განზრახ არ იყურებოდა, არ უნდოდა ამ თმაშეთხელებული, გაჭაღარავებულულვაშიანი, მსუქანი კაცისთვის შეეხედა, მაგრამ ამწუთას სარკე თითქოს მაგნიტად ქცეულიყო, ფატულას თვალები კი რკინად – სარკე ამ თვალებს თავისკენ ეზიდებოდა...

უნდა მიყურო!..
უნდა მიყუროო...

•

ნორვეგიელი მარტინიუს ასბიორნსენი, უკვე შვიდი წელი იყო, რაც ბაქოში, უცხოურ სანავთობო კომპანიათაგან ერთ-ერთში მთავარი ბუღალტრის თანაშემწედ მუშაობდა და, მიუხედავად იმისა, რომ იბსენი ძალიან უყვარდა, ბაქოს სიძველეებით მოვაჭრეებს იბსენის გმირებზე გაცილებით უკეთ იცნობდა და, როცა იმ სიძველეებს შეჰყურებდა ანდა მოვაჭრეების მიერ მოსატანს წინასწარვე დაიგუმანებდა, თავის საყვარელი კომპოზიტორის – გრიგის მუსიკისგან მოგვრილზე აღმატებულ ტკბობას განიცდიდა.

მართალია, ახლა ადგილობრივი მოსახლეობაც და მოვაჭრეებიც ხუთი-ექვსი წლის წინანდელებივით აღარ იყვნენ, ძალიან გამოფხიზლებულიყვნენ და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საზღვრები გახსნილიყო, ბაქოში ჩამოსვლელ-წამსვლელი უცხოელები სიძველეებს – უძველეს აზერბაიჯანულ ხალიჩებს, ოქრომჭედლობის ნიმუშებს, თუნდაც თანამედროვე მხატვართა ნაწარმოებებს წყლის ფასად იძენდნენ და უცხოეთში ათმაგად, ასმაგად ყიდდნენ ანდა ძალიან მცირე თანხად თავიანთთვის ძვირფას, მდიდრულ კოლექციებს ადგენდნენ – ხუთი-ექვსი წლის წინათ ასე იყო, მაგრამ შემდეგ ახალი მოვაჭრეები გამოჩდნენ. ფასებმა აიწიეს. თუმცა, რამდენიც უნდა აწეულიყო და რესპუბლიკაში მცხოვრებნი როგორც გინდა გამოფხიზლებულიყვნენ, აზერბაიჯანში ძველი აზერბაიჯანული თუ აღმოსავლური ნივთების ფასი ევროპასთან და აშშ-სთან შედარებით ძალიან დაბალი იყო.

რა თქმა უნდა, ყოველთვის ასე არ იქნებოდა და მომენტით სარგებლობის დროც დამდგარიყო. მართალია, ასეთი ტემპებით აზერბაიჯანში სულ მალე აღარაფერი დარჩებოდა, მაგრამ ეს შემდგომი ხანის პრობლემა იყო და ამ პრობლემებზე, დაე, შემდგომი ხანის ადამიანებს და თვით აზერბაიჯანელებს ეზრუნათ.

ბუნებით მკვირცხლი, ჭკვიანი და საქმის შემძლებელი მარტინიუს ასბიორნსენი კი ამ ყველაფერთან ერთად გაქნილიც გახლდათ. ძველი აზერბაიჯანული ხალიჩებისა და სახალიჩო ნაწარმებისგან სათავისოდ ძალიან კარგი და ძვირფასი კოლექციის მოწყობის შემდეგ მიხვდა, რომ აქ პირადი კოლექციის შექმნა არ კმაროდა, სერიოზული ბიზნესის გაჩაღება იყო საჭირო – მიხვდა და მთელი არსებით ჩაება კიდევაც. წლების განმავლობაში ამ ბიზნესის ფარული თუ ოფიციალური გზები გენიალურად აითვისა და კაიძალი ფულიც მოიგდო ხელთ.

არც ერთ ნორვეგიელ ნაცნობ-მეგობარს (თავად მასაც) აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ოდესმე საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და იმ საშიშარი საბჭოთა კავშირის დაშლა მარტინიუსს ასე გააბედნიერებდა. აგერ გუშინდლამდე სახელიც რომ არ იცოდა, იმ ქვეყანაში ამ მომცრო, მელოტ, ღიპიან კაცს ასე გაუმართლებდა.

•

ფირუზემ ახლად დაყენებული ჩაი, კარაქი, ყველი, პური ფატულას წინ მაგიდაზე დაალაგა თუ არა, ფატულამ იგრძნო, რომ ფირუზე რაღაც მოულოდნელს ეტყოდა და, როცა შეახსენა:

– აბა, სიტყვა მაქვს სათქმელიო?

და ფირუზემაც:

– ჩაი დალიე, მერე გეტყვიო – რომ უთხრა, ფატულა ასი პროცენტით მიხვდა, რომ ფირუზე ახალს იტყოდა რაღაცას, მაგრამ, როგორი იქნებოდა ეს ახალი, კარგი თუ ცუდი? – ვერ იგუმანა.

ფირუზეს თქმა ეჩქარებოდა, მაგრამ ვერც ბედავდა თითქოს. ფატულამ იფიქრა, ალბათ, გოგონებთან დაკავშირებით რაღაც ამბავიაო. მაგრამ რა უნდა ყოფილიყო? ახალ შვილიშვილს თუ ელოდებოდნენ, აქ მოსარიდებელი არაფერია – მეექვსე შეეძინებოდათ – სხვა საბაბი კი ფატულას არ აფიქრდებოდა.

და, როცა კი, ჩვეულებისამებრ, ყველი და პური მიირთვა, შაქრით დატკბილული ჩაი დალია:

– ჰოუ, – ამოიძახა. – რა მოხდა?

ფირუზემ:

– არაფერი... – უპასუხა. – რა უნდა მოხდეს, ღვთის მადლით ყველაფერი რიგზეა...

– ხომ ამბობდი რაღაც მაქვს სათქმელიო...

ფირუზე მიუახლოვდა, მაჯაზე ჩასჭიდა ხელი:

– აქეთ გამოდი, – უთხრა და ფატულა ოთახის ეზოში გამავალი კარისკენ გაიყოლა.

ზუსტად ოცდათექვსმეტი წელი იყო, რაც დაოჯახებულიყვნენ და ამ ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში, როცა კი ფირუზეს ხელი შეეხებოდა, ფატულას ჟრჟოლა დაუვლიდა ხოლმე, თითქოს...

თითქოს...

თითქოს ისევ იმ წყვილნაწნავიანი გოგოს ხელი შეხებოდეს, იმ ხელის სითბო, იმ სითბოს მოგვრილი გრძნობა შემონთებოდეს...

ფატულას ეზოს კარის პირდაპირ ტანმსხვილი, ბებერი თეთრი თითა ყურძენი იდგა და ამ ყურძნის წლოვანება ფატულასაზე მეტი იყო. ყურძნის ტოტები ფატულას ერთსართულიანი სახლის ბანზე აეზიდათ და ტალავერი გაეკეთებინათ. გაზაფხული დადგებოდა თუ არა, ტოტები შეიფოთლებოდნენ და მცირე ხანში ის ტალავერი უბნის ერთ-ერთ სამოთხისეულ კუთხედ გადაიქცეოდა. თვით პაპანაქება სიცხეშიც კი ფოთლების სიხშირით მზე ვერ ატანდა. ყველაზე კარგი კი ის გახლდათ, რომ ის ბებერი ვაზი ისეთ ხასხასა, ნაზ ფოთლებს დაიყრიდა, თითქოს სამოცდამეათედ ან მეოთხმოცედ კი არა, პირველად გამოეშალოსო, და ისეთ ნაყოფს ისხამდა, რომ ფირუზე მთელი წლის ბანგს, ძმარს, ბაქმაზს ამზადებდა. თაფლივით ნაყოფს სათლებით უგზავნიდა გოგონებს, ფოთოლს ამარილებდა და ზამთარსა და შემოდგომაზე ვაზის ფოთლის ისეთ ტოლმას აკეთებდა, რომ ფატულასთვის მსოფლიოში მის მსგავსს არავინ აკეთებდა და ვერც გააკეთებდა.

ფირუზემ ფატულა ეზოში გაიყვანა და ხასხასა მწვანე ფოთლები, თითქმის ხელისგულისოდენად მოწეული მტევნები აჩვენა:

– ფატულა, ხედავ?

ფატულაც, რაც უნდა იყოს, ხელოვანი გახლდათ და გაზაფხულის დილას ფირუზეს მიერ გარეთ გამოხმობამ, მწვანედ მოღიმარი ვაზის ტოტებისკენ გახედვინებამ, სიმართლე ითქვას, გვარიანად ააღელვა და მანაც, როგორც ახალგაზრდობაში სჩვეოდა, შუა ეზოშივე ფირუზეს მკლავთა შიგან მოქცევა და მკერდზე მიკვრა მოიწადინა, მაგრამ ფირუზემ ამ დროს:

– იცი, ფატულა, რაღაცის თქმას ვაპირებ, მაგრამ... არ გაბრაზდე... – რომ უთხრა, ფატულას გული თითქოს სიცარიელეში გადაეშვა და მიხვდა, რომ ძალიან, ძალიან ცუდ რამეს მოისმენდა.

ფირუზემ თქვა:

– ფატულა... იცი... მინდა... მინდა, რომ ფოთლები შევაგროვო და ბაზარში წავიღო გასაყიდად...

თავდაპირველად ფატულას მოეჩვენა, ფირუზეს ნათქვამი სწორად არ მომეყურაო, მაგრამ, როცა ეს სიტყვები მის გონებას სილასავით გაეწნა, ფატულას სახე რა დღეში უნდა ჩავარდნილიყო, რომ ფირუზეს ფერი დაეკარგა და, როცა ფატულამ ხრიალით:

– რა? – ამოიძახა, ფირუზეს მყისვე:

– არ გაბრაზდე, ფატულა, ღმერთს გაფიცებ, არ გაბრაზდე! – მისი დაყვავება დაეწყო.

ფატულამ კი იმავე ხრიალით:

– ჩემი ცოლი ბაზარში გავა და ფოთოლს გაყიდის? – მაგრამ თითქოს ეს ფირუზეს კი არა, საკუთარ თავს, სინამდვილეში უცნობ არსებას ჰკითხა...

ეგებ, ბედს?

ეგებ, ღმერთს?

ვის?

არ იცოდა, მაგრამ ის კი კარგად მოეხსენებოდა, რომ ასეთ ყოფაში თავის ამოყოფას, იმ წყვილნაწნავიანი გოგონას ოცდათექვსმეტი წლის შემდეგ ამ დღეში ჩაგდებას ის, ანუ ფატულა რომ მომკვდარიყო, ათასწილ უჯობდა.

ფატულას ერთ წამში გადმოკარკლული თვალების, სისხლმოწოლილი სახის შემყურე ფირუზე გვარიანად დაშინდა. ბოლო ხანებში ფატულას ისედაც სისხლის წნევა მაღალი ჰქონდა (ზოგჯერ 110-170 ურტყამდა) და ფირუზემაც გულწრფელი ვედრება წამოიწყო:

– ფატულა, გენაცვალე, ეგ ხომ სიტყვა იყო და მეტი არაფერი... გენაცვალე, ფატულა... ყურადღებას ნუ მიაქცევ, თითქოს არც მითქვამს, ფატულა... ღმერთს ვფიცავ, არასოდეს გავიმეორებ... – ფირუზემ ისევ ფატულას მაჯას მოავლო ხელი და ამ ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში პირველად ფატულამ უხეშად მოიცილა იგი:

– ხელი მომაშორე გეუბნები!..

•

მის მერილინ ჯონსონი ორმოცდათერთმეტი წლისა კი იყო, მაგრამ აქამდე არ გათხოვილიყო. თანაც ზომაზე მეტად მსუქანი გახლდათ. აშშ-ში ასეთ სქელ ადამიანებს მალიმალ შეხვდებით, მიზეზი კი საკვების შემადგენლობაში არსებული ხელოვნური ნივთიერებებია.

ჭამა მის მერილინ ჯონსონის ცხოვრების უმთავრეს პრობლემად და უკვე ძირითად მიზნადაც ქცეულიყო. ამ კუთხით მის მერილინ ჯონსონი უკანასკნელი სამუშაო ადგილით ძალიან კმაყოფილი გახლდათ.

მის მერილინ ჯონსონი ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, გაეროს შტაბ-ბინასთან ძალიან ახლოს სასტუმრო „Regal Y.N. Plaza“-ს მოპირდაპირე სახლის 23-ე სართულზე ცნობილი და გავლენიანი ბანკის თანამშრომლის, მისტერ ისააკ ბლუმენტალის ბინაში მოსამსახურედ მუშაობდა.

იმის გამოისობით, რომ მისტერ და მისის ბლუმენტალები ჭამას ძალიან დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ და ცოტას მიირთმევდნენ, მაღაზიაში ნაყიდი თუ შეკვეთილი სურსათის უმეტესობა უხმარი რჩებოდა და მის მერილინ ჯონსონიც ბინის საქმეებთან ერთად, წისქვილი მარცვალს რომ ფქვავს, სწორედ იმგვარად დილიდან-საღამომდე ეკოლოგიურად ძალიან სუფთა და ამიტომაც უძვირესი სურსათის ათვისებით იყო დაკავებული.

მისტერ და მისის ბლუმენტალები ბერწნი, სიტყვაძუნწნი, მშვიდნი, წყნარნი და უზრუნველი ცხოვრების მოყვარულნი იყვნენ.

მისის ბლუმენტალს თეთრი, ფითქინა პუდელი ჰყავდა და იმ პუდელს უფრო მეტს ელაპარაკებოდა, ვიდრე მისტერ ბლუმენტალს ანდა მისის ჯონსონს. ძაღლი ხშირად გაჰყავდა სუფთა ჰაერზე, თვითონ წმენდდა, თვითონ ბანდა, კერძო პარიკმახერთანაც თვითონ მიჰყავდა და ახალ მოდაზე აკრეჭინებდა, მის ხვეულა ბეწვებს თვითონ ვარცხნიდა, თვითონ აჭმევდა და მის ჯონსონს ძაღლთან დაკავშირებით არავითარი ჯაფა არ ადგა.

მისტერ ბლუმენტალი, გარდა იმისა, რომ ფინანსურ წრეებში ცნობილი და გავლენიანი ბანკის თანამშრომელი იყო, აღიარებული კოლექციონერიც გახლდათ. უძველეს სამუსიკო ინსტრუმენტებს აგროვებდა. სამსახურიდან მოსვლისა და მსუბუქი ვახშმის შემდეგ, შუაღამემდე დროს იდეალური წესრიგით შეგროვებული კოლექციის დამტევ სამ ოთახში ატარებდა. თავისი მდიდარი კოლექციის იშვიათ ნიმუშთაგან ერთ-ერთს აიღებდა, სავარძელში მოხერხებულად მოკალათდებოდა, გამადიდებელი შუშით იმ ნიმუშს სანტიმეტრობით სწავლობდა, სხვადასხვა საინფორმაციო წიგნებში, კატალოგებში იხედებოდა და ა.შ.

კოლექციაში შემავალი ნიმუშების, მათ შორის, გ. და სალის ერთი, ა. და ნ. ამატიების ერთი, სტრადივარიუსის კი ორი(!) ვიოლინოს მტვერსაც მისტერ ბლუმენტალი პირადად თვითონ წმენდდა და ამ თვალსაზრისითაც მის ჯონსონს არაფერი ჰქონდა სადარდებელი – რაიმე ხელიდან არ დამივარდეს, არ გაიბზაროს, არ დაზიანდეს, არ გაიკაწროს, რამეს არ შეეხოსო და ა.შ.

•

რა ფირუზეს ბრალი იყო? ჰა? რა მისი ბრალი იყო? არავითარი... შეხე, ეს სახლი, ეს საცოდავი ფირუზე რას დაამსგავსე, რომ ხილის ფოთლების შეგროვება და ბაზარში გაყიდვა განუზრახავს... მამაშენი ეზოში ვაზს რომ რგავდა, განა აზრად მოუვიდოდა, ოდესმე მისი ვაჟის ოჯახი ისეთ დღეში ჩავარდებოდა, რომ იძულებული შეიქნებოდა, ფოთოლი გაეყიდა?.. იმ ცხონებულმა მექუდე ჯაფარმა, წყვილნაწნავა გოგონას „მეზურნისთვის“ გაყოლება რომ არ უნდოდა (ძალიანაც კარგს შვრებოდა) და კლარნეტზე შემსრულებელს გააყოლა (ძალიანაც შეცდა!), ახლა თავისი გოგონას ყოფის გამო საფლავში არ იწრიალოს და, რა ქნას? შე ბრიყვო და ბრიყვის შვილო, ფირუზესთვის ხელის კვრას წადი და თავი კედელს ურახუნე, გირჩევნია, ფირუზემ რა ქნას?..

...და მაგიდასთან უტყვ-უთქმელად მჯდომმა, თითების ერთმანეთში მხლართავ-მომბოშავმა ფატულამ ეზოდან ოთახში შემომავალ და ტირილისგან თვალებჩაწითლებულ ფირუზეს რომ მოჰკრა თვალი, წამოდგომისა და ფირუზეს ჩახუტებისგან თავი ძლივს შეიკავა. „რა შენი ბრალია, უმაქნისის ერთი მე ვარ“ – თქმას ცოტაღა დააკლდა. მაგრამ თავი დაიოკა და შეეშინდა, უცაბედად ფირუზესთან გული არ აჩუყებოდა და ამიტომაც მაგიდაზე დაწყობილი ხელებისთვის და თითების ფშვნეტისთვის თვალის მოცილებაც ვერ გაბედა და მხოლოდ:

– კი მაგრამ, რა არის, რა ხდება? – იკითხა.

არც ფირუზეს შეუხედავს მისთვის, მაგიდაზე ჩაის და პურის ნარჩენების მოგროვება-აგროვებით, ათრთოლებული ხმით უთხრა:

– ბავშვის მცირე ქორწილი მოდის...

...მიხვდიღა, შე ჩლუნგო, მიხვდიღა?.. საჩუქრის ყიდვა უნდა ბავშვისთვის და რა ქნას? რა უყოს? ის კლარნეტი დაგეცეს თავზე! რა მოგაქვს სახლში? რაც მოგაქვს, იმასაც მუცელში იტენი!

საქმე ის გახლდათ, რომ ზუსტად ხუთი დღის შემდეგ – ამ კვირა დღეს – ფატულას ხუთი წლის შვილიშვილს წინდაცვეთას ჩაუტარებდნენ და, როცა ფირუზე საჩუქარზე და იმ საჩუქრის რითი ყიდვის თაობაზე დაფიქრდა, ბებერი ვაზი მოისაზრა...

ახლა ხომ მიხვდი, შე შტერო!..

•

რა თქმა უნდა, ფატულამ იცოდა, რომ „შემოდგომის წვიმისგან“ შემოსული თანხა ცოტაა, სახლის ხარჯებსაც ვერ აუდის, მაგრამ, საქმე აქამდე თუ იყო მისული, ვერ წარმოედგინა, რადგან ფულს ყოველთვის ფირუზეს აბარებდა და სახლის ხარჯებსაც ის განკარგავდა. ფირუზე კი ფატულასთან არაფერზე ჩიოდა, რათა არ მოეჟამებინა. ფატულა ისედაც ყველაფერს აკეთებდა, რაც შეეძლო. ამ ასაკში სამწვადეში შვილისტოლა მოქეიფეების (თანაც როგორი მო-

ქეიფეების! ერთი მთვრალია, მეორე მოჩხუბარი, მესამე, ღმერთმა უწყის, რა ჩიტი ბრძანდება...) შეკვეთით კლარნეტზე უკრავდა – ბეჩავ ფატულას ამის მეტი რაღა ექნა?

მაგრამ ეს ქვეყანა სულ თავუკულმაც რომ ამოტრიალებულიყო, ფატულა საკუთარ სახლში ისეთ მდგომარეობას, ცოლს იძულებულს რომ გახდიდა, შვილიშვილის მცირე ქორწილისთვის საჩუქრის საყიდლად ბაზარში ფოთლის გაყიდვა მოგუნებებოდა, ვერ შეეგუებოდა.

და ფატულა ამ დროს ფირუზეს მიერ განსაკუთრებული სიწესრიგით მორთული ბუფეტის წინ შეჩერდა, თვალები ბუფეტის ზემო მხარეს, შუშის მიღმა იმ ძველ სადაფიან დუდუკს გაუშტერა. ვერცხლით, სადაფით და ფირუზით ნახელავი ეს დუდუკი ფატულას მამა-პაპათაგან შემორჩენოდა და ფატულას ოჯახის სანუკვარი რელიკვია იყო.

თავის დროზე ამ დუდუკის თაობაზე გაზეთებშიც წერდნენ, მუზეუმიდან მისი ყიდვის სურვილიც გამოეთქვათ, მაგრამ ფატულამ არ გაატანა, რადგან ფიქრობდა, რომ დუდუკის გაყიდვით ან ვინმესთვის მიცემით წინაპრების სულის წინაშე კაცისთვის უკადრისს ჩაიდენდა.

და საერთოდაც, ზოგჯერ ფატულას ეჩვენებოდა, რომ, როცა დუდუკს კლარნეტი ანაცვალა, სწორედ იმ დღიდან დუდუკი მხოლოდ მასზე კი არა, მთელ ქვეყნიერებაზე განაწყენდა, გაიბუტა.

თუმცა ზოგჯერ – წელიწადში ერთხელ ანდა ორ წელიწადში ერთხელ ფატულა დუდუკს ბუფეტიდან გამოიტანდა, ეზოში გავიდოდა, იმ ვაზის მოპირდაპირედ პატარა აუზის კოხტად შეკირულ მოაჯირზე ჩამოჯდებოდა, დუდუკს მომართავდა და „სარი გელინს“ უკრავდა.

იმწუთას ფატულა გრძნობდა: თითებით დუდუკის ნასვრეტებს რომ ეხებოდა, დუდუკი ნელნელა ურიგდებოდა და იმასაც ამჩნევდა, რომ ბუფეტის თვალში გამოკეტვის შემდეგ ამ ხნის მანძილზე დუდუკი მოთმინებით ამ დღეს – ეზოში „სარი გელინის“ ამ ინტიმურ დღესასწაულს ელოდა.

მუზეუმის თანამშრომლებს დუდუკზე არაბული ანბანით, სადაფით დაწერილი ნაწერიც ამოეკითხათ და ფატულას ის ნაწერი კირილიცათი თეთრ ქაღალდზე ამოებეჭდინებინა და, როგორც მუზეუმებშია ხოლმე, დუდუკის წინ დაედგა:

წელი – 923

ჯამადიულ-ავალი – 6

თავრიზი

ოსტატი მუჰამად იბნ იუსუფ იბნ მუტალიბი

ეს – დუდუკის თავრიზში შემქმნელი ოსტატის სახელი და ჰიჯრის კალენდრით შექმნის თარიღი იყო, რაც, იმავე მუზეუმის თანამშრომლების გამოთვლით, ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1516 წლის 30 ივნისს ემთხვეოდა.

საბჭოთა დროს ახლანდელივით არ იყო. მაშინ მუზეუმებს ბევრი ფული ჰქონდათ და იმ მუზეუმის თანამშრომლებიც ბევრს ეცადნენ, მაგრამ ფატულასთან მაინც ვერაფერი გააწყვეს. მხოლოდ უფლება მისცა, სურათი გადაეღოთ, სადაც უნდოდათ, იქ ეჩვენებინათ, რაც მოუნდებოდათ, ის დაეწერათ, მაგრამ ის სადაფიანი დუდუკი თავისთან ბუფეტის ზემო თვალში დარჩა და კიდევ უფრო პატივდებული გახდა.

ფატულას სახლისგან ოთხიოდ კარის შემდეგ ალაკბარი ცხოვრობდა. ალაკბარი სპილენძის ოსტატი იყო და წინათ ბაქოში, ბასინის ქუჩაზე, 11 ნომერ ტრამვაის სადგურზე პატარა სახელოსნოც ჰქონდა. მოგვიანებით ქუჩა გააგანიერეს და ის სახელოსნოც მიშალ-მოშალეს და იმდროიდან მოყოლებული ოჯახს სპილენძის ჯამ-ჭურჭლის მკალავობით არჩენდა. მაგრამ საბჭოთა კავშირი დაიშალა თუ არა, უცნაურმა ამბავმა იჩინა თავი: ალაკბარის სარდაფში სპილენძის ქვაბებზე, სანებზე, სამოვრებზე და სხვა მტვრიანი სპილენძის ნივთებზე ტაციობა შეიქნა. თაფლს დასეული ფუტკრებივით ჯერ უცხოელები, შემდეგ კი ერთბაშად გამოჩეკილი ბაქოელი გადამყიდველები ალაკბარის სპილენძის ჭურჭლეულობის დიდ ფულად ყიდვას შეუდგნენ და, როცა სპილენძის ჭურჭელი გათავდა, ალაკბარი თავად გადაიქცა გადამყიდველად და თვალდათვალ გამდიდრდა, უბნის ყველაზე კარგად მცხოვრებ კაცთაგანი შეიქნა. ის კი არა და, თავისთვის „მერსედესიც“ შეიძინა. მართალია, ეს „მერსედესი“ 1986 წლის გამოშვება იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში „მერსედესი“ იყო მაინც.

კატა სუნს რომ იცემს, ალაკბარი ზუსტად სამჯერ ეახლა ფატულას და ხსენებული დუდუკის ყიდვის სურვილი გამოთქვა. თანაც ყოველ მისვლაზე მისაცემ თანხას რაღაც რაოდენობით ამსხვილებდა, მაგრამ მაინც ვერ ეყიდა. ხოლო უკანასკნელი ვიზიტისას ფატულას თვალები მოეჭუტა და: ალაკბარ – ეთქვა – ამ სახლის კარი შენთვის ყოველთის ღიაა, მაგრამ ამ საკითხზე ფეხი აღარ შემოდგა! – რის შემდეგაც ფატულას ხასიათის კარგად მცოდნე ალაკბარი დუდუკთან დაკავშირებით აღარ მისულიყო.

•

მთელ უბანს, ფატულას ნაცნობებს, თვით ფირუზესაც ასე ეგონა, რომ კლარნეტი ფატულასთვის ყველაფერია, მისი გულის მესაიდუმლეა, გულისხმაა და უბანიც, ნაცნობებიც, ფირუ-

ზეც მართლები იყვნენ. მართლაც რომ ასე იყო, მაგრამ ფატულას გულის ძალიან ღრმა ძირში ერთი წერტილი არსებობდა. აიმ წერტილამდე ასე იყო, მის იქით კი სხვა გრძნობა დუღდა და ამის შესახებ ქვეყნად არავინ, ფირუზემაც კი არა იცოდა რა. არ იცოდა, რომ იმ წერტილის მიღმა ფატულასთვის კლარნეტი არაფერს ნიშნავდა(!), რადგან იმის მიღმა ბუნების ხმა მოისმოდა, ანუ ზღვის ფრთონვა, ჩიტების გალობა, ფოთლების შრიალი...

ერთ უუცნაურეს დღეს, საღამოხანს ჭიშკრის წინ წყვილი თუთის ხის ქვეშ მჯდომარე, როგორც ყოველთვის, უბნის კაცებთან ნარდის სათამაშოდ გახაზირებულმა ფატულამ იმ წყვილი თუთის ხის მსუბუქი ნიავისგან აშრიალებულ ფოთლებს რომ მიაყურადა, ის შრიალი თითქოს წებოსავით დაეწება გონებაზე და იქვე ჩარჩა, რამდენიმე ხანს არ მოეშვა და, როგორც ჩვილი რაღაც გემოს ანდა სხვა რამეს რომ აღმოაჩენს, სწორედ იმგვარად აღმოაჩინა, რომ მისი კლარნეტი ბუნების ამ მონათხრობს ვერასოდეს გადმოსცემდა.

იმ წყვილი თუთის ხის ფოთლები რას ამბობდნენ? – ფატულა ამას ვერავის და ვერაფრით გააგებინებდა, რადგან თვითონაც არ იცოდა; თუმცა იმ შრიალში მიმოქცეულ იდუმალებას ვერც ერთი საკრავი იმგვარად ვერ გამოხატავდა.

იმ დუდუკის თვინიერ და იმ დუდუკის „სარი გელინის“ გარდა.

თუმცა ფატულას ისიც ესმოდა, რომ ეს მისთვის იყო ასე. თორემ პიანისტსაც შეეძლო ეფიქრა, რომ ამის გადმოცემა მხოლოდ ფორტეპიანოს შეეძლო, მევიოლინესაც შეეძლო დაესკვნა, რომ ამ იდუმალებას მხოლოდ ვიოლინო ააჟღერებდა და ა.შ.

მოკლედ, იმ აღმოჩენის შემდეგ ფატულა კარგა ხანს უქეიფოდ შეიქნა და არამხოლოდ კლარნეტი, რომლისთვისაც მთელი სიცოცხლე მიეძღვნა, საერთოდ, სიცოცხლე მის თვალში გაუფასურდა და იმ საღამოს ფატულამ ნარდი უხალისოდ ითამაშა, წააგო. მაგრამ ამ აღმოჩენაზე არავისთან უთქვამს.

•

ფატულა, მაგალითად, პიანისტი რომ ყოფილიყო, მაშინ მისი შვილიც – არ ექნებოდა მნიშვნელობა ვაჟი თუ ქალი – მის გზას გააგრძელებდა, მაგრამ ფატულას გვარი თაობათა განმავლობაში პიანისტები კი არა, ანდა თუნდაც ქამანჩაზე დამკვრელები კი არა – ქალსაც შეუძლია ქამანჩაზე დაუკრას – მედუდუკე იყო და ქალი, ცხადია, დუდუკს ვერ დაუკრავდა.

•

ეგებ, ახალგაზრდობისას როცა დუდუკი დააგდო და კლარნეტს მოჰკიდა ხელი, ეგებ, ღმერთმა ამის გამო არ მისცა ვაჟი, რათა მამა-პაპის გზა გაეგრძელებინა?

თუნდ ასეც რომ ყოფილიყო, მაშინ ყველაფერი იმ წყვილნაწნავა გოგონას ჭირის სანაცვლო იყოს და, თუკი ღმერთმა ამის გამო არ მისცა ვაჟი, მაშ, მის მაგიერ იმ წყვილნაწნავა გოგონას გაუხანგრძლივოს სიცოცხლე და სხვა საღონებელ-სადარდებელი არ მისცეს.

•

– ფატულა, გენაცვალე, შემოგევლე, ფატულა, არ გაყიდო დუდუკი, ვიცი, ჩემ გამო ყიდი, არ გაყიდო, ფატულა, ეს ერთი მაპატიე, ეშმაკმა შემაცდინა. ფოთოლი შენი საკადრისი სახსენებელი არ იყო, შენი ჭირიმე, ფატულა, არ გაყიდო დუდუკი. ვერ გაძლებ, ყოველდღე მოგენატრება, ვიცი...

და ფირუზემ რაც არ ივიშვიშა, იხვეწა, იტირა, ფატულას განზრახვაზე ხელი მაინც ვერ ააღებინა.

•

ყველაფერი ძალიან უბრალოდ მოხდა: ფატულამ ალაკბარი იხმო და სადაფიანი დუდუკი 1750 დოლარად მიჰყიდა. ალაკბარმაც 2250 აშშ დოლარად თავის კლიენტს მარტინიუს ასბიორნსენს (ამ კაცის სახელს ალაკბარი ვერაფრით იმახსოვრებდა და ამიტომაც ამ მომცრო მელოტი, დიდმუცელა ადამიანის სახელს ქაღალდზე წერდა და მასთან ლაპარაკისას თვალის კიდით ქაღალდზე იხედებოდა) გადასცა და მარტინიუს ასბიორნსენმაც დუდუკი 7000 აშშ დოლარად თავის ნიუიორკელ მუშტარს დაუთმო, ბოლოს სადაფიანი დუდუკი მისტერ ისააკ ბლუმენტალის მაგიდაზე აღმოჩნდა.

მისტერ ბლუმენტალი იმ სადაფიანი დუდუკის მშვენიერებას ერთი შეხედვითვე გაუმიჯნურდა, ძალიან ყურადღებით დაათვალიერა, შეამოწმა, საინფორმაციო წიგნებში მუჰამად იბნ იუსიფ მუტალიბის შუა საუკუნეებში აღმოსავლეთში სასულე მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადებაში დახელოვნებულობაზე, ევროპაში ვიოლინოს ოსტატ სტრადივარიუსის დონის შემოქმედად მიჩნეულობაზე ცნობები ამოიკითხა. დუდუკი 66500 დოლარად შეიძინა და თავის აღ-

მოსავლურ მუსიკალურ ინსტრუმენტთა განყოფილებას მიამატა.

ნიუ-იორკში მაშინ შემოდგომის პირველი დღეები დამდგარიყო...

•

შემოდგომა გავიდა, ნიუ-იორკში სუსხიანი ზამთარი დადგა, მერე გაზაფხულიც მოვიდა, თუმცა ნიუ-იორკის ქვის, ბეტონის, შუშის ცათამბჯენებს ის შემოდგომა, მისი შემცვლელი ზამთარი და ზამთრის მომყოლი გაზაფხული არ უგრძნიათ.

მისტერ ბლუმენტალის ბინაში ცხოვრება როგორიც იყო, ისევ ისე გრძელდებოდა, შემოდგომაც იმგვარადვე გავიდა, ზამთარმაც იმგვარადვე ჩაიარა, გაზაფხულიც ასევე მიიკვალებოდა... ზაფხული დადგებოდა მერე, ისევ მოშემოდგომდებოდა, მოზამთრდებოდა, გამოგაზაფხულდებოდა... და ცხოვრებაც იმ ქვის, ბეტონის, შუშის ცათამბჯენთა შორის მისტერ ბლუმენტალის მტვრისთვისაც კი ადგილმოუნაცვლებელ ბინაში ამგვარადვე გაიწელებოდა...

მისის ბლუმენტალი პუდელს ჩვეულებისამებრ ასეირნებდა, ბანდა, აკრეჭინებდა.

მისტერ ბლუმენტალი სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, ჩვეულებისდაკვალად, მსუბუქად ვახშმობდა და თავის კოლექციას ჩაუჯდებოდა და იმწუთას მისთვის თავისი კოლექციის გარდა ქვეყნად სხვა რამ არ არსებობდა.

მის ჯონსონი განუწყვეტლად ჭამდა და თან სამზარეულოში რაღაცებს ამზადებდა, რეცხავდა, ალაგებდა. უფრო ხშირად კი ოთახებში დაბორიალებდა – გასაკეთებელ საქმეს ეძებდა. მაგრამ ყველაფერი თავის რიგზე იყო, რადგან ამ ბინაში არავინ არაფერს არ ეხებოდა და, თუ შეეხებოდა, ყველაფერი ისევ თავის ადგილზე ბრუნდებოდა და მის ჯონსონი უსაქმოდ იყო. ჭამაზე ასეთი გამუდმებული მოთხოვნილება და თვით საჭმელი რომ არა, ცხოვრება მისთვის ძალიან შემაწუხებელი და უაზრო იქნებოდა.

და აი ასეთ დღეთაგან ერთ-ერთში – გაზაფხულის ერთ მწვიმარ დღეს, შუადღისით, მისტერ ბლუმენტალის ბინაში ქვეყნად (ყოველ შემთხვევაში, ამქვეყნიერებაზე!) გაუგონარი რამ მოხდა.

გაზაფხულის იმ მწვიმარ დღეს მის ჯონსონი ბინაში კვლავაც მარტო იყო, კვლავაც რაღაცის მირთმევა-ჭამით ოთახებში დაიარებოდა და ხელსაქმეს ეძებდა. უცებ უცნაური ხმა გაისმა: ეს მუსიკა იყო, მაგრამ რაღაცნაირად ძალიან უცნაური...

აუხსნელი...

იმავდროულად ძალიან ნაღვლიანი, მწველი...

ჰო... ჰო. ძალიან ნაღვლიანი მუსიკა იყო და კოლექციის ოთახიდან მოისმოდა.

მის ჯონსონმა ჯერ იფიქრა ხმა ტელევიზორიდან ან რადიოდან ხო არ მოდისო, მაგრამ მისტერ ბლუმენტალი, მისთვის აზრები რომ არ გაეფანტა, იმ ოთახებში რადიოს და ტელევიზორს არ აყენებდა. მის ჯონსონი გაკვირვებული მიუახლოვდა საკოლექციო ოთახებს.

ცხადზე ცხადი იყო, რომ ხმა აი ამ ოთახიდან გამოდიოდა.

მის ჯონსონმა ოთახის კარი შეაღო და ამ ზანგ ქალს ისედაც დიდრონი შავი თვალები წამში გადმოეკარკლა და კინაღამ გადმოუცვივდა.

მისტერ ბლუმენტალის კოლექციიდან ფლეიტისმაგვარი ინსტრუმენტი თავისი ადგილიდან გადმოსულიყო, ფანჯრის წინ თითქოსდა უხილავი ძაფებით ჰაერში გადმოკიდებულიყო და თითქოს ადამიანი ყოფილიყოს, ფანჯრიდან წვიმას უყურებდა და თავისთვის იმ...

აუხსნელ...

ნაღვლიან...

ძალიან ნაღვლიან...

მუსიკას უკრავდა და იმ მელოდიის ტონის შესაბამისად ნელ-ნელა მიმოირწეოდა.

ჩასაყლაპავად გამზადებული მორიგი ლუკმა მის ჯონსონს ყელში გაეჩხირა და თვალწინ გადაშლილმა ამ აზრადმოუსვლელმა სანახაობამ ისე იმოქმედა მასზე, რომ ბეჩავ ქალს თავზე ხუჭუჭა თმა ყალყზე დაუდგა.

მის ჯონსონს გული ისე გამეტებით უცემდა, თითქოს ამ ქალის თითო ფქვილის ტომრისხელა დიდრონ ძუძუებს შორის გამოვარდნას ლამობსო.

ის ფლეიტისმაგვარი საკრავი კი იმ აუხსნელ მუსიკას ფანჯრის წინ თვითონ აჟღერებდა და, მართალია, ის მელოდია აუხსნელი კი იყო, მაგრამ მდაგველიც გახლდათ ამავდროულად. იმ საკრავიდან წამოსული სევდა, დარდ-წუხილი მის ჯონსონის ფართო მკერდში დაგუბდა და ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ეს ნაღველი, ეს სევდა და წუხილი მისი განიერი მკერდისთვის აქამდე უცხო იყო.

მის ჯონსონი გაზაფხულის იმ წვიმიან დღეს, იმ თავზარდაცემულობაში საკუთარი ტანით გრძნობდა, რომ ის ნაღველი, სევდა და დარდ-წუხილი უმშობლიურდებოდა და აქამდე გამოვლილი სიცოცხლის სიცარიელეზე მეტყველებდა.

მის ჯონსონი დაჭყეტილ თვალებს იმ ფლეიტისმაგვარ საკრავს ვერ აშორებდა და იმ წუთში ის საკრავი თავად ქცეულიყო ნაღველად, სევდად და დარდ-წუხილად...

•

მისის ბლუმენტალი თავის პუდელთან ერთად სახლში რომ მობრუნდა, მის ჯონსონი ჯერაც ნანახის გავლენის ქვეშ იყო და აჩქარებით, ენის მოკიდებით, ვერაფრითდაუმცხრალი აღელვებულობით ეს ამბავი მისის ბლუმენტალს მოუთხრო.

მისის ბლუმენტალმა მის ჯონსონს ყურადღებით მოუსმინა, შემდეგ მასთან ერთად საკოლექციო ოთახში შევიდა, მის ჯონსონის თითქმის ცხოველური სიმფრთხალით თითით ნაჩვენებ მუსიკალურ ინსტრუმენტს დააცქერდა; აღმოსავლური მუსიკალური ინსტრუმენტი თავის ადგილზე იყო და მისის ბლუმენტალს მეტი არაფერი უკითხავს, მხოლოდ მის მერილინ ჯონსონს დააკვირდა და არაფერი უთხრა.

საღამოს მისტერ ბლუმენტალი სამსახურიდან დაბრუნდა და მსუბუქად ივახშმა. ჩვეულებისამებრ, კოლექციის ოთახებში გასვლა რომ მოიწადინა, მისის ბლუმენტალმა მომხდარი ქმარს აუწყა და იმის გამო, რომ მძიმე საბანკო ოპერაციების შემდეგ სახლში დაბრუნებულს რომელიღაც ფანტასტიკური ბოდვების მოსმენის ხალისი არ ჰქონდა, მისტერ ბლუმენტალმა მეუღლის თანხმობით მის მერილინ ჯონსონი იმ დღესვე გაათავისუფლა სამსახურიდან.

•

მის მერილინ ჯონსონი ლიფტით 23-ე სართულიდან რომ ეშვებოდა, ტირილით წამოწითლებული თვალების შემშრალება-შემშრალებით ეგებ მართლა გავგიჟდიო – გაიფიქრა. ეგებ შუადღეს იმ ფლეიტისმაგვარი მუსიკალური ინსტრუმენტის ფანჯრის წინ ჰაერში ჩამოკიდება და იმ აუხსნელი მელოდიის შესრულება სინამდვილე კი არა, მოჩვენება იყოო?

კი მაგრამ, ის ნაღველი, ის სევდა? ის მწუხარება?..

ნანახის თავზარდამცემობის, სამსახურის დაკარგვის ტკივილის გარდა, ერთი გრძნობაც – ცხოველური შიშის შესადარი – მის ჯონსონს შიგნეულობას უფატრავდა: ამ უბედური ზანგის ქალს ეშინოდა, რომ ის ნაღველი, ის სევდა და მწუხარება სამუდამოდ დარჩებოდა მასთან.

და, რა თქმა უნდა, მისტერ და მისის ბლუმენტალებს აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ მის ჯონსონი მართალს ლაპარაკობდა და უბედური მის ჯონსონიც ვერ იფიქრებდა, რომ არსებობს ასეთი შორეული ქვეყანა სახელწოდებით – აზერბაიჯანი და რომ იმ ქვეყანაში ამ ფლეიტისმაგვარ მუსიკალურ ინსტრუმენტს „დუდუკს“ ეძახიან, ხოლო იმ დუდუკის მიერ აჟღერებულ იმ აუხსნელ, ნაღვლიან მელოდიას იმ ქვეყანაშივე „სარი გელინი“ ჰქვია.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
ოქტაი ქაზუმოვმა





მილოხად პავიჩი

ჩაით დახატული პეიზაჟი

წიგნი პირველი
პატარა ღამის რომანი

„ცისკრის“ მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს ცნობილი სერბი მწერლის, მილორად პავიჩის რომანისა „ჩაით დახატული პეიზაჟი,” რომელსაც უახლოეს ხანებში წიგნად დასტამბავს გამომცემლობა „ინტელექტი“.

1. ულვაშების ბოლოები მათრახებივით ჩამოკონწიალებოდათ (ყველგან ამდენი უბედურებაა, ჩვენ კი, ყველანი, ისე ვგრძნობთ თავს მასში, როგორც თევზი წყალში).
2. პირველ საუკუნეებში ისინი სინას უდაბნოში ცხოვრობდნენ (ბუჩქს ჯოხი დაარტყი – ყვავილი ამოვა.)
3. ერთ ღამეს იმპერატრიცა თეოდორას ესიზმრა, თითქოს მის საძინებელში ანგელოზები დაფრინავენ (ქუხილმა და ელვამ მთლად გაამათრახეს მიწაც და წყალიც.)
4. უცნობია, ორი საბერმონა ზვნო წყობიდან რომელს ანიჭებდა უპირატესობას ბერძნული, სლავურამდელი ხილენდარი (ეგეოსის ზღვა წყნარია მხოლოდ კვირა დღეებში და დღესასწაულებზე.)
5. ხილენდარელი დამარტოებულები, სახელწოდებით – იდიორიტმიკოსები (ცაზე მაძებარი ძაღლების თანავარსკვლავედი მეფობდა.)
6. ხილენდარელი მეთემეები, სახელწოდებით – კენობიტები (ალმოსავლური პარასკევი იყო, როცა საქმის დაბოლოება არ ეგების.)

1

ულვაშების ბოლოები მათრახებივით ჩამოკონწიალებოდათ. თაობიდან თაობამდე, საერთოდ, უღიმღამოდ ცხოვრობდნენ და წლები ნაოჭებით ამკობდა მათი სახეების მხოლოდ ზედა ნაწილს და ბერდებოდნენ არა სიამოვნებისგან, არამედ ფიქრისგან.

ამბობენ, იუდეველებმა მათ ედომეები შეარქვეს. თავად კი თავს „მარილს“ უწოდებდნენ. დიდი დრო გავა, ვიდრე ადამიანი ერთ პეშვ მარილს შეჭამს – აი, რას გულისხმობდნენ. ედომეები მოთმინებით გამოირჩეოდნენ. ორი ნიშანი ჰქონდათ – კრავის ნიშანი და თევზის ნიშანი. კრავს ეძღვნებოდა ღვეზელები, ცრემლით მოზელილი, თევზს კი ცომის საქორწინო ბეჭდები (თევზი – სულის საპატარძლო).

ეს გაყოფა უცბად არ მომხდარა. ოთხი თუ ხუთი თაობა გადაეგო, ვიდრე ერთ-ერთი მათგანი იტყოდა: „მოლაპარაკე ხეზე უკეთესი ქვეყნად არაფერია. ხე ხომ ორივე სქესის ნაყოფს იძლევა. მისი მეშვეობით სიჩუმის, დუმილისგან, გარჩევა შეიძლება, რადგან ადამიანი, ვისი გულიც დუმილით არის სავსე, სულაც არ არის ისეთი, როგორიც ის, ვისი გულიც სიჩუმით აღვსილა...“

ანტიოქიელმა, ვინც ეს ფრაზა თქვა, ძლივს მოასწრო მისი ამოთქმა, რომ უშიშრად და სიძულვილის გარეშე მიიღო სიკვდილი მტაცებელი ცხოველის კბილებიდან ისევე, როგორც მისმა თანამემამულე ეგნატმა რომში ჩვენი წელთაღრიცხვის 107 წელს.

ხორბლის მარცვლის დამნახავი ვერ ამჩნევს მასში მიმალულ ნიშანს, იქ კი აღნიშნულია, როგორი თავთავი ამოვა მარცვლიდან, რამდენ ახალ მარცვალს მოიტანს და რამდენ ღვარძლს. ზუსტად ასევე, ანტიოქიელის ფრაზაშიც შეუძლებელი იყო წინასწარ რაიმეს ამოკითხვა, თუმცა ყველაფერი ნათქვამი იყო.

ედომეები გამუდმებულ შიშში არსებობდნენ. მისგან ხსნა მხოლოდ ხანმოკლე ძილს მოჰქონდა, თუკი ეწვეოდათ. მაგრამ სიზმარშიც ყველგან თან სდევდათ ურჩხულები დალაქული დრუნჩებითა და თვალების ნაცვლად ჭიპებით. როგორც წყალში დასახრჩობად განწირული ისწრაფვის, ხმელეთზე გამოაღწიოს, ისე ეს უბედურები ცდილობდნენ, რეალობას დაბრუნებოდნენ, მაგრამ მოვარდნილი ტალღები ჯიუტად აბრუნებდნენ ისევ იმ მორევში. მხოლოდ მათი სხეულები, თავს დამტყდარი ერთი უბედურებიდან მეორისკენ, რეალობიდან სიზმარში და სიზმრიდან რეალობაში მოხეტიალენი, აკავშირებდნენ ერთმანეთთან ამ ორ კოშმარს. ისინი თითქოს ორი მიმართულებით გადასცემდნენ გზავნილებს ისე, რომ ვერ აცნობიერებდნენ, სიზმრები – სხვათა შორის, ისევე, როგორც იმპერატორების, სეპტიმუს ჩრდილოელის, მაქსიმუს ფრაკიელისა და ვალერიას ედიქტები – შეუბრალებლად მიერეკებიან მათ ხეების საფარქვეშ, რომლებზეც ანტიოქიელი ლაპარაკობდა. ედომეები გარბოდნენ უდაბნოებში, რათა არ აღმოჩენილიყვნენ ჯვარზე ან ქარის წისქვილის ფრთებზე მილურსმულები ან ველური ცხოველებისთვის დასაფლეთად მიყრილები; იმალებოდნენ, რათა თავი არ მიემტვრიათ დილეგების მტკიცე კარებზე, წყალსატევების მტაცებელი თევზების შესაჭმელად არ გაემეტებინათ თითები, ყურები და თვალები.

სირიის, მესოპოტამიის და ეგვიპტის უგზოობაში მიმობნეულნი, საკუთარ გრძელ თმებში ჩათბუნებულნი, იღლიიდან გამოტარებულს მკერდზე რომ იკვანძავდნენ, ედომეები პირამიდებში იმალებოდნენ, თავს აფარებდნენ საფლავებსა და ძველი ციხესიმაგრეების ნანგრევებს. ისინი მიეხეტებოდნენ ტებაიდის მთებამდეც, ნილოსისა და წითელი ზღვის ნაპირებს შორის რომ აღმართულა, წითელი ზღვისა, სადაც ორნაირად მსუნთქავი თევზები – ჩიტებზე მონადირეები – ბინადრობენ. უწევდათ კოპტურად და ებრაულად, ბერძნულად და ლათინურად, ქართულად და სირიულად ლაპარაკი ან ყველა ამ ენაზე დუმილი. გაუცნობიერებლად, მაგრამ გზიდან გადაუხრელად, ხორბლის მარცვლის მორჩევით, მიიწევდნენ ხისკენ. ხსენებული ფრაზიდან ბოლოს და ბოლოს სინამდე მიაღწიეს. და მხოლოდ აქ გახდა მათთვის ნათელი მნიშვნელობა სიტყვებისა:

„ვისი გულიც დუმილით არის სავსე, სულაც არ არის ისეთი, როგორიც ის, ვისი გულიც სიჩუმით აღვსილა...“

როგორც კი უდაბნოს პირველი მცხოვრები საკუთარ ჩრდილქვეშ ჩამოჯდა და პირველი ცვრის გემო გასინჯა, ედომეები თევზისა და კრავის ნიშნების მიხედვით დაიყვნენ. ამიერიდან და საუკუნეობით ისინი დაიყვნენ ორ კასტად: იმად, ვინც ახლოა მზესთან, და იმად, ვინც ახლოა წყალთან; იმად, ვინც კრავს მიჰყვება, და იმად, ვინც თევზს მისდევს; იმად, ვის გულშიც დუმილს დაუსადგურებია, და იმად, ვის გულშიც სიჩუმე მეფობს...

აქვე, სინაზე, პირველები გაერთიანდნენ საძმოებში და ერთობლივი ცხოვრება დაიწყეს. ამათ, ბერძნული „კოინოს ბიოს“-ის (საზიარო ცხოვრება) თანახმად, უწოდეს კენობიტები, ანუ მეთემეები; მეორე ნაწილმა, იმათ, ვინც უპირატესობა თევზის ნიშანს მიანიჭა, თავიანთ თავს იდიორიტმიკოსები, ანუ დამარტოებულები დაარქვეს. თითოეულ მათგანს საკუთარი ჭერი ჰქონდა, ცხოვრების საკუთარი სტილი და არსებობის რიტმი. სხვებისგან განცალკევებული, ყოველი მათგანი თავის დღეებს ატარებდა სიმარტოვეში, ნაღველში, რომელსაც არაფერი არღვევდა. ორი მოდგმა – მეთემეთა და დამარტოებულთა – ტოვებდა გრძელ ჩრდილებს სივრცესა და დროში. რადგან არ არსებობს მკვეთრი ზღვარი წარსულსა, რომელიც იზრდება და შთანთქავს აწმყოს, და მომავალს შორის, რომელიც, ყოველივედან გამომდინარე, სულაც არ არის ამოუწურავი და უწყვეტი, მაგრამ რომელიღაც წამიდან შემცირებას იწყებს და თავს იმპულსებში იჩენს.

იდიორიტმიკოსი, გზას რომ დაადგებოდა, ქუდს ქვეშ მალავდა თავის ჯამს, პირში – სხვის ენას, ხოლო სარტყელში ნამგალს: ასე იქცევიან მარტოხელა მგზავრები. კენობიტებს, პირიქით, რიგრიგობით მიჰქონდათ: ვის – ქვაბი საჭმლისთვის, ვის – საერთო ენა კბილებს უკან, ვის კიდევ დანა სარტყელში – ასე იქცევიან ისინი, ვინც მარტო არ მოგზაურობს.

ეს მოგზაურობები უფრო დროში ხდებოდა, ვიდრე სივრცეში. დროში ხეტიალისას დამარტოებულები თან მიათრევდნენ დუმილის ქვას, მეთემეები კი სიჩუმის ქვას მიაჩოჩებდნენ. თითოეული ქვა თავისთავად გადაადგილდებოდა, ამიტომაც პირველების დუმილი არ ისმოდა მეორეთა სიჩუმეში.

თითოეული იდიორიტმიკოსი თავისთვის დუმს, კენობიტები კი იცავენ საერთო სიჩუმეს.

მარტოხელა ადამიანები ისე ამუშავებენ დუმილს, თითქოს ხორბლის ყანააო: ხნავენ, წიაღს უხსნიან, აღრმავებენ ხნულებს, რწყავენ, რათა მარცვალი ამოვიდეს, რათა თავთავი რაც შეიძლება ზევით ამოიწვეროს, რადგან მხოლოდ დუმილით შეიძლება მიაღწიო ღმერთს და არა ყვირილით, თუნდაც გაიჭაჭო... ამისგან განსხვავებით, თავიანთ ნალოლიავებ სიჩუმეს მეთემეები ღვთისკენ არ მიმართავენ, მაგრამ აღმართავენ მას, ზუსტად კაშხალივით, სამყაროს იმ ნაწილის წინ, რომელიც მათ არ ეკუთვნით და რომლის დაპყრობაც სურთ; ისინი თავს შემოიზღუდავენ სიჩუმით, იმით იცავენ თავს და, ისე მიუშვებენ სიჩუმეს თავიანთი ნადავლისკენ, როგორც მონადირე ძაღლს. ამასთან, ახსოვთ, რომ მონადირე ძაღლი შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც...

„ყველგან ამდენი უბედურებაა, ჩვენ კი, ყველანი ისე ვგრძნობთ თავს მასში, როგორც თევზი წყალში," – ფიქრობდა შეუმდგარი არქიტექტორი ათანას სვილარი, რომელიც ისე შეიგრძნობდა თავისი ცხოვრების ორმოცდამეხუთე წელს, როგორც სხვისი ოფლის სუნს.

1950-დან 1956 წლამდე ბელგრადში არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობდა. სწორედ მაშინ გაარკვია, რომ ზედა ტუჩი ერთი რამისთვის მოუციათ, ქვედა კი მეორისთვის: ზევითა ცხელს გრძნობს, ქვევითა კი მჟავეს. ისმენდა მათემატიკას პროფესორ რადივოე კაშანინთან და დადიოდა კეფასთან სასტვენმიმაგრებული ნაქსოვი ქუდით; იმავდროულად ესწრებოდა პროფესორ მარინკოვიჩის ლექციებს ბეტონის შესახებ და ისწავლა, უშეცდომოდ გამოეცნო ქალები, რომლებიც ვახშმად უპირატესობას ანიჭებენ ულვაშებს. ბევრს დაამახსოვრდა მისი სადიპლომოს დაცვა – ხმაურიანი და უჩვეულო, ფაკულტეტი ათანას სვილარის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად რომ გაყო. ჯერ კიდევ სტუდენტობისას შენიშნა დიდი მწერლების ერთი უცილობელი თვისება: უნარი, შეინარჩუნონ დუმილი ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით და სვილარმა ეს თავის პროფესიაში გამოიყენა: აუთვისებელმა სივრცემ, ლიტერატურულ ნაწარმოებში დაუწერელი სიტყვის დრამა, მასთან თავისი ფორმა მიიღო, სიცარიელეებმა კი მოხაზულობა და აზრი შეიძინა, იმდენადვე აქტიური და მოქმედი, როგორც შენობებით შემოფარგლული მოედნები.

სიცარიელის ხიბლი შთააგონებდა, შეექმნა ლამაზი ნაგებობები, და ეს თავის დაღს ასვამდა ყველა მის პროექტს. ჯგუფების თეორიით, ერთიანი გარემოს მექანიკითა და, განსაკუთრებით, ჩაკეტილი სივრცის აკუსტიკით გატაცებული, ის, კომპეტენტურ პირთა აზრით, თავისი საქმის, უბრალოდ, ბრწყინვალე სპეციალისტად იქცა. ყველამ იცოდა: სვილართან მუშაობა კარგს არაფერს გიქადის – თუ დასჭირდა, წყალზე ფეხით გაივლის და ზედ ცეცხლსაც პირით გადაიტანს. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ბელგრადის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის მისეულ პროექტებს, რომლებიც იმ წინაპირობას ეფუძნებოდა, რომ მდინარე, როგორც საცხოვრებელი გარემო, ყოველთვის უფრო ძველია, ვიდრე მის გვერდით აღმართული ქალაქი. მის შენობებში ფანჯრები ისე იღებოდა, როგორც სათოფურები – მიზნიდან თვალის მიმართულებით და არა პირიქით – სახლიდან საითაც მოუხდება, როგორც ჩვეულებრივ აკეთებენ. მიიჩნევდა, რომ იუმორი არქიტექტურაში ისევე აუცილებელია, როგორც მარილი პურში; რომ უნდა აშენო თითო კარი წელიწადის ყოველი დროისთვის, იატაკები კი დღისა და ღამისა დააგო, რადგან ღამღამობით ხმა ქვევით გაცილებით სწრაფად ვრცელდება, ვიდრე ზევით; რომ სახურავი უნდა გამართო არა მარტო მზის, არამედ მთვარის შუქის მიხედვითაც, რადგან მხოლოდ ის სახურავია კარგი, რომლის ქვეშაც კვერცხი არ გალაყდება. სვილარს თმა თივასავით ჰქონდა, ძილი კი ისეთი მოკლე და მაგარი, რომ ზედ თუნდაც ჭიქა მიგეფშვნა. მარცხენა თვალი მარჯვენაზე სწრაფად უბერდებოდა და სათვალის შეძენა მოუხდა, რათა დაემთავრებინა დაუოჯახებლებისთვის განკუთვნილი ოტელის პროექტი და სურათების გალერეის მონახაზი, რომელიც კონკურსზე ყველაზე ეკონომიურ გადაწყვეტად კი გამოაცხადეს; მაგრამ ამის მიუხედავად, არასოდეს აუშენებიათ.

მართლაც, სვილარის პროექტები როგორღაც ყოვნდებოდა, ადგილიდან ვერ იძროდა. წლიდან წლამდე ისინი მის ბინაში იმტვერებოდა, მილებივით დახვეულები და კედლის კარადებში დახვავებულები ან ორფა კარებს შუა ჩატენილები. სვილარის ვაჟიშვილმა მათ დაარქვა „შენობები, რომლებსაც ჩრდილი არა აქვთ".

„ის აპროექტებს და გათვლებს აკეთებს ამქვეყნად, სახლები კი უკვე იმ ქვეყნად შენდება", – ავსიტყვაობდნენ მისი თანატოლები, რომელთა ლოყების ნაჩვრეტებიც თანდათან იცვლებოდა ნაოჭებით. „მე ხომ ვიცი, რომ მარაგში უფრო მეტი სიტყვა მაქვს, ვიდრე ცხვარი ფარეხში, – ხუმრობდა თვითონ სვილარიც, – მხოლოდ ვერ გამიგია, რატომ არავის ვჭირდები..." მაგრამ, მართალი ვთქვათ, სულაც არ ეხუმრებოდა. მიუხედავად უდავოდ მაღალი პროფესიული რეპუტაციისა, კოლოსალური შრომისმოყვა-

რეობისა, რომელიც თითქოს სამოსსა და თმას ულოკავდა, ათანასს ვერაფრით მოეხერხებინა, სპეციალობით მუდმივი სამუშაო ეშოვა. არადა, დროის წვეთებს სახიდან სახელოთი ვერ ჩამოიფერთხავ – ეს ხომ წვიმის წვეთები არ არის. ისინი სამუდამოდ რჩება.

ზუსტად ასევე არ არსებობს ადამიანი, ვისაც ცრემლები მხოლოდ ერთ თვალზე მოადგება.

რაც შეეხება სვილარს, უეჭველი იყო კიდევ ერთი რამ. კერძოდ ის, რომ ძალიან ადრე, როცა, ის-ის იყო, სახეზე უხეში მამაკაცური პირი გაეზარდა, ისეთი ფართო, რომ ათანასს იმით საკუთარი ცრემლის დაჭერა შეეძლო, თივის ციებ-ცხელება შეეყარა. მას შემდეგ ყოველ გაზაფხულზე შემოუტევდა ხოლმე. ყოველწლიურად, მაისის თვიდან მოყოლებული, თივის ციებ-ცხელებით გატანჯულ სვილარს ყვავილების სურნელი გადაავიწყდა, მაგრამ ყვავილებისა და ბალახების არომატები ღამღამობით მისი ოფლიდან ისე აღწევდნენ, რომ შინაურებს დაძინების საშუალებას არ აძლევდნენ.

ადამიანმა, უკვე დიდი ხნის წინათ დაქორწინებულმა, მოწიფული ცხოვრების ოცი წლის განმავლობაში ვერა და ვერ ისწავლა, ეცხოვრა არქიტექტურით მიღებული შემოსავლებით. მართალია, სამშენებლო სასწავლებელში ასწავლიდა, მაგრამ ეს როგორღაც წააგავდა მოშიმშილეთა სასარგებლოდ გამართულ საუბრებს. მთელ თავისუფალ დროს უწინდებურად უთმობდა პროექტებს. დღისით მორიდებული და გამორჩევით მჭამელი ღამით ღორმუცელა, მჭევრმეტყველი და იმდენად შრომისუნარიანი ხდებოდა, რომ ზურგზე სარტყელი უობდებოდა. თუ სათვალე დაეორთქლებოდა, უბრალოდ, ლოკავდა ისე, რომ სამუშაოს არ წყდებოდა.

გადიოდა წლები. გრძნობდა, როგორ ეცვლება ნერწყვის გემო, და ხვდებოდა, რომ ზოგიერთ ღვინოს ცხოვრებაში უკანასკნელად აგემოვნებს. მუშაობას განაგრძობდა ისე, რომ ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა, მაგრამ ძველებურად რჩებოდა თავისი პროფესიისგან განაპირებული, რის გამოც, როგორც საათზე ყოველ ახალ დარტყმაზე დაბერება დაიწყო. ცხოვრებაში ორჯერ – სიცოცხლის ოცდამეოთხე და ორმოცდამეორე წლებში შეასრულა ფართო პროექტები – მთელი კვარტლები, მაგრამ ვერაფრით შეძლო მათი ვატმანიდან გადატანა და რეალობაში ხორცშესხმა.

ზაფხულის ცხელ ღამეებში, როცა ღვინოს წყალში ასხამდა (იმიტომ, რომ ღვინოში წყლის ჩასხმა – ცოდვაა), სვილარი განვლილ ცხოვრებაზე ფიქრობდა და თავს ყველაზე ხშირად უსვამდა ორ შეკითხვას: მთელი ცხოვრება რატომ დაჰყვება თივის ციებ-ცხელება, რომლისგანაც გეჩვენება, რომ ჩაი ოფლის სუნს გამოსცემს, და რატომ ვერაფრით ახერხებს, რქებში ხელი ჩაავლოს ხარს თავის არქიტექტურულ სამუშაოში – სამუშაოში, რომლისთვისაც იყო შექმნილი. როგორც ჩანს, მართალი ყოფილა, რომ მარჯვენა ხელი ცოდვილია და არ უწყის, რას აკეთებს მარცხენა.

ერთხელ გაზაფხულზე, ერთ დღეს იმ დღეებიდან, რომლებსაც თებერვალი მარტისგან სესხულობს, მან ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, თავისი სკოლის ამხანაგი ობრენ ოპსენიცა მოეძებნა.

„იქნებ, თითოეულ ადამიანს ამ ქალაქში ძალუძს, რაღაც პასუხი გასცეს მეორე ადამიანის შეკითხვას“, – ფიქრობდა სვილარი. იქნება, მისთვის ეს ადამიანი-პასუხი ობრენ ოპსენიცაა? მას მიაგნო ერთ უწყებაში, რომელიც ბელგრადის მშენებლობისთვის სახსრებს ანაწილებდა. ოპსენიცას ორმაგკვანძიანი ჰალსტუხი ეკეთა, თეთრი თმის ბოლოები ისე აბზეკოდა, როგორც ნემსკავი; სიცილისას თვალები ეჭუტებოდა. სვილას ახსოვდა, რომ სკოლაში ოპსენიცას ჩვევა ჰქონდა, მოულოდნელად მიექცია ზურგი თანამოსაუბრისთვის და მერე, უცბად შემობრუნებულს, მარჯვედ და ძლიარად დაერტყა მისთვის. ის ერთი იმათგანი იყო, ვინც დანით ჭამს, უჩანგლოდ იოლად გადის; ასეთს არაფრად უღირს, ენით შეუცვალოს კურკები ბლებს, თუ ისინი მის პირში აღმოჩნდება. სხვა ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებიც დიდწილად იმაზე ფიქრობენ, რა მოსწონთ, ამას გონებაში გამუდმებით უტრიალებდა ის, რაც არ მოსწონს. ამ განსხვავებული თვისების წყალობით ზედაპირზე ამოტივტივდა და ქალაქის უმაღლესი ადმინისტრაციის წევრებში აღმოჩნდა. არ მოსწონდა, პირველ რიგში, თანატოლები. იმის მსგავსად, როგორც ზოგიერთი ადამიანი სხვებზე მეტი ღონით, სისწრაფით ან სმენით არის დაჯილდოებული, ოპსენიცას თან დაჰყვა ზებუნებრივი ნიჭი, ეგრძნო და ეზარდა ადამიანებისადმი სიძულვილი, ოღონდ სავსებით მოკლებული მტრულ გრძნობებს. სწორედ ეს სიძულვილი იყო მიმართული მისი თანატოლებისკენ, უმთავრესად, მისივე პროფესიის ხალხისკენ, ვინც მას შესაძლებლობებით ან პროფესიული მონაცემებით სჯაბნიდა. სიძულვილს (რომელიც, როგორც ამბობდნენ, მისი ხველების მიზეზი იყო) ოპსენიცა აშკარად არასოდეს ამჟღავნებდა, თუმცა მასში დებდა თავისი ენერგიის და

სამუშაო დროის ლომის წილს. თუ ეს სიძულვილი ვინმეს მიმართ მოულოდნელად გამოაშკარავდებოდა, ის იქვე ერთხელ და სამუდამოდ ამოიწურებოდა ხოლმე, ისიც მით უფრო ჯიუტად და ოსტატურად ფარავდა ამ სიძულვილს და, როგორც კი დარწმუნდებოდა, რომ ეს მოახერხა, თავისუფლებას აძლევდა. ადამიანი, რომელიც მისი იდუმალი, მაგრამ ინტენსიური და განუწყვეტელი ზემოქმედების მსხვერპლად იქცეოდა, რაღაცნაირად ავადმყოფს ემსგავსებოდა, მუდმივად ინფექციისკენ მიდრეკილს, რომლისგანაც თავის დაცვა არ ძალუძს, რადგან ინფექციის წყარო უცნობია.

„ვისაც ოპსენიცა ცერად უყურებს, იმას ყველაფერი ხელიდან ეცლება," – ამბობდნენ სპეციალისტთა წრეებში. ხოდა, აი, სწორედ ასეთ სკოლის ამხანაგს შეხვდა სვილარი ერთ მშვენიერ დილას, როცა ქარი წვიმას ნთქავდა. ოპსენიცას რომ ესალმებოდა, სვილარს დააცემინა, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და მინის მაგიდას მიუსხდნენ. ათანასმა მეგობარს თავისი ბოლო პროექტები გადასცა და სთხოვა, შემდეგი კონკურსისას მათთვის ყურადღება მიექცია. ოპსენიცამ ფრჩხილები გაილოკა, სვილარის მოტანილი ყურადღებით დაათვალიერა და თითქოს მის ნებას დაჰყვა, თუმცა მას შემდეგ აღარც ოპსენიცაზე, აღარც თავის პროექტებზე სვილარს აღარაფერი სმენია. არსებითად, ეს ორნი – ერთი, უდავოდ, რასაც ოპსენიცაც აღიარებდა, თავისი დარგის დიდებული სპეციალისტი, რომელსაც საკუთარი გეგმების განსახორციელებელი თანხების მოძიება არ შეეძლო, და მეორე, რომელსაც მყარი პროფესიული რეპუტაცია არ ჰქონდა, მაგრამ დიდი გავლენით სარგებლობდა რესურსის განაწილებისას – უნდა გაერთიანებულიყვნენ და საუკეთესო შედეგებისთვის მიეღწიათ. არადა, ხდებოდა რაღაც საპირისპირო. სვილარი უცნაურ დასკვნამდე მივიდა. მან საკუთარ თავზე იწვნია ოპსენიცას ლეგენდარული არაკეთილმოსურნეობის ძალა. მაგრამ მასში არსებული პირადი სიძულვილის ჩრდილი თითქოს ვიღაცა სხვისგან მოდიოდა. ფლაკონში გამომწყვდეული შხამის მსგავსად ეს სიძულვილი, ოპსენიცას მეშვეობით მხოლოდ მიზნამდე რომ აღწევდა, სვილარსაც დაატყდა და ყველა დანარჩენსაც, ვისაც ოპსენიცა ბორბლებში ჯოხებს უყრიდა.

ასეთი ფიქრებისგან ერთ დილას, საუზმეზე, სვილარს რძე პირდაპირ პირში აეჭრა და მიხვდა, რომ მისი მოწოდება, მისი არქიტექტურული სამუშაო, არასამუშაო დროში შესრულებული, მარტო ქაღალდზე შემორჩენილი, ნამუშევარი, რომელიც განწირული იყო მხოლოდ მისი თავისუფალი დროის შესავსებად, ნაკლად გადაიქცა. თავისი სახაზავი მოწყობილობებით და სახაზავებით დარცხვენილმა ამის შემდეგ პურზე ხელის შეხება შეწყვიტა. დაიწყო პურის ჭამა თეფშიდან, ჩანგლის და დანის დახმარებით. დასჩემდა სახელების დავიწყება და არ უყვარდა, როცა მათ მისი თანდასწრებით ხშირად ახსენებდნენ. შიშობდა, რომ ისე დაიკარგება სახელებში, როგორც ტყეში. ეშინოდა, საკუთარი სახელიც არ დავიწყებოდა, თორემ ყოველთვის, როცა ხელის მოწერა იქნება საჭირო, მოგიწევს, შეჩერდე და გაიხსენო, რა გქვია...

ერთი მოგონება სულ თან სდევდა. ერთხელ, ბავშვობაში, მამასთან ერთად ვენახში რომ იყო, იკითხა ჭაში საზამთროებს რატომ აღარ ჩავაციებთ ხოლმეო.

– ჭა ჩაიქცა, – უპასუხა მამამ, – ჭებიც ხომ ისევე გალევენ თავიანთ ცხოვრებას, როგორც ყოველივე ცოცხალი. წყალი კი, როგორც ადამიანი, შეიძლება დაბერდეს და მოკვდეს. აქ წყალი მკვდარია, ახალი ჭა უნდა ამოვთხაროთ...

ახლა სვილარს ხშირად ახსენდებოდა ეს წყალი. ეჩვენებოდა, რომ უკვე ვეღარასოდეს შეძლებს, მტკიცე საფუძველზე გადაიტანოს თავისი გამოთვლები, მით უმეტეს, ააგოს შენობა. თითქოს წყალზე აშენებდა. დილდილობით მოლანდებები დაეწყო, ვითომ მისი ქუჩა იმ გზაჯვარედინზე არ არის, და ცდილობდა, ისე დაეძინა, რომ ხელით იატაკს შეხებოდა, თითქოს სურდა, ღუზა საწოლიდან მიწაზე ჩაეშვა. ყოველ გაღვიძებაზე კი თავიდან უწევდა საწოლში ორიენტირება, როგორც გემს, რომელიც ღამე ქარიშხალმა კურსს ააცდინა, ფიქრობდა, ქვეყნიერების რომელ მხარეს ამდგარიყო. დაშინებულმა ასეთი ღამეებით, რომლებსაც, არავინ უწყის, საით მიჰყავდათ, ძილზე უარი თქვა, რასაც საკმაოდ ადვილად იტანდა. ღამღამობით ქალაქში დაეხეტებოდა. სახე გაუფითრდა და გამჭვირვალე გაუხდა, ყვითელი კანის ქვეშ ხალები გამოუჩნდა, თითქოს ქარვაში გაქვავებული ბუჭყებიაო. უკვე სიჭარმაგეში შესულმა, როცა აშკარა გახდა, რომ საქმე ის კი არ არის, როგორ მიაღწიო წარმატებას, არამედ ის თუ რატომ ვერ შეძლო, მოკიდებოდა საკუთარ საქმეს, და, ღამისკენ პირმიბრუნებულმა, არა მარტო ზურგი შეაქცია დღეს, არამედ უარი თქვა საკუთარ სახლზეც და პირი იქცია ქალაქისკენ, რომელშიც ცხოვრობდა.

მის ღამეულ გასეირნებებს თავიდან არანაირი განსაზღვრული მიზანი არ ჰქონია. მხოლოდ იმას ამჩნევდა, რომ ქუჩებში ხეტიალისას ტრანსპორტის მოძრაობის წესებს იცავს. ზუსტად ისე, თითქოს მანქანაშიაო, იქ არ შეუხვე-

ვდა, სადაც მოხვევა იკრძალებოდა, და გვერდს უვლიდა იმ ქუჩებს, რომლებიც საავტომობილო მოძრაობისთვის ჩაკეტილი იყო. ზოგჯერ ეს გასეირნებები ესიზმრებოდა და, როცა სიზმრიდან გამოსული ნაკბილარებიან, დაჭმუჭნილ ენას რეალობაში გამოყოფდა, ხვდებოდა, რომ ბელგრადის ყველა ქუჩა მის სიზმრებში ცალმხრივი მოძრაობის ქუჩა იყო. გული რომ გადაეყოლებინა, თავისთვის არც მთლად სათაკილო, მისი ლაშქრობებისთვის კი ახალი აზრის მიმცემი რამ მოიფიქრა.

ისე ხდებოდა, რომ, როცა უფრო ღამის ხმებს მისდევდა, ვიდრე ქუჩების მიმართულებებს, რამდენჯერმე აღმოჩნდა კარგა ხნის წინათ მივიწყებულ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ ყმაწვილი ქალებს ხვდებოდა ხოლმე. შეამჩნია, რომ არ შეუძლია, წინასწარ განსაზღვროს და გაიხსენოს ეს ადგილები, ისინი კი თითქოს თავისთავად ჩნდებიან და ისიც ზედ თავისდა უნებურად დახეტიალობს.

აი, შესასვლელი განათებულ კიბეზე, რომელსაც ზევით ავყავართ, სიბნელეში; აი, გრძელი სკამი, ხეზე ჯაჭვით მიმაგრებული; აი, მესერი მასში მოულოდნელად გამოჩენილი სარკმლის კარით. ის, როგორც წესი, ადგილებს სწრაფად ცნობდა. გაცილებით უჭირდა, გაეხსენებინა ქალები, რომლებთან ერთადაც ამ ადგილებში ყოფილა. და აი, სვილარი თავისი ახალგაზრდობისდროინდელი ტკბილი მინიშნებების მოძიებას შეუდგა. დაეხეტებოდა ბელგრადის ძველ სახლებში, რომლებსაც დუნაი, როცა მისი დონე აიწევს, წყლით ავსებს, კასრებს სარდაფების კარებს ახეთქებს და იქიდან ხან ბოქლომები, ხანაც ზღუდის ნამტვრევები გამოაქვს, თითქოს იქ, შიგნით, ჩაკეტილში ვიღაცა ზისო. ზოგჯერ სახლებში ამოიცნობდა ხოლმე ეგრეთ წოდებულ „ძაღლების სარკმელებს“ – სარკმელებს, რომლებიც აღმოსავლეთისკენ არის მიმართული და რომელთა ამოცნობა იშვიათად თუ შეუძლია ვინმეს და კიდევ უფრო იშვიათად – მათი შენობებში გაჭრა. ამ „ძაღლების სარკმელებიდან“ დღესასწაულებზე ძაღლებს აჭმევენ, ხოლო ილია წინასწარმეტყველის დღეს შიგნით, გასათბობად, უშვებენ ჩიტებს. ის ცნობდა კუთხეებს, რომლებზეც ქარები ერთმანეთს კვეთენ – ამჩნევდა ქუჩებს, რომლებზეც გაზაფხულობით გრძივი ქარები უბერავენ, ზამთრობით კი მათ გადასაკვეთად გამოდიან განივები. მის წინაშე კვლავ იშლებოდა ძვირფასი მოგონებები, როგორც ის ნიავქარები, რომლებიც მხოლოდ სიბნელეში იხსნებიან.

მოგონებები ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდა და მან ბელგრადის გეგმაში, იმ ადგილებზე, რომლებსაც ღამეული სიფხიზლისას ცნობდა, განსაკუთრებული ნიშნების შეტანა დაიწყო, გვერდით კი იმ ქალების სახელებსაც აწერდა, რომლებსაც ამ ადგილებში დაუფლებია. ამ მოგონებების კვალდაკვალ თვალწინ უდგებოდა მათი მოქმედებები და სიტყვები და ახლა ისინი გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე ოდესმე.

– წარსული ღამით უკეთ ჩანს, ვიდრე დღისით, – თავისთვის ჩურჩულებდა ათანას სვილარი. იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამქვეყნად ყველა სქესობრივი აქტი როგორღაც ერთმანეთს უკავშირდება და ერთგვარ ურთიერთზემოქმედებასაც კი ავლენენ. იმედი გაუჩნდა, რომ იმ ქალების გზავნილებში, რომლებთანაც ოდესმე სიახლოვე ჰქონია, იპოვის რაღაც საკუთარი პიროვნების უტოლობის მაგვარს, პასუხს კითხვაზე, რომელიც თივის ციებ-ცხელებაზე ნაკლებად არ ტანჯავდა: რატომ ჩაიარა მისმა ცხოვრებამ ფუჭად, ცუდუბრალოდ, მიუხედავად მის მიერ გაწეული უდიდესი ძალისხმევისა?

და, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ქალაქის გეგმაზე, რომელსაც მან თავისი სასიყვარულო თავგადასავლების რუკა დაადო, ნელ-ნელა დაიწყო გაჩენა რაღაც პასუხის, ასოს თუ ციფრის მაგვარმა. საიდუმლო ნიშნებით, მთელი ქალაქის პერიმეტრზე მისმა თესლმა რომ დატოვა, თითქოს შესაძლო ხდებოდა, შეგედგინათ მისი ხასიათის ყველა თვისების საერთო მნიშვნელი. ერთ საღამოს იგი ქალაქის რუკაზე დაიხარა და წაიკითხა ეს წერილი.

ჩვეულებისამებრ, შებინდებულზე ვრაჩაზე მიდიოდნენ ხოლმე, ნახევრად დანგრეულ სახლში, საიდანაც წვიმები ყოველთვის ერთდროულად ჩაედინებოდა ორ მდინარეში: დუნაისა და სავაში. კაცს თან მიჰქონდა ერთი ბოთლი ღვინო და ჯიბით – ორი ჭიქა. ქალს თმის ბოლო მუდამ სველი ჰქონდა: თმის წუწვნა უყვარდა. ყოველთვის თან მიჰქონდათ კრიალა ცის ის წამი, როცა ყველა ჩიტი უკვე ბუდეშია, ღამურები კი ჯერ კიდევ არ გამოფრენილან. მერე პატარა მინის ლიფტში შედიოდნენ. შიგ სუროს პატარა დასაკეცი სკამი იყო, ნამცეცა იისფერი ტაბურეტი, კარებზე – სარკეები და ბროლის ჭიქის ფორმის სანათი. აქ ოდეკოლონის და ხელოვნური ხალის მისაწებებელი სითხის სუნი იდგა. სხდებოდნენ, ბოთლს იატაკზე დგამდნენ, ღილაკს თითს აჭერდნენ და სვამდნენ ღვინოს, თვალებით აცილებდნენ ზევით და ქვევით მქროლავ ცარიელ დერეფნებს და ერთმანეთს კოცნიდნენ ისე, რომ ქალს თმა კვლავ პირში ჰქონდა. თითქოს ხავერდგამოკრული კარეტით სეირნობდნენ. მათ ირგვლივ ამერიკული ყუმბარები ცვიოდა და წმინდა საბას

ქუჩა იწვოდა. თავდასხმა რომ დამთავრდებოდა, ახალი ქალაქის სანახავად მიდიოდნენ. ყოველ ჯერზე მათ თვალწინ იშლებოდა სულ უფრო ფართო ჰორიზონტები, რადგან მთელი შენობები ქრებოდა. ერთხელ ნანგრევებს შორის კედელზე შემორჩენილი ნახატითა და წიგნების თაროთი მეოთხე სართულზე იცნეს ოთახი, რომელშიც ოდესღაც სტუმრად იყვნენ და ვაშლის ჩირზე დაყენებულ ჩაის სვამდნენ. იმავე სართულზე რომელიღაც ონკანიდან წყალი მოდიოდა, წიგნების თარო კი გაუჩერებლად ქანაობდა. წიგნები ერთმანეთის მიყოლებით ცვიოდა სადღაც სიღრმეში და, ფრენისას ფურცლებს ფრთებივით რომ აშრიალებდნენ, ნანგრევებს შორის ფერფლში ეშვებოდნენ.

– შეგიძლია წაიკითხო, რომელი წიგნი ვარდება? – ჰკითხა ქალმა.

იმ დღეს თაროზე ერთადერთი წიგნი შემორჩენილიყო – ესენი ელოდნენ, როდის ჩამოვარდებოდა მაგრამ წიგნი მხოლოდ აქეთ-იქით ქანაობდა. მაშინ მან ქვა აიღო და პასუხის ნაცვლად ეს ბოლო წიგნი თაროდან ისე ჩამოაგდო, როგორც ბეღურა თოვლის გუნდით.

– კითხვა არ გიყვარს, – შენიშნა ქალმა.

– წიგნები – ეს არის ჭკუა ნახატებში, – მოიგერია და, მისი პასუხი რომ მოისმინა, გაოცდა „კითხვა კი არა, მოყოლა გიყვარს. დუმილი შეგიძლია. აი, სიმღერა კი არ შეგიძლია“.

•

წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოს მახლობელ ქუჩაზე, პატარა სასაუზმეში, აბრას რომ უფრო ხშირად იცვლიდა, ვიდრე კლიენტებს, – რომლებიც, ჩვეულების გამო, „კრედიტით“-ს ეძახდნენ, პირველი ულავში ამოეწვერა. მეპატრონეს ჩვევად ჰქონდა, შემოდგომობით თავისი სტუმრებისთვის ყინულივით ცივი ღვინო დაელევინებინა. როგორც კი გათბობას იწყებდა ღუმელი, ზაფხულის განმავლობაში სიგარეტის ნამწვებით გამოვსებული, აქ ლოტოს თამაშის სეზონს ხსნიდნენ. ერთ საღამოს, როდესაც ათანასმა პირველად გადაწყვიტა, თამაშში ბედი ეცადა, დარბაზში შემოვიდა გოგონა ძალიან შავი, გადაბმული წარბებით, თმის სამაგრ სავარცხელს რომ მიუგავდა, თითქოს ისინი რამდენჯერმე შვეულად ჩამოუსერესო. ისეთი მზერა ესროლა, როგორც იშვიათ გარეულ ფრინველს, კაცისკენ ზურგით დაჯდა და აწეწილ, გაოფლილთმიანი კეფა მიუშვირა. ეს ლოტოს ქაღალდს ავსებდა, ყურს უგდებდა, როგორ ლღვებოდა საშინელი სიჩუმე, რომელიც დარბაზში ამ არსების მოსვლისას წუთით ჩამოვარდა, და უყურებდა, როგორ იძინებს გოგონა სკამზე და როგორ თანდათან ახალგაზრდავდება ძილში, როგორ ამოცურდება სადღაც ფსკერიდან, საიდანაც გოგონას წლების ათვლა იწყება, მისი მეჩვიდმეტე შემოდგომის ღიმილი. სველი კეფისთვის მზერა არ მოუცილებია, გაიგონა, ლოტოს თამაშს იგებსო, და მიხვდა, რომ თვითონ არის მოგებული. მიხვდა, რომ იგებს ამ ქალს, რომელსაც ეძინა, ფეხიფეხზეგადადებულს, და ძილში იღიმებოდა ისე, რომ პირი არ გაუშვია ჩაღეჭილი სიგარეტისთვის. უკვე გვიან იყო, რაიმე ელონა. მისი ციფრი დაასახელეს და მან ლოტოში თავისი პირველი ქალი მოიგო. ქუჩაში გამოიყვანა ჯერ კიდევ მძინარე, გამოიყვანა პირდაპირ ჭუჭყიან, მყრალ ქარში. როცა იმავე ქარში ერთმანეთს შორდებოდნენ, უკვე განთიადი დგებოდა. ქალმა დღის სინათლეზე პირველად შეხედა და უთხრა:

– თავით ფეხამდე გხედავ. შენნაირებზე ამბობენ: არც წყალია, არც ძმარი. შენ გჯერა, რომ მომავალი ღამით იბადება და არა დღისით, და გათენებისა გეშინია... გინდა, გითხრა, რას იზამ, როგორც კი ერთმანეთს დავცილდებით? პირდაპირ შლაგბაუმისკენ წახვალ, თევზის ბაზარზე, რათა იყიდო ფარშირებული წიწაკა ხაჭოთი, დიდ დროს მოანდომებ თევზის ამორჩევას, რადგან გინდა, ის იმ მდინარიდან იყოს, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიედინება. ასეთი თევზი უფრო გემრიელია. შენს ჭურჭელს დანარჩენებისგან განცალკევებით ინახავ და თან თვითონვე რეცხავ. საჭმელს თავად იმზადებ და ცალკე ჭამ, რადგან ოჯახის წევრებს შენი საჭმელი სულ არ მოსწონთ. როცა სადილობ, ისე ჭამ, რომ ყურებს უკან ტკაცუნი გაგიდის. კარგად ამზადებ, ყველაფერს გახურებული დანით ჭრი, როგორც დაოსტატებული მზარეული. ისიც კი იცი, რომ ცქვრინს, სანამ ჯერ კიდევ ცოცხალია, ღვინო უნდა დაალევინო, მაშინ შემწვარი უფრო სურნელოვანი იქნება. გიყვარს ნიახურიანი წვნიანის მოხარშვა, ისეთი მძიმესი, რომ თეფშს ადგილიდან ვერ დაძრავ. ხოლო, თუ ტრაქტირში შეგიცდება ფეხი – რა თქმა უნდა, არც შენი კომპანია გყავს და არც მუდმივი ოფიციანტი. სუფრას მარტო მიუჯდები და ორივე ყბით ნთქავ. შემდეგ კი, მუსიკის ტაქტს აყოლილი, მაგიდაზე თითებს აკაკუნებ – თითქოს ტილებს ხოცავ. შენთან თავს ვერ შეიქცევ. დალაქები და კოლნერები შენნაირ კლიენტებს დასანახად ვერ იტანენ...

•

მაშინ ყველანი ენებს წაესივნენ ისე, თითქოს ეს-ეს არის სანსკრიტზე მეტყველების უნარი ებოძათო, თითქოს საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა. დილიდან, სკოლაში მეცადინეობის

დაწყებამდე, იზუთხავდნენ ფრანგულის არაწესიერ ზმნებს კლოდ ოჟეს ბროშურიდან, ომის წინ თავად მიხეილის 19-ში წიგნის მაღაზია „ანრი სუბრ“-ში რომ იყიდებოდა, სადაც ფირმა „ამეტის“ წარმომადგენლობა იყო. საღამოობით ჩაბნელებულ ოთახებში ბერლინის წითელი სახელმძღვანელოებიდან სწავლობდნენ ინგლისურ მართლწერას. გერმანულ ბრუნვებს სკოლაში ითვისებდნენ შმაუსის ყვითელი გამოცემებით, ღამით კი ჩუმად იმახსოვრებდნენ რუსულ სიტყვებს ძველი, ომამდელი ემიგრანტული გაზეთებიდან, რომლებსაც ბელგრადში ბლომად მცხოვრები რუსეთიდან დევნილები იწერდნენ. ომიანობის ჟამს ეს გაკვეთილები იაფი იყო, მაგრამ არა უხიფათო, რადგან ინგლისურის და რუსულის არც სწავლება, არც სწავლა გერმანული ოკუპაციის დროს ნებადართული არ გახლდათ. ათანასი და მისი მეგობრები მათ ერთმანეთის უჩუმრად სწავლობდნენ, ზოგჯერ ერთსა და იმავე მასწავლებელთან. რამდენიმე წლის განმავლობაში მათგან არავის ამ ენებზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს: ყველას ისე ეჭირა თავი, რომ ამ ენებზე ვერც ლაპარაკობენ და არც ესმით და მხოლოდ ომის შემდეგ აღმოჩნდა, მსგავსად იმისა, რაღაც სამარცხვინო მოულოდნელად რომ გამოაშკარავდება ხოლმე, რომ, არსებითად, თურმე მთელი თაობა ლაპარაკობს ინგლისურადაც, რუსულადაც, ფრანგულადაც. როცა ამ ენების ისევ დავიწყება დაიწყეს, მათ ივიწყებდნენ დემონსტრაციულად, თან ნოსტალგიით ოხრავდნენ იმ დროზე, როდესაც მათ ჩუმ-ჩუმად სწავლობდნენ. ფრანგულს ასწავლიდნენ ფაშფაშა შვეიცარიელი ქალები – „სერბი ქვრივები“ – მოსწავლეებს ახალწლის მისალოცად კონვერტებით რომ უგზავნიდნენ თავიანთი შეღებილი ტუჩების ანაბეჭდებს.

რუსული ენის გაკვეთილებზე მალულად გარბოდნენ ყოფილ თეთრ ოფიცრებთან, უკრაინელ ემიგრანტებთან. მათ ლამაზი ცოლები ჰყავდათ, ძაღლებს იყოლიებდნენ და მჩხვლეტავი ულვაშები გადაეწკიპათ. კედლებზე, როგორც ვეება ღამურები, ისე ეკიდათ ბინდულები მხრებზე სპეციალურად დატანებული ჩარჩოთი, რათა ხმლიან ხელს თავისუფლად მოძრაობა შეძლებოდა – ხელს, ახლა უკვე ამ ხმალმოკლებულს. ასეთ მასწავლებლებს, როგორც წესი, ბალალაიკაზე სიმღერა უყვარდათ, თან იმასაც ასწრებდნენ, სიტყვასა და სიტყვას შუა ისე სწრაფად გადაეყლურწათ არაყი, რომ სიმღერაზე ეს საერთოდ არ აისახებოდა. ოღონდ არც ათანასს, არც მის ამხანაგებს მუსიკა არ აინტერესებდათ – ის ხელს უშლიდათ სიტყვების გარჩევაში და ჩქარობდნენ, დაბრუნდებოდნენ ენის გაკვეთილებს, რაც უკვე თავისთავად ათრობდათ.

სიტყვები ადამიანებს ისევე ეზრდებათ, როგორც თმები, – უყვარდა მისთვის ამის ხშირად გამეორება რუსულის მასწავლებელს. – სიტყვები, როგორც თმები, შეიძლება იყოს შავი ან წაბლისფერი, ფარული წითურიც კი – წითელი. მაგრამ ადრე თუ გვიან ისინი თეთრდებიან ისე, როგორც ჩემი და ჩემი თანატოლების თმები. სიტყვებს, შეგიძლია, ის უქნა, რაც მოგესურვება, მაგრამ ისინიც ისე გექცევიან, როგორც თავად უნდათ...

რუსი ემიგრანტის ცოლი, რომელიც ამას ამბობდა, აბრეშუმის წინდაში ინახავდა თმის კულულებს, რომლის შეჭრა მას შემდეგ მოასწრო, რაც რუსეთიდან წამოვიდა. რამდენჯერაც მომდევნო კულულს მოიჭრიდა, იმდენ კვანძს აკეთებდა წინდაზე. ასე ზოგავდა დროს. გამომგზავრების დღიდან კალენდრისთვის არ შეუხედავს და, ჩვეულებრივ, წარმოდგენა არ ჰქონდა არც იმაზე, რა რიცხვია დღეს, არც იმაზე, კვირის რა დღეა.

ერთხელ, გაკვეთილზე რომ მივიდა, ქალი შინ მარტო დახვდა. სერბულად საერთოდ ვერ ლაპარაკობდა. ბიჭს თავისი მშვენიერი თვალებით მისჩერებოდა, კაბის ღილს კბილს უჭერდა და შიგ უსტვენდა.

– რა უცნაურია, შენ და შენი თანატოლები ამდენ ენას რომ სწავლობთ, – უთხრა რუსულად, – გეხალისება ამდენი წვალება? თითქოს მთელი ცხოვრება ლუკმაპურის გარეშე დარჩენას აპირებდე. თქვენ, ყველანი, ალბათ, ძალიან ეულები ხართ, ხოდა, ამიტომაც გინდათ, თქვენი მეხსიერება დააბეროთ. ოღონდ მეხსიერება მრგვალი არა გვაქვს, უკიდურეს შემთხვევაში, ეს არის წრე დიდი ღრიჭოებით. თქვენი მეხსიერება მთლად ერთი ასაკისა როდია. იმედოვნებთ, რომ ენების ცოდნა მთელ სამყაროსთან დაგაკავშირებთ. მაგრამ ადამიანებს სულაც არ აკავშირებთ ენების ცოდნა: თქვენ მათ ამაოდ ისწავლით ორჯერ და ორჯერ დაივიწყებთ, როგორც ადამი. ერთიმეორეს რომ გაუგოთ, ერთმანეთთან უნდა დაწვეთ, – და შესთავაზა, რუსული ენის გაკვეთილს ჩემებურად ჩაგიტარებო.

„აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული“, – გაიფიქრა ამან.

ქალი მასთან სულ ახლოს მივიდა და უხმოდ ჩააჩერდა თვალებში თავისი მწვანე თვალებით, თმა კისერზე შემოახვია. თმას სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უჭერდა კეფაზე, ვიდრე მათი ტუჩები ერთმანეთს არ შეეხო. მის ტუჩებს თავის ბაგეს რომ აწებებდა, აიძულებდა, გაემეორებინა ერთი და იგივე რუსული სიტყვა. ასეთი იყო

უცხო ენების შესწავლის მისი მუნჯი კონტაქტური ხერხი. მერე საწოლისკენ უბიძგა და ზევიდან გადააჯდა. ასე გაიგო ბიჭმა პირველად, როგორ აკეთებენ ამას რუსულად. გაუგებარი იყო, მაგრამ შესანიშნავი. ქუჩებში თოვდა, გეგონება, ცა მიწას უხმო თეთრი სიტყვებით ავსებსო, და ყოველივე ისე ხდებოდა, თითქოს ქალიც მასზე თოვლთან ერთად ეშვებოდა უსაზღვრო სიმაღლიდან, ყოველთვის ერთი და იმავე მიმართულებით, წამითაც არ შორდებოდა, ისე, როგორც თოვლი ან სიტყვა, რომლებსაც არ შეუძლიათ, უკან, ცაში დაბრუნდნენ, სისუფთავეში.

– ხომ ხედავ, – უთხრა მერე, ჰაერს ჩამოშლილი თმიდან რომ ისუნთქავდა, – ერთმანეთს რომ გავუგოთ, ამისთვის ენა საერთოდ არ გვჭირდება, სავსებით საკმარისია, ერთად დავწვეთ. მაგრამ გახსოვდეს: მრუშობის შემდეგ პირველ დღეს კარგად გრძნობ თავს, მერე კი, დღითი დღე, სულ უფრო უარესად და უარესად, ვიდრე საბოლოოდ არ გამოერკვევი და ისეთივე არ გახდები, როგორიც ყველა ღირსეული მოქალაქე.

•

ამ ლამაზმანს ღიმილი იმდენად ზედაპირული ჰქონდა, რომ, თუ იცინოდა, თანამოსაუბრე, უბრალოდ, მის ცხვირს აწყდებოდა, როგორც მეჩეჩს. როცა ქალმა აკოცა, ამან გაიფიქრა, რომ ეს ერთ-ერთი იმ კოცნათაგანია, რომელსაც ასპარეზობის მონაწილენი ერთმანეთს უძღვნიან, ვიდრე ხმლებს გააშიშვლებენ.

მან წუთით ხელიდან გაუშვა ნიჩბები და მიანდო წყალს, რათა მას ისინი ქარის მიმართულებით ეტრიალებინა. ნავი ტრიალებდა და ქარი ქალის თმას ნელ-ნელა აფენდა კისერზე. ნავში მათთან ერთად იყო ლეკვი და გაზეთი. ქალმა გაზეთში თავისი ლეკვის ჰოროსკოპი ამოიკითხა. მერე მოქაჩა ბოლი ჩიბუხიდან, რომელსაც ათანასი ეწეოდა.

– ყურადღება მიაქციე, – უთხრა ქალმა, – როგორც კი პირში სიმწარეს იგრძნობ, მარცხნიდან უეჭველად დაინახავ რაიმე წითელს!

ამ დროს მისი თმის ბოლო ჩიბუხში მოხვდა და ოქროსფერ კულულზე ნაპერწკალი აშიშინდა. ფსკერზე გაწვნენ, ნავი არწევდათ და სულ უფრო ღრმად უბიძგებდა ბიჭს მასში.

„რა ზარმაცია, – გაიფიქრა ბიჭმა. – სიყვარულიც კი ეზარება“. მოეჩვენა, რომ ეს სიყვარულში ჩაძირვის მისეული მანერაა. და აქ უცბად ქალმა თქვა:

– შენ რა, გინდა, რომ შენს მაგივრად ბავშვი ტალღამ გააკეთოს?..

•

იმ შემოდგომაზე მისი წლების კიდევ ერთი შვიდეული სრულდებოდა, დგებოდა კიდევ ერთი საკვირაო წელი, რომელშიც ის, როგორც წესი, არაფერს აკეთებდა. დაღლილი და იმედგაცრუებული, თავის პროფესიას ჩამოშორებული ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ წლებსაც თავიანთი ციკლები აქვთ, თავიანთი დაბადების დღეები, თავიანთი რეგულები და რომ იწურება მისი ცხოვრების კიდევ ერთი შვიდწლეული, რადგან შვიდი წლის წინათაც ზუსტად ასევე არაფერს აკეთებდა.

სამყაროს შექმნის დღიდან კვლავინდებურად აითვლებოდა ნევრალგიკური წერტილები – მეშვიდე წლები – რაღაც ჭიპების მსგავსი დროზე. ასეთი წერტილებით ერთი დრო მეორისგან გამოიყოფა კვანძით, კვანძი კი მომდევნო დროს საშუალებას უსპობს, იკვებოს წინას ხარჯზე. იმ შემოდგომას გამოთვალა, რომ, უკვე სამი წელია, ყოველგვარი ხილული მიზეზის გარეშე, ერთგულია ცოლისა, რომელიც თითქმის მთელი ამ ხნის განმავლობაში მასთან არ წოლილა. შინ იჯდა, ამქვეყანაზე არავის სჭირდებოდა, ყვავებს ითვლიდა და მოწყენილობისგან გული უწუხდა, როცა შვეიცარიელმა საარქიტექტორო ჟურნალმა, გერმანულად რომ გამოიცემოდა, სრულიად მოულოდნელად რამდენიმე ნომერში დაბეჭდა ინფორმაციები მისი ვერასდროს აშენებული სამედიცინო დაწესებულებების პროექტების შესახებ. იმაზე არც ფიქრობდა, ჭამის შემდეგ ულვაშიდან ნამცეცები ჩამოეფერთხა, ხუთი თითით წვერს იფარცხავდა და ისე მიძვრებოდა ხოლმე „Fachblatt für Arhitektur DBZ“-ის გვერდებში, სადაც გამოქვეყნებული იყო მისი სტატია თანამედროვე მშენებლობების კავშირებზე ქალაქის ბიზანტიური რეგიონის ძველ არქიტექტურასთან. ისე წრიალებდა, როგორც ეშმაკი დილის წირვის წინ, ცდილობდა, საკუთარი ტექსტი ამოეცნო. სწორედ მაშინ დაასხა პირველად საშინელმა მამაკაცურმა ბანჯგვლიანმა ოფლმა, რომლისგანაც კოლოები იხოცებიან, პირსახოცები ობდებდა, კატები კი უხმო, მისუსტებულ კნავილს გამოსცემენ. იგრძნო, რომ მისი პროფესიული მონაცამები დნება, რომ ისინი პირს იკრავენ, როგორც იარა, უკან იხვევენ, როგორც სენი გამოჯანსაღებისას.

გაიფიქრა, რომ, უკვე იმდენი წლისაა, რამდენი ფრაზაც არის რომელიმე ნოველაში, შეშინდა და ადიულტერების დატრიალება დაიწყო, ისეთი მოკლეების, რომ მათი დასაწყისი და ბოლო ერთმანეთს ეხებოდა.

ამან ხელი ჩასჭიდა, ხელისგული გაუშალა და თითქოს შორიდან ალაპარაკდა:

– შენი ხელის მტევნის ძირში – და სწორედ აქ უნდა დააჭირო, თუ რაღაცა, რაც ახლა ჩემს შიგნით არის, აგტკივდება – აქ, შენი ხელის ამ ნაწილში სლავიის მოედანია. ცერსა და საჩვენებელ თითებს შორის მდინარე სავა მოედინება – აქ კისრის ტკივილებს მკურნალობენ. საჩვენებელი თითი თავად მიხეილის ქუჩას შეესაბამება – აქ არის ნერვები და გაციება. შუა თითი – ეს არის იოვანეს ქუჩა, რომელსაც ნებოიშის კოშკთან მივყავართ. მას თუ დააწვები, ჩაგიწყნარდება ტკივილები სინუსებში, უშველის გაჭედილ ცხვირს. საჩვენებელი თითის ძირში, სადაც ძარღვი ფეთქავს – ტერაზიეს მოედანი – არის წერტილი, რომელიც კუჭზეა პასუხისმგებელი უსახელო თითს მივყავართ დუნაის ხიდზე, ის პასუხს აგებს სმენის ორგანოებზე, ნეკი კი – ტაკოვსკის ქუჩა – ტკივილებზე მხრებსა და აპენდიქსში. შენი სიცოცხლის ხაზი სავის ხიდის გავლით მიემართება და აქ, არ ვიცი, წყდება, არ ვიცი, შორს, ჩრდილოეთისკენ მიდის. დაიმახსოვრე! თუ ყური აგტკივდება, გადადი დუნაის ხიდზე – მაშინვე გაგივლის. მხარი აგიყუყუნდება – ტაკოვსკის ქუჩაზე გაიარე და მალევე შეჩერდება... მაგრამ საქმე მარტო ავადმყოფობები როდია. ქალაქის ყველა ქუჩას, როგორც ხომალდს, თავისი კურსი აქვს. ერთნი თავიანთ თანავარსკვლავედს კიბოს ნიშნით მისდევენ სამხრეთისკენ, მეორენი აღმოსავლეთისკენ, მერწყულის ნიშნით, მესამენი ტყუპების თანავარსკვლავედს მიჰყვებიან... შენი ტანი ემორჩილება ქუჩებს, ქუჩები კი ვარსკვლავებს. ხელისგულზე შეიძლება დაინახო ყველა შენი გზა ხმელეთზეც, ზღვაზეც. მაგრამ შენ კი არ გაქვს ქალაქი პეშვში, არამედ შენ ხარ მომწყვდეული ამ ქალაქის მუშტში. მასზე ხარ მიჯაჭვული, როგორც კატა სახლზე, და სხვას ვერაფერს ხედავ. არც გაზაფხული, არც შემოდგომა უიმისოდ არ გაგიტარებია, სხვა მიწაზე ფეხი არ დაგიდგამს. ძალა არ შეგწევს, მოშორდე ამ ქალაქს. ასე, ზოგჯერ ქალი მთელ ცხოვრებას ატარებს ერთ მამაკაცთან ისე, რომ არ კითხულობს, მოსწონს კაცს ეს თუ არა.

•

ცხვირს კამიანი რძის წვნიანის თეფშს „უნისკარტებდა“, ორთქლში კოვზს ათვალიერებდა და ფიქრობდა, კერძოდ ვისგან ჰყავს ვაჟი – ვიტაჩა მილუტისგან თუ თავისი კანონიერი ცოლის, სტეპანიდა ჯურაშევიჩისგან, ქორწინებით სვილარისგან. იმ ღამეს, როცა ვაჟიშვილი გააკეთა, საქმე ასე იყო. მაშინ მოხერხებული გახლდათ, ტყუილად კი არ ამბობდნენ, რომ ხელიდან ყველაფერი გამოსდის. უტვინო თავი ფეხებს მოსვენებას არ აძლევდა, სამაგიეროდ, ყურებს არ აპარტყუნებდა, მაგრამ ღიმილი უკვე ისე ჩაძიროდა, როგორც ქვა წყალში, თანაც რგოლებიც დაეტოვებინა. ორივე ლოყაგამობერილი ილუკმებოდა, ჯიბეებს წაკვნეტილი ფრჩხილებით და ულვაშის ბოლოებით იტენიდა. იმ წლებში ახალმოყვანილ ცოლთან, სტეპანიდასთან ერთად ხშირად შეივლიდა ხოლმე კალემეგდანზე, რესტორან „ტერასაში“ ნიგვზიანი ფენოვანი ღვეზელით წასავახშმებლად. სწორედ აქ მივიდა ერთხელ მათთან მრკშა პოხვალიჩი, რომელსაც ისეთი ვიწრო სახე ჰქონდა, რომ შეეძლო, ერთი ხელისგულით ორივე ყურს ერთდროულად მისწვდომოდა. მან თავისი საცოლე, ვიტაჩა მილუტი წარუდგინა.

– „შენ“-ზე გადავიდეთ? – ჰკითხა ახალ ნაცნობს ათანას სვილარმა. მან მოიგერია: თუ შორს არ არის, რატომაც არა?..“

ვიტაჩა მილუტი ერთი ნახვით შეუყვარდა. ქალმა მას და მის ცოლს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა ხელთათმნიანი ხელით, რომელზეც ამოქარგული იყო მისი ბაგეების გამოსახულება. ერთმანეთს ექვსნი ხვდებოდნენ: ათანასი ცოლთან, სტეპანიდასთან ერთად, მრკშა პოხვალიჩი ვიტაჩასთან და კიდევ ერთი წყვილი – მათი საერთო ნაცნობები.

იმ საღამოს, როცა ამან ვაჟიშვილი ნიკოლა გააკეთა, მალიკალემეგდანის მთელი პარკი აევსო მთვარის შუქს, რომელშიც სიბნელიდან, თითქოს ოთახში, შედიოდნენ. დესპოტ სტეპანის ჭიშკარში გავლისას ვიღაცამ თქვა: „ვარსკვლავები ცეკვავენ. აციების ნიშანია“.

ამ დროს მისი ცოლი, სტეპანიდა ჯურაშევიჩი, ქორწინებით სვილარი, შეყოვნდა, თანამგზავრ ქალს ესაუბრებოდა, და ეს წუთით მარტო დარჩა ვიტაჩა მილუტთან, რომლის საქმროც ოდნავ წინ მიდიოდა – მესამე ახლობელს ელაპარაკებოდა. ღრმა გვირაბის სიბნელეში, სადაც ერთი მხრიდან მოისმის, როგორ მიედინება სავა, მეორიდან კი – დუნაი, ათანასმა მოულოდნელად აკოცა ვიტაჩა მილუტს.

„კოცნა ცრემლზე ძვირფასი არ არის“, – გაიფიქრა, მაგრამ მიხვდა, რომ შეცდა. ვახშამზე ვიტაჩას წინდახედულად ჩაეგუბებინა პირში ღვინო და ამ წამამდე ინახავდა. ერთმანეთს ჩახვეულებმა მათ კოცნასთან ერთად ბოლომდე შესვეს ეს ყლუპი.

– თვალს ვადევნებდი, რას ჭამდი, – ენის ქვეშ უჩურჩულა ქალმა, – და განზრახ სულ სხვა რამეს ვჭამდი: ბავშვი რომ გააკეთო, სხვადასხვა კერძის ჭამაა საჭირო.

იგრძნო, როგორ ითვლის ვიტაჩა მის კბილებს ენით, და მიხვდა, რომ ქალი წინააღმდეგი არ იქნება, მზადაც კია, თუნდაც ახლავე, პარკიდან

გაუსვლელად მიატოვოს თავისი საქმრო. მისი ზედა ტუჩი შიშისგან მარილიანი გახდა, ქვედა – მომწარო, გული კი ისე უძგერდა, როგორც ქურდბაცაცას. მისი წამწამები ლოყას უკაწრავდა, თეძო კი მუცელზე მიბჯენოდა. ათანასი მთლად გაშტერებული გამოვიდა დესპოტი სტეპანის ჭიშკრიდან და, როგორც კი ხელახლა დაიყვნენ წყვილებად, მან, ისე, რომ ვერ მოასწრო, შეეწმინდა ვიტაჩა მილუტის ნერწყვი, მისგან აღგზნებულმა იქვე, პარკში, ბავშვი გაუკეთა თავის ცოლ სტეპანიდას ისეთი ვნებით, რომ აქამდე თვითონაც ვერ გარკვეულიყო, ამ ორი ქალიდან რომელს ეკუთვნის მისი ვაჟიშვილი.

დილით, როცა მიხვდა, რომ იმ საღამოს შემდეგ ვიტაჩა მილუტის დავიწყებას ვერ შეძლებდა, უკვე გვიან იყო. ქალისკენ გაქანდა, მაგრამ ის სხვის ლოგინში აღმოაჩინა. წინა საღამოს იგი პირველად დარჩა საქმროსთან ღამის გასათევად, მერე კი მასთან გადასახლდა.

ასე დარჩა ათანასი ცოლთან. და ახლა მის წინაშე იჯდა მისი ვაჟი ნიკოლა სვილარი, თეთრი ბუმბულის მსგავსი თმა რომ ამშვენებდა. მეთექვსმეტე წელში გადამდგარი ისე იწელებოდა, თითქოს თეფშიდან შეჭამანდის ნაცვლად დღეებს და ღამეებს ხაპავდა. მამა, აგერ, უკვე მერამდენედ ცდილობდა, გაერკვია, ხომ არ იჩენს თავს ბიჭში რაიმე ისეთი, რაც მის ორმაგ წარმოშობას დაადასტურებს. „ბავშვები რომ დედის გვარს ატარებდნენ, – თავს ეკითხებოდა ათანასი, – მაშინ რა გვარი უნდა ეტარებინა ჩემს ვაჟს – სტეპანიდა ჯურაშევიჩის, ქორწინებით სვილარის, თუ თავისი „პირველი დედის“ – ვიტაჩა მილუტისა?“ მაგრამ ჯერჯერობით ნიკოლას ისეთი არაფერი გამოემჟღავნებინა, რაც შეიძლებოდა ვიტაჩა მილუტს ან მის სახელს დაკავშირებოდა.

სვილარი უწინდებურად ხვდებოდა ვიტაჩა მილუტს და მის ქმარს, ბოკალზე კბილებჩაჭიდებული ტკბებოდა ქალის სმის მანერით, თუმცა მისი მხრიდან კეთილგანწყობის უმცირესი ნიშანი ერთხელაც არ დაუჭერია. მხოლოდ ერთხელ, როცა მცირე ხნით მარტონი დარჩნენ, ქალმა თითი დაინერწყვა, წარბები გაუსწორა მის ვაჟს, ნიკოლას, მაშინ ჯერ კიდევ სულ პატარას, და ასეთი რამ თქვა:

– ქალები იყოფიან იმად, ვისაც მხოლოდ ვაჟიშვილები უყვარს, და იმად, ვისაც მხოლოდ ქმარი უყვარს. ქალი მაშინვე გრძნობს მამაკაცს, რომლისთვისაც ქალის ბაგე იგივეა, რაც საულვაშე. ყველა ქალი ერთი და იმავე მამაკაცისკენ ისწრაფვის და ერთსა და იმავეს გაურბის. ერთნი სამგზის უყვართ – როგორც ვაჟიშვილები, როგორც ქმრები და როგორც მამები, სხვებს კი, ვინც დედას არ უყვარდა, არც ცოლი შეიყვარებს, არც ქალიშვილი. ეს ისეა, როგორც მტრედები, რომლებიც ერთდროულად ჭამენ და სკინტლავენ... უკვე რამდენი საუკუნეა, ამერიკელი მამაკაცების დიდი ნაწილი უბიწოებას კარგავს ზანგ ქალებთან, ევროპაში კი, განსაკუთრებით მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ბოშებთან შეცოდებაა მიღებული. ღმერთო, დალოცე ბოშა და ზანგი ქალები. ეს ხომ კეთილი საქმეა – ცოტაოდენი ქალური ალერსი გაუნაწილო ბიჭუნას, რომელსაც სიყვარული პურივით სჭირდება. მათთან უბიწობას კარგავენ ისინი, ვინც არ ჰყვარებიათ და არც ეყვარებათ. შენი ტიპის მამაკაცები, როგორც წესი, ერთგულები არიან ცოლებისა, რომლებიც არ უყვართ. ოღონდ, აკი, ცოლებსაც არ უყვარხართ. ასეთ მამაკაცებს ერთი რამ დარჩენიათ – გამუდმებით ეძებონ საკუთარი ქალწული...

•

ათანას სვილარმა ბელგრადის გეგმაზე შენიშვნები განათავსა. მოეჩვენა, რომ მისთვის ძვირფასი ადგილებისგან შედგენილი დიაგრამიდან მოჩანს რაღაც ფორმულა, რაღაც პასუხის მსგავსი მის გამაოგნებელ შეკითხვებზე. ცოტა მეტი დრო რომ ჰქონოდა, თუნდაც ერთი დღე, ისიც მოიხელთებდა შემთხვევას, ჩაეხედა თავის არქიტექტურულ პროექტებში და დაინახავდა, რომ მისი გეგმები იმავეს ამბობს, რასაც მისი ქალები. გაიგებდა, რომ დიაგრამის საკვანძო სიტყვები ღაღადებენ: სიჩუმე, ღამე, ენა განცალკევებით კვება, წყალი, ქალაქი და ქალწული. რომ ეს სიტყვები იძლევიან მისი ბედის ერთგვარ განტოლებას. მაგრამ ასე არ მოხდა.

ამ დროს ქუჩებში ჩაიფრინა ჭადრების აბრეშუმმა, სადღაც შორს, დუნაიზე თავთავი დაისხა ველურმა ჭვავმა, მიმოიფანტა შამბნარის წვეტიანი თესლები, მკვეთრი სუნით აყვავდა „დათვისყურა“ და, სვილარი ცუდად გახდა.

უკვე შესამჩნევად გარუჯულ ოქროსფერ ზედაპირს ქვეშ მთვარის შუქად ჩაწვა ღრმა და მუდმივი სიფითრე. მოწვეულმა ექიმმა კონსტატაცია გაუკეთა თივის ციებ-ცხელების მორიგ შეტევას, ჩვეულებრივს გაზაფხულის ამ დროისთვის, და როგორც წინათ, ურჩია, ზღვაზე წასულიყო.

არშემდგარმა არქიტექტორმა ათანას სვილარმა და მისმა ვაჟმა ნიკოლამ სწრაფად მოხიკეს თავიანთი ბარგი-ბარხანა, ჯიბეში მარილის მწიკვი ჩაიყარეს და საგზაოდ გაემზადდნენ.

გზა, როგორც ყველა გზა, მათ მაგივრად ფიქრობდა, ვიდრე ესენი მასზე დადგომას მოასწრებდნენ.



ბიოხბი აღიბებაშვილი

სიტყვა და ხატი

ხატი, ფერთაგან გამოსახული, დაწერილი სიტყვის თანაგვარია.
წმ. იოანე დამასკელი
თავად უფალი იესო ქრისტეა სიტყვიერ და ხილულ ხატთა წყარო: როგორც ლოგოსი – სიტყვიერის, როგორც სახე – ხატწერის.
დ. უსპენსკი

წმიდა მამათა თანაგანჭვრეტით, ხატებში შემოკლებულ მოსახსენებლად აღწერილია ჭეშმარიტად არსების მიხედვით განკაცებული ღმერთის საკვირველთმოქმედება, ვნება, ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება, რაც **თავდაპირველად შეხსენებისა და სწავლებისათვის სიტყვით** გადმოიცა; მაგრამ რადგან „ყველა არ იყო მცოდნე ასოთა და არც ჰქონდა კითხვის გულმოდგინება“ (წმ.იოანე დამასკელი 2000: 444), **შეიქმნა ხატწერილობა.** ხატი სამარადისოდ დაუკავშირდა მართლმადიდებლობას – მათი ერთიმეორის გარეშე არსებობა წარმოუდგენელია.

სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ სიტყვა „ხატს“ წმიდა მამები გაცილებით ფართო მნიშვნელობით იყენებდნენ, ვიდრე დღეს იხმარება. ღვთის მიერ შექმნილი მთელი სამყარო უფლის ხატად მოიაზრებოდა – როგორც სრულყოფილი ხელოვანის მიუთხრობელი „შუენიერება“: „ხელოვან და დამბადებელ ღმერთი არს“. აქედან განისაზღვრა ქრისტიანულ კულტურაში ტერმინ „ხელოვანის“ ძირითადი სემანტიკა: ხელოვანია ღმერთი, მას მიეწერება ხელოვნება, „ხელოვანისა ნაქმარი არს შუენიერი ესე და დიდი ქუეყანაჲ;“ ისაა „ხელოვანთმოძღუარი“, „ხელოვანთ-მთავარი“ „სოფლისა შემოქმედი ხელოვანი“, „ხელოვანი იგი მხატვარი“ და სხვ. (სირაძე 1975: 15-16). სამყარო ზომის, რიცხვის (რიტმის), წესრიგის, ჰარმონიის შესაბამისად ღმერთმა ხელოვანი ლოგოსით შექმნა. თავის შემოქმედებაში მას არ სჭირდებოდა არც „ემანაცია“, არც „გამოსხივება“, არც პლატონური „იდეების სამყარო“. ის თავის თავში ყოველივეს შინაგანად განწესებული სამყაროს ხატად ქმნიდა (ირინეოს ლიონელი) (ბიჩკოვი 1981: 219). ერთგვარი შემაჯამებელი დასკვნა კი ზემოთქმულისა ნემესიოს ემესელის თქმული სიტყვაა: „სულსა წესი უპყრიეს ხელოვანისაჲ“ (ნემესიოს ემესელი 1914: 71), რაც იმას მიუთითებს, რომ „არაარსისგან არსად მომყვანის,“ ანუ ღმერთის სულის მადლი, განკაცებული უფლის მეოხებით, ადამიანზე გადადის, რომელიც შემოქმედი, ხელოვანი ხდება.

ამდენად, კაცის შესაქმეც „ხატად და მსგავსად“ ღვთისა (დაბ. 1.26) ხელოვნებად არის გააზრებული, თუმცა მას წინ უსწრებს სიტყვა, რომლითაც, როგორც ითქვა, იქმნებიან „ყოველნი არსნი“ **(„სიტყვაჲ ღმრთისაჲ საქმე არს“)**.

სიტყვასთან და ხატთან მიმართებით არსებითია განისაზღვროს თუ როგორ ესმით ადამიანის ღვთისადმი მსგავსება და ხატი შუა საუკუნეებში. წმ. მამათა მიხედვით, „მსგავსება“ შინაგანი ბუნებაა **(სათნოებითი მსგავსება ღმრთისადმი)**,

„ხატი“ – გარეგანი. ამ საკითხთან დაკავშირებით წმ. გრიგოლ ნოსელი ასე ღვთისმეტყველებს („ხედვითხელოვნებს“):

„შუენიერებაჲ საღმრთოჲ არა გამოხატულ არს შუენიერებითა ფერთაჲთა, არამედ უზეშთაესითა წესითა, რომელი მიუთხრობელ არს გულისხმისყოფად. და ვითარ-იგი მხატვართა ღონისძიებაჲ ყვიან მრავლითა წამალთაგან თითოსახეთა და შეზავიან ყოველივე იგი მსგავსად ჯერისა მის, რაჲთამცა მიამსგავსეს შუენიერებასა მას ძირისასა ზედამიწევნით, და ესრეჲთვე გულისხმაყავ დამბადებელისაჲ, რამეთუ შეამკო ბუნებაჲ კაცობრივი სათნოვებითა მრავლითა მსგავსად ფერთა შუენიერითა და აჩუენა ჩუენ შორის მსგავსად ძალისა თვისისა შემკულებაჲ ყოვლითა, რომლითა **იცნობების ცხორებაჲ იგი ჭეშმარიტი**, არა წითლითა მბრწყინვალითა გინა სხვითა წამლითა, რომელი თანა-შეზავიან მას შუენიერებისათვის ხატისა, დაარცა შავითა, რომელითა გამოსახიან წარბნი და თუალნი სხუათა მათ ფერთა თანა საშუენებელად ხატისა, ვითარ-იგი ღონისძიებით ყვიან მხატვართა, არამედ ნაცვალად ამათსა **უბიწოვებაჲ და სიწმიდეჲ და სიწრფოვებაჲ და განშორვებაჲ ყოვლისაგან ბოროტისა და ესევითარითა სახითა, რომლითა ემსგავსების კაცი დამბადებელსა თვისსა, და ამით ფერითა შეამკო დამბადებელმან ხატი თვისი, ესე იგი არს ბუნებაჲ ჩუენი**. და უკუეთუ შენ მოაწიო გონებაჲ მიხედვად სხუათა მათ არსთათვის, რომელ იცნობის მით შუენიერებაჲ ღმრთისაჲ, უკუე ჰპოვო მსგავსებაჲ ბუნებასა ჩუენსა შინა... და ესე სახეჲ ყო ჩუენთვის დამბადებელმან ბუნებისაგან“ (შატბერდის კრებული 1979: 74-75).

ასე რომ, კოსმოსისა და ისტორიის წესრიგში „ცხორებაჲ იგი ჭეშმარიტი“ სიტყვითა და ხატით „იცნობების“ – ისინი უტყვ აზრებს კანონიკური დაწერილობით გადმოსცემენ. ამის გამო ხელოვანნი ორივე მიმართულების ნიმუშების წერისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ, რადგან „შუენიერებასა მის ხატებისასა უკუეთუ აკლდეს რაჲმე, არა არს იგი ხატი“ (შატბერდის კრებული 1979: 95). აქედან გამომდინარე, შემოქმედთა დამოკიდებულება აღსაწერი საგნისადმი ასე განისაზღვრა: სიტყვათა და ხატთა შექმნის ხელოვნება სულიწმიდის მადლია; ბიბლიური წიგნები, სახეები, სიმბოლოები კი ის საფუძველია, რომელსაც ქრისტიანული კულტურის ხელოვანი ემყარება აღსაწერი ნიმუშის „შინა-სახის“ გამოხატვისას. „ფერმწერი“ (zografos) დგას „სიტყვისმწერის“ (logografos) გვერდით და ისინი ავსებენ ერთმანეთს (ჰ. კამფენჰაუზენი), რადგან უტყვ აზრებს კანონიკურ დაწერილობას ანიჭებენ.

საკითხი სხვა კუთხითაც დაისმის: რა დამოკიდებულებას იჩენს ხელოვანი თავის წინამორბედ შემოქმედთა მემკვიდრეობისადმი?! ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, შევნიშნავთ: ჰაგიოგრაფთათვის – როგორც სიტყვის, ასევე ხატმწერთათვის – ნიმუშის მომცემი თავად მაცხოვარია, ერთი მხრივ, სახარების მომადლებით, რომელშიც აღწერილია თუ როგორ „იცხოვრა მან მიწაზე, დაჰყო ადამიანებთან, ისაკვირველთმოქმედა, ივნო, ჯვარს ეცვა, აღდგა და ამაღლდა, როდესაც ჭეშმარიტად მოხდა ეს ყოველივე და დასანახი გახდა ადამიანებისათვის, ამასთან აღიწერა კიდეც ჩვენდა შესახსენებლად და სასწავლად, რომლებიც იმჟამად იქ არ ვიყავით,“ და, მეორე მხრივ, ედესელთა ქალაქის მეფე ავგაროზის სახელთან დაკავშირებული სათნო გადმოცემით: მან „მხატვარი მიავლინა, რომ მას უფლის ხატის მსგავსება გამოესახა, მაგრამ როდესაც მხატვარმა ვერ შეძლო ეს (უფლის პირისახისგან გამომკრთალი ბრწყინვალების გამო), მაშინ თვით უფალმა საკუთარ ცხოველმყოფელ პირისახეს ზედ დაადო სამოსელი, გადაბეჭდა სამოსზე თავისი გამოხატულება და ასე გაუგზავნა იგი ამის მოსურნე ავგაროზს“ (წმ. იოანე დამასკელი 2000: 444).

აქედან გამომდინარე, სახარება და ავგაროზთან დაკავშირებული მაცხოვრის ხატი ხდება შუა საუკუნეების ღმრთივსულიერი ნიმუშების უპირველესი განმსაზღვრელი პარადიგმა – მათი პატივისცემა კი „პირველსახეზე გადადის“ (წმ. ბასილი დიდი). გამოიკვეთება ჰაგიოგრაფიული იკონოლოგიის ღვთისმეტყველების დინამიკის საფეხურები:

ა) **ცოდვით დაცემამდელი ადამი** – მასში ღვთის ხატი სრული სიწმიდით, მშვენიერებით და ქმედითად არის გაბრწყინებული, ხოლო მსგავსება დასაბამიერ სიწმიდეს მოიცავს;

ბ) **ცოდვით დაცემის შემდგომი ადამი** – ხატი ღვთისა სხვადასხვაგვარად და განსხვავებული ხარისხით არის დაჩრდილული, ცოდვით მოცული, მსგავსება დაკარგულია;

ც) **წმიდანი** – შინაგანი უმუსვრელი ხატისებრიობა განწმედილი და გაცხადებულია ღვწით, მარხვით, ლოცვით, სათნო ცხოვრებით, მიელტვის პირველსახეს, ხოლო მსგავსება სიწმიდით არის განახლებული და აღდგენილი;

დ) **ქრისტე – ლოგოსი და ხატი ღვთისა** – არის შობილი პირველსახე, უქმნელი პირველხატი, ზეციერი არქეტიპი;

ე) **უხილავი ღმერთი** – მისი ხატება პირველსახის, ქრისტეს მეშვეობით ადამიანია (ლეპახინი 2002: 13-14).

ამგვარად, ღმერთის განკაცებით ხელახლა წმიდა, ანუ ღვთის მსგავსი გახდა ადამიანური ბუნება და თავიდან დაიხატა, თავიდან ხატიქმნა, ანუ სათნოებითი სიწმიდით კვლავ მსგავსება მიიღო ძე ღმერთისადმი (განკაცების შემდეგ იესო ქრისტედ წოდებულისადმი). ეს არის ადამიანური ბუნების უკუგანახლება, ახალშექმნა ქრისტეში (ჭელიძე 2001:93).

როგორც ვხედავთ, ხატის ღვთისმეტყველება წმიდა წერილის უმთავრეს მოვლენებთან არის დაკავშირებული: ადამიანის დაბადებასთან, ცოდვით დაცემასთან და უხრწნელი ხატის ხრწნადად, ზეციერიდან მიწიერად გადაქცევასა და განკაცებული მაცხოვრის შემწეობით ადამიანში ღვთის ხატისებრიობის აღდგენასთან.

ხატწერილობა-სიტყვისწერილობის (ზოგრაფია-ლოგოგრაფიის) განუყოფელი კავშირი წმიდანის სახის გამოხატვისას შემდეგი აქცენტებით არის წარმოდგენილი:

მაღალი შუბლი – სიბრძნე და ღრმა აზროვნება;

დიდი თვალები – ღვთაებრივ საიდუმლოთა წვდომა;

თხელი ტუჩები – ასკეტიზმი;

გრძელი თითები – სულიერი კეთილშობილება და უბიწოება;

თავდახრილი დგომა – ღვთის სიტყვისადმი ყურადღება;

მოდრეკილი ფიგურა – უფლის ნებისადმი მორჩილება

(არქიმანდრიტი რაფაელი 1977: 106).

ვნახოთ, როგორ აქვს „რეალიზებული“ შემოკლებულ მოსახსენებლად წმ. გრიგოლ ხანცთელის სახე ქართული ჰაგიოგრაფიული სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, გიორგი მერჩულეს: იგი იყო „ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“ (ძეგლები 1963: 250).

აქვე მოვიყვანთ ყოვლადწმიდა მარიამის ჰაგიოგრაფიული სიტყვიერი ხატის ნიმუშს იოანე მინჩხის პოეზიიდან:

„ღმრთისმშობელსა ვადიდებდეთ –
მშობელსა და ქალწულსა,
დედასა მეუფისასა ვენახსა გონიერსა,
ტაძარსა პირმეტყველსა,
ტაკუკსა მას სულიერსა,
სადგურსა მანანაჲსასა,
ღრუბელსა სავსესა ნათლითა,
მაგრილობელსა სულთა ჩუენთასა,
საღმთოსა ზღუდესა მტკიცესა,
მცველსა ყოვლისა სოფლისასა“
(იოანე მინჩხი 1987: 160)

(ასეთი სიტყვიერი ხატები ღვთისმშობლის იკონოგრაფიის მრავალსახოვნებას უწყობს ხელს).

როდესაც გიორგი მერჩულე და იოანე მინჩხი წმ. მამისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახეებს ასეთი ჰაგიოგრაფიული (ხატწერითი-სიტყვისწერითი) ნიშნებით წარმოადგენენ, ისინი შუა საუკუნეთა ესთეტიკურ მოთხოვნებს იცავენ. შენიშნულია, რომ, მედიევალური ხელოვანის თვალთახედვით, წინაპართა მთელი შემოქმედება მისი საკუთრებაა, რომელსაც იგი შეიძლება დაეუფლოს, ნებისმიერად მოეპყროს. არ არსებობს არც პლაგიატის, არც საავტორო უფლების ცნება. უდიდესი პატივი, რომელიც შეიძლება მიეგოს წინამორბედს, არის არა მისი ნაწარმოებით ტკბობა, ხელუხლებლად შენახვა, არამედ მისი გაცოცხლება ახალ ნაწარმოებში, ცოცხალ შემოქმედებაში. გადამუშავება – ეს არის გამდიდრება. ამავე დროს ეს არის უზენაეს რეალიებთან, მარადიულ იდეებთან ზიარების პირდაპირი გზა, რადგან ეს იდეები მოიპოვება ძველ მწერალთა ნაწარმოებებში (ალექსიძე 1979: 262).

ამავე კუთხით ერთი გარემოებაც იქცევს ყურადღებას: მრავალი სასულიერო ძეგლის ავტორი უცნობია (თხზულების თუ ხატის). ამის მიზეზი, ჰაგიოგრაფთა დიდი თავმდაბლობის გარდა, შემდეგიცაა: ხელოვანი არ ცდილობს „მიწიერ“ თვითდამკვიდრებას და ამით მიანიშნებს, რას განიცდის, როდესაც ფურცლავს ბიბლიურ წიგნებს, სასულიერო თხზულებებს თუ ეკლესიის მამათა თეოლოგიურ ნაშრომებს; ჰაგიოგრაფი თვლის, რომ ის წინამორბედ შემოქმედთაგან დავალებულია და საკუთარ ქმნილებაში გადაჭარბებული ინდივიდუალობის შეტანა დაუშვებელია. თუ ნაწარმოებს საკუთარ სახელს მიაწერ, ის ძველ ხელოვანთა მიბაძვით შექმნილი ნიმუშის მითვისებაა – ამავე დროს, ამ ხელმოწერით ავტორი თავის თავზე აიღებს ქმნილების ნაკლსაც. ნაწარმოები რომ უზადო იყოს, მის შემოქმედს ვინაობის დადასტურება არ სჭირდება.

სხვა შემთხვევაში ხატმწერს ეკლესიისთვის ახალი ხატის ან ტრადიციული იკონოგრაფიული კომპოზიციის ახლებური ხატწერით გადაწყვეტის შეთავაზება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი სიწმიდის ისეთ ხარისხს მიაღწევს,

რომლის დროსაც ახალი ხატი გამოცხადებად წარმოუდგება და არა საკუთარ წარმოსახვად (ლეპახინი 2002: 132).

ხატი და წმიდანის ცხოვრება-მარტვილობა, უპირველეს ყოვლისა, არა თვალისა და გონების საამებლად, არამედ რწმენის განსამტკიცებლად იწერება; ეს ხელოვნება ადამიანის უკვდავი სულის წვდომაა, დაწერილი სიტყვით, ფერით, წმიდანის სახის აქცენტებით, სხეულის მოძრაობით; ის ხელს უწყობს გონების იდუმალ თვითჩაღრმავებას და, გარკვეული აზრით, მისტიკური, ღვთაებრივი სულის პოეზიად აღიქმება. ფაქტობრივად, ეს ხელოვნება ამქვეყნად ჩენილ სასწაულს აღწერს, რაც ადამიანის სულის, რწმენის ასახვაა და არა რეალობის ანარეკლი. ხატწერისა და ნაწარმოებების პერსონაჟთა „წერის“ ერთ-ერთი საერთო ნიშანი ისიც არის, თუ როგორ დაინახავს შემოქმედი წმიდანს ღვთისგან წამიერად მინიჭებულ სინათლეში. ამიტომ ჰაგიოგრაფები შემოქმედებით ძალას თავიანთი ნიჭიდან კი არ იკრებენ, არამედ უფლის სიყვარულიდან. აქედან გამომდინარე, ხელოვანები საკუთარ ნაწარმოებს სულიწმიდის მადლით აღსრულებულ შემოქმედებით ნიმუშად მიიჩნევენ.

სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია შემდეგი ტიპის ხატები, რომლებიც სიუჟეტურად **სიტყვიერ ხატთა ხატებანი** არიან:

1. **მონოსტრუქტურული** ხატები – მათზე მხოლოდ ერთი პერსონაჟია გამოხატული: მაცხოვარი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ან რომელიმე წმიდანი; პარალელურად არსებობს ისეთი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებიც მხოლოდ ერთი წმიდანის ღვაწლის შესახებ მოგვითხრობენ, მაგალითად, „წმ. შუშანიკის წამება“, „წმ. აბოს მარტვილობა“;

2. **ორკარედები, ანუ ე.წ. დიპტიქონები** – მაგალითად, იესო ქრისტე და ღვთისმშობელი; ჰაგიოგრაფიაშიც ხშირია სათაურებშივე ორი წმიდანის სახელის გამოტანა: „ცხორებაჲ იოანესი და ეფთვიმესი,“ „მარტვილობაჲ დავითისაჲ და ტირიჭანისი“ და სხვ.

3. **სამკარედები, ანუ ტრიპტიქონები** – მაგალითად, ხახულის სამკარედი ან მღვიმევის (XIII ს.) სამკარედი დეისუსი, რომელსაც ტრიმორფიონი, ანუ სამხატეული უწოდა სპირიდონ ლამბრიოსმა (მე-18 ს.). სამკარედული, ტრიპტიქული სტრუქტურაა წარმოდგენილი „წმ. აბოს მარტვილობაში:“ I თავში (იკონოგრაფიული ასპექტით I კარედში) ჰომილიაა, II-III თავებში – ჰაგიოგრაფიული თხრობა, IV თავში – ქება;

4. **ცენტრალურ-ციკლური სტრუქტურის ხატები** – შუაში წმიდანია გამოხატული, ხოლო ირგვლივ, მედალიონების მსგავსად, ცალკეული ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან. მაგალითად, წმ. გიორგის, წმ. ნიკოლოზის და სხვ. მსგავსი ტიპის ხატები. ასეთია „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ – თხზულების ცენტრში წმ. გრიგოლია, ხოლო მის გარშემო სხვადასხვა ეპიზოდი არაქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის გადმოცემული. შედარებით მოგვიანო ხანაში შემუშავდა წმ. ხატების აშიებზე წმიდანთა ცხოვრების ეპიზოდების გამოსახვის ესთეტიკური პრინციპი, რომელიც ხატის „გახსნას“, ცენტრში მყოფი მოღვაწის განდიდებას ემსახურება, თუმცა მთავარი მაინც წმიდანის ცენტრალური ხატია და არა აშიებზე მოცემული მისი ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები;

5. **ისტორიის გადმომცემი ხატები** – ისინი ვრცელ ამბავს გვაუწყებენ წმიდანების ცხოვრებიდან. ასეთი იკონოგრაფიული გამოსახულებები განსაკუთრებით რუსეთშია გავრცელებული; საქართველოში კი ამ სტრუქტურის ხატია საქართველოს ეკლესიის დიდება. შესაბამისად შექმნილია ისეთი ჰაგიოგრაფიული თხზულებები, რომლებშიც ერთდროულად რამდენიმე წმიდანზეა საუბარი, მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჰაგიოგრაფიული ნაწილი (მეტრეველი 2008: 19-20).

დასკვნის სახით შევნიშნავთ: ღმერთმა ეს ქვეყანა სახილველად შექმნა, მერე კი, ხილული ერთმანეთისთვის რომ გაგვეზიარებინა, სიტყვის უნარი მოგვანიჭა; ადამიანი სიტყვით თხზავს ამბებს, სიტყვით შთაგონებული ქმნის ხელოვნების ძეგლებს, წერს ხატებს (შემოკლებულ მოსახსენებლებს – წმ. იოანე დამასკელი); ქრისტიანული კულტურის უპირველესი ამოცანა ღვთის, ადამიანისთვის „მსგავსებისა და ხატის“ მომნიჭებლის, ძიებაა, სამყაროს იმგვარი აღქმაა, როგორსაც მას ღმერთი ხედავს; სიტყვისმწერისა (logografos) და ხატმწერის (zografos) მიერ შექმნილი ნიმუშები ადამიანისთვის გონებით შესამეცნებელიც არის, სულიერი თვალით აღსაქმელიც, ღვთისგან განწესებული სამყაროს მელოდიის განცდაც და სანთლის შუქზე წარმოთქმული ლოცვად აღვლენილი სიტყვაც.

ლიტერატურული სახე და „ხილული უხილავი“ ხატი არის ჭვრეტა იმისა, რაც ადამიანის სულმა ქვეცნობიერად იცის; ისინი გვაფიქრებენ საკუთარ შიდა ბუნებაზე, აჩვენებენ სულიერ აზრს და არა გამოსახულების სამყაროს. ამ გზით

„ხორციელდება ჭეშმარიტ სიტყვად და ხატად ქცეული რწმენის შთანერგვა“ (წმ. იოანე დამასკელი 2000:307). საბოლოოდ კი იკონოგრაფიული ნიმუშები ვერგამოხატვის, მიუწვდომლობის განწყობილებას გვინერგავს და არა გამოხატულებით ტკბობის განცდას – ისინი ხილულისა და უხილავის მრჩობლი ერთიანობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წმ. იოანე დამასკელი 2000 – წმ. იოანე დამასკელი, მართმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბილისი, 2000;
2. სირაძე 1975: რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბილისი, 1975;
3. ბიჩკოვი 1981: ვ.ვ.ბიჩკოვი, გვიანანტიკურობის ესთეტიკა, მოსკოვი, 1981 (რუსულ ენაზე);
4. ნემესიოს ემესელი 1914: ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ტფილისი, 1914;
5. შატბერდის კრებული 1979: შატბერდის კრებული X საუკუნისა, თბილისი, 1979
6. ლეპახინი 2002: ვ. ლეპახინი, ხატი და ხატისებრიობა, სანკტ-პეტერბურგი, 2002 (რუსულ ენაზე);
7. ჭელიძე 2001: ე. ჭელიძე, მართლმადიდებლური ხატმეტყველება, თბილისი, 2001;
8. არქიმანდრიტი რაფაელი 1977: არქიმანდრიტი რაფაელი, საუბრები მართლმადიდებლობაზე, II, თბილისი, 1997;
9. ძეგლები 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1963;
10. იოანე მინჩხი 1987: იოანე მინჩხის პოეზია, თბილისი, 1987;
11. ალექსიძე 1976: ა. ალექსიძე, ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო, თბილისი, 1976;
12. მეტრეველი 2001: ს. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის იკონოგრაფიული სახისმეტყველება, თბილისი, 2008;



შალვა ქიქოძე, „ავტოპორტრეტი“



თამაზ ბელიტაშვილი

„ლურჯა ცხენების“ კონცეპტი გალაკტიონის შემოქმედებაში

მე არაერთხელ მქონია ფრთები
თავბრუდამხვევი სიმღერით მქროლი.
გალაკტიონ ტაბიძე

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების უკიდურესი ექსპრესიულობისა და მხატვრული მრავალფეროვნების კვალდაკვალ მკაფიოდ საცნაურდება სინტაქსური ერთეულის – ლურჯა ცხენების – ჭარბი გმოყენება, თუმც ქართული ლიტერატურის მკვლევართა უმეტესობის ყურადღება მხოლოდ ლექს „ლურჯა ცხენების“ ინტერპრეტაციისკენ, მისი აზრობრივი შინაარსის ძიებისა და ამოკითხვა-ამოცნობისკენ იყო მიმართული. ასე გრძელდება დღესაც.

ლექსში „ლურჯა ცხენები“ ზოგი ლიტერატურათმცოდნე „გალაკტიონის პოეზიის უკვდავ ბუნებას“ ხედავდა (გურამ კანკავა); ზოგი – „ბედისწერით დადგენილი საზღვრების გარღვევასა“ და „ადამიანური შეზღუდულობის დაძლევის პათოსს“ (მიხეილ კვესელავა); ზოგი – „სულის უკვდავებას, სულის მარადიულ ქროლვას“ (ირაკლი კენჭოშვილი).

რევაზ სირაძის აზრით, გალაკტიონის „ლურჯა ცხენებში“ აშკარად შეიმჩნევა რუსი მხატვრის, ვასილი კანდინსკის, ნახატის „ლურჯი მხედრების“ გავლენა, თუმც წერილში „გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ და ვ. კანდინსკის „ლურჯი მხედარი“ მკვლევარი იმასაც აღნიშნავდა, რომ: „გალაკტიონის ლურჯა ცხენებისა“ და მხატვარ ვასილი კანდინსკის „ლურჯი მხედრების“ ინტერტექსტუალური წაკითხვის საფუძველს ქმნის არა იმდენად ურთიერთმსგავსი სახეები (ლურჯა ცხენები – ლურჯი მხედარი), არამედ განსახოვნების არასაგნობრიობა და განყენებულობა“.

რა თქმა უნდა, გალაკტიონისთვის, როგორც სიმბოლისტი პოეტისთვის, უცხო არ არის გამოსახვისა და აზროვნების აბსტრაქტული მანერა, მაგრამ ჩემს მიზანს ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ამ აბსტრაქციის შინაარსის ამოხსნა წარმოადგენს მხატვრული სახის, „ლურჯა ცხენებისა“ და ამავე სახელწოდების ლექსის მაგალითზე.

სინტაგმა „ლურჯა ცხენები“ გალაკტიონმა პირველად ზემოდასახელებულ ლექსში გამოიყენა, 1915 წელს (ლექსი ამ წლით თარიღდება, პირველი პუბლიკაცია კი 1916 წლით. [ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, №1]) და მას შემდეგ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს საკმაო სიხშირით იყენებს მგოსანი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, გალაკტიონისეული სიტყვათქმნადობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული პოეტური სახეა, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ მისი სახისმეტყველებითი შინაარსი მხოლოდ ერთი ლექსის განხილვა-გაანალიზებასა და კონცეფციურ მსჯელობაზე არ დავიყვანოთ.

გალაკტიონი რომ შექმნილი არ იყო მიწიერი, რაციონალური ყოფისთვის („ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა“ – „ეფემერა“), ის ფაქტი, რომ ემპირიული სამყარო მისთვის ხშირად უდაბნოს (= სიცარიელეს), ქაოსს, ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა, „ღრიანცელს“ („ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელაღმართული“ – „ეფემერა“) წარმოადგენდა, ეს არც უცხოა ვინმესთვის და არც ახალია. ამიტომაც ამ საკითხზე აღარ შევჩერდები. მხოლოდ მისი შემოქმედებიდან რამდენიმე სტრიქონს შევახსენებ მკითხველს:

სიყმაწვილეში მე ვჭკნებოდი, როგორც ფოთოლი,
ობოლი ვიყავ მე მაშინაც სულით ობოლი.
...
დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა.
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა.
...
ო, სად ხარ, სადა უჩვეულო რაიმე ძალო,
სიცარიელის შავი ნისლი რომ გამაცალო.
(„უდაბნო“).

ან:

საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?
(„სად?“).

პოეტური ჰანგებით „დასნეულებული“ მგოსნის ეგზისტენციალური სულისკვეთებისთვის ხშირად მეტად უინტერესო, უშინაარსო იყო მიწიერი ყოფის კონცეფციური არსი (ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას სიყმაწვილიდანვე ჰქონდა მისწრაფება სუიციდისკენ) და ისიც შთაგონებით, ილუზიური წარმოსახვით ქმნიდა მხოლოდ მისეულ, მისთვის სასურველ იდეალურ სამყაროს: „ერთი შეხედვითაც შეატყობდით სხვა კაცი იყო. როდესაც გესაუბრებოდათ, თითქოს სხვაგან იმყოფებოდა და ეს „სხვაგან“ იყო მისი სავანე“ (ვახტანგ ჯავახაძე). ამიტომაც ხშირად ეფემერული, ამავდროულად ვიზიონერული ხედვით იყო გამსჭვალული მთელი მისი შინაგანი მსოფლგანცდის არეალი. ამბობდა კიდეც:

მოხდება ხოლმე, ცა მიზიდავს
განუსაზღვრელი,
ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში
არა მყავს ტოლი.
ვბრძანებ: ტყის შქერში გაჩუმდება
ნიავი ნელი.
ვიტყვი და თრთოლვად გადიქცევა
ვერხვის ფოთოლი.
(„შემოქმედება“).

მიღმიურისკენ, ტრანსცენდენტულისკენ ლტოლვა წარმართავდა გალაკტიონის გრძნობათა ბუნების ჰარმონიულობას („ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელაღმართული, / ლანდი არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა“ – „ეფემერა“).

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ **მგოსნის დაუოკებელი სწრაფვა მიკროკოსმიურ საზღვრებს მიღმა ხშირად ლურჯა ცხენებით ხორციელდება.** სწორედ ეს ფაქტი მაფიქრებინებს, რომ **მხატვრული სახე – ლურჯა ცხენები – გალაკტიონის შემოქმედებაში ღვთაებრივი ნიჭით მადლფენილი პოეტური ზეშთაგონებაა, პოეტური აღმაფრენის უკიდეგანო გამოვლინებაა.** ამგვარი მოსაზრების მართებულობაში გალაკტიონის შემოქმედებიდან რამდენიმე მაგალითის მოხმობა და მათი აზრობრივი შინაარსის სკრუპულოზური განხილვა-გაანალიზება დაგვეხმარება.

ლექსში „ეფემერა“ შთაგონებამოგვრილი მგოსნის პათოსი პოეტური დიდებისა და გამარჯვების ემოციური მუხტით არის აღბეჭდილი:

*ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი **ლურჯა ცხენები***
ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით...

მოცემულ სტრიქონებში „ცხენთა შეჯიბრება“ საუკეთესო ლექსის, შედევრის შექმნის აღტყინებულ პროცესსა და მხატვრულ პაექრობაში ჩაბმას აღნიშნავს, სადაც, გალკტიონის ხედვით, თავისი ლურჯა ცხენების, ანუ შთაგონების რიტმულობით, ტემპერამენტით, გრძნობათა დინამიკურობით, სტილური ორიგინალობითა თუ ემოციური მუხტის ამაღლებული ჰარმონიულობით მხოლოდ ის არის გამარჯვებული:

იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები
ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები.
...
ლექსთა შეჯიბრებაზე – მხოლოდ ინტეგრალები
ცხენთა შეჯიბრებაზე – ისევ ლურჯა ცხენები.

პოეტის ეგზალტაცია აშკარაა. ის უზომოდ კმაყოფილია და ამავდროულად „ძლიერ წუხს“ („ვწუხვარ: ერთადერთი ვარ...“), რომ საუკუნეების განმავლობაში მისი მსგავსი პოეტური სიმაღლეები ჯერ არც ერთ მგოსანს არ დაუპყრია, მხოლოდ ის არის ერთადერთი. ამგვარი პათეტიკური, გნებავთ, ამბიციური ტონი გალაკტიონის მხრიდან უცხო არ არის. ასეთი პიროვნული პათოსით არის აღბეჭდილი მთელი მისი შემოქმედება. ეს არცაა გასაკვირი – ის ხომ საკუთარ თავს პოეტების (პოეზიის) მეფეს უწოდებდა. გავიხსენოთ „მთაწმინდის მთვარე,“ სადაც საკმაოდ ხმამაღალ განაცხადს აკეთებს: „მე მეფე ვარ, და მგოსანი...“ მეტიც, შთაგონების სანეტარო ბურუსში გახვეული მიწიერ ღმერთადაც კი მიიჩნევს თავს:

მზე ჩემთვის ბრწყინავს და მეფე ვარ
ყოვლისმომქმედი...
ჩემს ხელში არის მაშინ ჩემი
მძვინვარე ბედი,

ქვეყნად ყოველი არსის სული
მემორჩილება...
ო, უძლეველო დიდო წამო
შემოქმედების,
ახლა ყველაფერს... ყველაფერს ვქმნი
ახალი ღმერთი!
(„შემოქმედება“)

ლექსში „ეფემერა“ ვკითხულობთ:

ბედი – ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ***ლურჯა ცხენები.***
ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება
ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება.
სულს სწყურია სიზვარი, როგორც უსიზვროებას..
წინ! იმ უსაზღვროებაში მწუხარებას აიტან
ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები.

მოცემული ფრაგმენტის უტრირებას თუ მოვახდენთ, ცხადი და ნათელი გახდება, რომ საუბარი მუზის წვევას, შთაგონებით აღმაფრენას შეეხება. **„ბედი – ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია“,** – მიგვანიშნებს, რომ ცხოვრება გალაკტიონისთვის აზრსმოკლებულია ქროლის, ე. ი. **შთგონების (ლურჯა ცხენების)** გარეშე – „ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები“. რაც შეეხება „ქაოსში დაკარგული“ მგოსნის ვერმიგნებას, აქ მკაფიოდ საცნაურდება მეწყერივით მოვარდნილი პოეტური აღმაფრენის, შთაგონების ნისლით შებურვილი მიწიერი შემოქმედის წვა და დაგვა, ის ენერგეტიკული იმპულსი, რითიც აბსურდულ ქაოსს (ლექსის შექმნის პროცესს ვგულისხმობ) წესრიგის, მხატვრული ქმნილების ფორმა და სახე ეძლევა, რითიც მუზის დამორჩილება ხდება. ამიტომაც მოუწოდებს იგი საკუთარ **პოეტურ ხმას, შთაგონებას, ანუ „ლურჯა ცხენებს“** ახალი შედევრების შექმნისკენ – „ცხენთა შეჯიბრებისკენ“!

ცხენთა შეჯიბრება ზე! ცხენთა შეჯიბრება ზე!
ცხენთა შეჯიბრება ზე გასწით, ლურჯა ცხენებო!

ანალოგიური დატვირთვა აქვს ლურჯა ცხენებს ლექსში „დრო,“ სადაც ლირიკული გმირის მიერ პოეტური პარნასის დაპყრობა მხოლოდ შთაგონებაზეა დამყარებული:

მსუბუქი ტალღები და ***ლურჯა ცხენები!***
შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის,
როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები.

როგორც ვხედავთ, ერთადერთი ფაქტორი განსაზღვრავს გალაკტიონის დიდებასა და უკვდავებას – ლექსი, რომელიც, ცხადია, შთაგონების გარეშე ვერ შეიქმნება.

შთაგონებას, პოეტურ აღმაფრენას აღნიშნავს, აგრეთვე, ლურჯა ცხენები ლექსებშიც: „ნუგეში“, სადაც მგოსანი ამბობს: „შევიდე უცხო სიმსუბუქეში, / გამომყვეს **ლურჯა ცხენების** მტვერი“ და „ვინ არის ეს ქალი?“ – „მიმაფრენდა ნაპირებზე **ლურჯა ცხენი**“.

თუ ლურჯა ცხენების სახისმეტყველებას შთაგონებასთან, ანუ პოეტურ აღმაფრენასთან მივყავართ, მაშინ ლოგიკურია ცხენების ფერიც – ლურჯი. განმარტებით ლექსიკონებში ლურჯა არის ისეთი ცხენი, რომელსაც ლურჯი ფერი გადაჰკრავს. ვინაიდან ზეშთაგონება ყოველთვის რომანტიკულობის უსამანო გამოვლინებაა, ამიტომაც ასოცირდება იგი ლურჯ ფერთან, რამეთუ ლურჯი და ცისფერი პოეზიაში, განსაკუთრებით კი რომანტიკოსებთან და სიმბოლისტებთან (მაგ. ბარათაშვილის „ცისა ფერს“ და „ცისფერყანწელები“), გაბატონებულია, როგორც რომანტიკული ფერები. გალაკტიონიც ამ მისთვის სათაყვანო ფერებს იდეალური სამყაროს სიმბოლოდ სახავდა. მისი შემოქმედების მრავალფეროვან თემატიკაში, რომელიც აღსავსეა განუმეორებელი პოეტური ინტონაციებით, რიტმის უმახვილესი გრძნობით, მუსიკალური ფერადოვნებითა და ორიგინალური ფერთა მეტყველებით, განსაკუთრებულად არის აქცენტირებული ლურჯი ფერი. წინამდებარე ნარკვევი ვერ დაიტევდა, ყველა იმ ლექსის დასახელება რომ მეცადა, რომლის მხატვრულ გამომსახველობაშიც სტიქიურად იჭრება ლურჯი ფერი. მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის მოხმობით შემოვიფარგლები;

ცა ლურჯი, ასე უსაზღვროდ ლურჯი...
(„ციხის ნანგრევებთან“).

ლურჯ ზღაპრივით ხავსი ფარავს დაწერილ წისქვილს...
(„ძველი წისქილი“).

იქ ლურჯ კუნძულებს დაენახვება
ხან სიზმარივით, ხან ნაფოტივით...
(„ძველი მოტივით“).
ველად ყრია ლურჯი კომში
და ცისფერი ატამი...
(„ომნიბუსით“).

ტბას დაეცა ლურჯი ნისლი, მსუბუქი და გამჭვირვალე..
(„განთიადზე“).
განთიადს სძინავს ლურჯ სარეცელზე...
(„ახალ ცისკართან“).

ლურჯ მთების ზოლი ლურჯ ცის სივრცეში
შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლაკნება,
ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები
ლურჯ ტყიან ნაპირს აქცევს, აკვდება...
(„გემზე“).

ასევე მრავლად არის გამოყენებული ხატოვანი გამოთქმები: „ლურჯი იორი“; „ლურჯი ბურუსი“; „ლურჯი ნიავქარი“; „ლურჯი იალქნები“; „ლურჯი ანგელოზები“; „ლურჯი დღე“; „ლურჯი მერანი“ და ა. შ. უამრავი ასეთი მხატვრული სახის დასახელება შეიძლება. გალაკტიონი ხომ სიტყვათქმნადობის ნამდვილი ჯადოქარი იყო. ასე რომ, შეიძლება ითქვას, გალაკტიონის შემოქმედების მთელ რომანტიკულ მგრძნობელობას ელფერს აძლევს ლურჯი ფონი.

•

როგორც ითქა, გალაკტიონის ეგზისტენციალური მსოფლგანცდა, მთელი მისი პიროვნული თუ პოეტური „მე“ სხვა, მხოლოდ მისეული სამყაროს გამუდმებული ძიებით იყო აღბეჭდილი. რეალისტური ყოფის ამაოების ნისლს იგი ლურჯად შეფერილი ირაციონალური მიღმურობისკენ სწრაფვით ფანტავდა. მის შემოქმედებაში ხშირია ასეთი მისტიკური გარდასახვები. აქვე უნდა შევნიშნო, რომ გალაკტიონის პოეზიისთვის დამახასიათებელი არ არის გრძნობათა ერთფეროვნება, თუ ზემოთ მოხმობილ ლექსებში აშკარაა პოეტის მგზნებარე, ოპტიმისტური პათოსი და კონკრეტული მიზნისკენ სწრაფვის სიცხადე, იმ მხატვრულ ნიმუშებში, რომელზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა, სკეპსისსა და იმედგაცრუებას ამოიკითხავს მკითხველი. გრძნობათა ასეთი გაორება მუდმივად შეინიშნება გალაკტიონის შემოქმედებაში. ეს, ალბათ, არც არის გასაკვირი, რადგანაც ზოგადად ლექსი პოეტის განწყობას, მის კონკრეტულ სიტუაციურ განცდას ამჟღავნებს. პოეტის გრძნობისა და განცდის იმპულსურობა, საკუთარ ვნებათა ტყვეობაში მოქცეული აზროვნების საზრისი ვერ იქნება ერთგვაროვანი, ის ვერ მოექცევა საგანგებოდ დამუშავებულ, რაფინირებულ ჩარჩოებში.

ლექსში „მგლოვიარე სერაფიმები“ ნაჩვენებია სულთა სამყოფლიდან „მიწაზე დაბრუნებული“ ლირიკული გმირის განცდები. ის ამქვეყნიურ ცხოვრებას „სამშობლოს“ უწოდებს:

ერთხელ ზმანებით მე ამოველ ბნელ სამარიდან.
მე მოვდიოდი სამშობლოსკენ გზებით ირიბით,
ჰაერში კვნესდა დაწყვეტილი წვიმის სიმები
და სასაფლაოს ძეგლებიდან მწუხარე რიგით
მე მომყვებოდნენ და სტიროდნენ სერაფიმები.

ტრაგიკული სიმძაფრით ასახული სკეპსისი და ნიჰილიზმი აშკარაა. პოეტმა ვერც მიღმურ და ვერც მატერიალურ სამყაროში ვერ მოიპოვა სულის სიმშვიდე, თუმც მგოსანი აქვე შენიშნავს, რომ მისთვის ამქვეყნიური ყოფის ერთადერთ სიამეს, სიცოცხლის ერთადერთ საზრისს მხოლოდ შემოქმედებითი პროცესი, შთაგონებით მოგვრილი ეგზალტაცია წარმოადგენს. ისევე, როგორც სხვა პოეტურ ნიმუშებში, „მგლოვიარე სერაფიმებშიც“ ლურჯა ცხენები სწორედ შთაგონებას აღნიშნავს. ამას ლექსის შემდეგი სრტიქონები ცხადყოფს:

ყოველი წვეთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით;
ლურჯა ცხენებით *თუ გაფრენდა გრძნობათ სინაზე.*
იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით
და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე.

სწორედ წარმავლობის სევდით აღძრული დაეჭვება და პესიმიზმია გადმოცემული გალაკტიონის სიმბოლისტურ ლექსშიც – „ლურჯა ცხენები,“ რომელზე მსჯელობითაც დავიწყე წინამდებარე ნარკვევი და სადაც პოეტი დეტალურად აღწერს იმ სულისშემძვრელ მელანქოლიურ განწყობას, რაც მან „სამუდამო მხარეში,“ ანუ საიქიოში წარმოსახვითი მოგზაურობის ჟამს განიცადა. ლექსი მთლიანად ეფემერული განწყობისაა და მასში გალაკტიონის ვიზიონერული ხედვის, პოეტური წარმოსახვის შთაბეჭდილებები აირეკლება. ამიტომაც ჰქვია მას **„ლურჯა ცხენები“, ანუ პოეტური შთაგონება.**

„ლურჯა ცხენების“ პირველ ორ სტრიქონში თითქოს გამჟღავნებულია გალაკტიონის წარმოდგენა თუ სწრაფვა სამუდამო მხარის იდუმალებით მოცული მშვენიერებისკენ: „როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი, / ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!“, თუმცა მომდევნო ტაეპებში მთლიანად ქარწყლდება ეს მცდარი წარმოდგენა და პოეტური რეპორტაჟი ჯოჯოხეთის საშინელებათა ლაბირინთებიდან ხორციელდება:

შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
...
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!

მიუხედავად იმისა, რომ ლირიკულმა გმირმა სამოთხის ჩამავალი მზით ნაფერი სილამაზე იხილა („ელვარებდა ნაპირი“), რწმენის კრიზი-

სით გამოწვეული სკეპსისი და უიმედობა აშკარა და თვალნათელია – სულთა საუფლოში, „სამუდამო მხარეში“ მან ვერ იხილა ის დაპირებული, ენით აუწერელი ნეტარება („არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი“), რაც სასუფეველში მოხვედრის შემდეგ ელოდა. ამქვეყნიური ამაოებით მოგვრილ კაეშანს ვერც სულთა სამყოფელში გაიქარვებს პოეტი, ვერც იქ პოვებს სულის სიმშვიდეს, ვინაიდან იქაც ისეთივე ცივი და მიუსაფარი მდუმარება დახვდა გამეფებული, ისეთივე სევდა-კაეშანი და უსასოება, რასაც რეალურ განზომილებაში განიცდის:

სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც გულს უხარია.

საიქიო ყოფის ამგვარი აღქმა, ერთი შეხედვით, მოულოდნელია სასულიერო სემინარიაგამოვლილ, ქრისტოლოგიაში გაწაფული პოეტისთვის, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად გასათვლისწინებელია: გალაკტიონი იმ ეპოქის შვილია, როცა საზოგადოება ერთი დილემის – ღმერთის არსებობა-არარსებობის – წინაშე აღმოჩნდა. ამიტომაც გალაკტიონის სიმბოლისტურ პოეზიასთან მკვეთრად არის შენივთებული ნიცშესეული დებულება: „ღმერთი მოკვდა!“ „ლურჯა ცხენებიც“ ამ ყაიდის ლექსთა ციკლს მიეკუთვნება. ლექსის კონცეფციური შინაარსი თუ არქიტექტონიკა რწმენის კრიზისით არის გამსჭვალული. სასოწარკვეთილი პოეტი ორივე განზომილებაში ეძიებს ღმერთს, არაქვეყნიურ, უცხო, შორეულ ლანდს (როგორც თვითონ უწოდებს ლექსში „ლანდი არაქვეყნიური“). ასევე რწმენის კრიზისით მოგვრილი ყოვლისმომცველი ნიჰილიზმი და დაეჭვება ათქმევინებს გალაკტიონს 1922 წელს დაწერილ ლექსში „სამშობლო შავი ლიუციფერის“ – „არასდროს ჩვენთან აქ არ ყოფილა ნაზარეველი“. ამიტომაც არის „ლურჯა ცხენებში“ მის მიერ აღქმული საიქიო ასე მკვეთრად გამოხატული მწუხარე პოეტური მგრძნობელობით, თუმც, როგორც უკვე ითქვა, ღვთაებრივ ჭეშმარიტებაში დაეჭვება გალაკტიონთან მუდმივი არ არის, ამგვარ სკეპსისს მის შემოქმედებაში ხშირად ენაცვლება რწმენისა და სასოების ძიება. მაგალითად, იმავე „ლურჯა ცხენებში“ ერთადერთი იმედი, რასაც კი „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებითა“ და უსულდგმულო დღეებით სავსე მწუხარე „სამუდამო მხარეში“ განიცდის პოეტი, ღმერთის ძიება, ღვთაებრივი ნათლის მოლოდინია („მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა“). რწმენისა და სასოების პათოსია გამოხატული ლექსშიც „რაც უფრო შორს ხარ“ („რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები! / მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი...“).


აღნიშნული საკითხის შესახებ ამირან გომართელი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: „ლურჯა ცხენები“ პოლემიკაა „მერანის“ ავტორთან. მაგრამ არც გალაკტიონის სკეპსისია მყარი და მუდმივი. იგი ჟამიდან ჟამზე იტყვის: „თუ გინდა ჯვარს ეცვი, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“ (ამ დროს მისი განცდა უფრო ტრაგიკულია, ვინემ ბარათაშვილისა), მაგრამ დროდადრო ღვთაებრივი სამყაროს არსებობის რწმენაც კიაფობს მასში“.

•

„ლურჯა ცხენებში“ არის ასეთი ფრაზა: „მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!“ რაც უმალ ბადებს კითხვას: რას უნდა ნიშნავდეს ეს მშრალი რიცხვები? ლოგიკური თვალსაზრისით, ადამიანისგან სიკვდილის შემდეგ რაც რჩება სამუდამოდ, ეს არის ერთადერთი რამ, მცირე ინფორმაცია, საფლავის ქვაზე მიწერილი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ გალაკტიონი სწორედ ამ მშრალი, არცთუ ისე ბევრისმთქმელი ციფრების შესახებ საუბრობს.

როგორც ვხედავთ, გალაკტიონისთვის არც მეორე, მიღმური, „სამუდამო მხარე“ თუ სამყარო აღმოჩნდა მიმზიდველი. მისთვის მიწიერი ყოფაცა და ვიზიონერული წარმოსახვაც, ქვესკნელიცა და ზესკნელიც ერთნაირად წარმოადგენს ფატალურ, ბედისწერით შემოსაზღვრულ არეალს. ორივე ერთნაირად დაგმობილი, შენაჩვენები და მიუღებელია („ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები“).

ამდენად, როგორც ზემომოხმობილი პოეტური ნიმუშების ანალიზმა ცხადყო, მხატვრული სახის – ლურჯა ცხენების – შინაარსი შთაგონების ექსპრესიას აღნიშნავს. ის პოეტური აღმაფრენის სტიქიური ქაოსია, ისეთივე მგრგვინავი და წყვილად მქროლავი, როგორც ველური, გაუხედნავი და დაუმორჩილებელი ურა ულაყები. ამიტომაც გამოირჩევა ეს სახე, პოეტურ ლიცენციად (ოკაზიურ ფორმად) ქცეული ეს სინტაქსური წყვილი არა მარტო ტევადი შინაარსით, არამედ ყველგან, ყველა შემთხვევაში გასაოცარი მუსიკალური ჟღერადობითა და რიტმული ინტონაციით, გალაკტიონის ოკაზიონალიზმებით სავსე პოეზიისთვის დამახასიათებელი მეტყველების ფერადოვნებით.



ღევან ბრეგაძე

ჩანაწერები ჩანაწერებზე

მუხრან მაჭავარიანი პირად ურთიერთობაში ბრძენკაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გამიძლიერდა, როდესაც მისი ჩანაწერების წიგნი „ჩვეულებრიობით არაჩვეულებრივი“ წავიკითხე, პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული (გამოვიდა 2014 წელს გამომცემლობა „ინტელექტის“ პოპულარული სერიით „ჩანაწერები,“ მწერლის ქალიშვილის, ნანა მაჭავარიანის რედაქციითა და ბოლოსიტყვაობით). აზროვნების სიღრმისა და ობიექტურობის ნიმუშად ისიც გამოდგება, რაოდენ მართებულად აფასებს ჩანაწერების ავტორი კრიტიკისა და ლიტერატურის სხვა დარგების ურთიერთმიმართებას. ჯერ ეს აღიარება ნახეთ:

„ჩემზე ძალიან ბევრი დაწერილა დადებითიც და უარყოფითიც. და, უნდა ითქვას, ორივეს (დადებითსაც და უარყოფითსაც) დიდი ზეგავლენა მოუხდენია (ზოგჯერ ჩემს უნებურად) ჩემს შემდგომ შემოქმედებით მუშაობაზე“.

ვის წამოაცდენინებ ამას!

შესაძლოა დადებითი შეფასებების მნიშვნელობა და საჭიროება აღიარონ, მაგრამ... უარყოფითის?!. წამოაცდენინებ კი არა, ამგვარ რამეს გულშიაც არ გაივლებენ, რაც იმის ნაკლებობის შედეგია, ყველას რომ არც მოეთხოვება – სიბრძნის ნაკლებობისა.

საყოველთაოდ იყო გავრცელებული მოსაზრება, რომ ჩვენში სალიტერატურო კრიტიკა „კატასტროფულად“ ჩამორჩებოდა ხარისხით პოეზიასა და პროზას – ყველა ამას იმეორებდა. გონიერება გვკარნახობს, რომ შეუძლებელია ასე იყოს, ვინაიდან მხატვრული შემოქმედება და მისი კრიტიკა განაპირობებენ ერთმანეთის წარმატება-წარუმატებლობას. მუხრან მაჭავარიანი, შესაძლოა, თანამედროვე მწერალთაგან ერთადერთი იყო, ვისაც ამ საკითხზე მართებული შეხედულება ჰქონია. მოვუსმინოთ:

„თანამედროვე ქართული მხატვრული ლიტერატურა და კრიტიკა ერთსა და იმავე დონეზე დგას.

მეორეთი (კრიტიკით) გაპირობებულია პირველის (მხატვრული ლიტერატურის) დონე...“

და, ნახეთ, ბრძენკაცი ამის შემდეგ რას წერს:

„...უმესამეობით (კრიტიკის კრიტიკის უქონლობით) – დონე ორივესი [არის გაპირობებული]. ორივეს დონეს საგრძნობლად ასწევს კრიტიკის კვალიფიციური კრიტიკა“.

1968 წელს შესრულებულ ამ ჩანაწერს სათაურად „კრიტიკის კრიტიკა“ უზის. ანუ რის ნაკლებობას უჩივის მუხრან მაჭავარიანი? ლიტერატურული პოლემიკის ნაკლებობას, უკეთ – არარსებობას, ვინაიდან სწორედ პოლემიკა (არამარტო ლიტერატურული) იყო ლამის აკრძალული მაშინდელ საბჭოთა კავშირში. მწერლების არც ქებას, არც ძაგებას არ ერიდებოდა საბჭოთა იდეოლოგია, პოლემიკა კი სხვა იყო, ვინაიდან, ვინ იცის, იქნებ კამათში მართლა დაბადებულიყო ჭეშმარიტება და... მაშინ?..

პოლემიკის (კრიტიკის კრიტიკის) არარსებობა, მუხრან მაჭავარიანის მართებული შენიშვნით, აფერხებდა მთელი ქართული მწერლობის (პოეზიის, პროზის, კრიტიკის...) განვითარებას.

ამდენად, კრიტიკის კრიტიკის (პოლემიკის) მოთხოვნა იმდროისთვის დისიდენტური მოთხოვნა გახლდათ.

(1954 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე გამართულ პოლემიკას, რომელიც

ვენორი ქვაჩახიას წერილით „რატომ ჩამორჩება ლიტერატურული კრიტიკა?“ დაიწყო, გაზეთის რედაქტორის, მიხეილ კაკაბაძის, თანამდებობიდან გათავისუფლება მოჰყვა. ამის შემდეგ კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე არლი თაყაიშვილი 1968 წელს „ცისკრის“ მე-4 ნომერში თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თაობაზე პოლემიკას დაუდებდა სათავეს წერილით „ენა ძველი, ენა ახალი“. მუხრან მაჭავარიანის ზემოთ ციტირებული ჩანაწერი 1968 წლის 22 იანვრით არის დათარიღებული და, ამრიგად, არლი თაყაიშვილის წერილით გამოწვეულ პოლემიკაზე ადრინდელია).

•

1973 წელს მუხრან მაჭავარიანს ჩვენში განათლების სავალალო მდგომარეობის თაობაზე ასეთი ჩანაწერი შეუსრულებია:

„...მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით რომ ვილაპარაკოთ, რატომ შეიწუხებს ბავშვი სწავლით თავს, როცა ხედავს ყოვლად უწიგნური ფუფუნებაში ცხოვრობს“.

1968 წელს „ცისკარში“ ამ თემაზე დაწერილი ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „გიგანტი“ დაიბეჭდა. პრობლემა, რომელზეც მუხრან მაჭავარიანი ამახვილებს ყურადღებას, დღემდე გადაუჭრელია ჩვენში პროტექციონიზმის არნახულად მაღალი დონის გამო – ეს მოვლენა (პროტექციონიზმი) ლამის ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელად იქცეს (თითქოს მართლა ჩვენზე იყოს დაწერილი აზდაკის ცნობილი სიმღერა ჩინოვნიკებზე ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრიდან:“ „ოთხამდე დათვლაც კი არ იციან, მაგრამ რვა თავ კერძს ნთქავენ ერთ ჯერზე“).

•

მუხრან მაჭავარიანის პოეზია ყოველთვის გამოირჩეოდა კრიტიკული პათოსით და, ბუნებრივია, მისი ნაკლებობა არც ამ ჩანაწერებში იგრძნობა. ეს ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ვინაიდან იმდენი მწარე და სამართლიანი საყვედური, რამდენიც მუხრან მაჭავარიანმა გაგვაგონა, კარგა ხანი იყო ქართველ კაცს თავისი პოეტებისაგან აღარ მოესმინა (ერთგან უწერია: „...ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს, ხშირ შემთხვევაში, მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზია უფრო ეპასუხება, ვიდრე თანამედროვე ლექსები“).

ერთი მისი დისიდენტური ლექსის თავგადასავალს პირველწყაროდან გაეცნობა ამ წიგნის მკითხველი. მხედველობაში მაქვს 1963 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში წაკითხული პაწია, ოთხსტრიქონიანი ირონიული ლექსი, რომელშიც ასეთი რამ იყო ნათქვამი: „გაუმარჯოს (...) საქართველოს მოთმინების ფიალას!“, რისთვისაც მისი ავტორი საბჭოთა იდეოლოგიის ერთგულმა მსახურებმა, ბუნებრივია, სასტიკად დაგმეს და ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორობიდანაც გაათავისუფლეს. ეს ლექსი დიდხანს ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, მიხეილ ქვლივიძის ასევე აკრძალულ ლექსს მიბმული („მაშ შენ ამბობ, რომ არ ჰყოლია მტრები რუსთაველს?“) და ორივე რატომღაც მუხრან მაჭავარიანს მიეწერებოდა. აი, საქართველოს მოთმინების ფიალაზე დაწერილი ამ ლექსის თავგადასავალს ვეცნობით ამ წიგნში, თვით „დამნაშავე“ ავტორის მიერვე მოთხრობილს.

საბჭოთა ეპოქას ჰქონდა განვითარების ეტაპები. ყოველი ახალი ეტაპი წინაზე ლიბერალური იყო. ახალ ხელისუფალთ თავიანთი თავის დასამკვიდრებლად და „ძველი“ პოლიტიკის არსებითად შეცვლის ილუზიის შესაქმნელად წინა ხელისუფლების გაკრიტიკება სჭირდებოდათ. და აი მუხრან მაჭავარაინს 1976 წელს საქართველოს პროფსაბჭოს მე-15 პლენუმის სხდომაზე შესაძლებლობა მისცემია, ნაწილობრივი(!) პასუხი გაეცა ცამეტი წლის წინანდელ ბრალდებაზე, რომელიც ამ ლექსის წარმოთქმისთვის წაუყენებია მისთვის საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის იმდროინდელ მთავარ იდეოლოგს:

„მოიწვიეს იდეოლოგიური თათბირი.

თათბირზე, რომელსაც მთელი რესპუბლიკის პარტაქტივი ესწრებოდა, მაშინდელმა ცეკას მდივანმა, – იდეოლოგიის დარგში, – მრისხანე სახით, სახალხოდ მიმართა ამ ლექსის ავტორს:

– რაო, ამხანაგო, რას ითმენს საქართველო?! –

გვაქვს ამდენი და ამდენი უმაღლესი სასწავლებელი!

ამდენი და ამდენი დაწყებითი და საშუალო სკოლა!

ამდენი და ამდენი ქარხანა!

ამდენი და ამდენი ამბულატორია!

ამდენი და ამდენი საავადმყოფო!

ამდენი და ამდენი ბიბლიოთეკა!

უფასოა სამედიცინო მომსახურება!

უფასოა სწავლა-განათლება!

და სხვა, და სხვა, და სხვა!..“

აქ მცირე ხნით შევწყვიტოთ ციტირება და ერთ რამეს დავაკვირდეთ: იდეოლოგი ცდილობს, პოეტის გამონათქვამის შედარებით ხელსაყრელი (თავისთვის ხელსაყრელი!) კონკრეტიზაცია მოახდინოს: ლექსში აშკარად გამოხატული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოტივის სოციალური მოტივით ჩანაცვლებას აპირებს, ვინაიდან ჰგონია, რომ ამ სფეროში უკეთ აქვს საქმე!

რაც შეეხება პოეტს და ბრძენკაცს, რომელმაც იცის, რომ იმ ლექსის უმთავრესი სათქმელის კონკრეტიზაციის დრო ჯერ არ დამდგარა (1976 წელს ეს ჯერ კიდევ ვერ მოხერხდებოდა), იგი ასე მოიქცა: იმჯერად მიიღო ცეკას იდეოლოგიური მდივნის ინტერპრეტაცია და დროების შესაფერისი პასუხიც გასცა კრიტიკოსს:

„ნება მიბოძეთ, პასუხი გავცე, – 10 წლის წინათ უპასუხოდ დატოვებულ, – ამ კითხვაზე! –

სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობა ღირდა ამდენი და ამდენი!

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, – ამდენი და ამდენი!

ვეტინსტიტუტში, – ამდენი და ამდენი!

პუშკინის ინსტიტუტში, – ამდენი და ამდენი!

ნებისმიერ ტექნიკუმში, – საშუალოდ ამდენი და ამდენი!

ცხვირის ოპერაცია, – ამდენი და ამდენი!

კუჭის ოპერაცია, – ამდენი და ამდენი!

რაიკომის მდივნად დანიშვნა, – ამდენი და ამდენი!

ტაქსის მძღოლად მოწყობა, – ამდენი და ამდენი!

იყიდებოდა საფლავის მიწაც კი;

ვაკის სასაფლაოზე დამარხვა ღირდა ამდენი და ამდენი!

დიღმის სასაფლაოზე, – ამდენი და ამდენი!

საბურთალოზე, – ამდენი!

კუკიაზე, – ამდენი! –

აი, რას ითმენდა საქართველო, ამხანაგო ყოფილო ცეკას მდივანო, – იდეოლოგიის დარგში!“.

ასეთია 1976 წელს გაცემული (როგორც ზემოთ ვთქვით, ნაწილობრივ გაცემული!) პასუხი მრისხანე შეკითხვაზე – „რაო, ამხანაგო, რას ითმენს საქართველო?!“.

გაივლის კიდევ თორმეტი წელი და ის დღეც დადგება, ამ პაწია ლექსის მთელი სათქმელის დაუფარავი კონკრეტიზაციაც გახდეს შესაძლებელი: 1988 წელს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის 41-ე კონფერენციაზე მუხრან მაჭავარიანი იტყვის:

„საქართველოში, ისევე, როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, არაერთი საჭირბოროტო პრობლემა იდგა და დგას.

ეს პრობლემებია: ეკონომიკური, ეროვნული, სოციალური...

ამ პრობლემებზე ქართულმა მწერლობამ, ჯერ კიდევ, საჯაროობამდე აღიმაღლა ხმა:

ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ კი არა;
გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლიანად:
მიწიანა, კაციანა, ციანა, –
საქართველოს მოთმინების ფიალას.

25 წლის წინათ გაისმა ეს სიტყვები.

იცვალნენ დრონი“.

დრონი იცვალნენ და შესაძლებელი გახდა ამ პაწია, უცნაური ლექსის (არსებითად, პოლიტიკური, მეამბოხე შინაარსის ეპიგრამის) მრავლისმეტყველი სათქმელი ნაკუწ-ნაკუწ კი არა, მთლიანად გაცხადებულიყო, აშკარად და დაუფარავად.

არადა, 1963 წელს ამას ვინ იფიქრებდა!

•

პოეტის მნიშვნელოვნება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ჩასწვდება, გნებავთ, რამდენად შეიგრძნობს იგი ეპოქის ხასიათს, თავისებურებას, უმთავრეს გამოწვევებს. მუხრან მაჭავარიანის რამდენიმე ლექსზე დაკვირვების შედეგად – წერილში „კაცი რიგითი“ მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში“ (2011) – ასეთ დასკვნამდე მივედი:

„მხატვრულ ტექსტებს, რომელთა მთავარი პერსონაჟი რიგითი კაცი, საშუალო ადამიანია, მუხრან მაჭავარიანამდელ ქართულ მწერლობაში ვერ ვიხსენებ, ვერ ვიხსენებ ტექსტებს, რომელთა მთავარი მოტივი რიგით ადამიანებად დარჩენილთა მიმართ თანაგრძნობის, სიმპათიის ან შურის (თუნდაც ფარულის) გამოხატვა იყოს. და თუ ასეთი ტექსტები ადრინდელ მწერლებთან არ აღმოჩნდება, არც იქნება გასაკვირი: ეს ჩვენი დროის მიერ მოტანილი თემაა, ის მსოფლხედვაა, რაც მოდერნის შემდგომ ეპოქაში ჩნდება, როცა სოციალურ სფეროშიც და კულტურაშიც იერარქიები ირღვევა, როცა ყველა ადამიანი ინტერადამიანია. ამ დროს ჰომეროსსა და „რიგით“ ადამიანებს შორის ზღუდე იშლება, ვინაიდან ნათელი ხდება, რომ ჰომეროსებიც ისევე არიან დავალებულნი „რიგითი“ ადამიანებისაგან, როგორც „რიგითი“ ადამიანები – მათგან“.

როცა ასეთ „თამამ“ დასკვნებამდე მიდიხარ, გაწვალებს ეჭვი: სწორად გაიგე მხატვრული ტექსტი? რამდენად მართებულია მისი შენეული ინტერპრეტაცია? მაღალხარისხოვან მხატვრულ თხზულებებში ხომ სათქმელი ზედაპირზე არ ძევს, იგი ხომ „სტრიქონებს შორის“ არის ამოსაკითხი?

გარდა ამისა, ისიც გაინტერესებს, თვითონ პოეტს თუ ჰქონდა გაცნობიერებული ის აზრი, რაც შეიძლება მკითხველს მისი ლექსებიდან გამოეტანა?

ყოველგვარი ეჭვი ზემოთ ციტირებული საკუთარი დასკვნის მართებულობის მიმართ ამ წიგნში ამოკითხულმა ერთმა ჩანაწერმა გამიფანტა:

„პოეტსა და პოეტს შორის რომ მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენებითი განსხვავებაა – ამას ადასტურებს ადამიანსა და ადამიანს შორის არ-

სებული მოჩვენებითი განსხვავება, არა მარტო ადასტურებს, არამედ უფრო მეტიც, ადამიანსა და ადამიანს შორის რომ მხოლოდ მოჩვენებითი განსხვავება არ იყოს – პოეზია, როგორც ასეთი, საერთოდ არც იარსებებდა“.

1971 წლით დათარიღებულ ჩანაწერებში ვკითხულობთ ამას. ეს იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი აზროვნებაა, რომელსაც მოდერნის შემდგომ ხანას ვუწოდებთ. და ისიც, რაც ამ ჩანაწერს უშუალოდ მოსდევს, წმინდა წყლის პოსტმოდერნისტული აზროვნების ნიმუშია:

„ვერც ერთი პოეტი – ვერაფერს ვერ იტყვის ისეთს, ნათქვამი თუ არა, ნაგულისხმევი მაინც რომ არ იყოს სხვა პოეტების შემოქმედებაში“.

ეს არის ინტერტექსტუალობის სრული უფლებამოსილების აღიარება, საიდანაც ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი „ავტორის სიკვდილამდე“, თუმცა „ავტორის სიკვდილი“ მარტო ინტერტექსტუალობას არ გულისხმობს (როლან ბარტის შემოტანილი ეს ხატოვანი გამოთქმა უმეტესად არასწორად ესმით. მის მართებულ გაგებას იქნებ მუხრან მაჭავარიანის ახლახან ციტირებულმა მსჯელობამაც შეუწყოს ხელი!).

ანდა ეს ჩანაწერი, იმავე 1971 წელს შესრულებული, კვლავაც ინტერტექსტუალობას რომ შეეხება, რაოდენ საგულისხმოა:

„ნებისმიერი ერთი აზრიანი წინადადების ვარიანტია ყველა დანარჩენი წინადადება. (...) სათქმელი ძირითადში ერთია დასაბამიდან. ეს ერთი სათქმელი თავისებურად გამოითქვა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. ყველაფერი, რაც შემდგომ შეიქმნა და იქმნება, წარმოადგენს წინათ თავისებური აქცენტით თქმულის მხოლოდ ვარირებას – აქცენტის ახლებურად დასმის მეოხებით. აქცენტის ახლებურად დასმა ქმნის სიახლის მირაჟს. მწერლებს ერთმანეთისგან განასხვავებს არა სათქმელი, არამედ აქცენტი“.

მსგავსი აზრი უფრო ადრინდელ ჩანაწერშიც გამოუთქვამს, 1966 წლის 18 სექტემბრით დათარიღებულში:

„...აქცენტია და მხოლოდ აქცენტია იგი, რაც განასხვავებს პოეტებს ერთმანეთისგან. აქცენტირება ქმნის სიახლის მირაჟს“.

ამას პოეტი მანამდე წერდა, ვიდრე ტერმინი „ინტერტექსტუალობა“ გაჩნდებოდა და ლიტერატურისმცოდნეები ამ მოვლენის არსზე დაფიქრდებოდნენ.

•

ერთგან უწერია:

„ადამიანი გონებრივად გაზარმაცებულია, არ იზიდავს, რაც მზამზარეული არაა! პოეზიას ურჩევნია პროზა, პროზას – კინო და ტელევიზია!“

რეცეფციული, ანუ აღქმის, ესთეტიკის პრობლემა 1973 წელს შესრულებულ ამ ჩანაწერში თვალნათლივ მოჩანს: ე. წ. განუსაზღვრელი ადგილები, რომელთა კონკრეტიზაცია-რეკონსტრუქცია რეციპიენტმა, ანუ მხატვრული ნაწარმოების აღმქმელმა სუბიექტმა, უნდა მოახდინოს, პოეზიაში პროზაზე მეტია, კინოსა და ტელევიზიაში კი – ამათზე ბევრად ნაკლები (რევაზ ყარალაშვილის წიგნი რეცეფციულ ესთეტიკაზე, სათაურით „წიგნი და მკითხველი“, ამ ჩანაწერიდან მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, 1977 წელს, იხილავს მზის სინათლეს).

•

მწერლების ჩანაწერები იმითიც არის ძვირფასი, რომ მათში შემოქმედებითი პროცესის საიდუმლოებებიც არის ხოლმე გამხელილი. საზოგადოდ, მწერალს არ ევალება გვითხრას, ამა თუ იმ სათქმელის გამოსახატავად რატომ აირჩია ესა თუ ის ფორმა (უფრო ხშირად ეს ამბავი მას თვითონაც არა აქვს გაცნობიერებული), მაგრამ თუ ის ამის ახსნას ცდილობს, ანალიტიკოსი ყურადღებით უნდა მოეკიდოს მის აღიარებებს. უაღრესად საყურადღებოა მუხრან მაჭავარიანის შეხედულებები ხატოვანი თუ სადა მეტყველების თაობაზე, რითმიან თუ ურითმო ლექსზე, სალექსო საზომზე, რიტმზე, ინტონაციაზე...

ვნახოთ ამ ყაიდის რამდენიმე ჩანაწერი. მათი გათვალისწინება დაგვეხმარება მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების ნოვატორული არსის გაგებაში:

„ჩემთვის შედარება და მხატვრული სახე მხოლოდ იშვიათი აუცილებლობის დროსაა საჭირო. ხანდახან თვით მისი საჭიროების დროსაც, მე არ ვხმარობ მათ. ამ დროს მე შედარებასა და მხატვრულ სახეს ვცვლი იმ საგნებისა და მოვლენების შიშვლად დასახელებით, რომელიც მკითხველის შემეცნებაში უნდა გაჩნდეს სახისა და შედარების მეოხებით“;

„ჩემთვის ქვეყანაზე არაფერი არ არსებობს რიტმის გარეშე. სინამდვილის ასახვის ყველაზე უტყუარ საშუალებად მე მიმაჩნია რიტმი“;

„უკეთუ თავისუფალი ლექსით თქმული კლასიკური ლექსით შეიძლება გამოითქვას (ანდა პირიქით), მაშინ, ამ ორი ფორმიდან, ერთ-ერთი შინაარსის შეუსაბამოა, ვინაიდან ცალკეული აზრისა და განწყობის გამოსახატავად სამყაროში არსებობს მხოლოდ ერთი შესატყვისი ფორმა“.

•

ერთგან, 1962 წლის ჩანაწერში, ასახვის ორ, ურთიერთსაპირისპირო მანერაზე მსჯელობს. ჩანაწერი ორი უზმნო წინადადებით იწყება:

„საგნებისა და მოვლენების გამოტოვების, უგულებელყოფის ნიჭი, უნარი. აი პოეტისა და საერთოდ მწერლის ნიჭიერება“.

ნიჭი, უნარი, რომელზეც აქ პოეტი ყურადღებას ამახვილებს, სელექციის უნარია – როცა ორიოდეს ვასახელებთ, მაგრამ უთვალავი იგულისხმება. ამის ნიმუშად იხსენებს აკაკის სტრიქონებს : „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“.

ხოლო ამ პოეტურ ფორმულას შემდეგ ასე ახასიათებს:

„ცა-ფირუზ“ – და აქ გამოტოვებულია მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ღრუბლები... „ხმელეთ-ზურმუხტო“ და აქ უგულებელყოფილია მდინარეები, ტყეები, მთები, სოფლები, მინდვრები, სახლები, ბალახი, ცხენები, ურმები და კიდევ ათასი რამ... ამავე დროს პირველიცა და მეორეც გულისხმობს ყველასა და ყველაფერს, რაც ცაში, ან მიწაზე შეიძლება იყოს და რისი ჩამოთვლაც არცთუ ისე ადვილია“.

შემდეგ კი ასახვის საპირისპირო მანერაზე ლაპარაკობს:


„რა თქმა უნდა, არსებობს და საკმაოდ გავრცელებულიცაა ამის საპირისპირო ხერხიც – თითქმის ყველაფრის ჩამოთვლა, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს იმდენ ნიჭიერებას არ საჭიროებს“.

ამ მანერით არის შესრულებული ლადო ასათიანის ცნობილი ლექსი „ჩემი სამშობლო“ („ტკბილია, როგორც დედის რძით ბალღი ტუჩშეუშრობელი“), რომელშიც აკაკის ზემოთ მოყვანილი სტრიქონებიც არის „ჩამონტაჟებული“ („ჩემი სამშობლო ქვეყანა რა ლამაზია, რა კარგი, / ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი, ნაირფერებით ნაქარგი !“) – ხომ არ არის ლადო ასათიანის ეს ლექსი შეფარული პოლემიკა კლასიკოსებსა და კლასიკასთან?

თუ ასახვის პირველ მანერას ზემოთ სელექცია ვუწოდეთ, ამ მეორესთვის ზედგამოჭრილი იქნება ნონსელექციის – პოსტმოდერნისტული ლიტმცოდნეობის პოპულარული ცნება-ტერმინის – მისადაგება.

ხელოვანის მიერ გამოყენებული ნონსელექცია (შერჩევაზე, სელექციაზე უარის თქმა) სინამდვილეში ფსევდონონსელექციაა, ვინაიდან შემოქმედი ადამიანი ვერ დაკმაყოფილდება მის თვალსაწიერში მოხვედრილი ფაქტების მექანიკური რეგისტრირებით, ის მხოლოდ ნონსელექციის ილუზიას ქმნის. ამ გზით გვიჩენს იგი ე. წ. ინფორმაციული ხმაურის შთაბეჭდილებას, რაც, თავის მხრივ, პოსტმოდერნისტული მგრძნობელობის გაძლიერებას უწყობს ხელს.

თვითონ მუხრან მაჭავარიანი ოსტატურად იყენებს „თითქმის ყველაფრის ჩამოთვლის“ ამ ერთობ თანამედროვე ხერხს. ორიოდე ნიმუში გავიხსენოთ: „მზე ამოდიოდა, მთვარე ჩადიოდა, მამალი ჰყიოდა, კვამლი ადიოდა, ვიღაცა ტიროდა, ვიღაცა ჩიოდა, ვიღაცას შიოდა, ვიღაცას სციოდა...“; „თბილისის ფართო ქუჩებში დადის: ლეილა, ლონდა, ნათია, ნანი, ელისო, ვაჟა, გიორგი, გივი...“; „მას ეხმარება მეუღლე, შვილი, ცოლისდა, სიძე, სიდედრი, დედა. ეძებენ სკამზე. ეძებენ სკამქვეშ. ეძებენ ტახტზე. ეძებენ ტახტქვეშ...“)... მოკლედ, ნონსელექცია მუხრან მაჭავარიანის საყვარელი ხერხიც არის, რომელიც, მისივე შეფასებით (დაე, გაიხარონ პოსტმოდერნიზმის მოწინააღმდეგეებმა!), თურმე „იმდენ ნიჭიერებას არ საჭიროებს“, რამდენსაც კლასიკური სელექცია.



•

ფრიად თავისებურია მუხრან მაჭავარიანის იუმორი – დინჯი, ღრმააზროვანი, გარეგნულ ეფექტებს განრიდებული. ამის ნიმუშია, თუნდაც, ჩანაწერი, რომლის სათაურია „ორი კატეგორია“ (იქ ავტორი ორი ყაიდის მწერლობაზე მსჯელობს ერთობ სახალისოდ).

მუხრან მაჭავარიანს დაწერილი აქვს ჩინებული ეპიგრამები, მარციალისასა და ლესინგის საუკეთესო ტრადიციების გამაგრძელებელი. ლესინგი მოითხოვდა, ბოლო სიტყვის წაკითხვამდე მკითხველისთვის ეპიგრამის იდეა უცნობი უნდა დარჩესო. აი ამ მოთხოვნის ჩინებული რეალი-

ზაცია 1993 წელს დაწერილ ლექსში, რომელიც მუხრან მაჭავარიანის ლექსების შარშანდელ მინიატურულ გამოცემაში შეგიძლიათ იხილოთ (ისიც „ინტელექტმა“ გამოსცა, ისიც მწერლის ქალიშვილმა შეადგინა; კრებულის სათაურია „ახლა კი დროა“). ეპიგრამის სახელწოდებაა „ვინც პარტიაში უყოყმანოდ ახალში შეშპა“:

ახლა, რომელიც, ლამის, ცოცხლად მიპირებს
შეჭმას,
ვინც პარტიაში უყოყმანოდ ახალში შეშპა,
იგი ყოველთვის, – მორცხვად, – განზე
დგებოდა ჩემგან, –
ვითარცა, – სახლის მოშორებით, – დგას, –
სოფლად, – ჩეჩმა.

ზემოთ დავიმოწმეთ მუხრან მაჭავარიანის ერთი ჩანაწერი, სადაც ის ამბობს: „ჩემთვის შედარება და მხატვრული სახე მხოლოდ იშვიათი აუცილებლობის დროსაა საჭირო“. ერთი ამ იშვიათ შემთხვევათაგანია ეს ეპიგრამა. აქ შედარების მეშვეობით იქმნება სატირული ქვეტექსტი – შედარება, რომელიც თითქოსდა მხოლოდ გარეგნულ მსგავსებაზე დამყარებული ჩანდა, მოულოდნელად, „უნებლიეთ“ შესადარებელ საგანთა „შინაგან“ მსგავსებაზეც მიგვაქცევინებს ყურადღებას.

კლასიკური ყაიდის პარადოქსულ მაქსიმებსაც შეხვდებით მუხრან მაჭავარიანის ჩანაწერებში, რომლებსაც ამ ჟანრით სახელგანთქმული ლაროშფუკო და ლაბრიუერიც სიმოვნებით მოაწერდნენ ხელს. აი თუნდაც ეს:

„სხვისი დახასიათება არ შეუძლია არავის! – ადამიანს მხოლოდ საკუთარი თავის დახასიათება ძალუძს, – ისიც მხოლოდ მაშინ, – სხვას როცა ახასიათებს იგი“.

•

რამდენიმე წლის წინათ ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ ლიტერატურულმა დამატებამ, რომელსაც მალხაზ ხარბედია რედაქტორობდა, მრგვალი მაგიდა გამართა თემაზე „თანამედროვე ქართული ლექსი“. იქ ერთი ასეთი, არცთუ უდავო, აზრი გამოვთქვი:

„საერთოდ, პოეზიას ყოველთვის ცოტა მკითხველი ჰყავდა და გასაგებია რატომაც. პროზისგან განსხვავებით, პოეზია უმცირესობისთვისაა, რადგან ეს უჩვეულო მოვლენაა. ვინ ლაპარაკობს ყოველდღიურ ცხოვრებაში რითმებით? გასაკვირიც კი არის, ასეთ პირობით ტექსტს მკითხველი რომ ჰყავს. თუ გიფიქრიათ, რატომ ან როდის მიდის ადამიანი ლექსთან? მაშინ, როდესაც ყოველდღიურობა ბეზრდება და რაღაც განსხვავებული, უჩვეულო სჭირდება“.

როცა ეს ჩემი მსჯელობა დაბეჭდილი ვიხილე, ასეთი განცდა დამეუფლა: მთლად დამაჯერებლად ვერ გამომიხატავს, რისი თქმაც მინდოდა-მეთქი.

ახლა ნახეთ, სხვა სიტყვებით, სხვა რიტმით, სხვა ენერგიით როგორ უთქვამს პოეტს იგივე ბევრად უფრო დამარწმუნებლად 1974 წლის ჩანაწერში:

„ლექსს კაცი მხოლოდ მაშინ წერს, როცა ცხოვრებისეული სიტყვები არ ჰყოფნის საკუთარი გრძნობისა და აზრის გამოსათქმელად. მკითხველიც ლექსს მხოლოდ მაშინ კითხულობს, როცა მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდება. (...) ცხოვრებისეული სიტყვებით უკმარობა ყველას არ ემართება (ემართება ძალიან ცოტას), ვისაც ემართება, – ყოველთვის არ ემართება; ზოგ ადამიანს საერთოდ არ ემართება. ამიტომ ადამიანთა უმრავლესობა მკითხველია პროზისა და არა პოეზიისა“.

•

1973 წლის ერთ ჩანაწერში ჟურნალ „დილის“ რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი მკითხველებს აუწყებს:

„გარდა ჟურნალისა, ყოველწლიურად ვცემთ პატარ-პატარა საბავშვო წიგნებს; შარშან გამოვეცით დასურათებული საყმაწვილო კალენდარი „მთიები“, რომელიც მკითხველს აცნობს საქართველოს მდიდარ ისტორიას. მიმდინარე წელს უფრო სრული სახით კიდევ გამოვცემთ ამ კალენდარს“.

რას იფიქრებდა მაშინ ამ სტრიქონების ავტორი, რომ კალენდარ „მთიების“ მეორე წიგნაკი „მიმდინარე წელს“ გამოვიდოდა კი არა, მკითხველამდე მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ ძლივს მიაღწევდა: უკვე დაბეჭდილი ალმანახის მთელი ტირაჟი გაანადგურეს (ორივე „მთიები“, თავის დროზე გამოსულიც და განადგურებულიც მხოლოდ შარშან, 2014 წელს, გამოსცა „ინტელექტმა“ ნანა მაჭავარიანის რედაქციით). ხელისუფლების რისხვა კალენდარში რამდენიმე, იმ დროისთვის ტაბუდადებული, საკითხის წამოჭრამ გამოიწვია, რის შესახებაც ჩვენ ვწერდით 1989 წელს გაზეთ „მამულში“ გამოქვეყნებულ წერილში „რად განურისხდნენ „მთიებს“.

ეს ფაქტიც გაიხსენონ მათ, ვისაც ჰგონია, ქართველ მწერლებს საბჭოთა ხანაში ისეთი არაფერი შეუქმნით, მთავრობას მისი დაბეჭდვა რომ აეკრძალოსო (ეს ყოვლად უმართებულო აზრი, დაფუძნებული მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის უცოდინრობაზე, ამ ბოლო დროს ხშირ-ხშირად გაისმის).



ანდრო ბუაჩიძე

თარგმანი და ორიგინალური პოეზია

ჯემალ აჯიაშვილი საინტერესო მოსაუბრე იყო. არ უყვარდა მენტორული ტონი და პათეტიკური, თავაწეული საუბარი. თავმდაბლობა და იუმორი სხვათაგან გამოარჩევდა. თუ კარგად დააკვირდებოდი, მის არსებაში აღძრულ ნაღველსაც შეატყობდი და ამაოებათა ამაოების შეგრძნებასაც. სიტყვაუხვი არ ყოფილა, თითქოს ბოლომდე ყველაფრის თქმას ერიდებოდა და დუმილს ამჯობინებდა. არადა, ისიც ეტყობოდა, რომ ბევრს ფიქრობდა და უკვე ბევრი ჰქონდა ნაფიქრი. მისი ყოველი შენიშვნა ამ ხანგრძლივი ფიქრის ნაყოფი იყო.

მახსოვს ერთხელ ლიტერატურაზე საუბრისას ერთმა ლიტერატორმა უთხრა: ხოდასევიჩი მაინც ვერ შესწვდება მანდელშტამსო.

ამაზე ჯემალმა მოკლედ უპასუხა: „ნუ ვიტყვით ასე“. ეს წყნარი პასუხი ძალიან მომეწონა, არამხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ უკვე ვთარგმნიდი ხოდასევიჩს, არამედ იმიტომაც, რომ ყოველ ნიჭიერ პოეტს თავისი უნიკალური ნიშანი აქვს და ეს სძენს მას მნიშვნელობას. ასეა ხოდასევიჩიც.

ჯემალი ოდნავი წამღერებით წარმოთქვამდა თავის თარგმანებს. მახსოვს მოშე იბნ ეზარას ლექსი: „სებიაო, სებიაო, გაღმა ბნელი გზებიაო!.. მოგირთვია სხვათა მდელო, მოგინარგიზებიაო.“ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთარგმნელისთვის ბგერწერული ჟღერადობა, ბგერწერულ-რიტმული რხევა, ჟღერადი რითმა ანიჭებდა პოეზიას აზრს. ასეც იყო. ებრაული პოეზიის მისტიკური მუსიკალობა ჯემალის სულის მოძრაობას ემთხვეოდა. ეს მისი გულისცემის, მისი სუნთქვის რიტმი იყო, ამიტომ მისეული დეკლამაცია შთამბეჭდავად გადმოსცემდა ავტორის ღაღადისს.

ჯემალმა ბევრი რამ თარგმნა. ცხადია, ის სრულიად გამორჩეულ პოეტებს თარგმნიდა. მრავალფეროვანია ის სამყარო, რომელიც მისი მეშვეობით ქართულ ენაზე ამეტყველდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დიამეტრულად განსხვავებული პოეტების თარგმნა თავისებურ სიძნელეს ქმნის. ვთქვათ, ებრაული პოეზიისგან სავსებით განსხვავებულია ვლადიმირ მაიაკოვსკის პოეზია. ჯემალ აჯიაშვილის თარგმანი ლექსისა „საიუბილეო“ მართლაც რომ სანიმუშოა სისადავით და სიმკაცრით, მაიაკოვსკისეული ვირტოზული რითმით, რაც ქართულში ოსტატურად არის გაშლილი და გადმოტანილი.

ჯემალ აჯიაშვილის 100 ორიგინალური ლექსი (თბ. გამომცემლობა „ინტელექტი“) კიდევ ერთხელ წარმოაჩენს სალექსო ფორმის ავტორისეულ ფლობას. ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ ხოლმე იმის თაობაზე, თუ რა ხარისხით ფლობს პოეტი ლექსის ფაქტურას, მის მხატვრულ ინვენტარს. ამგვარი ფლობა პროფესიული დონის მაჩვენებელია. და თუმცა ჯემალი თავის თარგმანებში პროფესიულ ოსტატობას მოჭარბებულადაც ამჟღავნებდა, მკითხველს მაინც გაუჩნდება სურვილი მისი ორიგინალური შემოქმედების იმავე ნიშნით მოსინჯვისა.

ჩემი აზრით, ჯემალის ლექსებში მისივე თარგმანებიდან ბუნებრივად გადავიდა ფრაზეოლოგია, მეტყველი რითმა, ღაღადისის ინტო-


ნაცია. „100 ლექსში“ თავმოყრილი სონეტები თითქმის იმავე ამაოებათა ამაოების განწყობით არის შეფერილი, რითაც ებრაული პოეზია გამოირჩეოდა. მე ისეთი შთაბჭდილება მრჩება, რომ ჯემალი ბოლომდე არ გამოსულა თარგმნილი ავტორების თვალსაწიერიდან, ის თითქოს მიჰყვება იმ ინერციას, რომელსაც შუა საუკუნეების და აღორძინების ხანის პოეტები ქმნიან. ასე გზადაგზა იქმნება მისი საკუთარი ლირიკა, სადაც ავტორი ძალდაუტანებლად თამაშობს უკვე თარგმნილი პოეტების ალუზიებით და რემინისცენციებით. მხოლოდ ეს მისი განწყობაა, მისი რეალობაა, რომელშიც გარესინამდვილეც ირეკლება და წიგნიერი სამყაროც. აი, ვთქვათ, პოეტი წერს სონეტს შიშზე. და მაშინვე თავს იჩენს ბიბლიური მოტივები ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მწიგნობრულ რეალიებს ემპირიული რეალობა გადაენასკვება:

„შიშით ჩამკვიდრდა კიდურებში ზამთრის
სიზანტე,
შიშმა აოტა კაენიდან მოდგმა აბელთა,
შიში ჩაგითრევს, უმსგავსობას ვიდრე
იზამდე,
და ჯამბაზივით ჩაგაოთხებს ჩამწყდარ
საბელთან.“

სონეტის ეს სტროფი თავისთავად მეტყველებს იმ სიმბიოზზე, რომელიც ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად არის დამახასიათებელი პოეტი – მთარგმნელებისთვის.

ბორის პასტერნაკი ამბობდა, რომ ორიგინალის მსგავსად, თარგმანი სიტყვიერების ნიმუშის კი არა, ცხოვრების ცხოველმყოფლობის შთაბჭდილებას უნდა ტოვებდესო. ამის მიღწევა ძნელია. ვთქვათ, პასტერნაკის მიერ თარგმნილი ბარათაშვილის ლექსებიდან, ამ ნიშნით ყველაზე გამორჩეულია თარგმანი ლექსისა „ცისა ფერს.“

ჯემალ აჯიაშვილის თარგმნილი ებრაული პოეზია, პეტრარკას და მიქელანჯელოს სონეტები ისეთივე ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, როგორც მისი ორიგინალური ლექსები. ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით განსხვავება აქ მინიმუმამდეა დაყვანილი. და თუ არსებობს განსხვავება, ალბათ იმ ნიშნით,რომ ებრაული პოეზიის მეტრულ-რითმული სტრუქტურა უფრო მრავალფეროვანი, უფრო ჟღერადი და პათეტიკურ-ზეაწეულია, ვიდრე ორიგინალური ლექსებისა. ეს განაპირობებს არქაული სიძველის მძაფრ შეგრძნებას და მუსიკალობის უფრო მრავალფეროვან სპექტრსაც. ეს მუსიკალობა, რომელიც საუკუნეების წიაღიდან მოედინება, მთარგმნელმა თითქოს სხვა ინსტრუმენტზე, სხვა, „ქართული ენის ქნარზე“ გადაიტანა თუ გადააწყო. რთული ოპერაცია კი მან თავისი პიროვნულ-ინდივიდუალური სულიერი ძალების დაძაბვით შეძლო. ძალისხმევა უპირველეს ყოვლისა ქართული ენის ფლობაში მჟღავნდება. მახსენდება პოლ ვალერის ნათქვამი: „მწერლობა სიტყვიერი ხელოვნებაა. უკეთესია ის, ვინც უკეთ ფლობს თავის ენას.“



ამ ფლობამ გადაწონა ყოველივე, როგორც უკვე ვთქვი, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ჯემალმა უკვე საკუთარ ლექსებში გვერდით გადადო დედნები. მხოლოდ „დედანი“ მაინც დაიტოვა – რეალობა, თავისი პიროვნული სამყარო, ბედისწერა და შემოქმედებითი თხზვა განაგრძო. უცნაური ის არის, რომ ფიქრის ინტონაციის აღმძვრელ მჭიდრო ფრაზეოლოგიასთან ერთად ორიგინალურ შემოქმედებაში ამაოების განწყობაც გადმოვიდა. მინდა მოვიყვანო ერთი ძალზე შთამბეჭდავი სონეტი: „მზის მიწურვისას ეგეოსთან იჯდა ფილონი,/ ცხრებოდა ზღვა და მეზღვაურებს ტკბილი და ნავსი/ ხმით იზიდავდნენ ჯადოსნური სანაპირონი/ და ანგელოსი


ნანაობდა ზურმუხტის ნავში./ სადაფის მთებზე იღვრებოდა უცხო მირონი/ და მგელს, რომელიც სატრაპეზოდ პატარა ფარეხში დავსვი,/ ცხოვართან საძმოდ განაწყობდა ცა – საფირონი/ და ტყისპირ თიკნებს აძოვებდა პატარა ბავშვი/, მახსოვს სხვა ხილვაც, – აქერონი, კუშტი ქარონი, ქარონის იქით – წყარონი და სხვა სამყარონი,/ ქარი, რომელიც ლეგენდებში დღემდე ხორხოცებს,/ ოდესმე ამ ზღვას სხვანაირი ჯადოთი კრავდა,/“ გაუძლო სულმა გამუდმებულ მეტამორფოზებს, – / უცვლელად დარჩა მეტაფორა მგელთა და კრავთა.“/

ამ სონეტში ავტორი მარადისობას უსწორებს თვალს. მარადისობაში უცვლელია ბუნების მოვლენები – ქარის ქროლვა და ზღვის ღელვა, ამ მოვლენათა ხმიერება, ცხადია, ლეგენდებშიც არის გადასული და მითებშიც. ბუნება მარადიულია და უცვლელი, კულტურას კი ადამიანი ქმნის და ამიტომაც ცვალებადია. ცვალებადია თვითონ ადამიანიც, რომელიც კულტურის წიაღში ცხოვრობს. განსხვავებულია, ვთქვათ რენესანსის ადამიანი შუა საუკუნეების ადამიანისგან და ა. შ. მაშასადამე, არსებობს მეტამორფოზები („გაუძლო სულმა გამუდმებულ მეტამორფოზებს“), მაგრამ პარადოქსთა სფეროს უნდა მივაკუთვნოთ ის, რომ ამავე დროს არსებობს კულტურის უცვლელი გამოხატულებები. ასეთია, ვთქვათ, მეტაფორა „მგელთა და კრავთა.“ მართალია, ეს მეტაფორა სხვადასხვა დროშია გამოყენებული და ცვალებადია კონტექსტი, მაგრამ თვითონ მეტაფორის შინაარსი უცვლელია. ჯემალ აჯიაშვილის სონეტიც ამ პარადოქსულ ვითარებაზეა აგებული: კულტურის წიაღში კონკრეტული მეტაფორის უცვლელობაზე.

100 ლექსად გამოცემული სონეტები ერთ რომელიმე ისტორიულ ეპოქაზე, ძეგლზე ან წერილობით პირველწყაროზე არ არის მიჯაჭვული. არც შეიძლება რომ იყოს, რადგან ასეთი გარშემოწერილობა ორიგინალური შემოქმედების გახსნილობას შეაფერხებდა. როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ჯემალმა ებრაული პოეზიაც კი თავის „ხმის ტემბრს“, თავის ქართულ ფრაზეოლოგიას, ქართულ ენას, „ქართულად სტრუქტურირებულ“ სამყაროს შეუთანადა და, მითუმეტეს, შეუძლებელი იქნებოდა ორიგინალურ შემოქმედებაში ისეთი საზღვრები დაეწესებინა, რომელიც ლირიკულ გზნებას და საძრაობას შეზღუდავდა. იქნებ ეს ზოგადი განსაზღვრება იყოს, მაგრამ მაინც ვიტყვი: სონეტების ციკლში პოეტი ფიქრობს მარადიულობაზე და იმ წარმავალი დროის მონაკვეთზე, რომელიც განგებამ განუწესა ადამიანს.

ჯემალ აჯიაშვილის სონეტებში ბიბლიურ-ფილოსოფიურ რეალიებს ორგანულად ეთავსება საქართველოს ისტორიის რეალიები. ამ ციკლში რუსთაველის და გურამიშვილის პერსონაჟებიც წარმოჩნდებიან. მრავლისმეტყველია ტოპონიმიკაც – ქალდეა, ითაკა, ფაზისი, მარტვილი, ქუთაისი, კარალეთი და ა.შ. მაგრამ მთავარი მაინც პოეზიაა – ისტორიის გადასახედზე მდგარი ადამიანის დამნახველი თვალი და მისი ღრმა განცდა.

საბოლოოდ შემიძლია ერთი რამ ვთქვა: ჯემალ აჯიაშვილის მოგვიანო პერიოდში შექმნილი ორიგინალური შემოქმედება მისივე უაღრესად საინტერესო მთარგმნელობითი შემოქმედების უშუალო პირმშოა, მის ქურაშია გამოწრთობილი.



ბიოხბი ყაჯხიიშვიცი

„ან ხვალინდელი დღე რას მპირდება?“

პირველი ნაწილი

ქართული თეატრის მომავალზე ფიქრისას ეს ციტატა გამახსენდა. დიდი ხანია, ქართულ სცენაზე უპირობო შედევრი არ გამოჩენილა, დიდი ხანია, დარბაზებში ანშლაგი აღარ გვინახავს. რა ხდება? ნუთუ ასეთი ტრადიციების და საუკუნენახევრის ისტორიის თეატრი ისე „დაგლახაკდა,“ რომ მაყურებელმა საერთოდ შეაქცია ზურგი? ცალსახად ამ კითხვებზე პასუხი ნამდვილად ძნელია. კი! თანამედროვე ქართულ თეატრში რაღაცები ხდება, ხდება საინტერესოც და უინტერესოც, პროფესიულად აგებული და დადგმული სპექტაკლებიც და, სამწუხაროდ, ნაკლებ საინტერესოც და არაპროფესიულიც. დღეს მაინც შერჩევით და, ჩემი აზრით, იმ მნიშვნელოვან წარმოდგენებზე გავამახვილებ ყურადღებას, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა. რეჟისორთა ახალგაზრდა თაობას ძირითადად გია კიტიას, გოგი მარგველაშვილის, ავთო ვარსიმაშვილის სარეჟისორო ჯგუფების, გიზო ჟორდანიას და რობერტ სტურუას მაგისტრატურის კურსდამთავრებულები წარმოადგენენ.

ბოლო წლების განმავლობაში არც ერთ თეატრალურ სეზონში არ ყოფილა დებიუტანტ რეჟისორთა ამდენი წარმოდგენა, რამდენიც ბოლო დროს ვნახეთ. გ. გორგოშიძის ე. სმიტის „სტუმარი“ და ჰ. ფომ კლაისტის „პრინცი ჰომბურგი“; ი. ბაკურაძის ჟ. დელის და ჟ. სიბლეირასის „გაუმარჯოს ბუშონს“; ნ. ლიპარტიანის ი. მისიმას და პ. ვაისის „შეშლილი სამყარო“ რუსთაველის თეატრში; დ. თავაძის ა. სტრინდბერგის „ფრეკენ ჟული“ და დ. გაბუნიას „ტროელი ქალები“ „სამეფო უბნის თეატრში“; ნ. ლუარსაბიშვილის ს. ბეკეტის „კრეპის უკანასკნელი ფირი“ მარჯანიშვილის თეატრის სხვენზე და ჟ. ანუის „ორკესტრი“ მ. თუმანიშვილის სახ. თეატრში, ს. ელოშვილის რ. ბაიერის „შერეული ემოცია“; დ. ჩხარტიშვილის თ. ჯუჯენოლუს „ზვავი“; ჯ. პაპუაშვილის ალ. ვამპილოვის „უფროსი ძმა“; თ. კუპრავას უ. შექსპირის „ჰამლეტი“ მარჯანიშვილის თეატრში; ნ. ჩაკვეტაძის ს. რულის „სუფთა ოთახი“; ვ. ხუციშვილის ჰ. იბსენის „თოჯინის სახლი“ და ჰ. ნილსონის „საძაღლე“ და ვ. ჰაველის „ჩემი საუკეთესო მეგობარი“ თავისუფალ თეატრში; ლ. ნოზაძის საკუთარი პიესა „კრიტი“ რუსთავის თეატრში. სპექტაკლებს „ქმნიდნენ“ მსახიობებიც: რ. ბოლქვაძის თ. ჯუჯენოლუს „ზვავი“ და ნ. ბურდულის პ. პიტჰეს „ამორ, უცნაური სიყვარულის ისტორია“ – თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრში.

რეჟისორი ვანო ხუციშვილი „კომფორტულად“ გრძნობს თავს „თავისუფალი თეატრის“ მეტად უცნაურ თეატრალურ გარემოში. კულისებისა და ფარდის უქონლობა, ნაკლებად ღრმა სასცენო სივრცე სულაც არ უშლის მას, განახორციელოს თავისი ჩანაფიქრები. ორმაგ სცენებს სცენაზე, უკანა იარუსებს და ასევე სხვადასხვა ტექნიკურ სასცენო საშუალებებს სრულად იყენებენ რეჟისორი და სპექტაკლის მხატვრები. ის

თეატრალური ფორმა და ხშირად პირობითობაც, რაც ამ სათეატრო სივრცეში არსებობს, განსაკუთრებით სიფრთხილეს მოითხოვს როგორც მსახიობებისთვის, ასევე მაყურებელთათვის. „ნახევრად“ ინტიმური გარემო (მხედველობაში მაქვს პერსონაჟთა სიახლოვე დარბაზთან) საპასუხისმგებლოც გახლავთ და სარისკოც. სცენასთან სიახლოვის გამო მსახიობთა მიერ დაშვებულ შეცდომებს ან უზუსტობას მაყურებელი მომენტალურად აღიქვამს. „თოჯინების სახლისა“ და „საძაღლის“ შემდეგ ვ. ხუციშვილის მიერ ვ. ჰაველის პიესის დადგმა კიდევ ერთი წარმატებული წინგადადგმული ნაბიჯია. ჩემი აზრით, რეჟისორმა გაიზიარა XX საუკუნის დასაწყისის გერმანული ექსპრესიონისტული თეატრის ტრადიციები და ამ სტილში შექმნა ვ. ჰაველის „ვერნისაჟის“ ქართული ვერსია – „ჩემი საუკეთესო მეგობარის“ სახელით. სცენაზე განლაგებულ დეკორაციასა და უამრავ, ყველგან მოფენილ ნივთებს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ ეპოქაში გადავყავართ. კედელზე წითელი საათი წიკწიკებს და ცოცხალ დროს გვიჩვენებს. მივიღეთ ანტიკომუნისტური, პოლიტიკურად შეფერადებული, ფსიქოლოგიური დრამის ფორმით მოწოდებული პიესა. სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორს ახასიათებს მეტაფორული აზროვნება და ამიტომაც სცენის გარემო, მუსიკა, უამრავი დეტალი, ტექნიკური საშუალებები და, რაც მთავარია, მსახიობთა თამაში ამას ადასტურებს. შემსრულებელთა გრიმასები, ხმის ტონალობა და ტემბრის ცვლა, გახდა-ჩაცმა, პარიკის მოხსნა და დახურვა – ყველაფერი თავისთავად რეჟისორის მიერ მიგნებული და აწყობილი მეტაფორაა და მათ ამოცნობას ზოგ შემთხვევაში დიდი ძალისხმევა სჭირდება. ეს ის თეატრალური ენაა, რასაც ახალგაზრდა რეჟისორი ამკვიდრებს თავისი სპექტაკლებით. დავალებათა სირთულის მიუხედავად, ყოველი მსახიობი თამაშობს მოზღვავებული ენერგიით, ექსპრესიით და უდიდესი სიზუსტით. როგორც უკვე აღვნიშნე, მათ იმდენი „სამუშაო“ აქვთ ერთდროულად შესასრულებელი, რასაკვირველია, არა მხოლოდ რეჟისორის მიერ შეთავაზებული, არამედ საკუთარიც, რომლის ინტერპრეტაციიდან მომდინარე, რომ ბევრ სხვას, ალბათ, გაუჭირდებოდა ასეთი რთული ამოცანის ასე წარმატებით გადაწყვეტა. მიუხედავად სპექტაკლის ხანმოკლეობისა, სამივე მათგანი სულ სცენაზეა, სულ ქმედებაში, ასე ვთქვათ, სულ „შემოქმედებით წვაშია,“ რაც, დამეთანხმებით, საკმაოდ რთულია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სპექტაკლის შუა ნაწილი – სცენა ბავშვით. სამივე მსახიობმა შეძლო უნაკლოდ გაეთამაშებინა ეს მისტიკურ-სიმბოლისტური ეპიზოდი, სადაც შინაგანი ექსპრესია უმაღლეს დონეს აღწევს, დამაჯერებლობის ხარისხი მაქსიმუმამდეა აყვანილი და მაყურებელიც იჯერებს, რომ ჩვენს წინაშე მართლა ბავშვია, რომელზედაც ასე ზრუნავენ მშობლები და, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახი, საზოგადოების აუცილებელი უჯრედი, სრულია მაშინ, როცა იქ ბავშვია – თუნდაც ასეთი. პიესის ტექსტში ვლინდება დრამატურგის გენიალური ნიჭი, მეტაფორული ხერხებით წარმოაჩინოს მის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნა. თავისთავად, სპექტაკლშიც ყოველივე ამას და პოლიტიკურ ალეგორიებს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა: სახლის მოწყობა ქვეყნის მოწყობად ასოცირდება, მოწესრიგებული ადამიანი სახლში რომ დროზე ბრუნდება – სამაგალითო ქვეყნის სამაგალითო ოჯახად, ეკლესია – აღსარებისა და განწმენდის მაგალითად, ცინიზმი კომუნისტურ მორალზე – ოჯახი ქვეყნისა და საზოგადოების ბურჯია, არასწორი ცხოვრება „აპოლიტიკურობაა“ და ა,შ და ა,შ. ქარხანში – „მათთან“ მუშაობა კომუნისტობას რომ ნიშნავდა დრამატურგმა საკუთარ თავზე გამოსცადა. ამდენად, მისი პროტესტი მსგავსი მსოფლმხედველობის მიმართ გასაგებია. სწორედ ეს ორი მსოფლმხედველობა ეჯახება ერთმანეთს. რეჟისორი მარჯვედ იყენებს მხატვრის, თეო კუხიანიძის მიერ შესრულებულ და აგებულ კონსტრუქციებს. მისი მეშვეობით ვ. ხუციშვილი ქმნის სხვადასხვა გარემოს განსხვავებული აზრებისა და მოქმედებების გამოსახატავად. მაგიდაზე ასვლა – უპირატესობის მოპოვება, კარადაში დამალვა – მზაკვრული აზრების განსახორციელებლად, ქვევით ჩაძრომა – დამალვა, მოულოდნელობის, თავდასხმის ეფექტის მისაღწევად, კარადის სარკმლიდან გამოჭვრეტა – აღსარების სათქმელად და სხვის ჩანაწერების გამოსამზეურებლად. ამ დეფორმაციულ სამყაროში (კვლავ ექსპრესიონიზმის ნიშანი) ყველაფერი მოსულა, სადაც უზნეობა სუფევს, სადაც ასე ადვილია, „შენს საუკეთესო მეგობარს“ ჯიბიდან იარაღი მოპარო და ვაზნები ამოაცალო, სადაც ასევე ადვილია, კარი ჩაკეტო და შიგნით დარჩენილები გაზით გაგუდო. ასეთი ტიპის კინემატოგრაფიულობაც ისევ ექსპრესიონისტული თეატრის ელემენტებს შეიცავს. ხომ ცნობილია, რომ ეს მიმართულება

განსაკუთრებით იმდროინდელ გერმანულ კინოში გამოვლინდა, სადაც შიშის, ნიღბის მორგების, დეფორმაციის, ფორმათა სტილიზაციის, ეგზალტაციისა და გროტესკის ეფექტი კინოკამერის მეშვეობით უფრო ადვილად მიიღწეოდა. სპექტაკლის დასასრულს ჩემმა ერთმა კოლეგამ მითხრა ძალიან დავითრგუნეო, რაც თავისთავად ექსპრესიონისტული თეატრის ერთი-ერთი მთავარი ნიშანია. მან მაყურებელში აუცილებლად უნდა გამოიწვიოს სიძულვილი და შიში!

ზემოთ ვ. ხუციშვილის კიდევ ერთი სპექტაკლი, „ახალი დრამის“ ერთ-ერთი ფუძემდებლის ჰ. იბსენის დრამა „თოჯინის სახლი“ ვახსენე და მინდა მას დავუბრუნდე. მისი დრამატურგია წინამორბედი „ნატურალისტებიდან,“ რომლებიც ადამიანს აღიქვამდნენ, როგორც პასიურ არსებას, იმით განსხვავდება, რომ იბსენის გმირებს ახასიათებთ სულიერი სიძლიერე, ნებისყოფა. მათ უნარი შესწევთ, იბრძოლონ ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ და ზოგჯერ დამარცხდნენ (მაგ. ექიმი სტოკმანი, გედა გაბლერი) კიდევაც. ამ დრამატურგიაში ასევე იკვეთება ინტელექტის როლი პერსონაჟის ქმედებაში, იმ შეგრძნებების, სურვილების, ვნებების, ინსტინქტების საწინააღმდეგოდ, რომელსაც „ნატურალისტები“ ასახავდნენ თავის პიესებში (მაგ. ე. ზოლას „ტერეზა რაკენი“). ნორა „თოჯინის სახლიდან“ პიროვნების განთავისუფლების ნათელი მაგალითია. ეს პიესა უდავოდ ძალიან რთულად განსახორციელებელია, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მას ახალგაზრდა რეჟისორი სადებიუტოდ ირჩევს. სცენაზე დიდი კონსტრუქცია – „ზინგერის“ ფირმის უძველესი საკერავი მანქანა დგას, რომელიც სპექტაკლის მსვლელობისას სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულებით გამოიყენება. იგი სათამაშო მოედანია – ნორას მისაღები, მისი ბავშვების ოთახი ბედის ბორბლით, იქ, სადაც საკერავი მანქანის ღვედი უნდა იყოს, კიბეა, ჰელმერის კაბინეტში ასასვლელი, ნორას წამლების, გამაბრუებელი საშუალებების თუ ტრანკვილიზატორების სამალავიც საათის უკან, მისი სიზმრების ასპარეზიც აბაჟურებით, რომლებიც ნაძვის ხის და ნორას სამალავის ფუნქციასაც ასრულებს.

შავ-ნაცრისფერ ფერებში გადაწყვეტილი დეკორაცია და ასეთივე ფერის სასცენო კოსტიუმები (მხატვარი თეო კუხიანიძე) უღიმღამო, უფერულ, მოსაწყენ განწყობას ქმნის. კოსტიუმები სტილიზებულია, ნორას და ანა-მარიას კაბები, ასევე შავ-ნაცრისფერში შესრულებული, ერთმანეთს ჰგავს და XX საუკუნის დასაწყისის თოჯინას ჩაცმულობას მოგვაგონებს. ექიმი რანკი გამუდმებით შავებშია, დიდი გრძელი ქურთუკით. ფრუ ლინეს კაბაც იგივე ტონებშია, მხოლოდ უფრო მკაცრი სილუეტით, გრძელი, გულმკერდდახურული. ამ ანსამბლიდან მხოლოდ ორი გამოირჩევა: ადვოკატი ჰელმერი, რომელიც ყველაზე ხშირად იცვლის თეთრ პერანგებს, პერიოდულად ჰალსტუხსაც ირგებს ხოლმე, და კროგსტადი, რომლის ჩაცმულობა ფერთა გამით იმეორებს დანარჩენებისას, მაგრამ უფრო თანამედროვეა, უფრო ელეგანტური, თითქოს „ამოვარდნილი“ ეპოქიდან. ნორა (თამუნა ნიკოლაძე) თავის მიერ შექმნილ „თეატრში“ თამაშობს და თამაშობს მთელი სპექტაკლის პირველი მოქმედების განმავლობაში. მხოლოდ ზოგჯერ, მხოლოდ კროგსტადთან შეხვედრისას ანებებს თამაშს თავს და რეალობაში ინაცვლებს, იძულებულია, ფაქტებსა და მოვლენებს გაუსწოროს თვალი. მისი თამაში ეგზალტირებულია, ნაძალადევი, „ხელოვნური,“ სახეზე სულელური ღიმილით, უადგილო ადგილას კისკისით. ქარაფშუტა, განებივრებული „ჩიტუნიას, ციყვუნიას“ ნიღაბი შესაბამისად ეხმიანება ამ სახლში შექმნილ გარემოს, ნორასადმი ჰელმერის დამოკიდებულებას და ანა-მარიას მკაცრ მზერასაც კი. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი ვანო ხუციშვილი „ღრმად“ ეფლობა ჰ. იბსენის პიესის ტექსტში და ცდილობს, ამოიკითხოს სტრიქონთა შორის ჩადებული ქვეტექსტები და სცენური სიცოცხლე მიანიჭოს. რეჟისორმა მოახერხა, ახალი პლასტები და აქცენტები შემოეტანა, რომელიც შეიძლება ბევრისთვის საკამათო გახდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ყოველ მათგანს თავისი ლოგიკა აქვს და მხოლოდ ახლებურ, თუნდაც თანამედროვე ინტერპრეტაციაზე. ვ. ხუციშვილის სცენურ ვერსიაში ანა-მარიას (მსახიობი მაიკო ხორნაული) როლი და ფუნქცია გაზრდილია იქამდე, რომ იგი სულ სცენაზეა – ნორას „აჩრდილი“ თუ ორეულია, ჩუმ-ჩუმად მის კაბას რომ ირგებს, აწოდებს წამალს თუ ლიმონათს, აცმევს, ახურავს, ვარცხნის, თმასაც კი ჭრის უშველებელი მაკრატლით, ბედის ბორბალსაც ატრიალებს ნორასთვის ყველაზე საბედისწერო მომენტში და მის „მომავალსაც“ განაგებს. იგი აქტიური, თუმცა „მუნჯი“ პერსონაჟია, რომლის გამუდმებით გვერდით ყოფნას ნორა ყოველთვის გრძნობს, მაშინაც კი, როცა ის არ ჩანს, უნებურად მას მიმართავს ხოლმე. რეჟისორის ტექსტის მიღმა ინტერპრეტაციის ქმედებად ქცევის კიდევ ერთი მაგალითია ნორას ღალატი კროგსტადთან. ნორას ჩადენილი

დანაშაულის სააშკარაოზე გამოტანას რეჟისორი ნორას თავის გადარჩენის და ჰელმერისადმი მიწერილი წერილის უკან დაბრუნების მიზნით ღალატსაც უმატებს და სპექტაკლის ბოლოსთვის ჩვენს წინაშეა ნორა ცოდვილი, რომელმაც ქმრის წინაშე გამოუსწორებელი შეცდომები ჩაიდინა, თუმცა მოტივები, რის გამოც ესა თუ ის დანაშაული ჩაიდინა, ამართლებს ნორას აქამდე ჩადენილ და, რაც მთავარია, მის მომდევნო ქმედებებს. ნორას „გამორკვევის“ სცენას რეჟისორი ამზადებს დიდხანს, უცვლის მას ჩაცმულობას, ვარცხნილობას, ხმის ტემბრს, საუბრის მანერას და ამ სცენაში ჩვენს წინაშე სრულიად სხვა ნორა დგას – იერშეცვლილი, ძლიერი, მიზანდასახული, გადაწყვეტილებამიღებული, შეურყეველი, რომელსაც ქმრის არც ერთი სიტყვა, არც ერთი ქმედება, თვით შვილების წინაშე პასუხისმგებლობაც კი ვერ გადააფიქრებინებს გადაწყვეტილებას და ეჭვს ვერ შეატანინებს არჩეული გზის სისწორეში. სპექტაკლში გამომსახველობითა და რეჟისორული ფანტაზიით გამოირჩევა ბოლო სცენა – ჰელმარის მიერ უშველებელი საფოსტო ყუთის გახსნა კორესპონდენციების ამოსაღებად. ამ ყუთში ნორას ღალატის უტყუარი ფაქტებია გამომწყვდეული: კროგსტადის და ექიმი რანკეს სულები, რათა ნიღაბი ახადონ და ამხილონ ნორას „უზნეობა“. შესაძლებელია, ეს ჰელმერის ავადმყოფური ზმანებებიც არის, რომელიც „იდილიური“ ცხოვრების დასასრულს გრძნობს, თუმცა მისი შემდგომი ქმედება, კერძოდ კი ნორაზე ფიზიკური ძალადობა, ადასტურებს იმას, რომ ადვოკატი ნორას მიმართ სინდისის ქენჯნას სულაც არ განიცდის, ვერც კი ხვდება ნორას მსგავსი საქციელის მთავარ მიზეზს. და, რაკი ვერაფერს ხვდება, ნორა იძულებულია, აუხსნას. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის მთავარი თეზა, რამაც გადატრიალება მოახდინა იბსენისდროინდელ დრამატურგიაში, და არა მხოლოდ ნორვეგიაში, და რამაც ეს პიესა ასეთი პოპულარული გახადა. ეს არის ნორას ფრაზა უკანასკნელ სცენაში: „მე და შენ ძალიან ბევრი რამ გვაქვს სალაპარაკო,“ რითიც იგი – ქალი XIX საუკუნის ბოლოს ნორვეგიაში და არა შუაგულ ევროპაში – მეუღლეს საჭირბოროტო საკითხებზე სასაუბროდ იწვევს. ეს იყო არა მხოლოდ ქალთა ემანსიპაციის მაგალითი, არამედ ჟანა დ'არკისა და ანტიგონეს გმირობის ტოლფასი. წერილი წაკითხულია, ღალატი გამოაშკარავებულია, დანაშაულთა მთელი ჯაჭვი ჰელმერის წინაშეა. ქმრის რეპლიკაზე – „არ გესმის იმ საზოგადოების, რომელშიაც ცხოვრობ,“ ნორა პასუხობს: „მინდა გავერკვე, ვინ არის მართალი – საზოგადოება თუ მე“. მას უკვე აღარ აკმაყოფილებს ის, რასაც უმრავლესობა ფიქრობს და რაც წერია წიგნებში: „მე თვითონ უნდა დავფიქრდე ამ ამბებზე და გავერკვე ყველაფერში“.

ნორასთვის მთავარია, ნორა: თოჯინა-ბავშვი, თოჯინა-მეუღლე ბოლოს და ბოლოს ადამიანად იქცეს.

გადამეტებული „თეატრალურობა,“ ხშირად გაუმართლებელი და არამოტივირებული „რეჟისორული სვლები,“ როცა სრულიად გაუგებარი ხდება, რაში სჭირდება სპექტაკლის ავტორს ესა თუ ის მიზანსცენა, ამოუცნობი რებუსები აშკარად ახასიათებს ახალგაზრდა რეჟისურას. ამის გამო სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მათ უწევთ იმის ახსნა თუ რისი თქმა უნდოდათ. ჩემი აზრით, მათ სწავლის პერიოდში ვერ აითვისეს პიესის ტექსტის ადეკვატურად სცენაზე გადატანის ოსტატობა და შემდგომ დამოუკიდებლად მუშაობისას ვერ მოუნახეს ავტორის სათქმელს გასაღები, სწორად ვერ განსაზღვრეს პიესის ჟანრი, სტილი და მიმართულება, ვერ აღმოაჩინეს ფაბულა და ის მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც ტექსტში და ქვეტექსტშია მოცემული. სხვა რა არის სპექტაკლი თუ არა რეჟისორის მიერ დრამატული ნაწარმოების სწორად სცენაზე გადატანა?

ვ. აბაშიძის სახ. მუსიკისა და დრამის თეატრში პაატა ციკოლიას მიერ განხორციელებულმა სოფოკლეს „ანტიგონემ“ კამათი და აზრთა სხვაობა გამოიწვია კრიტიკოსთა შორის. ამ ფაბულით და სიუჟეტით დაინტერესებული რეჟისორები უფრო ხშირად ჟ. ანუის მიმართავდნენ ხოლმე (მ. თუმანიშვილი, თ. ჩხეიძე). ახალგაზრდა რეჟისორის მიერ სოფოკლეს ამ ტრაგედიის არჩევა საინტერესო უნდა ყოფილიყო იმ გაგებით, რომ ანტიკური დრამა თავისი კანონებით კლასიკურ, არისტოტელესეულ თეატრთან გვაბრუნებს, რაც ასე იშვიათია თანამედროვე თეატრალურ ხელოვნებაში.

თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ რეჟისორმა ზუსტად, ავტორისეული გაგებით წინა პლანზე წამოწია დიქტატურისა და მისი დამყარების თემა (ან სხვა რა უნდა ყოფილიყო?) და მას დაუპირისპირა ანტიგონეს ბუნტი სახელმწიფოში გამეფებული ტირანიის წინააღმდეგ. რეჟისორი პ. ციკოლია უფრო კრეონის (ა. ბეგალიშვილი) ტრაგედიას გვიჩვენებს (და არ უთანაგრძნობს), ვიდრე ანტიგონეს (ა. წერეთელი) ბრძოლას მის


წინააღმდეგ. მართლაც, კრეონი უფრო ხშირად არის მაყურებლის წინაშე და მისი ტრანსფორმაციაც აშკარაა, იგი ჩვენს წინაშე გადაიქცევა სასტიკ და მტარვალ დიქტატორად, ვიდრე ტერესი (ა. ბარათაშვილი) არ აიძულებს, შეცვალოს გადაწყვეტილება.

წარმოდგენა ქოროს გამოსვლით იწყება (პ. ციკოლიასა და დ. გაბუნიას მიერ პიესის ტექსტში სტილიზებული ჩამატება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ავტორისეულ ტექსტს და არც აზრობრივ გადახვევას წარმოადგენს). თებეს შვიდ კარიბჭესთან მიმდინარე მოვლენების სცენობრივი ასახვა დასაწყისშივე ძაბავს ტრაგედიის სიუჟეტს და უფრო გასაგებს ხდის შემდგომ ქმედებას მაყურებლისთვის.

ქოროს სამი (სტროფი, ანტისტროფი, სტროფი) წევრი, რომელთა ჩაცმულობა გესტაპოს ჯარისკაცისას უფრო ჩამოჰგავს, ვიდრე თებეს მოქალაქეებისას, ერთმანეთის მიყოლებით ნიღბებს ირგებენ, აქამდე პერსონიფიცირებული თითოეული მათგანი ამ გზით „საზოგადოებად," ზოგადად ხალხად გადაიქცევა და იმ დამსჯელ ძალად მოგვევლინება, რომელიც მართავს სახელმწიფოს. ისინი სულ სცენაზე არიან, მონაწილეობენ ყველა ქმედებაში და, უფრო მეტიც, ქორო ამ სპექტაკლში მთავარი მოქმედი გმირია, ყველაზე აქტიური და მსახიობური (გ. ვარდოსანიძე, დ. ბიბილეიშვილი, გ. ბახუტაშვილი) თვალსაზრისით საუკეთესოდ შესრულებული.

სცენაზე კი გამუდმებული ფუსფუსია: ჯერ იყო და, ეთეოკლეს (თუ პოლენიკეს?) გვამს „გააპატიოსნებენ" (უნდა ითქვას, რომ საკმაოდ უცნაური რიტუალით) და ზეცას გაუყენებენ, შემდგომ კი სასახლეს მიხედავენ, ასუფთავებენ, რეცხავენ (სისხლისგან?), ამზადებენ მეფის კურთხევისა და იმ მოვლენებისთვის, რომელიც აქ უნდა გათამაშდეს. კორიფე (ა. ნიკოლაშვილი) ხელმძღვანელობს ამ პროცესს – ასევე ქოროს მსგავს ჩაცმულობაში, მხოლოდ წითელი პიჯაკმორგებული. იგი საერთო ყურადღების ცენტრშია და მოგვიანებით მისი მეშვეობით და უშუალო კარნახით ხდება კრეონის მეფედ კურთხევა.

ქოროს – დამსჯელი რაზმის მიერ სცენაზე ძალით შემოყვანილი ისმენე (ა. ზამბახიძე) შავ სამგლოვიარო ტანსაცმელში მორჩილად ელის ანტიგონეს გამოჩენას, რომელიც სულ მალე შავნიღბიან უცნობზე პირუკუღმა ამხედრებული მოევლინება სასახლეს. ეს სახედამალული არსება, ანტიგონეს საკუთარი ანგელოზივით ან ორეულივით რომ დაჰყვება სპექტაკლის ბოლომდე, სცენაზე ყოველთვის მასთან არის, თითქოს ცდილობს, იხსნას იგი იმ აღსასრულისგან, რომელიც ელის და, მართლაც, ეს აჩრდილი საბედისწერო მომენტში ტირესად მოგვევლინება, იმ ერთადერთად, რომელიც შეძლებს კრეონის დაყოლიებას, შეცვალოს გადაწყვეტილება.



ნარკოტიკებით გაბრუებული, ჭკუაარეული ქოროს წევრები დროდადრო „ძალადობენ" ისმენეზეც და ანტიგონეზეც, მაგრამ მათ გატეხას ვერ აღწევენ. ოიდიპოსის ობლად დარჩენილი შვილები მედგრად უწევენ მოძალადეებს წინააღმდეგობას. „ძალადობა" გამუდმებით სუფევს ამ სახელმწიფოში და სპექტაკლშიც, მისი აღმსრულებლები ქორო, კორიფე თუ ჯალათი მთელი წარმოდგენის განმავლობაში ამის დემონსტრირებას ახდენს, თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რატომ არის მათი ძირითადი მსხვერპლი ევრიდიკე (ე. დემეტრაძე) – კრეონის უდრტვინველი მეუღლე და ჰემონის დედა. მეჩვენება, რომ აქ ლოგიკა ერთგვარად დარღვეულია ან საქმე გვაქვს იმ რეჟისორულ „რებუსებთან," რაზეც ზემოთ მივანიშნე და რასაც, შესაძლოა, მე ვერ ვხვდები. თუმცა შემდეგი სცენა ნათელზე

ნათელია და უახლოს წარსულს გვახსენებს, როგორ ქმნიან ერთი პატარა „რევოლუციონერიდან“ დიქტატორს.

კრეონს ხელშეკრულსა და თვალახვეულს გამოიყვანენ და დიდხანს მიდის მისი „ზომბირება“ – „ჩემად დავიპყარ თებეს ტახტი და ხელმწიფება“ (ხომ არ გეცნობათ რაღაც?!) – და იმის ჩანერგვა, რომ მოღალატე არ უნდა დასაფლავდეს. მის ყოველ ქმედებას მხარზე ხელის დარტყმით და შექებით „აჯილდოებენ,“ მაგრამ მაინც ჭუჭყიანი სააბაზანოს გვერდზე მიუჩენენ ადგილს, რათა ზედმეტი რამ არ ჩაიდინოს და მკაცრ კონტროლს დაექვემდებაროს. კრეონი ხელფეხშეკრულია, თვითონ ხდება თავისი ძალაუფლების მონა, მარტოდმარტო და უძლურია მაშინ, როცა ევრიდიკეს საყოველთაოდ „განბანენ“ და სამარცხვინო ბოძზე გააკრავენ – „ჩამოკიდებენ!“ ქორო – „საზოგადოება“ – სახელმწიფოს ეს სამარცხვინო მანქანა – არც ჰემონს (ლ. კახელი) ინდობს, მიუხედავად მისი მაღალი წოდებისა და ხელმწიფური ჩამომავლობისა, რასაც მისი ძვირფასი, მაგრამ მათნაირი ჩაცმულობა ადასტურებს. იგი უსუსურია, საკუთარ შეყვარებულსაც კი ვერ იცავს ტირანი მამის წინაშე: „ნუთუ თქვენც ფიქრობთ, რომ ხელმწიფეს ესოდენ უმწიფარ ყმაწვილისგან ეკადრება ჭკუის სწავლება?“ მიმართავს კრეონი იმათ, ვინაც მისგან დესპოტი შექმნა. ეს შეძახილი კი მათ ხელებს უხსნის, რათა ახლა ჰემონი გახდეს მათი შეურაცხყოფის ობიექტი.

ანტიგონე (ა. წერეთელი) – ემოციური, მებრძოლი ამ ომში მარტოდმარტოა, გამუდმებით ძალადობამ, დევნამ, დაჭერამ, საკანში გამოკეტვამ ვერანაირ შედეგი ვერ გამოიღო და ის ისევ თვითონ იღებს საბედისწერო გადაწყვეტილებას – გადავიდეს ჰადესის სამყაროში უბინო, გაუტეხელი, თავის სიმართლეში დარწმუნებული.

ოიდიპოსის მოდგმა ნადგურდება – ცოდვამ ყველას უწია, ყველას, ვისაც კი ამ ამბავთან რაიმე კავშირი ჰქონდა და თავზე გვემხობა ეთეოკლეს (თუ პოლენიკეს) გვამი – ცოდვათა ცოდვა ჩვენი უგუნურობისა.

მარჯანიშვილის თეატრიც ბევრ ახალგაზრდა რეჟისორს უთმობს თავის სცენებს. თემო კუპრავას მიერ განხორციელებული სპექტაკლი არ ჩამორჩება ექსპერიმენტული ძიებების რიგს. რეჟისორი მრავალ მიგნებასა და ახლებურ ხედვას გვთავაზობს, ზოგჯერ საკამათოს, ზოგჯერ სასიამოვნოს, ზოგჯერ მიუღებელს და ზოგჯერ გასახარსაც. თეატრის გრძელმა და ხანგრძლივმა ისტორიამ შემოინახა ამ უკვდავი ტრაგედიის დადგმის უამრავი მაგალითი – სხვადასხვა რეჟისორული გადაწყვეტითა და, რაც მთავარია, ჰამლეტის როლის განსხვავებული ინტერპრეტაციებით და გენიალური განსახიერებით. ჰამლეტი გიტარით (ვ. ვისოცკი), ჰამლეტი – ქალი (ასტა ნილსონი, სარა ბერნარი, ფატმა გირიკი, ალა დემიდოვა), ჰამლეტი ბებერი, ჟღალი წვერით და ა.შ და ა.შ. თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ მომეწონა ახალგაზრდა დებიუტანტი რეჟისორის სიმამაცე, გაერკვეს და მაყურებელს წარუდგინოს თავისი ხედვა იმ კატაკლიზმებისა და უბედურების შესახებ, რომელიც დანიის სახელმწიფოში სუფევს, კერძოდ კი იმაზე, რაც ჰამლეტის თავს დატრიალდა. ამ ურთულეს და ყველაზე „დახლართულ“ პიესაში ცოტა ვინმემ თუ შეძლო გადაეწყვიტა „ყოფნა-არყოფნის“ დილემა. ასე მაგალითად, რუსთაველის თეატრის რ. სტურუასეულ დადგმაში ჰამლეტი ცოცხალი რჩებოდა და არც „ყოფნა? არყოფნის?“ მონოლოგს არ კითხულობდა... ამდენად, თემო კუპრავას მიერ დადგმული წარმოდგენა ორმაგ ინტერესს იწვევდა – რატომ აქ და რატომ ახლა? ნუთუ „ყოფნა-არყოფნა“ ისევ აქტუალურია დღეს ამ, ასე პოლიტიზებულ სამყაროში – რა დგას ამ კითხვის უკან. მხოლოდ ჩვენი თანამედროვის თავის გადარჩენისთვის სწრაფვა თუ თავისუფლებისკენ ჰამლეტისეული ლტოლვა?

დამწყები რეჟისორის ერთგვარი სითამამე – სადებიუტოდ უ. შექსპირის უკვდავი ტრაგედიის არჩევა მისასალმებელია, თუმცა ავტორისთვის ძალიან სახიფათო. ამ პიესაში ნებსით თუ უნებლიეთ დრამატურგის მიერ იმდენი „ნაღმია“ ჩადებული, რაზეც ბევრმა რეჟისორმა „წაიმტვრია ცხვირი“.

ეს ტრაგედია შექსპირის მიერ ისეა დაწერილი, რომ ყველა პერსონაჟი ისეთია, როგორსაც ჰამლეტი ხედავს: ამდენად, ავტორი, ერთი მხრივ, ყველაფერს ჰამლეტის თვალით უყურებს, მეორე მხრივ კი, საკუთარითაც. ასე რომ, ყველა მაყურებელი ერთდროულად ჰამლეტიც არის და ისიც, ვინც მის საქციელს აკვირდება.

ვგონებ თ. კუპრავამ მაყურებელიც ამიტომ აიყვანა სცენაზე და მსახიობებთან სულ ახლოს დასვა. ჩვენ დასაწყისიდანვე მთელ ქმედებაში სრულად ვართ ჩართული და ჰამლეტისა და ოფელიას სუნთქვაც კი გვესმის, რომ არაფერი ვთქვათ მათი სულის მოძრაობაზე. ეს სიახლოვე თანამონაწილობას, თანაშეგრძნებასაც გულისხმობს. არჩევანი ჩვენზეა – ვის მხარეს აღმოვჩნდებით.

მარჯანიშვლის თეატრის სპექტაკლი ელსინორის კრონბერგის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის სანაპიროზე იწყება ნატურალური წყლითა და მეთევზეებით; „de mortuis aut bene aut nihil“ – სიტყვები... სიტყვები... რომლებიც, სავარაუდოდ, გარდაცვლილ მეფეს უნდა ეხებოდეს (ეს ლათინური გამოთქმა შექსპირთან არ არის!).

სცენის იმ დარჩენილ ნაწილზე, რაც წყალს, ზღვას არ უკავია, პირსია, რომელიც მალე მოქმედების მთავარი ადგილი გახდება – სამიოდე ამავალი საფეხურით. მასზე ერთადერთი სავარძელი – სამეფო ტახტის სიმბოლოა მოთავსებული. ეს არის გზა არსაით – გზა, რომელზეც მიემართებიან ტრაგედიის პერსონაჟები და რომლის ბოლოშიც ისინი თანმიმდევრულად საკუთარ აღსასრულს პოვებენ – თავიდან ოფელია, ბოლოს კლაუდიუსი და თვით ჰამლეტიც – ორივე! დიახ, ორი ჰამლეტი – სპექტაკლის ავტორის ერთ-ერთი ახალი ხერხი. ჰამლეტის (კ. როინიშვილი) პირველსავე გამოსვლას თან ახლავს პირსის კიდეზე უფროსი ჰამლეტის გამოჩენაც, რომელიც მეთევზეებს (ჯ. კილაძე, ნ. დოღონაძე) ისე დააფრთხობს, რომ მის მოკვლასაც კი განიზრახავენ. მხოლოდ თვით ჰამლეტისთვის არ არის ეს მოულოდნელი. იგი თითქმის ელოდა კიდევაც მას. სპექტაკლის ტექსტური ქსოვილიდან ჰორაციოს, გილდესტერნის, როზენკრაცისა და სხვათა გაქრობამ განაპირობა ის, რომ რეჟისორი სპექტაკლის სხვა მონაწილეთ აკისრებს მათ მოვალეობას – მეთევზეები სასახლის კარისკაცებიც არიან, მესაფლავენიც და ჰამლეტის ნამდვილი და ყოფილი მეგობრებიც. მამა ჰამლეტის (პ. პაპუაშვილი) აჩრდილი თვით ჰამლეტის ორეულიც არის, რომელიც კრიტიკულ მომენტში ხან ეთანხმება დანიის ახალგაზრდა პრინცს, ხანაც ეწინააღმდეგება მას. ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირის გაორება თვით შექსპირის ტექსტშია. „ყოფნა-არყოფნაც“ ხომ გაორების ნიშანია, ისევე, როგორც მოგონილი სიგიჟე ან ფილოსოფოსობა, ოფელიას სიყვარული და ქალთა მოდგმისადმი სიძულვილი: „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ,“ დედის დანაშაულში მხილება და ფარული „ლტოლვა“ მის მიმართ.

პირსზე, მეორე სცენაზე, რომელიც რეჟისორმა და სცენოგრაფმა (კიდევ ერთი მოულოდნელობა – ლ. წულაძე, თუ არ ვცდები, მეორედ გვევლინება ამ ამპლუაში) ძირითად სცენაზე ააგეს, მიმდინარეობს ორი ჰამლეტის შეხვედრა. ამ შეხვედრის შემდეგ ახალგაზრდა ჰამლეტისთვის უკვე ყველაფერი ნათელია და მასში თანდათანობით ღვივდება შურისძიების ალი: „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა“ .

მსახიობის (კ. როინიშვილი) მიერ „ლექსად“ წაკითხული „ყოფნა-არყოფნა,“ ოფელიასთან სცენა და შემდგომ მოხეტიალე მსახიობის მიერ მოთხრობილი ჰეკუბას ისტორია ჰამლეტს არწმუნებს, რომ დრო დადგა შურისძიებისთვის. იგი სრულად აღიქვამს საკუთარ მარტოობას, უსმენს ამ მსახიობის (ბ. გოდერძიშვილი) დეკლამაციას, მაგრამ ეს სიტყვები ცოტა რამეს თუ ეუბნება. გადაწყვეტილება მიღებულია. განვლილი მოვლენები თითქოს მიგვანიშნებს, რომ ჰამლეტი მზად არის კლაუდიუსის მოსაკლავად, მომენტიც შესაბამისია, მეფე მარტოა – ლოცულობს, ჰამლეტს დანაც მოუღერებია, მაგრამ აქ ერთვება მისი მეორე „მე“ – აჩრდილი, რომელიც იარაღს ხელიდან ართმევს, ჯერ შესაბამისი დრო არ დამდგარა. ვინ არ არის მზად? ჰამლეტი, გარემო და სახელმწიფო თუ მაყურებელი? ორივე ჰამლეტი „ქვესკნელში“ უჩინარდება, რათა ახალი ძალით შეებრძოლონ უსამართლობას. აქ ჩვენ არ შეგვიძლია არ დავუბრუნდეთ იმ მთავარ კითხვას, რომელიც ყოველთვის და ყველას აღელვებდა. რატომ არ კლავს ჰამლეტი კლაუდიუსს მაშინვე, როცა კი გაიგებს მის მიერ უფროსი ჰამლეტის მოკვლის ამბავს?.. ისევ გაორება და ირაციონალობა? ეს შექსპირის მეთოდია. სავარაუდოა, რომ ჰამლეტი ჯერ მზად არ არის ასეთი საბედისწერო ნაბიჯისთვის. მისი მერყეობა ხასიათის თვისება კი არ გახლავთ, არამედ შექსპირისეული ამოცანა – დააბნიოს მაყურებელი. ავტორმა „შემოვლითი“ გზით მიაღწია იმას, რომ დამსწრე საზოგადოება ხუთი მოქმედების განმავლობაში „გარშემო ტრიალის“ გზით მიიყვანა ისეთ ფინალამდე, რომელიც შესაძლებელია პირველი აქტის ბოლოსაც კი ყოფილიყო, ეს ფინალი კი იმდენად თავზარდამცემია, რომ მაყურებელი ვერ ასწრებს თვითდაკმაყოფილებას კლაუდიუსის სიკვდილით, ვინაიდან მას მაშინვე ჰამლეტის სიკვდილი ემთხვევა.

სანაპიროზევე დადგმულ სათაგურის სცენაშიც რეჟისორი ახლებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, განსხვავებულს შექსპირისეული ტექსტიდან – მოხეტიალე მსახიობთა მიერ გათამაშებულ ბაღის სცენაში გონზაგოს დედოფალი – მსახიობი კლავს. ჰამლეტი კი გერტრუდას ჩაშტერებია და მის რეაქციას ყურადღებით აკვირდება. სახეშეშლილ დედოფალს გასაქცევად გამზადებული

კლაუდიუსის კივილი გამოფხიზლებს „სანათი, „სანათი!“ გაჰყვირის პოლონიუსიც ...ჰამლეტის ინგლისიდან დაბრუნების შემდგომ გერტრუდა (ე. ჩხეიძე) ადგილს ვერ პოულობს – მწარედ ახსოვს ჰამლეტის სიტყვები და საკუთარი განცდა – „მაგ სიტყვებით გული ჩემი ორად გაგლიჯე“. მარტოა თავის ფიქრებთან და ჩადენილ ცოდვებთან, ოიდიპოსის მსგავსად „თვალები აეხილა“ და საკუთარ თავზე იყრის ჯავრს – ბღუჯა-ბღუჯა იჭრის და იგლეჯს თმას, შიშვლდება და საკუთარი ხელით ისერავს გულ-მკერდს. ვნება თვითგვემაში გადადის. იმის ნაცვლად, რომ მეუღლესთან ლოგინში ნებივრობდეს, როგორც უწინ, საკუთარი სხეული მასში სიძულვილს აღძრავს. ავხორცობამ და საკუთარი მაზლისადმი ავადმყოფურმა ლტოლვამ გამოუსწორებელი შეცდომები ჩაადენინა და გერტრუდა მზად არის, პასუხი აგოს. საბედისწერო ორთაბრძოლაში ჰამლეტი თვალთმაქცობს (რაც არ შეესაბამება მის ბუნებას) – ორთაბრძოლაში ხილაბანდს იხსნის, ეს კი გერტრუდას აღტაცებას იწვევს. გერტრუდა – ე. ჩხეიძე თითქოს შეგნებულად მიდის თვითმკვლელობამდე, კლაუდიუსის მიერ ჰამლეტისთვის სასმისის მეორე შეთავაზებისთანავე ხვდება, რომ შესაძლებელია ეს მისი შვილისთვის სასიკვდილო აღმოჩნდეს და თავის თავზე იღებს დარტყმას. მხდალი კლაუდიუსი – მ. აბულაძე კი ვერ ახერხებს ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევას და ჰამლეტის პირველსავე მოქნეულ დანას ეწირება. მისი მზაკვრობის შედეგად იხოცებიან ყველანი, დამნაშავენიც (გერტრუდა, პოლონიუსი) და უდანაშაულონიც (ოფელია, ლაერტი, ჰამლეტი). შექსპირი ერთნაირად სჯის ყველას, ვინც კი ამ ამბის ლოგიკა განაპირობა: მამა ჰამლეტი – ჰამლეტი – კლაუდიუსი – გერტრუდა – ოფელია – პოლონიუსი – ლაერტი. რეჟისორიც მხოლოდ ამ პერსონაჟებზე აკეთება აქცენტებს, ამიტომაც მისთვის აღარ არსებობს არც ფორტინბრასი, არც სხვანი.

მარჯანიშვილელთა სპექტაკლი ერთი კაცის, პრინცის თავგადასავალია, რომელიც იმ ქვეყანაში აღმოჩნდა, სადაც „დანია საპყრობილეა“. მომაკვდავი ჰამლეტი სავარძელს – სამეფო ტახტს მოიქნევს და უფსკრულში გადაუძახებს, ტახტს, რომელიც ამდენი ცოდვის საბაბი გახდა და რომლის დაკავებაც მას არ ეღირსა.

ახალგაზრდა რეჟისორთა მომავალი წინსვლისთვის უაღრესად სასარგებლოა, როდესაც ისინი თავისი შემოქმედების საწყის ეტაპზე თავისუფლად იღებენ სასცენო სივრცეებს: მარჯანიშვილის თეატრის სხვენი, რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა, მუსიკისა და დრამის თეატრი გახდა თამამი ექსპერიმენტების, მცდელობების, შემოქმედებითი ძიებების ასპარეზი. ყველა მონაწილე აღნიშნავს, რომ მათთვის მთავარი მაინც იყო პროცესი, სპექტაკლის მომზადების ხანა. რასაკვირველია, ჩვენთვის, მაყურებლისთვის მხოლოდ შედეგია მთავარი და ფასეული, ის, რასაც სცენაზე ვხედავთ, ხოლო, რაც კულისებს მიღმაა, რაც შიდა სამზარეულოს განეკუთვნება, იშვიათად თუ იწვევს ჩვენს ინტერესს.

„ცისკარი 1852” – სკოლას



ზვიად ქანთარია

კაცი - ტანჯვისთვის გაჩენილი

არსებობს ცნება – „ქრესტომათიული“. ვფიქრობ, ქართველი კაცისთვის ალექსანდრე ყაზბეგი სწორედ ქრესტომათიული მწერალია, რადგან მისი მხატვრული ნააზრევი მთლიანი ეროვნული ორგანიზმის ყველაზე უფრო მტკივანი, სისხლდაწრეტილი ნერვიდან არის ამოზრდილი. მის თხზულებებს, ტრაგიკული ეპოქის ამ ვრცელ მატიანეს, მრავალგზის ნანატრი თავისუფლების დაუოკებელი წყურვილი ასაზრდოებს. ყაზბეგისეული თავისუფლების ნიშნით აღბეჭდილი ვნებათაღელვა ერთი უმთავრესი თავისებურებით არის გამორჩეული: ის ერის ღრმა წიაღში არსებული ზნობრივი მსოფლმხედველობის უშუალო გაგრძელებაა. თავისუფლებისაკენ სწრაფვა ზნეობრივ მსოფლმხედველობას ეფუძნება. ამ შემთხვევაში მეც სწორედ ეს ზნეობრივ – მსოფლმხედველობრივი საფუძვლები მაინტერესებს და მინდა მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს შევეხო.

ქართული ლიტერატურის სასკოლო ქრესტომათიაში „ხევისბერი გოჩას“ ტექსტის ქვეშ ერთი ასეთი კითხვაა დასმული: „როგორ გესმით გოჩას სიტყვები: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“. ჩემი აზრით, სახელმძღვანელოს ავტორებს მართებულად დაუსვამთ ეს შეკითხვა საგანგებოდ, ვინაიდან თუ ამ მოთხრობის სწორი გაგება გვსურს, უპირველეს ყოვლისა, მოყვანილ ფრაზაში ჩატეული აზრი უნდა წარმოვაჩინოთ. ოღონდ ერთი რამაა, ალბათ უმჯობესი იქნებოდა კითხვის მაგიერ მოსწავლეებისთვის პასუხი მიგვეწოდებინა, რადგან ეს იმ კითხვათაგანია, რომლითაც უმალ მოსწავლემ უნდა მიმართოს მასწავლებელს. ამაზე მეტყველებს ფრაზის აქტუალობა, მისი აზრობრივი სტრუქტურა, ტევადობა. საქმე ის არის, რომ ამ ფრაზის გასაგებად თხზულების მთლიანი კონტექსტია გასათვალისწინებელი.

ხევისბერი გოჩას ცნობილი სიტყვები: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ...“ ღვიძლი ძის, ონისესადმია მიმართული. ამ მიმართვას, მკითხველის მეხსიერებამ რომ შემოინახა და მოარული ფრაზის „უფლებამოსილებაც“ მიანიჭა, როგორც ვნახეთ, თავისი გაგრძელება ან, უკეთ რომ ვთქვათ, „მეორე ნაწილიც“ აქვს: „კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“. მაკავშირებელი სიტყვით შეერთებული, ერთად მოყვანილი ეს ორი აზრი ნაუცბათევად ლოგიკური შეუსაბამობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ფრაზას მხოლოდ ჭარმაგი მამის დამრიგებლური ტონი კრავს და ერთიან სტილურ შეფერილობას ანიჭებს. ისე კი, მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, რატომ უნდა იყოს საზიარო კონტექსტში ლაპარაკი გვარის ღირსებასა და კაცის ტანჯვით აღსავსე ხვედრზე. მართლაც, რას ნიშნავს ეს ფრაზა? არის კი ამ ორ აზრს შორის კონტექსტში უკუფენილი მჭიდრო ლოგიკური კავშირი?

ცხადია, მხატვრული ნაწარმოები რთული ორგანული მთლიანობაა, მისი შემადგენელი პლასტების გლუვ, ერთფეროვან სიბრტყეში მოქცევა და, მითუმეტეს, ცალკეულ ფრაზამდე, აზრისმიერ თუ სახოვან ერთეულამდე დაყვანა შეუძლებელია. ჩემი მიზანია არა მოთხრობის ერთადერთ ფრაზამდე დაყვანა, არამედ კონტექსტის მოშველიებით ამ ფრაზის გამთლიანება და მის შიგნით ერთი ამოსავალი წერტილის, ნაწარმოების აზრობრივი გასაღების მიგნება.

ყველას კარგად გვახსოვს: ხელისმომკიდედ დანიშნულ, ხევისბერის ვაჟს ონისეს და საპატარძლო ძიძიას თავდავიწყებით შეუყვარდათ ერთმანეთი ქორწინების დღეს. ხევისბერის გამჭრიახ თვალს არ გამოჰპარვია შვილის გასაჭირი. სწორედ ამიტომ იყო, რომ მოხევეთა ძნელბედობის ჟამს რამდენჯერმე მიმართა მას დამრიგებლური სიტყვებით. ონისემ ერთხანს კი შეისმინა, მაგრამ საბოლოოდ ვერ აღასრულა ბრძნული დარიგება. ძიძიას სიყვარულით თავდავიწყებულმა ხევს უღალატა, რის გამოც მამამისის ხელითვე დაისაჯა.

ფაბულის ამ ტრივიალური გადმოცემიდანაც ჩანს, რომ მოთხრობაში ერთმანეთის პირისპირ დგანან მამა და ვაჟიშვილი, ხევისბერი გოჩა და ონისე. მოთხრობის კომპოზიციურ სტრუქტურაში ონისეს ხასიათი უფრო დინამიურად არის გაშლილი, მისი ზნეობრივი სტატუსი მოქმედებაში იხსნება. ონისე არის მოთხრობის ფსიქოლოგიური „ეპიცენტრი,“ ის პერსონაჟი, რომელსაც რაღაც შეემთხვა და მომავალშიაც რაღაც უნდა შეემთხვეს, მას იღბალი უწყობს მწარე გამოცდას, ის აკეთებს ცხოვრების უმართებულო და მართებული გზის არჩევანს. ე.ი. მწერლის გულისყური, უპირველეს ყოვლისა, მის ირგვლივ არის კონცენტრირებული, ნაწარმოების ფაბულასაც ონისე წარმართავს. ონისე დაკვირვების საგანია.

სხვა არის გოჩა. გოჩა დამკვირვებელია, მისი მოქმედების არე (თუ მოთხრობის ფინალურ ნაწილს გამოვთიშავთ) უფრო ვიწროა. გოჩა, ღრმა რეფლექსიას მიცემული, თავის თავში განმარტოებული პიროვნებაა. მისი შთაგონებული ფიქრის საგანი ზოგადსაკაცობრიო (ეთიკურ ასპექტში – ბოროტება, სიკეთე) და საერო გასაჭირია (ერთმანეთისგან განუთიშველად). გოჩასთვის ხევისბერობა, თუ შეიძლება ითქვას, გარედან მინიჭებული პრივილეგია, წოდებრივი უფლებამოსილება კი არ არის, არამედ სულიერი მოვალეობაა, შინაგანი მოწოდებაა. ის ინტროვერტული ნატურაა და ამიტომ თავის ნანახსა და განცდილს, საწუხარსა და საფიქრალს დამოძღვრით, ლოცვითა და დამწყალობნებით ამოთქვამს. გოჩა მოძღვარია, მაგრამ ის ამავე დროს ჯიუტად მოითხოვს თავისი ნამოძღვრალის აღსრულებას, რადგან იმ ზნეობრივი კატეგორიებით ცხოვრობს, რომლითაც ხევის თავდადებული წინაპრები ცხოვრობდნენ.

ხევისბერს გამომცდელი მზერა აქვს, ის თითქოს მუდმივად მოითხოვს პასუხს ონისესაგან, ე. ი. ამ კაცის თვალსაზრისი საზოგადოდ ადამიანის შესახებ პროეცირებულია ღვიძლი ძის, ონისეს ცხოვრების წესზე, სწორედ ონისესადმი პირუთვნელ მამობრივ მიმართებაში მჟღავნდება ეს თვალსაზრისი. მოთხრობაც ისე არის აგებული, რომ ყველაზე დამუხტული და მძაფრი ცხოვრებისეული პერიპეტიები ერთმანეთისკენ უბიძგებს მოძღვარ მამას და ძეცთომილ შვილს. მათი დიალოგიც საკვირველია... ისინი თითქოს ბოლომდე არ ამბობენ სათქმელს, მამა-შვილის ბჭობა აღსავსეა დაძაბული, უენო, ნერვიული ჟესტიკულაციით. ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ მღელვარე სჯა-ბაასის საგანი და მიზეზი მეტად მნიშვნელოვანია, აუხსნელია, სახელშეურქმეველია, ადამიანის ცოდვითდაცემულ არსთან მარადიულად შესისხლხორცებულია. ხევიბერის წარმოთქმული გამაფრთხილებელი სიტყვებიც („გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“) საოცრად დახშულ სივრცეს, მაგნიტურ ველს ქმნის ამ ორი პიროვნების ირგვლივ: „ამ სიტყვებზე მოხუცმა კვარს ხელი დაავლო და შვილთან ერთად დერეფანში გავიდა. იქ კიდევ შესდგა, შეხედა შვილს, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმაამოუღებლივ გაბრუნდა და სამყოფო სახლში შევიდა. ონისე რამდენსამე ხანს იმავ ადგილს დერეფანში იდგა და ანგარიშმიუცემლად ადგილიდან ვერ დაძრულიყო“.

რამ გამოიწვია ეს ხანგრძლივი დაფიქრება, ეს გაოგნება თუ გაქვავება? ცხადია, რაღაც ისეთმა კრიზისულმა სიტუაციამ, რომელიც ძალზე ძნელი დასაძლევია. აქ საქმე ეხება ონისესთვის რაღაც უაღრესად პიროვნულს, არსებითს, ინტიმურს, სულის ყველაზე უფრო ფაქიზ შრესთან დაკავშირებულს. ამიტომაც არის, გოჩა არ იკვლევს წვრილმანებს („არ ვიცი და არცა გკითხამ“). შვილის გრძნობებში ხელის ფათური მას უმსგავს მკრეხელობად მიაჩნია.

აქედან გამომდინარე, არჩევანი უნდა გააკეთოს თვითონ ონისემ და სხვამ არავინ. საკუთარ ვნებას და საძრახის აღტკინებას საკუთარივე ზნეობრივი ძალმოსილება უნდა დაუპირისპიროს.

გოჩასეული დამოძღვრის პირველი და უმთავრესი „ნაწილი“ – „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“ – ნიშანდობლივია: გოჩა კერძო, კონკრეტულ საწუხარზე კი არ უჩივის შვილს, არამედ ზოგადად, თუ შეიძლება ითქვას, ადამიანის ზნეობრივი დანიშნულების სიმაღლიდან მოძღვრავს მას. მამა საკუთარ ძეში ჩათვლემილ ზნეობრივ თვითშეგნებას აღვიძებს, ერთგვარი სომნამბულური მდგომარეობის აღმოფხვრას ესწრაფვის. მაგრამ აქ ისმის კითხვა: რაღა მაინცდამაინც გვარის აღმატებულ ღირსებაზე აკეთებს ის აქცენტს? ვინ იგულისხმება აქ გვარის მიღმა? მე ვფიქრობ, გვარს ამ შემთხვევაში ფართო, არაკონკრეტული, განვრცობილი მნიშვნელობა ენიჭება. გვარში, უპირველეს ყოვლისა, გოჩას ხევისბერობაა ნაგულისხმევი. ონისეს, ბუნებრივია, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა უნდა დააკისროს მამის რჩეულმა ერისკაცობამ, მან არამცთუ არ უნდა შებილწოს გოჩას

სახელი, არამედ ზნეკეთილობის მაგალითი უნდა მისცეს მოხევეთა წრეში აღზრდილ უბრალო ოჯახიშვილებს. ყაზბეგი შენიშნავს: „მოხუცს ჯერ ვერ გამოერკვია, თუმცა ესმოდა, რომ ეს მდგომარეობა მის სახელსაც შეეხებოდა“. მაშასადამე, გვარის აღმატებული ღირსების მიღმა აქ უშუალოდ ხევისბერი იგულისხმა მწერალმა. მაგრამ საგანგებო გარჯა არ დაგვჭირდება იმის შესამჩნევად, რომ მოთხრობის ზუსტად მომდევნო აბზაცში თვითონ ყაზბეგიც აფართოებს გვარის ადრესატის ვინაობას და აქ არამარტო ხევისბერი გოჩაა ნაგულისხმევი, არამედ ონისეს და გოჩას სახლეულნი, ერთიანი ოჯახი. „მამა ეუბნებოდა, „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო“ და სწორედ ამ სიტყვებით აგონებდა იმ მოვალეობას, რომელიც ერთს პირს მთელს სახლობასთან აკავშირებს“. თუ ნაწარმოების კონტექსტს გადავწვდებით, ვირწმუნებთ, რომ ყაზბეგის მიერ განზოგადებული ეს ფრაზა თანდათან უფრო ვრცელ თვალსაწიერს იკრებს.

მთავარი დამოძღვრის შემდეგ გოჩა თითქმის აღარაფერს ეუბნება ონისეს, ალბათ იგულისხმება, რომ უმთავრესი სათქმელი უკვე ითქვა და ახლა ყველაფერი ონისეს შინაგან მზადყოფნაზეა დამოკიდებული. და მართლაც, ონისე ღრმა სულიერ მეტამორფოზას განიცდის, ის ტოვებს იმ ადგილსამყოფელს, სადაც შეიძლება შეყვარებულის მაცდური სახე შეეჩეხოს და „ცხორში“ იხიზნება...

ვერაგი ნუგზარ ერისთავი კი მზაკვრული ხრიკების მოშველიებით კრებს ლაშქარს და მოხევეთა მშვიდობიან არსებობას უდგება კრიჭაში. შინმობრუნებულ ონისეს ძალზე შთამბეჭდავი სანახაობა წარმოუდგება: ხატის წინ დაჩოქილი ხევისბერი ღვიძლი ძის სახელს ავედრებს ღმერთს: „ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლად ატარე!.. ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გაწბილდებოდეს, ქუდი მოეხდებოდეს“. როგორც დავინახეთ, ის ლოცულობს ვაჟიშვილის არა ფიზიკურ, არამედ ზნეობრივ გადარჩენაზე.

და სწორედ პირისპირ ამ მეორე შეხვედრისას, ზნეობრივი თვითშეგნების გამომაღვიძებელი გოჩა განაგრძობს წამოწყებულ დამოძღვრას, ოღონდ თუ ადრე მის მიერ მოაზრებული გვარის ცნება ჯერ მისივე, ხოლო მერე მის სახლეულსაგვარეულოს მნიშვნელობას იტევდა, ახლა უკვე მამა-პაპათა მნიშვნელობასაც იტევს. აი, რას ამბობს ხევისბერი გოჩა: არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო... მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ თავიანთი მიწა-წყლის დაცვის დროს, მათის სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდე გაუჟღინთავს... ახლა თქვენ იცით, რასაც იქმთ...“

ამ სიტყვებში გვარის ცნება მეტისმეტად განზოგადდა. მისი იერარქიული კიბის საფეხურები ახლა ასე გამოიყურება: ხევისბერი გოჩა, სახლეულნი, მამა-პაპანი... ამ მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: გოჩასეულ დამოძღვრაში გვარის ცნების მიღმა ერთი კონკრეტული ადრესატი არ ყოფილა ნაგულისხმევი.

გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო, როცა მიმართავს ჭარმაგი მამა თავის ერთადერთ ძეს, მრავალმნიშვნელოვანი გვარის ცნების მეოხებით ის ზნეობრივი წინამდგომის პატივისგების იდეას წარმოაჩენს, ხოლო ეს იდეა თავის მხრივ, დასაბამს მოხევეთა ქრისტიანული მსოფლგაგებიდან იღებს („პატივი ეც დედასა და მამასა შენსა“).

მოხევეთა ქრისტიანული მსოფლგაგება ნაწარმოების ავტორის მიერ აქცენტირებულია დამწყალობნების ეპიზოდშიც.

ნუგზარ ერისთავთან საბედისწერო შებრძოლების წინ მოხევენი სამების ტაძრის ირგვლივ იკრიბებიან, ეს არის მოხევეთათვის ყველაზე დიდი გასაჭირის ჟამი, შეიძლება ითქვას, ყოფნა-არყოფნის ჟამიც კი, რადგან მათ თავისუფლების გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენიათ. და სწორედ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ეძებენ ისინი თავიანთ ზნეობრივ საყრდენებს, – სამების საყდართან ლოცულობენ. მწერლის სიტყვით, ეს ის ტაძარია, რომელზეც – „ქარსა და ნიაღვარს ჯერ ვერ მოუსწრია სრულად ამოეშალა ზედ წარწერა. და მწიგნობარს კიდევ შეუძლიან გაარჩიოს სიტყვები... „...ხარი ლომა... მწყემსი თევდორე...“ – ეს ორი სახელია, რომელთაც უეჭველია დიდი ღვაწლი მიუძღვოდა ამ ხევის წარსულის დიდების აშენებაზე“.

მაშასადამე, ქვაზე ამოკვეთილ აღმშენებელთა სახელები ჯერ კიდევ არ წაუშლია ჟამს და ეს ქვა არის მოხევეთა სულიერი საყრდენი. უეჭველია, მწერალი ამ ეპიზოდში კიდევ ერთხელ ათვალსაჩინოებს ზნეობრივი წინამდგომის იდეას, რომელიც, როგორც ვხედავთ, საზიაროა მოხევეთათვის.

გოჩამ, როგორც მოხევემ და ხევისბერმა, ქრისტიანული მსოფლგაგებიდან შეწოვილი ზნეობრივი იდეა დაუსახა ონისეს უმაღლეს ფასეულობად, მაგრამ ონისე ვერ გამოდგა იმ შინაგანი მზადყოფნის პიროვნება, ვინც ბოლომდე მიიღებდა იდეას, ამიტომაც უმკაცრეს განაჩენთან ერთად მან გოჩას სასტიკი წყევლა-კრულვაც დაიმსახურა: „მაშ, ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულებულო, დედ-მამის საფლავიდან ამომგდებო!“.

ეს რაც შეეხება პირველ ნაწილს. ახლა კი უფრო მოკლედ მეორე ნაწილის შესახებ.

ზემოთ ვთქვით, რომ ონისე ვერ გამოდგა იმ შინაგანი მზადყოფნის პიროვნება, რომელიც ბოლომდე მიიღებდა ამ იდეას. მართალია, ვერ გამოდგა! მაგრამ მან სცადა ასეთი გამხდარიყო.

ეს მცდელობა სწორედ მის ტანჯვით აღსავსე ცხოვრების წესში აირეკლა. ონისემ, თუ შეიძლება ითქვას, ამოძირკვა თავისი თავი მშობლიური გარემოდან, ის გაიხიზნა, განუდგა საწუთროებას და ამ განდგომამ ანუ ცხოვრების ახალმა წესმა, რომელიც მსოფლმხედველობის განუყრელ ნაწილად ექცა, გარკვეულწილად ცნობიერი დისტანციის გრძნობა აღუძრა მას სატრფოსადმი. ამიტომაც ერთხანს ეშმაკად წარმოესახა ძიძია („და ეს საკმარისი იყო, რომ ანგელოზის სახე ონისეს ეშმაკად მოსჩვენებოდა“).

ეს არის მსოფლმხედველობრივად უაღრესად საინტერესო მონაკვეთი. ფაქტობრივად ამ მონაკვეთშია გამთლიანებული ჩვენ მიერ ნაწარმოების გასაღებად მიჩნეული ორნაწილიანი ფრაზის ლოგიკური შეუსაბამობა. როგორ ხდება ეს? მაშასადამე, ონისე ირჩევს ტანჯვიან ცხოვრების წესს, ის თრგუნავს თავის ლტოლვას, დროებით იურვებს თავის ბობოქარ ვნებას და ბუნების უკაცრიელ წიაღში განმარტოებულს თვითგანკითხვისა და, აქედან გამომდინარე, თვითგვემის მეტად მტკივნეული ჟინი ეუფლება. ეს ერთადერთი წერტილია ნაწარმოებისა, სადაც ონისე საკუთარ თავს ებრძვის. მართალია ხანმოკლეა ეს შებრძოლება, მაგრამ თავისთავად იმის დასტურია, რომ ამ კაცმა არამხოლოდ მოისმინა და გაიგო მამის მოძღვრება („გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“), არამედ ამ მოძღვრების შესაბამისი პრაქტიკული გზაც ანუ ცხოვრების წესიც („კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“) გაიზიარა და დაიმკვიდრა თავის გაძნელებულ ყოფაში. სწორედ აქ, ამ წერტილში გამთლიანდა ეს ფრაზა ონისეს ზნეობრივი ქმედების მეშვეობით. აქვე მოხდა ისიც, რომ ვაჟს თავის სატრფო ეშმაკის სახით წარმოუდგა. ლევ ტოლსტოის აქვს მოთხრობა „ეშმაკი“, სადაც ეს ეპითეტი ამგვარივე ავბედითი სიყვარულის ადეკვატია. ტოლსტოისთან, ვფიქრობ, სიძვის მოტივია მთავარი, ვინაიდან სიძვა ამოძრავებს მოთხრობის გმირს და გამოუღწეველ ლაბირინთში ხლართავს, ყაზბეგთან კი ქალ-ვაჟის სიყვარული არ არის მოკლებული სულიერების ელემენტს, მაგრამ მისი ეთიკური საფუძველი მერყევია და ფუყე. საქმე ის გახლავთ, რომ ამ სიყვარულს ჩანასახშივე დაჰყვება მკრეხელობა. იმავე ქრისტიანული მსოფლგაგების თანახმად ქორწინება მეშვიდე საიდუმლოდ არის შერაცხილი (მოთხრობის VII თავი ასე სრულდება: „მღვდელი შეუდგა მეშვიდე საიდუმლოს აღსრულებას“), ონისე კი, როგორც ხელისმომკიდე, მონაწილეა ამ საიდუმლო რიტუალის და სწორედ რიტუალის აღსრულების ჟამს ისახება მის არსებაში სიყვარული, მერე კი ის ებრძვის საკუთარ გრძნობას...

მაგრამ ხევისბერის დამოძღვრით გამოწვეული შინაგანი მეტამორფოზა, რითაც უაღრესად საინტერესო გახდა ონისეს პიროვნება, მეტად ხანმოკლე გამოდგა. ძლიერმა წადილთა ნებამ საბოლოოდ დათრგუნა მისი ზნეობრივი საწყისი.

ონისემ არამარტო დაივიწყა ვისი გორისა იყო, არამედ მას ისიც დაავიწყდა, რომ ტანჯვის გზით უნდა ევლო. შვილმა დაივიწყა ხევისბერის ბრძნული დარიგება და ამიტომ ხევისბერისვე უმკაცრეს განაჩენს ემსხვერპლა.

„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ, კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“. ჩვენ ჯერ კონტექსტის მოშველიებით განვმარტეთ პირველი და უმთავრესი თეზა, მერე კი მასთან კავშირში, მეორე თეზის ნათელყოფასაც შევეცადეთ და აქაც სათანადო ადგილები მოვიშველიეთ ნაწარმოებიდან. პირველში უმაღლესი ზნეობრივი ფასეულობაა დასახული, მეორეში კი ამ ფასეულობის მქონე ადამიანის შესაბამისი ცხოვრების წესია მინიშნებული.

ეს ფრაზა ერთი მთლიანი, განუთიშველი ეთიკური ფორმულაა, რომლის შემეცნება და ცხოვრებისეული განხორციელება სცადა საცდურში ჩავარდნილმა ონისემ და ვერ შეძლო.

ონისე დამარცხდა.

და ბოლოს – ერთ მოაზროვნეს მოსწრებულად უთქვამს, ხელოვნება არ უნდა იყოსო „ფაბულა დოცეტ“ („არაკი გვასწავლის“). მართლაც, მხატვრული ნაწარმოები საიმისოდ როდი იწერება, რომ მკითხველმა მორალის გამოტანაზე იმტვრიოს თავი. ეს მეტად დაამდაბლებდა ყოველი საინტერესო თხზულების მნიშვნელობას, მაგრამ მოტანილი დებულება იმის უფლებასაც არ გვართმევს, რომ მხატვრულ ქმნილებაშივე დაფარული ლაიტმოტივი წარმოვაჩინოთ. „ხევისბერი გოჩას“ ლაიტმოტივი, ალბათ ამგვარი სიტყვებით შეიძლება გადმოიცეს: თუ პიროვნება ზნეობრივად მრთელია, ეროვნული თვალსაზრისითაც მრთელი იქნება, ხოლო თუ მან ზნეობას უღალატა, ერსაც უღალატებს.

ასე ფიქრობდნენ ისინი, ვისი გორისანიც ჩვენ ვართ და ამიტომაც ტანჯვის ფასად ცდილობდნენ ზნეობრივი სიმტკიცის შენარჩუნებას.

საერთაშორისო და ეროვნული პრემიები ლიტერატურაში

„...პრემია მიენიჭოს მას, ვინც საუკეთესოთა შორის საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებს შექმნის იდეალისტური მიმართულებით“.
ალფრედ ნობელი

ნობელის პრემია

ალფრედ ნობელი – ქიმიკოსი, ინჟინერი და გამომგონებელი. 1894 წელს მან შეიძინა მეტალურგიული კონცერნი „ბოსფორსი,“ რომელიც იარაღის უმსხვილეს მწარმოებლად აქცია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველი მილიარდერი იყო თავის საუკუნეში. ნობელს 350 გამოგონება ჰქონდა, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია დინამიტი, და სწორედ ამ გამოგონებათა საშუალებით გახდა პლანეტის უმდიდრესი ადამიანი თავის ეპოქაში.

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე (იგი 1896 წელს გარდაიცვალა) შეადგინა ანდერძი, რომელშიც სხვა დანარჩენ პრემიათა შორის მშვიდობის პრემია შეიტანა და მთელი თავისი დიდი ქონება მეცნიერების, კულტურის და საზოგადოების განვითარებაში ჩადო, კაცობრიობის ჰუმანურ და იდეალისტურ განვითარებაში.



ალფრედ ნობელთან დაკავშირებით ხშირად იხსენებენ დიდი ჩინელის, კონფუცის ცნობილ ფრაზას: „არიან ადამიანები, რომლებიც დინებას მიჰყვებიან; არიან ადამიანები, რომლებიც დინების საწინააღმდეგოდ მიდიან, და არიან ადამიანები, რომლებიც დინებას ქმნიან“.

ნობელს მალე გამოუჩნდა მიმდევრები და XX საუკუნის დასაწყისიდან სულ უფრო მეტი და მეტი მდიდარი ადამიანი დებდა სახსრებს მეცნიერების, ხელოვნების, კულტურისა და საზოგადოების განვითარებაში. ზემოთ ჩამოთვლილი პრემიების გარდა კიდევ ბევრი სხვა პრემია არსებობს, რომლებიც (მეტ-ნაკლები ფინანსური ოდენობით) კულტურისა და მეცნიერების განვითარებას ემსახურება.

„ნობელის დინება“ გრძელდება და, როგორც ამ საქმის მამამთავარმა განაცხადა, „მას, ვინც საუკეთესოთა შორის საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებს შექმნის იდეალისტური მიმართულებით,“ უკვე ნობელის მიმდევრებიც აჯილდოებენ.

ნობელის პრემიების გაცემა 1901 წლიდან დაიწყო. პირველი ნობელიანტი ლიტერატურაში ფრანგი პოეტი სიული-პრიუდუმი (რენე ფრანსუა არმან პრიუდუმი) იყო.

*2014 წლის ნობელიანტი ლიტერატურაში ფრანგი მწერალი **პატრიკ მოდიანო** გახდა. პატრიკ მოდიანო 69 წლისაა. იგი ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ 1945 წლის 30 ივლისს დაიბადა. მწერლის მამა უძველესი ებრაული გვარის წარმომდგენელი იყო, ხოლო დედა ფლადრიელი მსახიობი. მწერლის არქივში 20-ზე მეტი რომანია, რომლებიც სხვადასხვა ენებზეა ნათარგმნი, რამდენიმე ეკრანიზებულიც არის. მოდიანოს თითქმის ყველა ნაწარმოები მეორე მსოფლიო ომს ეხება და მთელ მის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს საფრანგეთის ფაშისტური ოკუპაციის თემა.*

მწერალმა პირველი პრემია 1972 წელს მიიღო საფრანგეთის აკადემიისგან რომანისთვის – „წრე ბულვარში“. ექვსი წლის შემდეგ კი საფრანგეთში ყველაზე მნიშვნელოვანი და პრესტიჟული გონკურის პრემია დაიმსახურა რომანისთვის „ბნელი დახლების ქუჩა“.

„ხსოვნის ხელოვნების დიდოსტატი, რომელიც ღრმად ჩაწვდა ადამიანის ბუნების უფაქიზეს შრეებს და წარმოაჩინა მათი ცხოვრების რთული და მძიმე ხვედრი ოკუპაციის დროს,“ – ასეთი ფორმულირება მისცა მწერლის შემოქმედებას ნობელის აკადემიამ.

როგორც უცხოური პრესა იუწყება, ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ, როდესაც მწერლის რომანები: „ჰორიზონტი“ და „დაკარგული ახალგაზრდობის კაფე“ გამოვიდა, ავტორს ნობელის პრემია უწინასწარმეტყველეს. წამყვანი ფრანგული გაზეთი – Paris Match კი წერს: „საფრანგეთი დიდი სიამაყით აღნიშნავს და ულოცავს მწერალს გამარჯვებას, მაგრამ არ უკვირს და მოულოდნელი სულაც არ იყო, რომ ნობელის პრემიას მიიღებდა“.

საუკუნეზე მეტია, რაც ნობელის პრემია უპირველესია პრემიებს შორის. მას კონკურენტი არ ჰყავს თუნდაც იმიტომ, რომ დღეისთვის ნობელის ფონდის კაპიტალი 3 მილიარდ 112 შვედური კრონია (დაახლოებით 450 მლნ აშშ დოლარი). პრემიის ფულადი ეკვივალენტია 10 მლნ შვედური კრონი (დაახლოებით 1,4 მლნ აშშ დოლარი). პრემიები გაიცემა ფასიანი ქაღალდების გაყიდვების შედეგად შემოსული თანხების პროცენტებიდან.

რა თქმა უნდა, პირველობისთვის მხოლოდ ფინანსური უპირატესობა საკმარისი არ არის. მთავარი მამოძრავებელი ძალა ნობელის პრემიის ფონდის მესვეურების მაღალი დონეა, რომელიც, როგორც საკრალური ტრადიცია, თაობიდან თაობაზე გადადის. სტოკჰოლმი და ოსლო (ამ ქალაქებშია ნობელის კომიტეტები) – ეს ორი ქალაქი პლანეტის ინტელექტის, სულიერების, ჰუმანიზმისა და მშვიდობის ავანგარდში დგას და მეფური ხელგაშლილობით ხვდება და აჯილდოებს გამარჯვებულებს.

დაჯილდოების პროცედურას წინ უძღვის დიდი სამუშაო, რომელსაც ნობელის კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები მთელი წლის განმავლობაში ეწევიან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ნობელის ლაურეატები ოქტომბერში სახელდებიან და მათ ავლენს: შვედეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემია, შვედეთის აკადემია, კაროლინის ინსტიტუტის ნობელის ასამბლეა და ნორვეგიის ნობელის კომიტეტი. ყველაფერი ალფრედ ნობელის ანდერძის ზუსტი დაცვით ხდება. ყველა პრემიას, გარდა მშვიდობის დარგში მინიჭებულისა, სტოკჰოლმი გასცემს. ალფერდ ნობელის ნების თანახმად მშვიდობის პრემიით ოსლო აჯილდოებს.

დაჯილდოების ცერემონია ყოველი წლის 10 დეკემბერს იმართება სტოკჰოლმსა და ოსლოში. სტოკჰოლმში (ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგის, მედიცინის, ლიტერატურის, ეკონომიკის დარგები) ლაურეატს პრემიას გადასცემს პირადად შვედეთის მეფე, ოსლოში კი ნორვეგიის ნობელის კომიტეტის თავმჯდომარე მშვიდობის პრემიით აჯილდოებს ლაურეატს. საზეიმო დაჯილდოებები რატუშის შენობაში მიმდინარეობს, რომელსაც ნორვეგიის მეფე და სამეფო კარი ესწრებიან.

ნობელის ბანკეტი სტოკჰოლმში, რატუშის ცისფერ დარბაზში იმართება, რომელიც შვიდ საათზე იწყება. ბანკეტზე მოწვეულია 1300-1400 სტუმარი. ჩაცმულობის ფორმა – ფრაკი და საღამოს კაბა. მენიუს შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ „წლის მზარეულის“ სტატუსის მქონე კულინარები. სპეციალურად დამუშავებული დიზაინის მიხედვით დამზადებული ჭურჭელი (1400 პერსონაზე) ხელნაკეთია და დატანებულია სამეფო ნიშნები და ამოტვიფრულია ნობელის პროფილი.

ზუსტად 7 საათსა და 10 წუთზე მაღალი რანგის სტუმრები, რომელთაც წინ მიუძღვიან მეფე და დედოფალი, კიბით დარბაზში ჩამოდიან, სადაც უკვე სხედან მოწვეული სტუმრები. მეფეს მოჰყავს ნობელის ლაურეატი მანდილოსანი (თუ ნობელიანტი მამაკაცია, მაშინ მისი მეუღლე). პირველი სადღეგრძელო მისი უდიდებულესობა მეფისაა, მეორეთი ალფრედ ნობელი მოიხსენიება. ბანკეტს მუსიკალურად აფორმებენ მსოფლიოს საუკეთესო კლასიკოსი მუსიკოსები.

ნობელის ბანკეტის აღწერისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მიმტანების უმაღლესი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი (მათი მოძრაობა წამებშია გათვლილი). ნობელის ბანკეტის კულინარიული ღირსშესანიშნაობაა ნაყინი, რომელიც ყოველ წელს სხვადასხვანაირია, მაგრამ ერთი დეტალი – შოკოლადის გვირგვინი მონოგრამით N მუდმივია. 22:15 წუთზე შვედეთის მეფე აძლევს ნიშანს და იწყება ცეკვები რატუშის ოქროსფერ დარბაზში. 01:15 წუთზე ბანკეტი მთავრდება. ამ ულამაზეს წვეულებაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, ერთი სიტყვით კი ის დახასიათდება, როგორც ბრწყინვალე! საერთოდ, ნობელის კვირეული, თავისი კონცერტებით და სხვა ღირსშესანიშნაობებით, საკაცობრიო მნიშვნელობისაა.

და ერთი დეტალიც – რესტორანი, რომელიც ბანკეტს ემსახურება, რატუშის გვერდით არის. ნობელის ბანკეტის აბსოლუტურად ყველა კერძი, დაწყებული 1901 წლიდან ბოლო ბანკეტამდე, მათ მენიუშია და ასეთი სადილი 200 დოლარი ღირს.

ალფრედ ნობელმა ანდერძი 1895 წლის 27 ნოემბერს შეადგინა, რომელშიც ლიტერატურული პრემია რიგით მეოთხედ იყო მითითებული. მისი ანდერძი 1897 წელს საჯაროდ გაცხადდა და 1901 წელს ნობელის გადაცემის პირველი ცერემონია გაიმართა. მას შემდეგ ნობელის პრემიას წყვეტა არ ჰქონია – ის სულ უფრო პოპულარული ხდებოდა და ძლიერდებოდა.

გონკურების პრემია



მთავარი და ყველაზე პრესტიჟული ეროვნული ლიტერატურული პრემია საფრანგეთში გონკურის პრემიაა. იგი დააარსეს ფრანგმა კლასიკოსებმა, ძმებმა – ჟიულ ალფრედ იუ და ედმონ ლუი ანტუან გონკურებმა 1896 წელს. უმცროსმა ძმამ ედმონმა მთელი თავისი უზარმაზარი ქონება საფრანგეთის ლიტერატურულ აკადემიას უანდერძა, რომელსაც შემდგომ გონკურის აკადემია ეწოდა. ძმები მალე გარდაიცვალნენ და შვილებმა დავა წამოიწყეს ქონებასთან დაკავშირებით. მართალია, გონკურის აკადემია სახსრების გარეშე დარჩა, მაგრამ პრესტიჟი შეინარჩუნა და უკვე საუკუნეზე მეტია, რაც ფრანგული ლიტერატურული პრემიების ავანგარდში დგას.

პრემია გაიცემა ყოველ წელს და მას გონკურის აკადემია ანიჭებს, რომელიც ათი წევრისგან შედგება. ტრადიციის თანახმად (ეს ტრადიცია 1902 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება) ათივე წევრი იკრიბება პარიზის რესტორან დრუანში საგანგებო ვახშამზე და ხმათა უმრავლესობით გამარჯვებულს ასახელებს. თუ ხმები თანაბრად გადანაწილდა, მაშინ გადამწყვეტი სიტყვა აკადემიის პრეზიდენტს ეკუთვნის. პრემიალური თანხა სიმბოლურია (დღეისთვის 10 ევრო), მაგრამ, როგორც წესი, გონკურის პრემიის ლაურეატობის შემდეგ რომანი დიდი ტირაჟით იბეჭდება და იყიდება.

სიმბოლურია, აგრეთვე, გონკურის აკადემიის წევრების ხელფასი – 60 ევრო წელიწადში, მაგრამ, მცირე თანხის მიუხედავად, სხვადასხვა დროს აკადემიის წევრები იყვნენ ალფონს დოდე, ჟიულ რენანი, ჟოზეფ ანრი უფროსი, ფილიპ ერია, ერვე ბაზენი, ლუი არაგონი და სხვ.


გონკურის პირველი პრემია გაიცა 1903 წელს და მისი მფლობელი გახდა ჯონ-ანტუან ჰო, თუმცა მისგან დიდი მწერალი არ დადგა. შემდგომ გონკურიანელები იყვნენ ისეთი ცნობილი მწერლები, როგორებიც არიან: ალფონს შატობრიანი, ანრი ბარბიუსი, მარსელ პრუსტი, მორის დრიუონი, სიმონა დე ბოვარი, პათრიქ რამბო, ანდრეი მაკინი და სხვ.

2014 წლის გონკურის პრემიის ლაურეატი გახდა 66 წლის ფრანგი მწერალი **ლიდი სალვეირი**. აღსანიშნავია, რომ პატრიკ მოდიანო ერთადერთი გონკურიანელია (1972 წ.), რომელმაც ნობელის პრემიაც დაიმსახურა.

ბუკერის პრემია

ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ეროვნული პრემია ინგლისურ ლიტერატურაში. პირველი პრემია გაიცა 1969 წელს და დღემდე ორმოცდახუთმა მწერალმა მიიღო. მათგან ოთხი – **უილიამ გოლდინგი** (დიდი ბრიტანეთი), **ნადინ გორდიმერი** (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), **ვიდიადჰარ სურაჯფრასად ნაიფოლი** (ინდოეთი), **ჯონ მაქსველ ქუთზე** (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) – შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.


ბუკერის ეროვნული პრემია ლიტერატურაში გაიცემა მხოლოდ იმ მწერლებზე, რომლებიც დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის (ირლანდია, შოტლანდია, ინდოეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ზიმბაბე) ქვეყნებში მოღვაწეობენ და ინგლისურ ენაზე წერენ.



2005 წელს დაარსდა ბუკერის საერთაშორისო პრემია და მიიღო ოფიციალური სახელწოდება – Man Booker International Prize, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა. პრემია ეძლევა როგორც ინგლისურენოვან მწერალს, ასევე ავტორს, რომლის ნაწარმოებიც თარგმნილია ინგლისურ ენაზე. პრემიის ფულადი ეკვივალენტია სამოცი ათასი გირვანქა სტერლინგი (ასთვრამეტი ათასი დოლარი).

2014 წლის ბუკერის პრემიის ლაურეატი გახდა ავსტრალიელი მწერალი **რიჩარდ ფლენაგანი**. იგი მესამე ავსტრალიელი მწერალია, რომელმაც ეს პრემია დაიმსახურა. მწერლის რომანმა „ვიწრო ბილიკი ჩრდილოეთისკენ“ დიდი პოპულარობა მოიპოვა ავსტრალიაში და ბუკერის ჟიურის ფავორიტიც გახდა. რომანი მეორე მსოფლიო ომზეა და მოქმდება იაპონიის საკონცენტრაციო ბანაკში ვითარდება, სადაც სამხედრო ტყვეები ჰყავთ. რიჩარდ ფლენაგანის მამა ერთ-ერთი იმ ტყვეთაგანი იყო და გარდაიცვალა იმ დღეს, როდესაც მწერალმა რომანზე მუშაობა დაამთავრა.

ჩინო დელ დუკას პრემია



საერთაშორისო ლიტერატურული პრემია. დაარსდა 1969 წელს იტალიური წარმოშობის ფრანგი მწარმოებლის საპატივცემოდ. ჩინო დელ დუკა მაღალი დონის და შემოსავლიანი გამომცემლობის მფლობელი და ხელმძღვანელი იყო, ამასთანავე, დიდი ფილანთროპი.

დუკას გარდაცვალების შემდეგ მისმა ქვრივმა, სიმონე დელ დუკამ დააფუძნა მეუღლის სახელობის საერთაშორისო პრემია – „ლიტერატურული ან მეცნიერული ფორმით ჰუმანიზმის დამკვიდრება თანამედროვე სამყაროში“. პრემიის ფულადი ეკვივალენტია 300 000 ევრო.

2004 წელს, მადამ დუკას გარდაცვალების შემდეგ, დუკას პრემია საფრანგეთის ლიტერატურული ინსტიტუტის დაქვემდებარებაში გადავიდა. პრემია ყოველწლიურია და 1969 წლიდან გაიცემა. ქართველი მკითხველისთვის ცნობილი დუკას ლაურეატები იყვნენ: ანდრეი სახაროვი, ხორხე ლუის ბორხესი, ჟორჟ ამადუ, ვლაცლავ ჰაველი, მარიო ვარგას ლიოსა, მილან კუნდერა და სხვები.

2014 წელს ჩინო დელ დუკას პრემიის ლაურეატი გახდა 58 წლის ფრანგი მწერალი (წარმოშობით რუსი) **ანდრეი მაკინი**. 1995 წელს მწერალი გონკურის საპატიო პრემიის ლაურეატი გახდა რომანისათვის „ფრანგული ანდერძი,“ რომელიც 35 ენაზე ითარგმნა, ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა და იმავე წელს საფრანგეთის მოქალაქეობა მისცეს.

ნეიშთადტის ლიტერატურული პრემია




საერთაშორისო ლიტერატურული პრემია. 1969 წელს აშშ-ში დააფუძნეს უოლთერ და დორის ნეიშთადტებმა, რომლებიც ოკლაჰომას უნივერსიტეტისა და ჟურნალ World Literature Today (ამავე უნივერსიტეტის გამოცემა) სპონსორები არიან. ნეიშთადტის პრიზია არწივის ვერცხლის ფრთა და 50 000 აშშ დოლარის სერთიფიკატი. გაიცემა ორ წელიწადში ერთხელ.

პრემიის წესდებაში ნათქვამია: „ჯილდო გაიცემა მაღალი ლიტერატურული ღირებულების ნაწარმოებზე პოეზიის, პროზის, ფანტასტიკისა და დრამის ჟანრებში. ავტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, წერდეს ნებისმიერ ენაზე, მაგრამ სავალდებულოა ნაწარმოები (თუ მთელი არა, რაღაც ნაწილი) თარგმნილი იყოს ინგლისურ ენაზე ჟიურისთვის წარსადგენად“.

თავის დროზე ნეიშთადტის ლიტერატურული პრემიის ლაურეატები იყვნენ მწერლები: გაბრიელ მარკესი (პროზაიკოსი), ელიზაბეთ ბიშოფი (პოეტი), ჩესლავ მილოში (პოეტი), მაქს ფრიში (პროზაიკოსი), თომას ტრანსთრიომერი (პოეტი) და სხვა ცნობილი ავტორები. მათგან ორი – **გაბრიელ მარკესი** და **თომას ტრანსთრიომერი** ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ.

2014 წლის ნეიშთადტის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი გახდა 59 წლის მოზამბიკელი (ეთნიკურად პორტუგალიელი) პროზაიკოსი და პოეტი **მია ქოუთო**.

იერუსალიმის პრემია



საერთაშორისო ლიტერატურული პრემია, რომელიც იერუსალიმის „წიგნების საერთაშორისო ბაზრობამ“ დააფუძნა 1963 წელს. ლიტერატურული ჯილდო პრემიის სახით (5 000 აშშ დოლარი) ეძლევა მწერალს ან მეცნიერს (ჰუმანიტარულ დარგში), რომელიც თავისი შემოქმედებით ან მეცნიერული კვლევის საფუძველზე იბრძვის ან იცავს ინდივიდუუმის თავისუფლებას საზოგადოებაში.

იერუსალიმის პრემიას ორ წელიწადში ერთხელ გაცემს იერუსალიმის მუნიციპალიტეტის მიერ რეკომენდებული ჟიური. ჟიური შედგება სამი კაცისგან, რომლებიც კულტურის სფეროში მოღვაწეობენ და საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტი აქვთ. იერუსალიმის პრემიის ლაურეატები იყვნენ – პოეტი **ოქტავიო პასი** (1977 წელს – იერუსალიმის პრემია, 1990 წელს – ნობელი), **ვიდიადჰარ სურაჯფრასად ნაიფოლი** (1983 წელს – იერუსალიმის პრემია, 2001 წელს – ნობელი), **ჯონ მაქსველ ქუთზე** (1987 წელს – იერუსალიმის პრემია, 2003 წელს – ნობელი), **მარიო ვარგას ლიოსა** (1995 წელს – იერუსალიმის პრემია, 2010 – წელს ნობელი).

2013 წლის იერუსალიმის პრემიის ლაურეატი გახდა 58 წლის ესპანელი მწერალი **ანტონიო მუნოს მოლინა**. მისი ყველაზე ცნობილი რომანია „პოლონელი რაინდი“. წიგნი ბესთსელერი გახდა არა მხოლოდ მის სამშობლოში, არამედ მთელ ესპანურენოვან ქვეყნებსა და ევროპაში. 1991 წელს მისი ერთ-ერთი რომანის „ჩრდილების მბრძანებელი“ მიხედვით ფილმი გადაიღეს. 2014 წლის პრემია ჯერ არ გაუციათ.

გოეთეს პრემია



ბოლო წლებში საერთაშორისო ლიტერატურული პრემიის სტატუსი აქვს გოეთეს ეროვნულ პრემიას, რომელიც დაფუძნდა 1927 წელს ფრანკფურტში და ამავე წლის 28 აგვისტოს (გოეთეს დაბადების დღე) მიენიჭა გერმანელ პოეტ **შტეფან გეორგს**.


გოეთეს პრემიის ლაურეატები იყვნენ: 1928 წ. – **ალბერტ შვაიცერი,** გერმანელი თეოლოგი, ფილოსოფოსი, ჰუმანისტი, მუსიკოსი, ექიმი, რომელმაც 1952 წელს ნობელის პრემია მიიღო. 1930წ. – **ზიგმუნდ ფროიდი**, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი. 1932წ. – **გერჰართ იოჰან ჰაუთმანი,** გერმანელი დრამატურგი, რომელსაც მანამდე, 1912 წელს, ნობელის პრემია ჰქონდა მიღებული ლიტერატურაში.

1932 წლის შემდეგ გოეთეს პრემიის გაცემა შეწყდა. იგი 1970 წელს აღადგინეს და სამ წელიწადში ერთხელ გაიცემა. დღეისთვის გოეთეს პრემია 50 000 ევროს შეადგენს. 1976 წელს გოეთეს პრემიით ცნობილი ოსკაროსანი რეჟისორი **ინგმარ ბერგმანი** დააჯილდოვეს, 1991 წელს – პოლონელი პოეტი **ვისლავა შიმბორსკა,** რომელიც 1996 წელს ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდა.

გოეთეს პრემიის ლაურეატებს შორის არის ცნობილი გერმანელი მოცეკვავე, ბალეტის არტისტი, ბალეტმაისტერი და ქორეოგრაფი, მსახიობი (გადაღებულია ფელინის და ოლმოდოვარის ფილმებში), პოეტი **ფინა ბაუში**. მისი ცნობილი გამონათქვამია: „ის თუ როგორ მოძრაობენ ადამიანები, ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს; მე მაინტერესებს, რა ამოძრავებთ მათ“.

2014 წლის გოეთეს პრემიის ლაურეატი გახდა მწერალი და მკვლევარი, ლიტერატურის ისტორიის დოქტორი **პეტერ ფონ მათი**. მისი წიგნი „შვეიცარიის ლიტერატურული ისტორია – წარსული და აწმყო“ უმაღლეს დონეზე შეაფასეს ლიტერატურის მკვლევრებმა, ინტელექტუალ მკითხველებში კი უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

კამოენსას ლიტერატურული პრემია



დაარსდა 1989 წელს გენიალური პორტუგალიელი პოეტის ლუის დე კამოენსას საპატივცემოდ. ქვეყნის უმსხვილესი ლიტერატურული პრემია (100 000 ევრო) დააფუძნეს პორტუგალიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და ბრაზილიის ეროვნული წიგნის დეპარტამენტმა.

კამოენსას ლიტერატურული პრემია ყოველწლიურია და დაარსებიდან დღემდე 25-ჯერ გაიცა. დაჯილდოებულთა შორის არის პორტუგალიელი მწერალი **ჟოზე სარამაგო,** რომელიც 1995 წელს კამოენსას ლაურეატი გახდა, 1998 წელს კი ნობელის პრემიის.

ქართველი მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესოა სარამაგოს რომანი „ქვის ტივი“. ავტორი წიგნში ყვება განსაცვიფრებელ ამბავს, როგორ მოწყდა იბერიის ნახევარკუნძული მატერიკს პირინეის ქედის გასწვრივ და შეცურა ატლანტიკის ოკეანეში. აქედან იწყება რომანის გმირების ზღაპრულ-მისტიკური თავგადასავალი. რომანში მოთხრობილია პორტუგალიელების რთულ ურთიერთობაზე ესპანელებთან და დანარჩენ ევროპელებთან, რასაც მათი იბერიული წარმოშობით ხსნიან.

კამოენსას ლიტერატურული პრემიის 2014 წლის ლაურეატი გახდა 84 წლის ბრაზილიელი პოეტი **ალბერტო და კოსტა-სილვა**.

ჩრდილოეთ კავშირის ლიტერატურული პრემია სკანდინავიური ქვეყნები

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია პოეზიაში, პროზასა და დრამატურგიაში. თხზულება შესრულებული უნდა იყოს რომელიმე სკანდინავიურ ენაზე და აკმაყოფილებდეს მაღალ მხატვრულ კრიტერიუმს. როგორც პრემიის ორგანიზატორები ამბობენ, პრემიის მიზანია, სკანდინავიური ქვეყნების საზოგადოებაში ლიტერატურისადმი ინტერესი ამაღლდეს. პრემია დაფუძნდა 1962 წელს და მისი ფულადი ეკვივალენტია 350 000 დანიური კრონი. ჟიურიში 10 კაცია, რომლებიც წარმოადგენენ (თითო ქვეყნიდან – ორი) დანიას, ისლანდიას, ნორვეგიას, ფინეთს, შვედეთს. თუ თხზულება დაწერილია საამის ენებზე, გრენლანდიურად ან ფარერის ენებზე, ჟიურიში დამატებითი წევრები შეყავთ.

ჩრდილოეთ კავშირის ლიტერატურულ პრემიას 51 ლაურეატი ჰყავს. აქედან **ეივინდ იუნსონი** (შვედი მწერალი) და **თომას ტრანსთრიომერი** შემდგომ ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ.



2014 წლის ლაურეატია 54 წლის ფინელი მწერალი ჩელ ვესტე. მას ჩრდილოეთ კავშირის ლიტერატურული პრემია (47 000 ევრო) გადაეცა რომანისთვის „მირაჟი – 38“. მწერალი თავის წიგნში 1938 წლის ოლიმპიადის მოვლენებს აღწერს, რომელიც ჰელსინკიში ჩატარდა. ეს რომანი ფაქტებზეა აგებული და მთავარი გმირი ებრაელი მორბენალია. მაშინდელი ოლიმპიადის მსაჯებს შორის იყვნენ საპატიო სტუმრები ფაშისტური გემანიიდან და მათი ზეგავლენის შედეგად ებრაელ მორბენალს, რომელიც პირველი მივიდა ფინიშთან, ოლიმპიური ჩემპიონობა არ მისცეს. ეს რომანი საინტერესოა იმითიც, რომ მწერალმა გამოაქვეყნა ფოტო, რაზეც ნათლად ჩანს ებრაელი მორბენალის შთამბეჭდავი უპირატესობა ფინიშზე. ამ რომანის გამოსვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში, რის შემდეგაც პირადად მწერალს ფინეთის სპორტული კავშირის ხელმძღვანელობამ ბოდიში მოუხადა.

მიგელ დე სერვანტესის ლიტერატურული პრემია



ყოველწლიური ლიტერატურული პრემია ესპანურენოვანი მწერლებისთვის 1976 წელს დაფუძნდა. პრემიას ანიჭებს ესპანეთის კულტურის სამინისტრო; იგი გაიცემა 23 აპრილს, სერვანტესის გარდაცვალების დღეს. პრემიის ფულადი ეკვივალენტია 90 000 ევრო.

სერვანტესის პრემიის 38 ლაურეტს შორის ორი ნობელიანტია: მექსიკელი პოეტი და პუბლიცისტი **ოქტავიო პასი** (სერვანტესის პრემია – 1981წ; ნობელის პრემია – 1990წ.), პერუელი პროზაიკოსი და დრამატურგი **ხორხე მარინო** (სერვანტესის პრემია – 1994წ; ნობელის პრემია – 2010წ.).

2013 წლის სერვანტესის პრემიის ლაურეატი გახდა 72 წლის მექსიკელი (წარმოშობით პოლონელი) მწერალი და ჟურნალისტი **ელენა პონიატოვსკა.**

დუბლინის ლიტერატურული პრემია



ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია მსოფლიოში. 1996 წელს დააფუძნეს დუბლინის საქალაქო საბჭომ და აშშ-ის საინვესტიციო ფონდ IMPAC-მა. დამფუძნებელთა პროგრამული მიზანი იყო დუბლინის, როგორც „ლიტერატურული მექის“ აღორძინება. პრემია IMPAC ყოველწლიურია და მისი ფულადი ეკვივალენტია 100 000 ევრო.

დუბლინის პრემია ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ პრემიად მიიჩნევა, რადგან კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მწერალს ნებისმიერი ქვეყნიდან. ერთადერთი მოთხოვნაა წიგნის პუბლიკაცია ინგლისურ ენაზე. თუ წიგნი თავდაპირველად სხვა ენაზე გამოვიდა და ინგლისურ ენაზე კონკურსისთვის ითარგმნა, გამარჯვების შემთხვევაში მთარგმნელი საპრიზო თანხის 25%-ს იღებს.

ნაწარმოებებს კონკურსისთვის წარადგენენ მსოფლიოს საჯარო ბიბლიოთეკები. საერთაშორისო ჟიური წარდგენილი სიიდან შეარჩევს ყველაზე ღირსეული ავტორების „მოკლე ჩამონათვალს,“ რომელთა შორის ერთი გამარჯვებული გახდება. 2008 წელს მსოფლიოს 161 საჯარო ბიბლიოთეკიდან 137 ავტორი იყო წარდგენილი დუბლინის პრემიაზე, ხოლო 2010 წელს – 156 ავტორი 46 ქვეყნიდან.

დაარსებიდან დღემდე დუბლინის პრემიას 18 ლაურეატი ჰყავს და მათგან ორი ნობელიანტი გახდა. (1998 წელს დუბლინის პრემია აიღო პოეტმა **გერტა მიულერმა**, ხოლო 2009 წელს ნობელიანტი გახდა. თურქი მწერალი **ორჰან ფამუქი** 2003 წელს გახდა დუბლინის პრემიის ლაურეატი, ხოლო 2006 წელს – ნობელიანტი).

2014 წლის დუბლინის პრემიის ლაურეატი გახდა 41 წლის კოლუმბიელი მწერალი **ხუან გაბრიელ ვასქესი**. მისი რომანი „ხმა საგნების ვარდნის დროს“ ჟიურის მხრიდან შეფასდა, როგორც „არაორდინარული ლიტერატურული თრილერი“. მოქმედება ვითარდება 60-90-იანი წლების კოლუმბიაში, ნარკობარონ პაბლო ესკობანის სიცოცხლეში. მთავარი გმირი, ანტონიო იამარა, რომელიც უნივერსიტეტში სამართალს კითხულობს, მას შემდეგ, რაც მისი მეგობარი მის თვალწინ ხალხმრავალ ქუჩაში დახვრიტეს, ცდილობს, მის წარსულში გაერკვეს. ვასქესი არა ერთი რომანისა და ნოველის ავტორია, რომლებიც თარგმნილია სხვადასხვა ენაზე. ნობელიანტმა მარიო ლიოსამ ამ მწერალზე განაცხადა: „იგი ერთ-ერთი გამორჩეული და ორიგინალური ახალი ხმაა ლათინოამერიკულ ლიტერატურაში“.

პულიტცერის პრემია



აშშ-ის ერთ-ერთი გამორჩეულად პრესტიჟული ჯილდო ლიტერატურაში, ჟურნალისტიკაში, ფოტოგრაფიაში, მუსიკასა და თეატრში. 1911 წელს გარდაიცვალა უნგრულ-ებრაული წარმოშობის მაგნატი საგაზეთო ბიზნესში ჯოზეფ პულიტცერი (1847-1911). მისი ანდერძის თანახმად დაარსდა მისი სახელობის ფონდი, რისთვისაც 2 მლნ დოლარი დატოვა. ანდერძი შედგენილია 1903 წლის 17 აგვისტოს. ეს დღე ითვლება პულიტცერის პრემიის დაფუძნების დღედ. 1917 წლის მაისიდან პულიტცერის პრემიას ნიუ-იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტის მზრუნველთა საბჭო გასცემს. პულიტცერის პრემიის ფულადი ეკვივალენტია 10 000 აშშ დოლარი.

2014 წლის პულიტცერის პრემიის ლაურეატი გახდა 41 წლის ამერიკელი მწერალი **დონა თართი**. მის რომანს „ჩიტბატონა“ (ჟარგ. ოქროს ფული) ჟიურიმ ასეთი შეფასება მისცა: „ლამაზად დაწერილი რომანი დახვეწილად აღწერილი პერსონაჟებით, წიგნი გულს აგითრთოლებს და დაგაფიქრებს“.

ჟურნალისტიკაში პულიტცერის პრემია „სნოუდენის გამოაშკარავებისთვის“ აიღეს აშშ-ის გრანდგაზეთებმა – The Washington Post და The Guardian.


ლიტერატურული პრემია ორანჟი



ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია მწერალი ქალებისთვის. ეროვნებასა და მოქალაქეობას მნიშვნელობა არა აქვს, ნაწარმოები ინგლისურ ენაზე უნდა გამოქვეყნდეს დიდ ბრიტანეთში. პრემია 1996 წლიდან გაიცემა ყოველწლიურად და მისი ოდენობაა 30 000 ფუნტი სტერლინგი. პრემიის სპონსორმა არ ისურვა თავისი ვინაობის გამომჟღავნება. 2013 წლის ორანჟის ლაურეატი გახდა ამერიკელი მწერალი ქალი **ემი ჰომსი** რომანისთვის „შეიძლება ჩვენ გვეპატიება“ . 2014 წლის პრემია ჯერჯერობით არ გაუციათ.

მოამზადა
მარიკა კახაძემ


ქართველ მწერალთა უცხოური გამოცემები






















შალვა ქიქოძის (1894, ოზურგეთი, სოფ. ბახვი – 1921, ფრაიბურგი გერმანია) შემოქმედებაში უდავოდ აირეკლება XX საუკუნის ევროპული მხატვრობის ტენდენციები, თუმცა თემატური და სტილური მრავალფეროვნების გამო მისი მიკუთვნება ცალსახად რომელიმე მაშინდელი მიმდინარეობისადმი საკმაოდ რთულია.

ტალანტი მისი გამოხატვის და განვითარების ნებისმიერ ეტაპზე საინტერესოა. ამიტომ ჟურნალის ამ ნომრის ილუსტრაციებისათვის შალვა ქიქოძის შემოქმედებიდან შევარჩიეთ უპირატესად ჩანახატები და არა ის დასრულებული ფერწერული ნამუშევრები, რომელიც უფლებას გვაძლევს ნაადრევად გარდაცვლილი ხელოვანი მისი მეგობრების, ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის გვერდით მოვიხსენიოთ. მათი ერთობლივი გამოფენა მოეწყო კიდეც პარიზში 1921 წელს.

როდესაც უკვე იგრძნობა მომავალი ოსტატი, მაშინ ახალგაზრდული, ზოგჯერ დაუხვეწავი მონასმიც ფანქრისა თუ კალმისა თანაბრად საინტერესოა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ამგვარი ხედვა განახლებული ჟურნალისა მესიჯად უნდა ჩათვალოს ჩვენმა შემოქმედებითმა ახალგაზრდობამ და სწორედ ამ დამოკიდებულებით მოვუწოდებთ თანამშრომლობისაკენ.

შალვა ქიქოძის ფოტო გადაღებულია პეტერბურგში 1919 წელს

ISSN 1987-5762

ხელმომწერთა საყურადღებოდ!!!!
ხელმოწერების გასაფორმებლად დაუკავშირდით ქვემოთ ჩამოთვლილ გამავრცელებლებს მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:
„პლანეტა ფორტე“ - ტელ.: 2 92 18 59; 577 55 66 73;
„მაცნე“ - ტელ.: 2 14 74 22;
„ელვა.ჯი“ ტელ.: 2 38 26 73; 2 38 26 74;
„საქპრესა“ ტელ.: 2 51 85 18; 2 51 59 05;